

# ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

shepherds
GLOBAL CLASSROOM

# ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

shepherds
GLOBAL CLASSROOM

Shepherds Global Classroom არსებობის მიზანია ქრისტეს სხეულის აღჭურვა, სასწავლო გეგმის (კურიკულუმების) მიწოდების გზით, რათა მთელს მსოფლიოში გამოიზარდონ ქრისტიანი ლიდერები. ჩვენ მიზნად ვისახავთ გავამდიდროთ ადგილობრივი სასწავლო პროგრამები 20-კურსიანი კურიკულუმის ინსტრუმენტის გადაცემით სულიერი მასწავლებლების ხელში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ამ კურსის უფასოდ ჩამოტვირთვა შესაძლებელია ელ მისამართზე: https://www.shepherdsglobal.org/courses

_წამყვანი ავტორი: დოქტორი სტივენ გიბსონი (Dr. Stephen Gibson)

საავტორო უფლებები © 2019 Shepherds Global Classroom
მეორე გამოცემა, ნათარგმნია ინგლისურიდან ქართულ ენაზე

ყველა უფლება დაცულია.

მესამე მხარის მასალებზე დაცულია მფლობელების საავტორო უფლებები და მათი გავრცელება ხდება შესაბამისი ლიცენზიით.

გამოყენებული ბიბლიები: ახალი გადამუშავებული გამოცემა 2015, სბს-სტოკჰოლმი 2013, სბს-სტოკჰოლმი 2001, სსგ-საქართველოს საპატრიარქო გამოცემა

**ნებართვის შეტყობინება:**

ეს კურსი შეიძლება დაიბეჭდოს და გავრცელდეს უფასოდ ბეჭდურ და ციფრულ ფორმატში შემდეგი მითითებების შესაბამისად: (1) კურსის შინაარსის რაიმე სახით შეცვლა დაუშვებელია; (2) არ შეიძლება კურსის წიგნების ასლების გაყიდვა მოგების მიზნით; (3) საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ თავისუფლად და უფასოდ გამოიყენონ/დააკოპირონ ეს კურსი, მაშინაც კი, თუ ისინი იღებენ სწავლის საფასურს; და (4) კურსის თარგმნა დაუშვებელია Shepherds Global Classroom-ის ნებართვისა და ზედამხედველობის გარეშე.

# სარჩევი

კურსის მიმოხილვა....5

(1) დიადი დავალების მიღება....7

(2) რწმენაში მოქცევის თეოლოგია....15

(3) მახარებლობის აქტუალობა....25

(4) სახარების არსებითი პუნქტები....31

(5) მახარებლობა და სახარების პრიორიტეტი....35

(6) სულიწმიდის მოქმედება....43

(7) ლოცვა და მარხვა....49

(8) იესოს მეთოდი....59

(9) სახარების, როგორც ხიდის წარდგენა....69

(10) რომაული გზა....77

(11) მახარებლური ქადაგება....85

(12) კარებების გაღება....93

(13) მახარებლური მეთოდების ადაპტირება....101

(14) ბავშვებისთვის მსახურება....109

(15) ეკლესიის ჩანაფიქრი (მიზანი)....121

(16) ნამდვილი მოწაფეები....129

(17) სულიერი სიმწიფისკენ....139

(18) მცირე ჯგუფის სახელმძღვანელო....149

(19) ლოცვა მოწაფეებისთვის....163

რეკომენდებული რესურსები....167

დავალებების ჩაწერა....169

# კურსის მიმოხილვა

ეს კურსი არის ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება ეკლესიას თავისი მისიის შესრულებაში. კურსი ხაზს უსვამს ადგილობრივი ეკლესიის ცენტრალურობას და აჩვენებს, რომ სახარება არის ეკლესიის მისია და რომ სახარების ბუნებამ უნდა ჩამოაყალიბოს ეკლესია. სახარების საფუძვლების ახსნით, ის ასწორებს თანამედროვე მეთოდების ზოგიერთ შეცდომებს, რომლებსაც ცოდვილი არ მიჰყავს ჭეშმარიტ მობრუნებამდე და ქრისტიანულ ცხოვრებამდე. სტუდენტი აღიჭურვება თავისი მსახურების გასავითარებლად.

კურსის გაკვეთილების უმეტესობა შეიძლება ისწავლებოდეს როგორც დასრულებული თემები სხვადასხვა ჯგუფებისთვის. მაგალითად, გაკვეთილი შეიძლება გამოყენებულ იქნას სახარების წარმოდგენის მეთოდის სწავლებისთვის.

ამ კურსზე სტუდენტები ისწავლიან როგორ აღზარდონ მოწაფეები. Shepherds Global Classroom-მა შექმნა მოწაფეობის რესურსი სპეციალურად ახალმოქცეულებისთვის გამოსაყენებლად. მოწაფეობის გაკვეთილების ეს წიგნი, „მოწაფეობის განვითარების გაკვეთილები", შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ shepherdsglobal.com-დან. მოწაფეობის განვითარების გაკვეთილების 26- ე გაკვეთილიდან თითოეული მოიცავს მასწავლებლის სახელმძღვანელოს და სტუდენტის გვერდებს.

**კურსის მიზნებია**

1. ახსნას სახარების გავლენა ეკლესიის ბუნებასა და ფორმირებაზე
2. სახარების ძირითადი დოქტრინების მიმოხილვა
3. მორწმუნეების მომზადება მახარებლობის პრაქტიკულ მეთოდებში
4. გავიგოთ ეკლესიის პასუხისმგებლობა დამოწაფებაში
5. მოწაფეობის ამოცანის განსაზღვრა და აღწერა
6. მცირე ჯგუფის დამოწაფებისთვის პრაქტიკული მეთოდების შესწავლა
7. უზრუნველყოს გაკვეთილების სერია, რომელიც გამოყენებულ იქნება ახალმოქცეულთა დამოწაფებისთვის

**ახსნა-განმარტებები და მითითებები კლასის ლიდერებისთვის**

კლასის ლიდერებისთვის მინიშნებებში შედის კურსის განმავლობაში გაკვეთილების კონკრეტული ნაწილების მიმართულებები. ისინი დახრილია.

სადისკუსიო კითხვები და კლასში აქტივობები მონიშნულია სიმბოლოთი - ►. სადისკუსიო კითხვებზე კლასის ხელმძღვანელმა უნდა დაუსვას შეკითხვა და მისცეს სტუდენტებს პასუხის გაცემის საშუალება. არ არის აუცილებელი, რომ კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცეს დისკუსიის მსვლელობისას. კითხვაზე პასუხს გასცემს გაკვეთილის მასალა. თუ, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე სტუდენტი პასუხობს პირველი, ან თუ ზოგიერთი სტუდენტი დუმს, ლიდერს შეუძლია შეკითხვა დაუსვას სახელდობრ: „იგორ, როგორ უპასუხებ ამ კითხვას?"

ყოველი გაკვეთილი მთავრდება დავალებებით. ისინი უნდა შესრულდეს და წარდგენილ იქნას შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა დავალება, მას შეუძლია ამის გაკეთება მოგვიანებით. თუმცა, ლიდერმა უნდა წაახალისოს სტუდენტები დაიცვან განრიგი, რათა მათ მეტი ისწავლონ კლასში.

სტუდენტები შეასრულებენ, რამდენიმე სახის წერილობით დავალებას. როგორც წესი, კლასის ხელმძღვანელმა უნდა შეაგროვოს წერილობითი დავალებები გაკვეთილის დასაწყისში. (ორი დავალება (გაკვეთილი 6, დავალება 1 და გაკვეთილი 14, დავალება 1) არ საჭიროებს ჩაბარებას, მხოლოდ მოხსენებას.)

სტუდენტები ასევე გააცნობენ სახარებას ბევრ ადამიანს კლასში ნასწავლი მეთოდების გამოყენებით. ყოველი ასეთი წარდგენის შემდეგ ისინი დაწერენ თავიანთი გამოცდილების შესახებ და კლასში გაუზიარებენ, თუ როგორ წარიმართა ეს შეხვედრები. ისინი ასევე მოამზადებენ მახარებლურ ქადაგებას უფროსებისთვის და გაკვეთილს ბავშვებისთვის. ამ კურსში არის ორი ტესტი, მე-5 და მე-10 გაკვეთილებში. სტუდენტებმა უნდა დაწერონ პასუხები დამახსოვრებულიდან, მასალის ნახვის ან ერთმანეთთან საუბრის გარეშე. კლასის ლიდერისთვის პასუხის გასაღები არ არის მოცემული, რადგან ყველა პასუხი ადვილად იძებნება გაკვეთილის ტექსტში.

მე-13 გაკვეთილი მოიცავს ინსტრუქციებს სახარების ბროშურების გავრცელებისთვის. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, სად მიიღონ ბროშურები გასავრცელებლად. თუ შესაძლებელია, მიიტანეთ მარაგი ამ გაკვეთილისთვის.

თუ სტუდენტს სურს მიიღოს სერტიფიკატი Shepherds Global Classroom-სგან, ის უნდა ესწრებოდეს გაკვეთილებს და შეასრულოს დავალებები. კურსის ბოლოს მოცემულია ფორმა დასრულებული დავალებების ჩასაწერად.

# გაკვეთილი 1
# დიადი დავალების მიღება

## შესავალი

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს მათეს 28:18-20.

ზოგიერთმა ჩათვალა, რომ ეს დავალება მხოლოდ მოციქულებისთვის იყო განკუთვნილი.

► ეს დავალება მხოლოდ მათთვის იყო, ვინც იმ დღეს მოისმინა? განმარტეთ თქვენი პასუხი.

უილიამ კერი ცხოვრობდა 1761-1834 წლებში. ის წარმოშობით ინგლისიდან იყო. ის იყო ფეხსაცმლის მწარმოებელი, რომელსაც ჰქონდა სახარების გავრცელების დიდი სურვილი. მისი ეკლესია დიდად არ იყო დაინტერესებული უცხოეთში მისიონერული მუშაობით. მათ მიაჩნდათ, რომ ღმერთს უკვე გადაწყვიტილი აქვს, ვის იხსნის და რომ ის არ საჭიროებს ადამიანის დახმარებას.

პასტორების კონფერენციაზე კერიმ შესთავაზა განსახილველი თემა: მან ჰკითხა, არის თუ არა დიდი დავალება ეკლესიის ამოცანა, რადგან იესოს მიერ დიდ დავალებასთან ერთად მიცემული დაპირება არის ის, რომ ის მათთან იქნება წუთისოფლის აღსასრულამდე. კონფერენციის წამყვანმა უპასუხა: „დაჯექით ახალგაზრდავ. თქვენ ხართ ენთუზიასტი [ფანატიკოსი]. როდესაც ღმერთს სურს წარმართების მოქცევა, ის გააკეთებს ამას თქვენი და ჩემი დახმარების გარეშეც."

ჩვენ ვიცით, რომ დავალება მოცემულია ეკლესიისადმი, წუთისოფლის აღსასრულამდე. იესო დაგვპირდა, რომ იქნებოდა სახარების გამავრცელებლებთან წუთისოფლის აღსასრულამდე, რაც იმას ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება ეკლესიას, ყველა თაობის განმავლობაში. მოციქულებმა ვერ შეძლეს ამ დავალების შესრულება სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ იესომ თქვა, რომ სახარება ყველა ერს ექადაგებოდა (მათეს 24:14).

ამრიგად, მახარებლობაზე პასუხისმგებლობა ეკლესიის თითოეულ თაობაზე მემკვიდრეობით გადადის.

► კიდევ ერთხელ გადახედეთ მათეს 28:18-20-ის დეტალებს. კონკრეტულად რა არის დავალებული?

იესოს კონკრეტული დავალება იყო, რომ ეკლესია ყველგან წასულიყო და მოწაფეები მოემზადებინა მისთვის.

დავალება მოიცავს კეთილი უწყების მიტანას, მახარებლობას, რადგან ადამიანი ვერ გახდება მოწაფე, ვიდრე არ მოექცევა.

ეს დავალება ნიშნავს, რომ ეკლესიამ თავის პრიორიტეტად უნდა აქციოს მახარებლობა და მოწაფეობა და ახორციელებდეს ამას გულმოდგინედ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იმას არ ასრულებს, რისთვისაც არსებობს.

ფრაზა „ყველა ხალხი“ (ყოველი ერი ნიშნავს ყველა ეთნიკურ ჯგუფს) გვიჩვენებს, რომ დავალებულია უცხოური მისიების მუშაობა, რადგან ეთნიკურ ჯგუფებს არ აქვთ სახარება, სანამ მას მათ არ მიუტანენ. არ უნდა გამოირიცხოს ადამიანების არც ერთი კატეგორია.

დავალება არ არის მხოლოდ სახარების ქადაგება. სწავლების პროცესია აუცილებელი, რადგან ჩვენ უნდა ვასწავლოთ ახალმოქცეულებს ყოველივეს დაცვა, რაც იესომ გვამცნო.

მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სრული პირადი ვალდებულება დაემორჩილოს ქრისტეს მცნებებს, რადგან ის უნდა იყოს კარგი მაგალითი, რათა ახალმოქცეულებს აჩვენოს, როგორ იცხოვრონ ქრისტეს მორჩილებაში.

ასევე ახალმოქცეულიც თანახმა უნდა იყოს, დაემორჩილოს ქრისტეს, რადგან ქრისტეს მცნებების სწავლა საკმარისი არ არის ნასწავლის შესრულების გარეშე. თუ ის არ ემორჩილება იმას, რაც ისწავლა, ის ეწინააღმდეგება მოწაფეობრივ შრომას. მოწაფეობის პროცესი არაა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ ხასიათის ფორმირებაცაა.

> „მე უფრო მეტად ვარ დარწმუნებული, ვიდრე ოდესმე, რომ თუ ჩვენ მივიღებთ ჩვენი მოძღვრის მითითებებს და გარანტიებს, რომლებიც მან მისცა თავის პირველ მოწაფეებს, როგორც ჩვენს გზამკვლევს, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ისინი ისევე აქტუალურია ჩვენს დროში, როგორც მაშინ, როდესაც ისინი თავდაპირველად იყო მიცემული.”
> - ჰადსონ ტეილორი,
> „მოწოდება მსახურებისთვის”

## მახარებლობა ბიბლიური პრიორიტეტია

დიდი დავალების გარდა, ბიბლიაში არის მრავალი მოწმობა, რომელიც ცხადყოფს, რომ მახარებლობა არის ღმერთის პრიორიტეტი ეკლესიისთვის.

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: სტუდენტებმა უნდა მოძებნონ ქვემოთ მოცემული მითითებები და ახსნან, თუ როგორ აჩვენებს თითოეული მათგანი, რომ მახარებლობა არის წმიდა წერილის პრიორიტეტი. დაეხმარეთ მათ მოწოდებული კომენტარებით.*

**მათეს 9:36-38**. იესოს სურდა, რომ მის მოწაფეებს გაეზიარებინათ მისი თანაგრძნობა ცოდვილთა მიმართ და ელოცათ, რომ ღმერთს გამოეგზავნა მუშები სულიერ სამკალში.

**საქმეების 4:29**. როდესაც ეკლესია პირველად აღმოჩნდა დევნის წინაშე, მათი მთავარი საზრუნავი არ იყო ფიზიკური საფრთხე, არამედ ის, რომ სახარება შეიძლება შეფერხებულიყო. ისინი ლოცულობდნენ, რომ დევნის მიუხედავად ღვთის სიტყვა გავრცელებულიყო.

**საქმეების 11:18**. ებრაული ეკლესია ადიდებდა ღმერთს იმისთვის, რომ ხსნა წარმართებისთვისაც იყო მიცემული.

**ფილიპელთა 1:18**. პავლე ხარობდა იმით, რომ ქრისტეს ქადაგებდნენ მაშინაც კი, როდესაც ის ციხეში იყო.

**ეფესელთა 6:19**. პავლე ითხოვდა ლოცვას უფრო ქმედითი

მახარებლობისთვის.

**რომაელთა 10:13-15**. პავლემ ხაზი გაუსვა სახარების მაცნეების გადაუდებელ საჭიროებას, რადგან ხსნა მათთვისაა, ვინც ისმენს და სწამს.

► რა მიზეზების გამო უნდა სურდეს მორწმუნეს, ადამიანები დახსნილებად იხილოს?

**მიზეზები, რის გამოც მორწმუნეს უნდა სურდეს დაკარგულის მოქცევა**

- მას უნდა სურდეს მიბაძოს იესოს მაგალითს, რომელმაც დატოვა ზეცა, რათა ეცოცხლა და მომკვდარიყო დაკარგულთა გადასარჩენად.
- მას უნდა სურდეს, რომ ღმერთი განდიდდეს მეამბოხეს ღვთის თაყვანისმცემლად გადაქცევით.
- მან უნდა მიიჩნიოს სახარების გავრცელება, როგორც ქრისტეს გამარჯვება და მისი გამოსყიდვა.
- მას უნდა სურდეს მონაწილეობა იმ საქმეში, რომელიც ღვთის პრიორიტეტს წარმოადგენს.
- მას უნდა ჰქონდეს თანაგრძნობა დაკარგულთა მიმართ, რომლებიც მარადიული სასჯელის წინაშე დგანან თავიანთი ცოდვების გამო.

► შესაძლებელია ადამიანს ხარების სურვილი არასწორი მიზეზით ჰქონდეს? როგორი შეიძლება იყოს არასწორი მიზეზები?

არაფერია ცუდი იმაში, რომ გსურდეს წარმატება მსახურებაში და ადგილობრივი ეკლესიის ზრდა.

მნიშვნელოვანია, რომ არ ვიყოთ აღძრულნი წარმატების სიამაყით, სხვა ეკლესიებთან კონკურენციით ან პაექრობის სიყვარულით.

ზოგიერთი მორწმუნე საგანგებოდ არის მოწოდებული და დაჯილდოებული ღვთისგან, რათა ახარებდეს (ეფესელთა 4:11). ლიდერებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველა მორწმუნეს ერთნაირად მახარებლობის უნარი არ აქვს. თუმცა, ყოველი მორწმუნე უნდა იყოს მოტივირებული, დაეხმაროს ეკლესიას მახარებლური მისიის შესრულებაში და მზად უნდა იყოს კეთილი უწყების გასავრცელებლად.

## მიზეზები, რის გამოც ზოგიერთი ქრისტიანი არ ახარებს

► რატომ არ ახარებს ყველა ქრისტიანი?

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: სტუდენტებმა უნდა ჩამოთვალონ მიზეზები, რისი მოფიქრებაც შეუძლიათ, სანამ შემდეგ სიას გადახედავენ.*

- ზოგადი სულიერი მონდომების ნაკლებობა
- მახარებლობაზე პირადი პასუხისმგებლობის არ გაზიარება
- სულიერ თემებზე საუბრის დაწყების არცოდნა
- სახარების გადმოცემის არ ცოდნა
- წინააღმდეგობებზე პასუხის გაცემის შიში
- ქვეყნიერებისგან განსხვავებულობის სირცხვილი
- ეჭვი იმაში, რომ მის ძალისხმევას შედეგი ექნება
- დევნა

► არის ამ მიზეზებიდან რომელიმე მისაღები?

## ვიწყებთ

► თუ ადამიანი არაფერს აკეთებს დაკარგულთა გადასარჩენად, რა არის საჭირო, რომ ამის კეთება დაიწყოს?

თუ მას სულიერი მონდომება არ გააჩნია, მას პირადი სულიერი აღდგინება ესაჭიროება.

თუ ადამიანი სულიერად ცოცხალია, გულმოდგინე და აცნობიერებს თავის პირად პასუხისმგებლობას მონაწილეობა მიიღოს დიდი დავალების შესრულებაში, მაშინ, დიდი ალბათობით, დასაწყებად მას დასჭირდება შემდეგი ორი ფაქტორი.

1. რწმენა – მან უნდა გააცნობიეროს, რას აკეთებს ღმერთი იმისთვის, რომ სახარება ძლევამოსილი გახადოს.
2. მომზადება – სახარების საქადაგებლად მან მომზადება უნდა გაიაროს.

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იოანეს 4:28-30, 39. რა დაეხმარა სამარიელ ქალს ხალხის იესოსთან მიყვანაში?

მას არანაირი მომზადება არ ჰქონდა. მას ნამდვილად ჰქონდა მადლის გამოცდილება და პრიორიტეტი ეთქვა სხვებისთვის იესოს შესახებ.

თუ ადამიანს აქვს ეს ორი რამ, მადლის გამოცდილება და სხვებისთვის თქმის სურვილი, მას გააჩნია მახარებლის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები. მომზადება კარგია; მაგრამ თუ ადამიანს აკლია ეს ორი თვისება, ვერანაირი მომზადება ვერ აქცევს მას კარგ მახარებლად.

> „სწორეს ასე უნდა გაემარჯვა მის ეკლესიას - იმ ადამიანების მიძღვნილი ცხოვრებით, ვინც ისე კარგად იცნობდა მაცხოვარს, რომ მისმა სულმა და მეთოდმა აღძრა ისინი ეს ყოველივე სხვებისთვის გადაეცათ."
>
> - რობერტ კოულმანი, *მოძღვრის გეგმა*

**მნიშვნელოვანი საკითხი: რა არის საჭირო იმისთვის, რომ დაიწყოთ?**

► რა არის ის, რასაც უკვე აკეთებთ სახარების გასავრცელებლად? კმაყოფილი ხართ იმით რასაც აკეთებთ?

► რა დაგეხმარებათ სახარების უფრო გულმოდგინედ და ეფექტურად გაზიარებაში?

## მახარებლის მახასიათებელი

მოდით ვისაუბროთ ადამიანზე, რომელსაც შეუძლია მიიღოს დიდი დავალება.

ახალმოქცეულსაც კი შეუძლია თავისი მოწმობის გაზიარება იმ ჭეშმარიტების შესახებ, რამაც ის მობრუნებამდე მიიყვანა.

თუმცა, ადამიანს, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ღმერთმა, როგორც მახარებელი გრძელვადიანი შედეგებისთვის, ესაჭიროება გარკვეული მახასიათებლები.

> „ჩვენ გვჯერა, რომ დამაჯერებელი ქრისტიანული კომუნიკაციის მთავარი გასაღები თავად კომუნიკატორებშია და როგორი ადამიანები არიან ისინი. ცხადია, რომ ისინი უნდა იყვნენ ქრისტიანული რწმენის, სიყვარულისა და სიწმიდის ადამიანები. ანუ მათ უნდა ჰქონდეთ სულიწმიდის გარდამქმნელი ძალის პირადი და მზარდი გამოცდილება, რათა იესო ქრისტეს ხატება კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს მათ ხასიათსა და დამოკიდებულებებში."
>
> - ლოზანის კომიტეტი მსოფლიო ევანგელიზაციისთვის, *უილოუბანკის ანგარიში*

### (1) მოქცეული

მახარებელი უნდა იყოს პიროვნება, რომელიცაა მოქცეული, რადგან

1. მას სჭირდება მოწმობა გასაზიარებლად.
2. მას არ შეუძლია გაიგოს მოქცევა მისი განცდის გარეშე.

3. მას უნდა ჰქონდეს ხასიათის ცვლილება, რომელიც ხდება მოქცევისას.

თუ ადამიანი, რომელიც არ არის მოქცეული, ეწევა რელიგიურ საქმიანობას, მას არ ესმის რას აკეთებს და არასწორი მოტივებით მოქმედებს.

**(2) თანმიმდევრულობა ქრისტიანულ ცხოვრებაში**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არასდროს არ უნდა გავუშვათ სახარების გაზიარების შანსი, მახარებლობა ყველაზე ეფექტურია, როდესაც ადამიანი ისმენს სახარებას იმ ადამიანისგან, რომელსაც ენდობა. ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად გენდობიან, უნდა იყვნენ ის ადამიანები, ვინც ყველაზე კარგად გიცნობენ. მახარებელმა უნდა აჩვენოს ღვთისადმი თანმიმდევრულ მორჩილებაში მიძღვნილი ცხოვრება.

**(3) ეკლესიასთან დაკავშირებული**

მახარებელი უნდა იყოს ეკლესიის ერთგული წევრი, რადგან

1. მას უნდა შეეძლოს ხალხის მოწვევა რწმენის ოჯახში.
2. მას ეკლესიის დახმარება სჭირდება მოქცეულთა დამოწაფებაში.
3. მას სულიერი პასუხისმგებლობა სჭირდება.
4. მას სჭირდება ეკლესიის მხარდაჭერა და გამხნევება.

მას უნდა ჰქონდეს თავისი სულიერი და - ძმების ნდობა. მან პატივი უნდა სცეს ეკლესიის ხელმძღვანელობას და საქმიანობას.

თუ ის ფიქრობს, რომ შეუძლია იყოს ქრისტიანი და შეასრულოს თავისი მსახურება ეკლესიის გარეშე, მას არ ესმის ეკლესია და არ ესმის სახარების მოწვევა.

**(4) ჭეშმარიტების ერთგული**

მახარებელს უნდა სწამდეს, რომ ღვთის სიტყვა არის ჭეშმარიტების საგანძური, რომელიც უნდა გააზიაროს. ბიბლია გვაწვდის ხსნისა და ღმერთთან ურთიერთობის პირობებს. ჩვენ ვერასოდეს შევცვლით სიმართლეს, რათა ჩვენი გზავნილი უფრო მისაღები გავხადოთ (1 კოლასელთა 4:1-2).

ბიბლიის წყალობით ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანი საბოლოოდ წავა სამარადისოდ ან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. ამ რწმენით ხელმძღვანელობს მახარებელი.

**(5) სულით სავსე**

სულიწმიდა აძლევს ძალას სახარების გზავნილს. ის ამხელს ცოდვას, იძლევა სულიერ სურვილებს და აძლევს ცოდვილს რწმენით რეაგირების საშუალებას.

მახარებელი ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას სულიწმიდა იყენებს. ამიტომ, ის თავმდაბლად უნდა იყოს დამოკიდებული ღმერთზე. ის მლოცველი უნდა იყოს. მან უნდა ითხოვოს, რომ ღვთისგან იყოს მომართული.

მახარებელი უნდა ეძიებდეს სულით აღვსებას. ეს ის სულით ავსებაა, რომელიც წმენდს გულს და იძლევა ძალას მსახურებისთვის. იესომ უთხრა მოციქულებს, რომ დალოდებოდნენ სულის ამ მოქმედებას (საქმეების 1:4-5). მოციქულებმა განიცადეს სულით აღვსება სუთმოფენობისას (საქმეების 1:8, 2:4, 15:8-9).

ასევე არის შემთხვევები, როდესაც ღმერთი იძლევა სულის განსაკუთრებულ ცხებულებას, რათა მახარებელს შეეძლოს წინ აღუდგეს კონკრეტულ გამოწვევას (საქმეების 13:9-12).

## დავალებები

1. დაწერეთ რამდენიმე აბზაცი, სადაც აღწერთ, თუ როგორ იყავით პირადად ჩართული მახარებლობასა და მოწაფეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში. რა მიზნები გაქვთ მომავლისთვის? რისი მიღება გსურთ ამ კურსიდან?

2. რა კეთდება თქვენი რეგიონის ეკლესიების მიერ სახარების გავრცელებისთვის? დააკვირდით და დასვით კითხვები, შემდეგ დაწერეთ 2-3 გვერდიანი აღწერა.

# გაკვეთილი 2
# რწმენაში მოქცევის თეოლოგია

## შესავალი

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: წმიდა წერილის ამ გაკვეთილზე განხილული მონაკვეთების გარდა, არსებობს წმიდა წერილის მრავალი მითითება, რომელიც მოცემულია სქოლიოებში. კლასს შეიძლება დრო არ ეყოს გაკვეთილის განმავლობაში ყველა მათგანის მოსაძებნად და წასაკითხად. კლასის ლიდერს შეუძლია წასაკითხად ამოირჩიოს რამდენიმე.*

ტერმინი გარდაქმნა ეხება ცვლილებას, რომელიც ხდება ადამიანის გადარჩენის დროს. მახარებლობის მიზანია ცოდვილი მიიყვანოს გარდაქმნის გამოცდილებამდე.

► წაიკითხეთ 1 თესალონიკელთა პირველი თავი. რა ცვლილებები მოხდა თესალონიკელების ცხოვრებაში, როდესაც ისინი მობრუნდნენ?

იმის გასაგებად, თუ რატომ სჭირდება ადამიანს მობრუნება და რა ხდება, როდესაც ადამიანი გარდაიქმნება, უნდა გავიგოთ ცოდვილის მდგომარეობა მობრუნებამდე.

## ადამიანის მდგომარეობა გარდაქმნამდე

► როგორ აღწერდით ადამიანის მდგომარეობას გადარჩენამდე (დახსნამდე)?

ადამის ცოდვის გამო ყოველი ადამიანი დაშორებულია ღმერთს, როდესაც იბადება (რომაელთა 5:12). ეს ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი საკუთარ თავზეა ორიენტირებული და მიდის თავისი გზით.

### ცოდვილის ოთხი მახასიათებელი

როგორც კი ადამიანი იწყებს არჩევანის გაკეთებას, ის იწყებს ცოდვის ჩადენას. **ყველა ცოდვილი დამნაშავეა მრავალი ცოდვის ჩადენაში** (რომაელთა 3:23).

ცოდვა არის ღვთის რჯულის დარღვევა (1 იოანეს 3:4, იაკობის 2:10-11). რადგან ღმერთი აბსოლუტური სამართლიანობაა, ის არ ამართლებს ცოდვას და ყოველი ადამიანი განიკითხება იმის გამო, რაც ჩაიდინა (2 კორინთელთა 5:10, გამოცხადების 20:12-13). ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერი ადამიანი დამნაშავეა და იმსახურებს სასჯელს. ყველა ცოდვილი უკვე მსჯავრდადებულია (იოანეს 3:18-19).

**ცოდვილი ღმერთის მტერია** (რომაელთა 5:10). ცოდვილს არ შეუძლია ღმერთთან ურთიერთობა, თუ არ მოიხსნება მისი დანაშაული ღვთის წინაშე.

ცოდვილიც ისეთ მდგომარეობაშია, რაც მას ღმერთთან ურთიერთობისთვის შეუფერებელს ხდის, რადგან **ის გარყვნილია თავის სურვილებში** (ეფესელთა 2:3). რადგან ცოდვის მონაა, **ცოდვილი უძლურია შეცვალოს თავისი მდგომარეობა** (რომაელთა 5:20, 7:23).

მაშ, რა ხსნა სჭირდება ცოდვილს? ვინაიდან ცოდვილი დამნაშავეა, ხსნა ნიშნავს პატიებას. რადგან ის ღმერთის მტერია, ხსნა ნიშნავს შერიგებას. რადგან ის წარყვნილია, ხსნა განწმედას ნიშნავს. რადგან ის უძლურია, ხსნა ნიშნავს გათავისუფლებას. ეს მხოლოდ ხსნის რამდენიმე ასპექტია, რომელიც ცოდვილს სჭირდება.

მობრუნების მომენტში ცოდვილს ეპატიება, ის ურიგდება ღმერთს, განიწმიდება და თავისუფლდება ცოდვის ძალაუფლებისგან. პავლემ აღწერა კორინთელი მორწმუნეების წინა ცოდვილი მდგომარეობა, რომელიც მოიცავდა ზევრ საშინელ ცოდვას. შემდეგ მან თქვა: „მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდა გახდით, მაგრამ გამართლდით..” (1 კორინთელთა 6:11).

## ჯვრის აუცილებლობა

ვერავინ გადაიხდის საზღაურს საკუთარი ცოდვისთვის. ცოდვისთვის, რომელიც უსასრულო ღმერთის წინააღმდეგაა ჩადენილი. კაცობრიობას არაფერი გააჩნია უსასრულოდ ღირებული, რომ გადაიხადოს.

ადამიანს არაფრის გაკეთება შეეძლო თავის ამ საჭიროების გადაწყვეტისთვის; შესაბამისად, კაცობრიობის მიმართ ვერ დადგებოდა ვერანაირი მოთხოვნა, რომელსაც შეეძლებოდა გადარჩენის მოტანა (გალატელთა 3:21). ადამიანს რომ შეძლებოდა საკუთარი გადარჩენის მიღწევა, იესოსთვის აღარ იქნებოდა საჭირო ჯვარზე სიკვდილი (გალატელთა 2:21).

► თუ ღმერთს სურდა პატიება, რატომ უბრალოდ არ აპატია, ჯვრის გარეშე?

რადგან ღმერთი წმიდაა, მან უნდა განსაჯოს ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მიხედვით (რომაელთა 2:5-6).

წარმოიდგინეთ, ქრისტეს მსხვერპლი რომ არ მომხდარიყო. რა მოხდება, ღმერთს უბრალოდ რომ ეპატია ცოდვები გამოსყიდვის გარეშე?

თუ ღმერთი აპატიებდა ცოდვას გამოსყიდვის გარეშე, გამოვიდოდა, რომ ცოდვა რაღაც უმნიშვნელოა. გამოვიდოდა, რომ ღმერთი უსამართლოა და უწმინდურიც კი. გამოჩნდებოდა ისე, რომ ღმერთის თვალში არ არის განსხვავება სწორად მოქმედ ადამიანსა და არასწორად მოქმედს შორის.

თუ პატიება გამოსყიდვის გარეშე მოხდებოდა, შეუძლებელი იქნებოდა ღმერთის თაყვანისცემა, როგორც წმიდა და სამართლიანი ღმერთის მიმართ, როგორიც ის არის.

გამოსყიდვის გარეშე პატიება საბოლოო ჯამში შეურაცხყოფდა ღმერთს, მისი განდიდების ნაცვლად.

მაგრამ ღმერთი მოსიყვარულეა და სურს პატიება. მას არ სურდა დაეტოვებინა მთელი კაცობრიობა ცოდვილ მდგომარეობაში, რათა სამუდამოდ დაკარგულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას იმსახურებდნენ.

ჯვარზე იესოს მსხვერპლმა უზრუნველყო ის უსასრულოდ ფასეული მსხვერპლი, რაც საჭირო იყო. იესო შესაფერისი იყო იმით, რომ **(1) იყო უცოდველი** (2 კორინთელთა 5:21). (სრულყოფილი და არ სჭირდებოდა ხსნა), და **(2) იმით, რომ იყო ღმერთიც და ადამიანიც.**

გამოსყიდვა იძლევა იმას, რაც საჭიროა, როგორც საფუძველი პატიებისთვის. ახლა ღმერთს შეუძლია აპატიოს ადამიანს, ვინც ინანიებს და სწამს მისი დაპირების. არავის, ვისაც ესმის ჯვარზე გაღებული მსხვერპლი, არ შეუძლია იფიქროს, რომ ცოდვა უმნიშვნელოა ღმერთისთვის.

გამოსყიდვა აძლევს ღმერთს იმის საშუალებას, რომ ცოდვილი, რომელსაც სწამს აღთქმების, ჩათვალოს მართლად და ამასთან მაინც სამართლიანი დარჩეს. რომაელთა 3:20-26 იძლევა ლოგიკურ ახსნას, თუ როგორ მუშაობს გამოსყიდვა.

ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთის მიერ წარმოდგენილი გადარჩენის ხერხი, არის აბსოლუტურად ერთადერთი გზა. თუ ადამიანი უარყოფს მადლით ხსნას, ქრისტეს რწმენის მეშვეობით, ის ვერ გადარჩება (მარკოზის 16:15-16, საქმეების 4:12, ებრაელთა 2:3).

ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოძღვრება ხსნის მხოლოდ მადლით, მხოლოდ რწმენით მიღების შესახებ. ხსნა მხოლოდ მადლითაა, რადგან ვერაფერს გავაკეთებთ მის მოსაპოვებლად ან დასამსახურებლად, ეს მხოლოდ რწმენით ხდება, რადგან ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ მის მისაღწევად. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვირწმუნოთ ღვთის აღთქმული.

## პირველი მადლი

► რა ხდება თავდაპირველად: ადამიანის რეაგირება ღმერთის მიმართ თუ ღმერთის მუშაობა ადამიანში?

ღვთის მადლი აღწევს ცოდვილთა გულში, ამხელს ცოდვების გამო და აღძრავს მასში პატიების სურვილს (ტიტეს 2:11, იოანეს 1:9, რომაელთა 1:20). ცოდვილი უძლურია მიატოვოს თავისი ცოდვილი ცხოვრება ღვთის დახმარების გარეშე (იოანეს 6:44). ღმერთი ცოდვილს აძლევს სახარებაზე რეაგირების უნარს. თუ ადამიანის გადარჩენა არ მოხდა, ეს არა იმიტომ, რომ მას მადლი არ ჰქონდა; ეს იმიტომ, რომ მან არ უპასუხა ღვთის მადლს.

იესო მოკვდა მთელი სამყაროს ცოდვებისთვის და ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს (2 პეტრეს 3:9, 1 იოანეს 2:2, 1 ტიმოთეს 4:10). ღვთის მადლი თითოეულ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, რომ უპასუხოს, მაგრამ ის არავის აიძულებს. ამიტომ ღმერთი მოუწოდებს ცოდვილს, აირჩიოს მონანიება და რწმენა (მარკოზის 1:15).

## მონანიების განსაზღვრება

► რა არის მონანიება?

მონანიება ნიშნავს იმას, რომ ცოდვილი თავს დამნაშავედ და სასჯელის ღირსად თვლის და სურს ცოდვების მიტოვება.

ესაიას წიგნის ეს მუხლი აღწერს მონანიებას:

> მიატოვოს ბოროტეულმა თავისი გზა და უმართლომ - თავისი ზრახვები, დაუბრუნდეს უფალს, ჩვენს ღმერთს და ის შეიწყალებს, - ვინაიდან მრავალმოწყალეა იგი (ესაიას 55:7).

მონანიება არ ნიშნავს იმას, რომ ცოდვილმა უნდა გამოასწოროს თავისი ცხოვრება და წმიდანი გახდეს, სანამ ღმერთი აპატიებს მას. ეს შეუძლებელია, რადგან ადამიანი ცოდვის მონობაშია და ვერ იხსნის საკუთარ თავს; არამედ ცოდვილს უნდა სურდეს, რომ ღმერთმა იხსნას ის მისი ცოდვებისგან.

► ხსნა მიიღება მადლით; და, რატომ არის აუცილებელი მონანიება გადარჩენისთვის?

რწმენა პატიების ერთადერთი მოთხოვნაა, მაგრამ ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენა ყოველთვის აიძულებს ადამიანს ცოდვების მონანიებას. ქრისტესადმი მიბრუნება (რწმენა) და ცოდვისგან თავის დაღწევა (მონანიება) ერთდროულად ხდება, მაგრამ რწმენა ხდის შესაძლებელს ცოდვისგან თავის დაღწევას. ეს მხსნელი რწმენა ღვთის საჩუქარია (ეფესელთა 2:8-9). თუ ადამიანს არ სურს მონანიება, მას არ სურს ცოდვისგან დახსნა.

თუ ადამიანი არ ინანიებს, ის არ აღიარებს ცოდვის ბოროტებას. თუ ის ვერ ხვდება, რატომ უნდა შეწყვიტოს ცოდვის ჩადენა, მაშინ ის ვერ ხედავს, რომ მისი ცოდვა სინამდვილეში ბოროტებაა. თუ ის ვერ ხედავს, რომ მისი ცოდვა ბოროტებაა, მას ნამდვილად არ ესმის, რატომ სჭირდება პატიება.

თუ ადამიანი არ თვლიდა თავს ჭეშმარიტად დამნაშავედ, გამართლების გარეშე და სასჯელის ღირსად, მას არ მოუნანიებია. თუ ის აღიარებს, რომ ცოდვილია, მაგრამ სურს რელიგია, რომელიც საშუალებას მისცემს მას განაგრძოს ცოდვის ჩადენა, მას არ მოუნანიებია, რადგან სურს გააგრძელოს იმის კეთება, რაც მას დამნაშავედ ხდის.

## გადამრჩენი რწმენის განსაზღვრება

► თუ ადამიანს აქვს გადამრჩენი რწმენა, რას ნიშნავს, რომ მას სწამს?

**(1) ის ხედავს, რომ თავის გასამართლებლად ვერაფერს გააკეთებს.**

> მადლით ხართ გადარჩენილნი, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არაა, არამედ ღვთის საჩუქარია. არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს (იქვე.).

ის ხვდება, რომ ვერაფრით, რაც არ უნდა გააკეთოს, ვერ დაიმსახურებს გადარჩენას, თუნდაც ნაწილობრივ.

**(2) მას მიაჩნია, რომ ქრისტეს მსხვერპლი საკმარისია მისი პატიებისთვის.**

> ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნიერების ცოდვების მიმტევებელი (1 იოანეს 2:2).

*მიმტევებელი* ნიშნავს მსხვერპლს, რომელიც შესაძლებელს ხდის ჩვენს პატიებას.

**(3) მას სჯერა, რომ ღმერთი მას მხოლოდ რწმენის პირობით პატიობს.**

> თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისგან (1 იოანეს 1:9).

თუ ის ფიქრობს, რომ არსებობს სხვა პირობები, მას ექნება მოლოდინი, რომ ნაწილობრივ გადარჩება საქმეებით და არა მხოლოდ მადლით.

## მოქცევა

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს საქმეების 26:16-18. რას მოგვითხრობს ეს მუხლები პავლეს მსახურების შესახებ?

პავლეს მსახურებას უნდა მიეყვანა ხალხი მოქცევამდე. მე-18 მუხლი აღწერს მოქცევას. ეს მოიცავს სიბნელიდან სინათლისკენ მობრუნებას და სატანის ძალაუფლებიდან ღმერთისკენ მიქცევას, პატიებისა და განწმედილთა მემკვიდრეობის მიღებას. ეს ხდება ქრისტესადმი რწმენით.

ცოდვილობიდან ქრისტიანად გადაქცევა დიდი ტრანსფორმაციაა. ბიბლია მას ახალ ქმნილებას უწოდებს (2 კორინთელთა 5:17). ძველი საქმეები დასრულდა და ახლა ყველაფერი ახალია.

მოქცეული ადამიანი ტოვებს კერპებს და ნებისმიერ რელიგიურ პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთის სრულ ერთგულებას (1 თესალონიკელთა 1:9).

ცვლილება ჩვეულებრივ აოცებს სხვებს (1 პეტრეს 4:3-4). მათ არ ესმით, რატომ შეიცვალა ადამიანი ასე ძალიან. პიროვნების უახლოესმა მეგობრებმა და ახლობლებმა მასზე შეიძლება დევნა განახორციელონ (მათეს 10:34-36).

მოქცეული ადამიანი აღარ იზიარებს ქვეყნიერების სურვილებსა და პრიორიტეტებს. ეს კონტრასტი არის ერთ-ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ის მოექცა (1 იოანეს 2:15). მოქცეულ ადამიანს უყვარს სხვა მორწმუნეები და სურს მათთან ურთიერთობა (1 იოანეს 3:14).

ადამიანის სურვილები იცვლება, როდესაც ის მოექცევა. მას კვლავ ექნება ცდუნება, მაგრამ მას შეუძლია გაუძლოს ცოდვის ცდუნებას, რადგან მას აღარ აკონტროლებს ცოდვილი სურვილები. მას აქვს ღვთის სიტყვის შეცნობის სურვილი, რადგან მან განიცადა ღვთის მადლი (1 პეტრეს 2:2-3).

მოქცეულ ადამიანს უყვარს ღმერთი და სურს აამოს მას. ის არ თვლის ღვთის მცნებებს მძიმედ და უსიამოვნოდ (1 იოანეს 5:2-4).

მოქცეული ადამიანი ინარჩუნებს პირად ურთიერთობას ღმერთთან, რომელიც გამოიხატება განსაკუთრებით ლოცვაში (1 კორინთელთა 1:2).

► თქვენივე სიტყვებით, მოყევით გარდაქმნის შესახებ, რომელიც ხდება მას შემდეგ როდესაც ადამიანი მოექცევა.

> „უმწიკვლო პასტორი არ დაკმაყოფილდება „გადაწყვეტილებებით", არამედ მორწმუნეებით, რომლებიც გულწრფელად აგრძელებენ ურთიერთობას ქრისტესთან; მორწმუნეები, რომლებსაც სწყურიათ ღვთის სიტყვის მიღება, დადიან ქრისტიანული სიყვარულით, რომლებიც გამუდმებით იზიარებენ ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომას რწმენით და ვინც განუწყვეტლივ ლოცულობენ."
>
> - ტიმოთე კიპი,
> „ბიბლიური მახარებლობისა
> და მოქცევის ერთიანობა"

### ხელახლა შობილის მახასიათებლები

ბიბლია ამბობს, რომ როდესაც ადამიანი ხელახლა იბადება, ყველაფერი ახალი ხდება. სიახლეები მოიცავს შემდეგს:

- ახალი ბუნება - ღვთაებრივი ბუნება (2 პეტრეს 1:4).
- ახალი მოძღვარი - ქრისტე სულიწმიდის მეშვეობით (მათეს 23:10, რომაელთა 8:14).
- ახალი წყურვილი ღვთის სიტყვისადმი (1 პეტრეს 2:2).
- სიყვარულისადმი ახალი დამოკიდებულება (რომაელთა 5:5, 1 იოანეს 4:7-8).
- ახალი ურთიერთობა ღმერთთან, როგორც ვაჟის ან ქალიშვილის (იოანეს 1:12).
- ახალი შემწე სულიწმიდაში (იოანეს 14:16, რომაელთა 8:26-27).
- ახალი შუამდგომელი იესო ქრისტეში, თუ ცოდვაში ჩავარდებით (1 იოანეს 2:1).

- მარადიული სიცოცხლის ახალი და ცოცხალი იმედი (რომაელთა 8:12, 1 იოანეს 3:2).

## პირადი დარწმუნება გადარჩენაში

► რა არასწორმა მიზეზებმა შეიძლება აიძულოს ადამიანი იფიქროს, რომ ის ქრისტიანია?

ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ის ქრისტიანია, რადგან

- ის მოინათლა.
- ის ეკლესიის წევრია.
- მას სწამს გარკვეული ქრისტიანული მოძღვრებების.
- ის გარკვეულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს იცავს.
- ის მიჰყვება სწორად მოქცევის სტანდარტს.
- მას სულიერი გამოცდილება ჰქონდა.
- მან მიიღო გადაწყვეტილება და რწმენის აღიარება.

ბიბლიის თანახმად, არცერთი მათგანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი დარწმუნდეს, რომ ის ქრისტიანია.

ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვიცოდეთ, რომ გადარჩენილნი ვართ. შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ ღმერთმა მიგვიღო. ჩვენ არ უნდა ვიცხოვროთ შიშში, რადგან ღვთის სული გვარწმუნებს, რომ ღვთის შვილები ვართ (რომაელთა 8:15-16).

ეს დარწმუნება იმდენად სრულია, რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს განკითხვის დღის (1 იოანეს 4:17). ზოგი ადამიანი ამბობს, რომ იმედოვნებს, რომ მას მიიღებენ ზეცაში, მაგრამ ჩვენ ამაში უკეთ შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები. არ არის საკმარისი იმის რწმენა, რომ ხსნა მოცემულია ზოგადად კაცობრიობისთვის; ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ თავად არის გადარჩენილი.

► როგორ უნდა იცოდეს ადამიანმა დარწმუნებით, რომ გადარჩენილია?

ზოგიერთი ადამიანი თავის გრძნობებზეა დამოკიდებული, მაგრამ გრძნობები ცვალებადია და შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.

შეცვლილი ცხოვრება მოწმობს იმას, რომ ადამიანი გადარჩენილია, მაგრამ თავიდან ეს მტკიცებულებები არ არსებობს. გადარჩენის შედეგების გამოსავლენად საკმარისი დრო არ არის გასული. ამიტომ, შეცვლილი ცხოვრება არ არის დარწმუნების საფუძველი.

მორწმუნე შეიძლება დარწმუნებული იყოს თავის გადარჩენაში, თუ იცის, რომ ის მიჰყვა ხსნის ბიბლიურ გზას. თუ ადამიანი გულწრფელად ინანიებს და სწამს, როგორც ამას ბიბლია

გვასწავლის, მას უფლება აქვს დარწმუნებული იყოს, რომ ღმერთმა აპატია მას, როდესაც ადამიანი ინანიებს და ირწმუნებს, ამ დროს ღმერთი მოწმობს თავისი სულით, რომ ის გახდა ღვთის შვილი.

თუ ადამიანი ცდილობს შეიგრძნოს, რომ გადარჩენილია მაშინ, როდესაც სინამდვილეში არ მოინანია, დაიბნევა და შესაძლოა თავი მოიტყუოს.

თუ ადამიანი (1) ნამდვილად მოინანიებს, (2) ენდობა ღვთის აღთქმას წმიდა წერილში და (3) მიიღებს სულის მოწმობას, ის არ მოტყუვდება. ეს დარწმუნება ეფუძნება ღვთის სიტყვას, რომელიც აბსოლუტურად სანდოა. ღმერთი ყოველთვის ასრულებს თავის დანაპირებს.

## 10 სიტყვა ხსნის ასპექტებისთვის

**შერიგება**: ეს სიტყვა ნიშნავს იმას, რომ ვინც მტრები იყვნენ, ახლა მათ შორის მშვიდობაა. ხსნაში ჩვენ მშვიდობას ვამყარებთ ღმერთთან (2 კორინთელთა 5:19, რომაელთა 5:1)[1]

**გამოსწორება**: ეს სიტყვა ნიშნავს, რომ ჩანაწერი გასუფთავებულია. ხსნაში ჩვენი ცოდვების ჩანაწერი წაიშალა (ებრაელთა 8:12).

**შეწყალება**: ეს სიტყვა ეხება ისეთ რამეს, რაც მოცემულია სხვისი ბრაზის ასაცილებლად. ხსნაში იესოს მსხვერპლი აცილებს ღვთის რისხვას, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყო (1 იოანეს 2:2).

**გათავისუფლება**: ეს სიტყვა ნიშნავს,იმას რომ ვიღაც იქნა დახსნილი სხვისი ძალაუფლებისგან. ხსნაში ჩვენ გამოყვანილი ვიქენით სატანისა და ცოდვის ძალაუფლებიდან (ლუკას 1:74; რომაელთა 6:6, 12-18).

**გამოსყიდვა**: ეს სიტყვა ნიშნავს, რომ ფასი გადაიხადეს, რათა ვიღაც თავისუფალი იყოს. ხსნაში, იესოს სიკვდილი არის ფასი, რომელიც იქნა გადახდილი, რათა გავთავისუფლდეთ ცოდვის მონობისა და სასჯელისაგან (ეფესელთა 1:7, ტიტეს 2:14).

**გამართლება**: ეს სიტყვა ნიშნავს, რომ ვინმე გამოცხადებულია მართლად ან უდანაშაულოდ. ხსნაში დამნაშავე ცოდვილი, მართლად ითვლება, რადგან მის ნაცვლად იესო ეტანჯა (2 კორინთელთა 5:19, რომაელთა 5:1 (ამ მუხლებში საუბარია გამართლებაზეც და შერიგებაზეც.)).

**განწმედა**: ეს სიტყვა ნიშნავს ვინმეს განწმედას. ცოდვილი, ხსნაში ხდება ღვთის წმიდა შვილი. ბევრი ეპისტოლე მორწმუნეებს მოიხსენიებს, როგორც „წმიდებს." (ეფესელთა 1:1, კოლასელთა 1:1, ფილიპელთა 1:1).).

[1] ამ მუხლებში საუბარია გამართლებაზეც და შერიგებაზეც.

**შვილება**: ეს სიტყვა ნიშნავს, რომ ვიღაც ხდება ვინმეს კანონიერი შვილი. ხსნაში ჩვენ ვხდებით ღვთის შვილები (იოანეს 1:12, რომაელთა 8:15).

**გარდაქმნა/ხელახლა შობა**: ეს სიტყვა ნიშნავს, რომ ვიღაც იწყებს ცხოვრებას თავიდან. ხსნაში მორწმუნე იწყებს ახალ ცხოვრებას (ეფესელთა 2:1, იოანეს 7:38-39, გალატელთა 4:29, იოანეს 3:5).

**ბეჭდის დასმა**: ეს სიტყვა ნიშნავს, რომ რაღაც მონიშნულია იმის საჩვენებლად, თუ ვის ეკუთვნის ის. ხსნაში, ჩვენში მყოფი სულიწმიდა გვაიდენტიფიცირებს, როგორც იმას, ვინც ეკუთვნის ღმერთს (ეფესელთა 1:13).

## შეცდომის თავიდან ასაცილებლად: რელიგია მონანიების გარეშე

არსებობს ადამიანების ტიპი, რომელიც ადვილად თვლის, რომ გადარჩენილია, როდესაც გაიგებს, რომ ხსნა მადლით მოდის რწმენის მეშვეობით. მას გულწრფელად არ მოუნანიებია, რადგან ვერ დაინახა, რომ ამის საჭიროება ჰქონდა. ის არასოდეს თვლიდა თავს ცოდვილად, რომელიც იმსახურებდა ღვთის სამსჯავროს. მას ჰგონია, რომ მადლი ნიშნავს, რომ მას შეუძლია თავისი გზით იაროს. იმის გამო, რომ ის იღებს ქრისტიანობის ჭეშმარიტებას, ფიქრობს, რომ ის ქრისტიანია, თუმცა მას არ განუცდია განახლება. მას არასოდეს უარყვია საკუთარი ნება; ამის ნაცვლად, მან მიიღო ღმერთი მისი ცხოვრების ნაწილად და დღემდე ცხოვრობს ძირითადად საკუთარი ნების მიხედვით. ბიბლიური აღწერის მიხედვით, ეს არ არის ღმერთთან გადარჩენის მომტანი ურთიერთობის დასაწყისი.

## დავალებები

1. ამ გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლეთ 10 სიტყვა ხსნის ასპექტებისთვის. რამდენიმე აბზაცში ახსენით, რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ღმერთთან თქვენს ურთიერთობაში. არის აქ ისეთი საკითხები, რომლებზეც მეტად უნდა დაფიქრდეთ?

2. თქვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით თქვენს რეგიონში დანახული ქრისტიანობის ფორმებიდან გამომდინარე, ხალხის აზრით, რას ნიშნავს იყო ქრისტიანი? 2-3 გვერდზე აღწერეთ რამდენიმე სახის ადამიანი და ის, თუ რას იტყვოდნენ ისინი ქრისტიანის შესახებ. განმარტეთ, რა არის არასწორი მათ კონცეფციაში მონანიების, გადამრჩენი რწმენის ან სხვა მოძღვრების შესახებ.

# გაკვეთილი 3
# მახარებლობის აქტუალობა

## შესავალი

► შეიძლება ადამიანი გადარჩეს სახარების მოსმენის გარეშე? აუცილებელია მახარებლობა?

წმიდა წერილში ვხვდებით მათ მაგალითებს, ვისთანაც ღვთის მადლმა მიაღწია, ისრაელთან და ეკლესიასთან კონტაქტის გარეშე. იობი პატიოსანი და ბოროტებას განრიდებული იყო, ჯერ კიდევ მოსეს დაბადებამდე და სანამ წმიდა წერილი დაიწერებოდა. ბალაამი ღმერთთან ურთიერთობაში იყო და ცნობილი იყო, როგორც ნათელმხილველი, რომელიც იღებდა ღვთისგან გამოცხადებებს ტრანსში შესვლის გარეშე. აბიმელექი იმაზე სამართლიანად მოიქცა, ვიდრე აბრაამი, მას შემდეგ, რაც აბრაამმა იფიქრა: „რა თქმა უნდა, ღვთის შიში აქ არ ექნებათ." რომაელთა 1:21-32 აღწერს წარმართებს, რომლებიც გარყვნილ მდგომარეობაში იყვნენ; ეს იმიტომ კი არ იყო, რომ მათ არასოდეს ცოდნიათ ღმერთის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ უარყვეს ის, რაც იცოდნენ.[2]

„საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ" (ფსალმუნის 24:14). აღთქმა არის ღმერთის ადამიანთან ურთიერთობის პირობა, რომელიც მოითხოვს მადლის მინიჭებას, რადგან ყველამ შესცოდა. თუ ადამიანი სრულად სცემს თაყვანს ღმერთს, ღმერთი უჩვენებს გზას მასთან ურთიერთობის დასამყარებლად.

ბიბლია ამბობს, არ არსებობს ხსნა სხვა სახელში, იესოს გარდა (საქმეების 4:12). თუმცა, ძველ აღთქმაში გადარჩენილმა ადამიანებმა არ იცოდნენ იესოს სახელი. მათ ირწმუნეს ღმერთის აღთქმა გამოსყიდვისა და პატიების შესახებ და მან ეს უზრუნველყო იესოს მეშვეობით. ანალოგიურად, ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ სმენიათ იესოს სახელი, შეუძლიათ ენდონ ღმერთის მიერ ხსნას, რომელსაც ის უზრუნველყოფს იესოს მეშვეობით.

მაშ, რას ნიშნავს, რომ ხსნა სხვა არც ერთ სახელში არ არის? ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ხსნის ალტერნატიული საშუალება. ადამიანს არ შეუძლია გადარჩენა გამოსყიდვის სხვა გეგმით. ეს ასევე ნიშნავს, რომ ადამიანმა, რომელმაც იცის იესოს შესახებ, არ უნდა უარყოს ის, რადგან მისი უარყოფა ნიშნავს ხსნაზე უარის თქმას ან გადარჩენის სხვა საშუალების ძიებას.

იესომ თქვა: „ვინც შეასრულებს მის ნებას, შეიცნობს მოძღვრებას." ეს არის დაპირება, რომ თუ ადამიანი გულწრფელად ეძებს ღმერთს, ღმერთი ეტყვის მას, რაც უნდა იცოდეს. „იყო

---

[2] იხილეთ აგრეთვე მე -18 ფსალმუნი და რომაელთა 10:18.

სინათლე ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს ქვეყნიერებაზე მომსვლელ ყოველ ადამიანს” (იოანეს 1:9). სულიწმიდას მოაქვს იესოს სინათლე მათთვისაც კი, ვისაც არ სმენია მის შესახებ.

ბევრმა ადამიანმა მიიღო ხილვები ან სხვა განსაკუთრებული გამოცხადება, რამაც ისინი ღმერთთან მიიყვანა მანამდე, სანამ ისინი მოისმენდნენ სახარებას წარგზავნილი ადამიანებისგან. მაგალითად, თანამედროვე დროში ბევრი მუსლიმი მოექცა, ღვთისგან გზავნილის მიღების შემდეგ.

► გსმენიათ ვინმეს შესახებ, ვინც მიიღო ღვთისგან განსაკუთრებული გზავნილი, სახარების გააზრებამდე?

ასე რომ, ჩვენ ვხედავთ, რომ შესაძლებელია ადამიანმა იპოვოს ღმერთი და გადარჩეს კიდეც, წარგზავნილ ადამიანთა მხრიდან სახარების მოსმენის გარეშე. მიუხედავად ამისა, ბიბლია აღწერს სახარებას, როგორც გზავნილს, რომლის მოსმენაც სასწრაფოდ ესაჭიროება ყველას.

რომაელთა მიმართ მიწერილი წერილი აღწერს სახარების გადაუდებლობას. მოციქულმა თქვა, რომ სახარება არის, „ღმერთის ძალაა იგი, ყოველი მორწმუნის გადასარჩენად” (რომაელთა 1:16). მან თქვა, რომ ვალდებულია ყველას წინაშე, რომ სახარება მიუტანოს (რომაელთა 1:14). ის ამტკიცებს ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ გამართლებულები ვართ ღმერთის წინაშე მხოლოდ იმით, რომ გვწამს მისი აღთქმის, პატიების შესახებ (რომაელთა 3:26, რომაელთა 5:1).

> „ჩრდილოეთით მდებარე უზარმაზარ დაბლობზე ხანდახან დილის მზეზე ვხედავდი ათასი სოფლის კვამლს, სადაც არასოდეს ყოფილა არც ერთი მისიონერი - სოფლები, რომელთა მკვიდრნი დარჩნენ ქრისტეს, ღმერთის და სამყაროში იმედის გარეშე.”
>
> - რობერტ მოფატი

შემდეგ ჩნდება გადაუდებლობის გრძნობა. მან თქვა: „როგორ ირწმუნონ, ვის შესახებაც არ სმენიათ? როგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე?” (რომაელთა 10:14). მან თქვა: „რწმენა - მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა - ქრისტეს სიტყვისაგან” (რომაელთა 10:17). ღმერთი იყენებს სახარებას, მსმენელებში გადამრჩენი რწმენის შესაქმნელად. სახარების ქადაგება არის ღვთის ჩვეულებრივი მეთოდი ცოდვილთა გადასარჩენად.

თუ მათი ხსნა შესაძლებელია წარგზავნილი ადამიანის გარეშე, რატომ არის ეს წარგზავნილი ასე მნიშვნელოვანი?

### რატომ არის საჭირო მისიონერები? (ნაწილი 1)

მისიონერმა სტივ ჰიტმა ამ კითხვაზე (რატომაა საჭირო მისიონერები?) ასე უპასუხა:

მარტივი პასუხი არის ის, რომ ადამიანებმა, როდესაც იხილეს სინათლე, უარყვეს იგი. იოანეს 1:9 გვამცნობს, რომ იესო არის „სინათლე ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს ყოველ ადამიანს." მაგრამ იმავე თავში ვკითხულობთ ამ შემზარავ სიტყვებს: „სინათლე ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი;" (იოანეს 1:5). ან, უფრო სწორად ვერ ჩაეჭიდა სინათლეს მის დასასაკუთრებლად. პავლე აცხადებს, რომ ცხადია მათთვის, რაც შეიძლება იცოდნენ ღმერთზე, რადგან ღმერთმა განუცხადა მათ (რომაელთა 1:19-20). და რომ ადამიანებმა „შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი" (რომაელთა 1:21). იოანე ასე აფასებს ვითარებას: „მსჯავრი კი ის არის, რომ სინათლე მოვიდა წუთისოფელში და სინათლეზე მეტად ბნელი შეიყვარეს ადამიანებმა" (იოანეს 3:19). ადამიანის გარყვნილ გულს სიბნელე ურჩევნია. მათი მატყუარობისა და სასოწარკვეთილი უზნეობის გამო, ცოდვილი გული ღმერთს შორდება.

ამიტომ, მისიონერებმა კვლავ უნდა აიღონ სინათლე! მეორე შანსის მომნიჭებელი ღმერთი აგზავნის თავის ელჩებს სახარების ცეცხლოვანი ჩირაღდნით, „წყვდიადიდან სინათლისკენ მოსაქცევად" (საქმეების 26:18).

როდესაც იესომ გაგზავნა მოწაფეები სახარების საქადაგებლად, მან თქვა, რომ თუ ქალაქი არ მიიღებდა მათ ცნობას, ქალაქიდან გასვლისას, ფეხიდან მტვერი უნდა ჩამოებერტყათ. მან თქვა, რომ მტვერი იქნებოდა მოწმობა მათ წინააღმდეგ სამსჯავროს დღეს. მტვერი მათი ფეხსაცმლიდან იქნებოდა იმის დასტური, რომ სახარების მაცნე მათ ქალაქში იმყოფებოდა. ისინი, ვინც უარყოფენ სახარებას, უფრო უარეს სამსჯავროს მიიღებენ, ვიდრე ისინი, ვისაც არასოდეს მოუსმენიათ ის. იესომ თქვა, რომ ისინი უფრო მკაცრად განიკითხებოდნენ, ვიდრე სოდომელები. ეს იმას გვეუბნება, რომ სახარებას დიდი უპირატესობა მოაქვს მათთვის, ვინც მას ისმენს (მარკოზის 6:11).

## რატომ არის საჭირო მისიონერები? (ნაწილი 2)

პასტორმა ერიკ ჰიმელიკმა უპასუხა კითხვას, რატომ არის საჭირო მისიონერები? ამ განმარტებით:

ჩვენ ვგზავნით მისიონერებს, რადგან სახარების უწყება ყველაზე საუკეთესოდ, ურთიერთობების საშუალებით ვრცელდება. სახარებისეული ჭეშმარიტება არ არის უპიროვნო ფაქტების ერთობლიობა ღმერთის ან რელიგიური მრწამსის შესახებ, რომელიც შესამოწმებელია; იგი განსახიერებულია იესო ქრისტეს პიროვნებაში. მისიონერები ქრისტეს, მისი გზავნილისა და შერიგების მსახურების ელჩები არიან (2 კორინთელთა 5:20).

მისიონერები საჭიროა, რადგან სახარების ცნობის პირდაპირი, ახლობლური გადმოცემის გარეშე, ადამიანების უმეტესობა დაიკარგება. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ადამიანები იკარგებიან ჩვენი უმოქმედობის გამო, მაგრამ რომაელთა 10:13-15 ნათლად ამბობს: „როგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე?" სამწუხარო სიმართლე ის არის, რომ ისინი ვერ მოისმენენ. მისიონერების გაგზავნა და მხარდაჭერა აუცილებელია. იმის იმედი, რომ ღმერთი შეასრულებს ჩვენს ნაცვლად იმ საქმეს, რომლისკენაც მან ჩვენ მოგვიწოდა, გამოსავალი არ არის. ღმერთმა მოგვცა დიდი დავალება; და ვისაც ბევრი ეძლევა, ბევრი მოეთხოვება. ჩვენ ვაგზავნით მისიონერებს ღვთის მადლის საპასუხოდ და რწმენით, რომ ღმერთი მუშაობს თავის სამყაროში და მიიზიდავს ხალხს თავის დიდ გულთან.

## სახარების პრაქტიკული სარგებელი

სახარება არის ეფექტური საშუალება, რომელიც ღმერთმა შექმნა დაკარგულთა გადასარჩენად. ის არის „ღვთის ძალა გადასარჩენად." კიდევ ერთხელ განვიხილოთ ეს კითხვა: თუ ადამიანი შეიძლება გადარჩეს სახარების მოსმენის გარეშე, რატომ უნდა გავგზავნოთ მისიონერები? განვიხილოთ მსგავსი კითხვები. თუ ჩემი ლოცვის გარეშე შეიძლება ადამიანის გადარჩენა, რატომ უნდა ვილოცო მისთვის? თუ ადამიანი შეიძლება გადარჩეს სახარების ერთზე მეტჯერ მოსმენის გარეშე, რატომ უნდა ვაცნობოთ მას კიდევ ერთხელ? თუ ეკლესიის გარეშე შეიძლება ადამიანის გადარჩენა, რატომ უნდა გვქონდეს ეკლესიები? აშკარა პასუხია: „დიახ, მისი გადარჩენა შესაძლებელია, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებად სავარაუდოა." ეს ის საშუალებებია, რომლებიც ღმერთმა ადამიანების გადასარჩენად შექმნა.

> 2011 წლიდან მსოფლიოს მოსახლეობამ შვიდ მილიარდს გადააჭარბა. ყოველდღიურად 153 000-ზე მეტი ადამიანი კვდება, მაგრამ მსოფლიოს მოსახლეობა მაინც იზრდება 220 000-ით ყოველდღე. ყოველ წუთში 100-ზე მეტი ადამიანი კვდება. 1000-ზე მეტი მოკვდა მას შემდეგ, რაც თქვენ დაიწყეთ ამ გაკვეთილის კითხვა. რამდენმა მათგანმა მოისმინა სახარება სიკვდილამდე?

ღვთის სიტყვა არის ინსტრუმენტი, რომელსაც სულიწმიდა იყენებს ცოდვილების ღმერთთან მოსაყვანად. ბიბლია კი ამბობს, რომ ადამიანები ხელახლა იშვებან ღვთის სიტყვით (1 პეტრეს 1:23, 25).

მისიონერები თითქმის ვერავის პოულობენ, ვინც გადარჩა სახარების მოსმენის გარეშე. ის ფაქტი, რომ ღმერთი გადაარჩენს გულწრფელ ადამიანს სახარების გარეშე, ცხადყოფს მის სამართლიანობას, მაგრამ არ ამართლებს ჩვენს უგულებელყოფას ჩვეულებრივი საშუალებების მიმართ, რომლებიც მან შექმნა. ზოგადად, ვინც არ ისმენს სახარებას, დაიკარგება. „ვაი მე, თუ არ ვახარებ" (1 კორინთელთა 9:16).

► წაიკითხეთ მათეს 9:35—38.

იესოს დიდი თანაგრძნობა ჰქონდა ხალხის საჭიროებების მიმართ. ის ქადაგებდა და კურნავდა.

იესო უფრო მეტად ზრუნავდა ადამიანების სულიერ საჭიროებებზე. მას სურდა, რომ ისინი გადარჩენილიყვნენ და შეეცნოთ ღმერთი. ამ მონაკვეთში ვკითხულობთ, რომ იესო უყურებდა ხალხის ბრბოს და გრძნობდა ძლიერ თანაგრძნობას მათდამი, მათი სულიერი საჭიროებების გამო. მან დაინახა, რომ ისინი მწყემსის გარეშე დარჩენილი ცხვრებივით იყვნენ. მან ასევე შეადარა მსახურება მოსავლის აღების სამუშაოებს და გული ტკიოდა, რომ ცოტა მუშა იყო.

იესომ თავის მოწაფეებს ლოცვა სთხოვა. მან უთხრა მათ, ელოცათ, რომ ღმერთმა მუშები გამოგზავნოს სამკალში.

► რატომ უთხრა იესომ მოწაფეებს, რომ ამაზე ელოცათ? რა თქმა უნდა, ღმერთს სურს ამის გაკეთება, ჩვენ ამაზე ვილოცებთ თუ არა, ხომ ასეა?

როდესაც ჩვენ ვლოცულობთ, რომ ღმერთმა გამოგზავნოს მუშაკები, ჩვენ ვლოცულობთ ღვთის ნების შესაბამისად. ამის გამო ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი უპასუხებს ჩვენს ლოცვას.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მორწმუნეებმა უნდა ილოცონ ამაზე. იესოს სურდა, რომ მის მოწაფეებს გაეზიარებინათ მისი თანაგრძნობა და მონაწილეობა მიეღოთ სახარების გავრცელების საქმეში. თუ ისინი ხშირად ილოცებდნენ ამ ლოცვას, დაიწყებდნენ ძლიერ ზრუნვას მკაზე. მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ სამუშაოში და დაარწმუნონ სხვებიც.

ჩვენ უნდა გვინდოდეს ვიზრუნოთ იმავეზე, რაზეც იესო ზრუნავდა. ჩვენ უნდა ვილოცოთ იგივე ლოცვით, რაც იესომ მოწაფეებს მისცა, რათა მას იგივე შედეგი ჰქონდეს ჩვენზე.

**მისიონერული ამბავი**

მისიონერთა ჯგუფი წავიდა საქადაგებლად ციხეში. ათასობით პატიმარი იყო და მათი უმეტესობა მკვლელები და ტერორისტები იყვნენ. მისიონერები ქადაგებდნენ ბაქნიდან, რომელიც ღია ცის ქვეშ იყო განთავსებული. ბაქნის ირგვლივ შეიარაღებული ბადრაგები იყვნენ განთავსებულები მათ დასაცავად. სახარების ქადაგების დასასრულს, მქადაგებელმა იკითხა, თუ სურდა რომელიმე პატიმარს წინ გამოსვლა, ახალი აღთქმის მისაღებად. ოცდაათი კაცი გამოვიდა წინ.

რამდენიმე კვირის შემდეგ მისიონერები კვლავ მივიდნენ ციხეში. მსახურების დაწყებამდე, ზედამხედველმა უთხრა მათ, რომ ოცდაათივე კაცი, ვინც ახალი აღთქმა აიღო, სხვა

პატიმრებმა მოკლეს. მისიონერებმა კვლავ იქადაგეს სახარება და დასასრულს კვლავ შესთავაზეს ახალი აღთქმის მიცემა ყველას, ვინც წინ გამოვიდოდა. სამასი კაცი გამოვიდა წინ. მათ იცოდნენ, რომ ოცდაათი კაცი მოკვდა სახარების მიღების გამო, მაგრამ რადგან სახარება მათთვის ღირებული იყო, მზად იყვნენ თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ. მათ გააცნობიერეს იმ გზავნილის მნიშვნელობა, რაც მოისმინეს.

## დავალებები

1. დაწერეთ რამდენიმე წინადადება ამ ორ კითხვაზე პასუხის გასაცემად. არის თუ არა გადარჩენის შესაძლებლობა ადამიანისთვის, რომელსაც არასოდეს მოუსმენია სახარება? რატომ უნდა გავგზავნოთ მისიონერები და მახარებლები?

2. წაიკითხეთ იონას წიგნი. ყურადღება მიაქციეთ სახარების მაცნეს უკიდურეს აუცილებლობას. რა აწუხებდა ღმერთს ამ ამბავში? რა აწუხებდა იონას? დაწერეთ 1-2 გვერდი, თქვენი დაკვირვების შესახებ.

# გაკვეთილი 4
# სახარების არსებითი პუნქტები

## შესავალი

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: თითოეულ საკითხზე სთხოვეთ რომელიმე სტუდენტს წაიკითხოს წმიდა წერილის მინიშნებული ადგილი, შემდეგ კი ვინმემ წაიკითხოს ამ საკითხის ახსნა. სთხოვეთ კლასს მოკლედ განიხილონ თითოეული სადისკუსიო საკითხი.*

## სახარების არსებითი პუნქტები

შემდეგი საკითხები ძირითადია სახარებაში. შესაძლებელია, ადამიანი გადარჩეს მათი სრული გაგების გარეშეც. თუმცა, ამ საკითხებიდან ნებისმიერის უარყოფა ძირს უთხრის სახარების საფუძველს. ადამიანი ან ორგანიზაცია, რომელიც უარყოფს რომელიმე ამ საფუძველს, მიდრეკილია განავითაროს სხვა სახარება, ცრუ ხსნის საშუალებებზე მინდობით.

როდესაც ვინმეს უზიარებთ სახარებას, ზოგიერთი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმ შეცდომების გამო, რომლებისაც მას უკვე სჯერა. მაგალითად, თუ მას სჯერა, რომ ხსნა მხოლოდ გარკვეული ორგანიზაციის მეშვეობით ხდება, ის დაიჯერებს, რომ ორგანიზაციის წევრობის მოთხოვნები აუცილებელია გადარჩენისთვის. მან უნდა იცოდეს, რომ ადამიანი ინდივიდუალურად იღებს პატიებას და უშუალო ურთიერთობაში შედის ღმერთთან.

**(1) ღმერთმა შექმნა კაცობრიობა თავის ხატად, რათა ღმერთს შეძლებოდა მასთან ურთიერთობა (დაბადების 1:27, საქმეების 17:24-28).**

ეს ჭეშმარიტება გვიჩვენებს ჩვენი არსებობის დანიშნულებას და ხსნის მიზანს. ამ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება რელიგიები, რომლებსაც არ სწამთ პიროვნების მქონე ღმერთის. ეს ჭეშმარიტება გვიჩვენებს ქვეყნიერების რეალურ პრობლემას; ადამიანები ღმერთთან ურთიერთობაში არ არიან.

► რა უნდა გააკეთოს, თუ ადამიანს არ სჯერა, რომ ღმერთს უყვარს ის?

**(2) პირველმა ადამიანებმა შესცოდეს და დაშორდნენ ღმერთს (დაბადების 3:3-6).**

ეს გვიჩვენებს ცოდვის წარმოშობას და სამყაროს მდგომარეობის რეალურ მიზეზს. სამყარო, ცოდვის გამო, ტანჯვისა და მწუხარების ადგილია. ღვთის განზრახვის გამო ჯერ კიდევ არსებობს სიხარული და მიზანი, მაგრამ სამყარო არ არის ისეთი, როგორიც ღმერთმა დაგეგმა.

► რა ხდება, თუ ადამიანს არ სჯერა, რომ ცოდვაა სამყაროს რეალური პრობლემა?

**(3) თითოეული ჩვენგანი დაიბადა ღმერთთან ურთიერთობის არმქონე, შედეგად ვცოდავთ ღვთის წინაშე (რომაელები 3:10, 23).**

ყოველი ადამიანი არის დამნაშავე ღვთის წინააღმდეგ განზრახ ცოდვაში. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ყოველთვის აკეთებს იმას, რაც სწორია.

► რა ხდება, თუ ადამიანი ფიქრობს, რომ შეუძლია თავი გაიმართლოს იმაში, რაც გააკეთა?

**(4) ყოველი ცოდვილი, რომელიც ვერ ჰპოვებს წყალობას, განიკითხება ღმერთის მიერ და მიეზღვება მარადიული სასჯელი (ებრაელთა 9:27, რომაელთა 14:12, გამოცხადებაის 20:12).**

ეს ცხადყოფს ცოდვილის გადარჩენის მოთხოვნილების სერიოზულობასა და გადაუდებლობას.

► რა ხდება, თუ ადამიანს არ სჯერა, რომ არსებობს მართალი ღმერთი, რომელიც ბრაზდება მის ჩადენილ ცოდვაზე?

**(5) ადამიანს არაფრის გაკეთება არ შეუძლია ღვთის წინაშე ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად (რომაელთა 3:20, ეფესელთა 2:4-9).**

კეთილი საქმეები და ძღვენი ვერ გამოისყიდის ცოდვას, რადგან ცოდვა ჩადენილია უსასრულო ღმერთის წინააღმდეგ და ყველაფერი ისედაც მას ეკუთვნის.

► რა ხდება, თუ ადამიანს მიაჩნია, რომ ის პატიების ღირსი უნდა გახდეს?

**(6) უნდა არსებობდეს პატიების საფუძველი, რადგან ცოდვა სერიოზულია და ღმერთი სამართლიანი (რომაელთა 3:25-26).**

ღმერთს პატიება სურს; მაგრამ, თუ ის უსაფუძვლოდ აპატიებდა, ცოდვა წვრილმანად გამოჩნდებოდა, ღმერთი კი უსამართლოდ.

► რატომ იყო საჭირო ქრისტეს სიკვდილი?

**(7) იესო, ღვთის ძე, ცხოვრობდა უცოდველი ცხოვრებით და მსხვერპლად შეეწირა, რათა ჩვენი ცოდვები მიეტევებინა (იოანეს 3:16, რომაელთა 5:8-9).**

იმის გამო, რომ იესო არის ღვთის ძე, მის მსხვერპლს აქვს უსასრულო ფასეულობა და იძლევა საფუძველს მსოფლიოში ნებისმიერი ადამიანის პატიებისთვის. ის რომ მხოლოდ კაცი ყოფილიყო, მის მსხვერპლს შეზღუდული ფასეულობა ექნებოდა. იესოს სისხლი წარმოადგენს ჩვენთვის მოცემულ მის სიცოცხლეს. მისი სისხლის გარეშე ვერ იქნებოდა ხსნა (ებრაელთა 9:22). ის ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი გადარჩენა სრულიად არ შეეძლებოდა; და ჩვენ, უიმედოთ დარჩენილებს, ხსნის სხვა გზის ძიება მოგვიწევდა.

► რატომ ფიქრობს ზოგიერთი რელიგია, რომ ადამიანები საქმეებით გადარჩებიან?

**(8) იესო ხორციელად აღსდგა მკვდრეთით, დაამტკიცა თავისი იდენტობა, როგორც ღვთის ძე და აჩვენა თავისი ძალა მარადიული სიცოცხლის მისაცემად (იოანეს 20:24-28, გამოცხადების 1:18).**

კულტები, რომლებიც უარყოფენ იესოს აღდგომას, როგორც წესი, უარყოფენ მის ღვთაებრიობას და მისი მსხვერპლის საკმარისობას გადარჩენისთვის. შემდეგ იგონებენ გადარჩენის სხვა საშუალებას.

► რა გავიგეთ იმ ფაქტით, რომ იესო მკვდრეთით აღსდგა?

**(9) იესოს მსხვერპლი საკმარისია ყველა ცოდვის მისატევებლად (1 იოანეს 1:9, 1 იოანეს 2:2).**

თუ ადამიანი უარყოფს ამ ჭეშმარიტებას, ის ირწმუნებს საქმეებიდან გამომდინარე სახარებას. ბევრ რელიგიას სჯერა იმის შესახებ, რომ ადამიანს შეუძლია ნაწილობრივ მოიპოვოს თავისი ხსნა. ეს ადამიანებს რელიგიური ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ აქცევს, რომელიც ეუბნება მათ რა უნდა გააკეთონ, რომ გადარჩნენ.

► რატომ ფიქრობენ ზოგიერთი ადამიანები, რომ ისინი ვერ მიაღწევენ გადარჩენას თავისი რელიგიური ორგანიზაციის გარეშე?

**(10) ღმერთი პატიობს ყველა ადამიანს, ვინც აღიარებს, რომ ცოდვილია, ინანიებს ცოდვას და სწამს ღვთის აღთქმისა პატიების შესახებ (მარკოზის 1:15, 1 იოანეს 1:9).**

არცერთ ადამიანურ ორგანიზაციას არ აქვს უფლება,დაუმატოს ხსნის მოსაპოვებლად მოთხოვნები ან შესთავაზოს გადარჩენის სხვა საშუალებები.

► რომელ ადამიანს აქვს უფლება ირწმუნოს, რომ გადარჩენილია?

**(11) მონანიება ნიშნავს, რომ ადამიანი წუხს ცოდვების ჩადენის გამო და მზად არის მიატოვოს ისინი (ესაიას 55:7; ეზეკიელის 18:30; ეზეკიელის 33:9-16; მათეს 3:8).**

მონანიება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრება სრულყოფილი უნდა გახადოს, რათა ღმერთმა მიიღოს ის; მხოლოდ ღმერთს შეუძლია დაიხსნას ცოდვილი ცოდვის მონობისგან. მონანიება ნიშნავს იმას, რომ ადამიანი საკმარისად ნანობს თავის ცოდვებს და რომ მზად არის მიატოვოს ისინი. თუ ადამიანს არ სურს ცოდვების მიტოვება, ის ვერ გადარჩება. თუ ადამიანი ჯერ კიდევ განზრახ ცოდვაში ცხოვრობს, ის არ არის გადარჩენილი.

► რატომ არის მონანიება აუცილებელი?

**(12) მომნანიებელი, მორწმუნე ცოდვილი იღებს პატიებას, როდესაც ლოცულობს ღმერთის წინაშე და სთხოვს მას პატიებას (რომაელთა 10:13, საქმეების 2:21).**

ყველა ადამიანს აქვს წვდომა ღვთის წყალობაზე იესოს გამო. არც ერთი ინსტიტუტი ან ადამიანური აგენტი არ არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა პატიება მიიღოს ღვთისგან. ადამიანი ამას ინდივიდუალურად იღებს და ღმერთთან უშუალო ურთიერთობას იწყებს.

► საიდან ვიცით, რომ ადამიანს თვალის დახამხამებაში შეუძლია გახდეს ქრისტიანი?

### დავალება

1. რამდენიმე აბზაცში აღწერეთ ამ საკითხებიდან ერთი ან ორი, რომელიც თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მობრუნების დროს.
2. აირჩიეთ კულტი ან არაქრისტიანული რელიგია კვლევისთვის. 2-3 გვერდში ახსენით, როგორ უარყოფენ ისინი სახარების გარკვეულ არსებით საკითხებს. აღწერეთ ცრუ სახარება, რომელსაც ისინი ქადაგებენ და აჩვენეთ, თუ როგორ ემყარება ის არასწორ დოქტრინებს. ახსენით, თქვენ როგორ მიაწვდიდით მათ ჭეშმარიტების ბიბლიურ მტკიცებულებებს.

# გაკვეთილი 5
# მახარებლობა და სახარების პრიორიტეტი

## შესავალი

► წაიკითხეთ ეფესელთა 1:4—9. რა მნიშვნელოვანი დოქტრინებია გადმოცემული ამ მონაკვეთში?

## მახარებლობის აღწერა

ევანგელური ეკლესია არის ეკლესია, რომელიც ქადაგებს ხსნის სახარებას წმიდა წერილებზე დაყრდნობით, მხოლოდ მადლით და მხოლოდ რწმენის მეშვეობით. კაცობრიობის ვერცერთი კეთილი საქმე, დამატებული ქრისტეს გამოსყიდვას, ვერ დაგვეხმარება ხსნის დამსახურებაში.

ჭეშმარიტი სახარების გავრცელება ევანგელური ეკლესიის პრიორიტეტია, რადგან ადამიანებმა, რომლებსაც სწამთ სახარება, იციან, რომ ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველაფერი სხვა.

სახარება არის ღმერთის მიერ ეკლესიისთვის მინდობილი განსაკუთრებული საგანძური, რომელიც მას სურს გაუზიაროს სამყაროს.

არსებობს რამდენიმე მახასიათებელი, რომელიც ტიპიურია ევანგელური ეკლესიებისთვის. ეს მახასიათებლები ჩამოთვლილია მომდევნო რამდენიმე აბზაცში.

1. **ევანგელისტებს სწამთ ბიბლიის აბსოლუტური ავტორიტეტი**. ბიბლიის ავტორიტეტის უარყოფა ნიშნავს სახარების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას.

2. **ევანგელისტებს სწამთ ქრისტიანობის ისტორიული, ფუნდამენტური დოქტრინები**. ამ დოქტრინების უარყოფა ნიშნავს სახარების შეწინააღმდეგებას. მაგალითად, კულტები, რომლებიც უარყოფენ ქრისტეს ღვთაებრიობას, ასევე უარყოფენ, რომ მის მიერ განხორციელებული გამოსყიდვა საკმარისია გადარჩენისთვის და ასწავლიან საქმეების სახარებას.

3. **ევანგელური ეკლესიები ხაზს უსვამენ პირად სულიერ გამოცდილებას**. ეს მახასიათებელი არსებობს იმიტომ, რომ მათ სჯერათ ინდივიდუალური მოქცევისა და გაცნობიერებული რწმენის. ამ რწმენის გამო ევანგელისტები აქცენტს აკეთებენ ურწმუნოთა მიმართ მახარებლობაზე და მორწმუნეთა სულიერ ჩამოყალიბებაზე.

► თქვენი ეკლესია როგორ ავლენს ამ მახასიათებლებს? არის თუ არა სხვა მახასიათებლები, რომლებიც აჩვენებს, რომ სახარება პრიორიტეტულია?

### სახარების ცენტრალურობა

სახარება ეკლესიას თავის მისიას ანიჭებს. ეკლესიამ, რომელიც არ აქცევს სახარებას თავის პრიორიტეტად, დაივიწყა ღვთის მიერ დაკისრებული მისია.

ჩვენ შევისწავლეთ მათეს 28:18-20-ში მოცემული დიდი დავალება. რა არის ეკლესიის უპირველესი მისია?

სახარება წარმოშობს ეკლესიას იქ, სადაც ის იქადაგება. ჭეშმარიტი ეკლესია ისტორიის მანძილზე იმყოფება იქ, სადაც იქადაგება სახარება. ეკლესიის მემკვიდრეობა მოციქულთა დროიდან მდგომარეობს არა ინსტიტუტების თანამიმდევრულობაში, არამედ ერთგული, მახარებლური, ქადაგების თანამიმდევრულობაში.

> „არსებობს პირდაპირი კავშირი ქრისტეს ძალაუფლებასა და ეკლესიის მსოფლიო მისიას შორის. ეს ნათლად ჩანს მათეს მოსაზრებაში დიდი დავალების შესახებ. სწორედ იმიტომ, რომ ზეცაში და დედამიწაზე მთელი ძალაუფლება მამა ღმერთმა ძე ღმერთს მიანიჭა, ეკლესიაა პასუხისმგებელი ყველა ერის მომოწაფებაზე."
>
> - ჯეი.ჰერბერტ კეინი, „მახარებლობით სამუშაო"

ეკლესიის მიერ შექმნილი ყველა ინსტიტუტი უნდა ემსახურებოდეს სახარების პრიორიტეტს. მაგალითად, პასტორების მომზადების პროგრამამ უნდა მოამზადოს ისინი, რათა მართონ ეკლესია მახარებლობისა და დამოწაფების მისიის შესასრულებლად.

ინსტიტუტები მიდრეკილნი არიან გააგრძელონ საკუთარი არსებობა და დაივიწყონ თავდაპირველი მისია. სახარების მიხედვით განახლებაზე გაკეთებული აქცენტი, ყოველთვის იწვევს ინსტიტუტების რეფორმას.

ეკლესია ანვითარებს რწმენის ტრადიციებს, ღვთისმსახურების ფორმებს, ქრისტიანულ ცხოვრებას და საეკლესიო პოლიტიკას; მაგრამ სახარების მიხედვით განახლებაზე გაკეთებული აქცენტი იწვევს ტრადიციის რეფორმას.

### სახარების პრიორიტეტის დაკარგვის მაგალითები

#### (1) ინსტიტუციონალიზმი

რამდენადაც ეკლესია მუშაობს მახარებლური მისიის შესასრულებლად, აუცილებელია გეგმების შედგენა, გუნდების ჩამოყალიბება, პროგრამების შემუშავება და მხარდაჭერა.

ეკლესია აყალიბებს ინსტიტუტებს პრაქტიკული მიზნებისთვის. ხშირად, ინსტიტუციები ყალიბდება სულიერი გამოღვიძების დროს, როდესაც ხალხი ერთგულია და ეკლესია მოტივირებული თავისი მისიის შესასრულებლად.

ინსტიტუციები აუცილებელია. ისინი უბრალოდ ადამიანებისა და რესურსების გრძელვადიანი გაერთიანებაა. ინსტიტუციების გარეშე არ იქნებოდა ეკლესიის შენობები, უცხოური მისიები, ბიბლიის ან სხვა ლიტერატურის გამომცემლობები, ქრისტიანული სკოლები ან საგანმანათლებლო პროგრამები და მსახურების ფინანსური მხარდაჭერა. ადგილობრივი ეკლესიაც კი ინსტიტუციაა, რომელიც არ იარსებებს, თუკი ადამიანთა ჯგუფი არ აიღებს ვალდებულებებს.

თუ ინსტიტუცია (დაწესებულება) წარმატებულია, ის შეიძლება გახდეს დიდი, ბევრი ხალხით და დიდი ბიუჯეტით. დაწესებულების შენახვა დიდ ძალისხმევასა და ხარჯებს მოითხოვს. ზოგჯერ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ დაწესებულებაში, უჩნდებათ იმის განცდა, რომ უმთავრესი მიზანი ამ ინსტიტუციის მშენებლობაა. ისინი ფიქრობენ, რომ მათი მიზანია დაწესებულების შენარჩუნება და არა დაწესებულების თავდაპირველი მისიის შესრულება.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციები აუცილებელია, ისინი ხშირად უნდა შეფასდეს და რეფორმირდეს სახარების პრიორიტეტის მიხედვით.

**(2) რელიგია, როგორც ბიზნესი**

იმის გამო, რომ მსახურებას აქვს ფულის მოზიდვის პოტენციალი, ზოგიერთმა ადამიანმა დაიწყო მსახურება, როგორც ბიზნესი. ცუდი არაფერია იმაში, რომ მსახურება ყიდის ნივთებს მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და არ არის ურიგო მსახურებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მოძიება. თუმცა, თუ ადამიანი უფრო მეტად არის მოტივირებული ფულით, ვიდრე სახარებისეული პრიორიტეტით, მისი გული არასწორია და მისი საქმე არ ახარებს ღმერთს (1 პეტრეს 5:1-2, 2 პეტრეს 2:3).

სიმონი იყო ადამიანი, რომელსაც სულიერი ნიჭის მიღება სურდა, რათა ჰქონოდა სტატუსი და ფინანსური მოგება, მაგრამ მოციქულმა უთხრა, რომ მისი გული წრფელი არ იყო (საქმეების 8:18-23).

► რა ჭირს პასტორის მდგომარეობას, რომელიც ცდილობს თავისი ეკლესიის გაყიდვას? რა არის არასწორი მის გაგებაში, თუ რა არის ეკლესია?

(3) სინკრეტიზმი

სინკრეტიზმი არის ქრისტიანობის ნაზავი სხვა რელიგიის ურთიერთსაწინააღმდეგო რწმენასთან და პრაქტიკასთან. სინკრეტიზმის მაგალითი ახალი აღთქმის დროიდან არის სამარიელთა რელიგია. უცხოელები, რომლებიც კერპებს ეთაყვანებოდნენ, გადავიდნენ ისრაელის ტერიტორიაზე და შეურიეს ისრაელის რელიგია თავიანთ კერპთაყვანისმცემლობას; იესომ თქვა, რომ მათ არ იცოდნენ, რას სცემდნენ თაყვანს (იოანეს 4:22).

სინკრეტიზმის კიდევ ერთი მაგალითია ჰაიტი. როდესაც ჰაიტი საფრანგეთის კოლონია იყო, მონებს აფრიკიდან ქრისტიანობის მიღება მოეთხოვებოდათ. მათ მოახდინეს თავისი ყოფილი რელიგიების შერწყმა რომის კათოლიციზმთან. ბევრი ჰაიტელი ჯერ კიდევ ვუდუს ჩვეულებას მისდევს, რომელიც არის სულების თაყვანისცემა, მაგრამ იყენებს ქრისტიანულ სიმბოლოებს და ქრისტიან წმიდანთა სახელებს.

ზოგჯერ სინკრეტიზმი წარმოიქმნებოდა იმის გამო, რომ ქრისტიანობა ასოცირდებოდა ერთან, რომელიც დომინირებდა სხვა ერზე. ხალხი ცდილობდა ესიამოვნებინა დომინანტი ერისთვის, ამიტომ იღებდნენ მის რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, თუმცა ინარჩუნებდნენ თავის რწმენასაც.

► ქრისტიანობისა და სხვა რელიგიებს შორის შერწყმის რა მაგალითები გინახავთ?

ამქვეყნიურმა მოტივებმაც შეიძლება გამოიწვიოს სინკრეტიზმი. ადამიანები ფიქრობენ, რომ თუ სახარების მიღება მოუტანს მათ ფინანსურ სარგებელს, პოლიტიკურ გავლენას ან გავლენიანი ადამიანების კეთილგანწყობას, მათ შეუძლიათ გარეგნულად მიიღონ ქრისტიანობა, სინამდვილეში კი არ მობრუნდნენ. შემდეგ ისინი აგრძელებენ თავისი ძველი რწმენითა და საქმეებით ცხოვრებას, მაგრამ ამას ქრისტიანულ სახელებს არქმევენ. ყველაზე კარგია, როდესაც ეკლესიას შეუძლია ევანგელიზაცია მოახდინოს იმის შეთავაზების გარეშე, რაც ადამიანებს არასწორ მოტივებს აღუძრავს.

ქრისტიანობა უცხო რელიგიად გვეჩვენება, რადგან სახარებას უცხოელი მისიონერები ქადაგებენ. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანობა დაინერგოს თითოეულ კულტურაში და მიიღოს ისეთი ფორმა, რომელიც ამ კულტურაშია. ის არ უნდა აგრძელებდეს ყოფნას, როგორც უცხო რელიგია. თუმცა, მნიშვნელოვანია მისიონერებმა და მახარებლებმა გაარკვიონ კულტურის რომელი ასპექტები არ შეესაბამება ქრისტიანობას. ეს გარჩევა არის პროცესი, რომელსაც ადგილობრივი ქრისტიანები უნდა დაეხმარონ და ამას საკმაოდ დიდი დრო ჭირდება.

### (4) პოპულარული რელიგია

ზოგჯერ რელიგია განიხილება ერის დამკვიდრებულ რელიგიად. მაგალითად, ზოგიერთ ერში უმეტესობა მუსლიმია. სხვა ერებში ადამიანების უმეტესობა თავს კათოლიკედ თვლის. ბევრი ადამიანი სინამდვილეში არ იცავს თავისი რელიგიის მორალურ სტანდარტებს და მხოლოდ ხანდახან ახორციელებს რელიგიურ წეს-ჩვეულებებს; მაგრამ ისინი ამბობენ, რომ ამ რელიგიის მიმდევრები არიან.

ბევრი ადამიანი საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს, რადგან მათ სოციალურ წრეებში ყველა კარგი ადამიანი ქრისტიანად ითვლება. სინამდვილეში მათ არ მოუნანიებიათ. ისინი უბრალოდ იცავენ საკუთარ მორალურ სტანდარტებს.

სახარება არის მოწოდება მონანიებისა და ქრისტესადმი მორჩილებისკენ. იესომ თქვა, რომ ადამიანი ვერ შეძლებს იყოს მისი მოწაფე, თუ არ მოაკვდინებს ეგოიზმს და არ უარყოფს საკუთარ თავს, ამით ის გახდება იესოს ნამდვილი მიმდევარი (ლუკას 9:23).

ქრისტიანის განმარტება არ შეიძლება ადაპტირებულ იქნას, რომ იყოს პოპულარული ცოდვილ საზოგადოებაში. საზოგადოების ჩვეული მორალი ყოველთვის გაცილებით დაბალია, ვიდრე ქრისტიანული მორალი და ქრისტიანული კონტრასტი ქვეყნიერებასთან.

► როგორ ვლინდება, უმეტეს შემთხვევაში, პოპულარული ქრისტიანობა მონანიების გარეშე, თქვენს საზოგადოებაში?

### (5) სექტანტობა

ჩვენ არ გვაქვს მოლოდინი, რომ ყველა ქრისტიანი ყველა დოქტრინაზე შეთანხმდება. ქრისტიანებს შორის არის განსხვავებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იღებენ ბიბლიას, როგორც მათი მოძღვრების წყაროს.

ზოგჯერ ეკლესიები ყველაზე მეტად ხაზს უსვამენ მოძღვრებებს, რომლებიც განასხვავებს მათ სხვა ეკლესიებისგან, მაგრამ ეს მოძღვრებები არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ქრისტიანობის ფუნდამენტური დოქტრინები. ეკლესიამ არ უნდა თქვას, რომ სხვა ეკლესიები არ არიან ჭეშმარიტად ქრისტიანული, თუ ეს ეკლესიები ასწავლიან ძირითად სახარებას.

ეკლესიამ არ უნდა დაიმკვიდროს თავისი იდენტობა სხვა ეკლესიებთან ბრძოლით. მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიმკვიდროს თავი ჯერ სახარებით, შემდეგ წევრთა ერთგული ჯგუფის თანამოზიარეობის დამყარებით.

► რის საფუძველზე უნდა სცნოს ეკლესიამ სხვა ეკლესია ჭეშმარიტად ქრისტიანულად?

(6) დოქტრინალური დისბალანსი

ჭეშმარიტი მოძღვრებაც კი შეიძლება იმდენად იყოს ხაზგასმული, რომ ის თითქოს ეწინააღმდეგება სხვა ჭეშმარიტებას. მადლზე აქცენტირებით, ეკლესიას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ღმერთისადმი მორჩილების აუცილებლობა. მობრუნების მომენტის ხაზგასმით შეიძლება ისე ჩანდეს, რომ თითქოს ეკლესია ივიწყებს მოწაფეობის პროცესს. ღმერთის მიერ განდგომილის მიმართ ერთგულებაზე ხაზგასმის მიუხედავად, ეკლესიამ შეიძლება ვერ აღკვეთოს განდგომის საფრთხე. სულიერი ნიჭების დაფასებისას, ეკლესიამ შეიძლება არ დააფასოს ღრმა სულიერება და ქრისტიანული ხასიათი.

მოძღვრებაში დისბალანსი დროთა განმავლობაში იჩენს თავს და აქვს გრძელვადიანი შედეგები. ნებისმიერი სწავლება, რომელიც (1) იწვევს უყურადღებობას ცოდვის მიმართ, (2)ართმევს გადარჩენაში დარწმუნებულობას, (3) უქმნის დამატებით სირთულეებს იმ პირს, რომელიც პასუხობს სახარებას, ან (4) მალავს სახარებას, არის სწავლება, რომელიც დოქტრინულად გაუწონასწორებელია.

## ისტორიული აღორძინებები და რეფორმები

დროდადრო ეკლესიის ისტორიაში სახარება, როგორც ჩანს, მიტოვებული იყო დიდი ინსტიტუციების მიერ. ისეთი შეცდომები, როგორიცაა ინსტიტუციონალიზმი, სინკრეტიზმი და დოქტრინალური დისბალანსი, უფრო თვალსაჩინოდ ჩანდა, ვიდრე სახარება. ლიდერები სულიერი მაგალითები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, აჩვენებდნენ არასწორ მოტივებს, არასწორ ხასიათს და ინტერესს ქვეყნიერების მიმართ.

ზოგჯერ ღმერთი ეკლესიას უგზავნის დიდ გამოღვიძებას. გრძელვადიან და ფართო შედეგების მქონე გამოღვიძებას სამი ასპექტი აქვს.

1. ხდება თეოლოგიური რეფორმაცია, როდესაც უგულებელყოფილი სულიერი ჭეშმარიტება აღდგება.
2. ხდება სულიერი განახლება დიდი ლოცვით, მხურვალე თაყვანისცემით და მრავალი მოქცეულით.
3. ხდება მსახურების ახალი მეთოდების დანერგვა, რადგან ეკლესია პოულობს ახალ გზებს ევანგელიზაციისა და მოწაფეობისთვის.

პროტესტანტული რეფორმაცია (1500-იან წლებში მთელ ევროპაში) იყო მხოლოდ მადლით და მხოლოდ რწმენის მეშეობით გადარჩენის სახარების აღდგენა. ათასობით ადამიანმა განიცადა მობრუნება. წმიდა წერილი ითარგმნა საყოველთაო ენებზე და ხელმისაწვდომი გახდა.

ანაბაპტისტები (მთელ ევროპაში 1500-იან წლებში და შემდეგ) იყვნენ ადამიანები, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ, რადგან რეფორმაციის მრავალი მიმდევარი ფიქრობდა, რომ სწორი დოქტრინების რწმენა საკმარისი იყო გადარჩენისთვის. ბევრმა ადამიანმა აღიარა, რომ მიიღო სახარების ჭეშმარიტება, მაგრამ არ განიცადა მობრუნება. ანაბაპტისტები ყურადღებას ამახვილებდნენ პიროვნულ მოქცევაზე.

პიეტისტები (1600-იანი წლების ბოლოს გერმანიაში) იყვნენ ადამიანები, რომლებმაც გააცნობიერეს მოწაფეობის მნიშვნელობა. მათ შეიმუშავეს მცირე ჯგუფების მსახურებები და სისტემები, მორწმუნეების ქრისტიანული ზრდისთვის მოსამზადებლად.

მეთოდისტური აღორძინება (1700-იანი წლების ბოლოს ინგლისში) დაიწყო ჯონ უესლის მსახურებით. ინგლისის ეკლესიის მღვდლების უმრავლესობამ უარყო, რომ გადარჩენის პირადი გარანტია შესაძლებელი იყო. უესლი ქადაგებდა, რომ თითოეულმა ადამიანმა შეიძლება იცოდეს, რომ მას აქვს ცოცხალი რწმენა ქრისტესადმი და ხსნაში დარწმუნებულობა სულიწმიდისგან.

► რომელი დიდი ჭეშმარიტების ხაზგასმა გჭირდებათ თქვენს საზოგადოებაში?

## დასკვნა

ბევრი ქრისტიანული ინსტიტუცია, დიდი თუ პატარა (მათ შორის ადგილობრივი ეკლესიები), დაიწყო სახარების პრიორიტეტის ერთგულებით. დროთა განმავლობაში, ბევრი მათგანი ამ პრიორიტეტს დაშორდა.

ეკლესიის ეფექტურობის განახლებისთვის, ჩვენ არ გვჭირდება უცნაური ახალი მოძღვრებები ან ახალი გამოცხადებები. რაც ჩვენ გვჭირდება არის, სახარების პრიორიტეტის ევანგელური პრინციპის აღდგენა.

## ტესტი

შემდეგი გაკვეთილი დაიწყეთ მე-5 გაკვეთილის ტესტით. ყურადღებით შეისწავლეთ ტესტის კითხვები მომზადებისას.

(1) რა არის ევანგელური ეკლესიების სამი მახასიათებელი?

(2) რა ექვსი გზა არსებობს, რომლითაც ეკლესიამ შეიძლება დაკარგოს სახარებისეული პრიორიტეტი?

(3) რა ოთხი ნიშანია იმისა, რომ მოძღვრება გაუწონასწორებელია?

(4) რა არის გრძელვადიანი აღორძინების სამი ასპექტი?

(5) დაწერეთ ნამდვილი მოწმობა ყოველ ქვემოთ ჩამოთვლილზე:

- პროტესტანტული რეფორმაცია
- ანაბაპტისტები
- პიეტისტები
- მეთოდისტური აღორძინება

# გაკვეთილი 6
# სულიწმიდის მოქმედება

## შესავალი

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: ჩაატარეთ წინა გაკვეთილის ბოლოს მოცემული ტესტი. სტუდენტებმა პასუხები უნდა დაწერონ მასალის ნახვისა და ერთმანეთთან საუბრის გარეშე.*

## სულიწმიდაზე დამოკიდებულება

როდესაც ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მოვემზადოთ მსახურებისთვის და ვისწავლოთ მეთოდები, არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ მსახურებაში ვიყოთ ადამიანურ შესაძლებლობებზე დამოკიდებულნი. მაგრამ, როგორც პავლე მოციქულმა თქვა: „არა იმიტომ, რომ საკუთარ თავებს ვთვლით რამის შემძლეებად, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მიერ არის ჩვენი შემძლეობა" (2 კორინთელთა 3:5).

პავლემ თქვა, რომ ის ქადაგებს არა ადამიანური სიბრძნით და არა ადამიანურ დარწმუნებულობაზე დაყრდნობით; არამედ ის იყო დამოკიდებული სულიწმიდის გამოვლენაზე, რათა მსმენელთა რწმენა არ დაფუძნებულიყო ადამიანურ სიბრძნეზე, არამედ ღმერთზე (1 კორინთელთა 2:4-5). პავლე განათლებული იყო, მაგრამ არ მოელოდა, რომ მისი ცოდნა და უნარი სულიერ შედეგებს გამოიღებდა.

თესალონიკელებისთვის მიწერილ წერილში, პავლე ამბობს: „რადგან ჩვენი სახარება მხოლოდ სიტყვით კი არ გეუწყათ, არამედ ძალით, სულიწმიდით და სრული დამაჯერებლობით" (1 თესალონიკელთა 1:5). ისინი დაჯერებულნი იყვნენ სახარებით ღვთის ძალის გამო.

იესომ აღუთქვა მოციქულებს, რომ სულიწმიდა ამხელს ქვეყნიერებას ცოდვის, სიმართლისა და განკითხვის გამო (იოანეს 16:8). იესომ თქვა, რომ არავის შეეძლო მასთან მისვლა, თუ მამა არ მიიზიდავდა მათ (იოანეს 6:44).

## სულიწმიდის მუშაობის (მოქმედების) ზოგიერთი ასპექტი

- ის ამხელს ცოდვილს (იოანეს 16:8).
- ის მოაქცევს მსჯავრდადებულ ცოდვილს (იოანეს 3:5).
- ის იცავს მოქცეულ წმიდანს (ეფესელთა 1:13, ეფესელთა 4:30).
- ის ავალებს დაცულ წმიდანს (საქმეების 13:2, 4).
- ის აძლიერებს დავალება მიღებულ წმიდანს (საქმეების 1:8).

- ის ასწავლის გაძლიერებულ წმიდანს (იოანეს 14:26; იოანეს 16:13; 1 იოანეს 2:27).
- ის მიუძღვება ნასწავლ წმიდანს (იოანეს 16:3, საქმეების 8:29).
- ის აკვდინებს ხორცის საქმეებს წმიდანში, რომელსაც მიუძღვის და ამით აფუძნებს მას სიმართლეში (რომაელთა 8:13).

► როგორ წარმართავს სულიწმიდაზე დამოკიდებულება ჩვენს მიდგომას მახარებლობისადმი? რას ვაკეთებთ განსხვავებულად იმის გამო, რომ სულიწმიდაზე ვართ დამოკიდებულნი?

### მომზადების ფასეულობა

► რას უნდა ვფიქრობდეთ მომზადებაზე და მახარებლობის მეთოდებზე?

ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიქადაგოთ ღვთის ჭეშმარიტება. ჩვენ უნდა გადმოვცემდეთ რაც შეიძლება კარგად, რომ გაგვიგონ.

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ რადგან სულიწმიდაზე ვართ დამოკიდებულნი, არ გვჭირდება ჩვენი უნარების და შესაძლებლობების განვითარება.

პავლემ თქვა, რომ ცდილობდა ხალხის დარწმუნებას (2 კორინთელთა 5:11). მან უთხრა ტიმოთეს, ესწავლა, რათა შეძლებოდა ღვთის ჭეშმარიტების სწორად გადმოცემა (2 ტიმოთეს 2:15). ეპისკოპოსის ერთ-ერთი თვისება ის არის, რომ მას აქვს სწავლების უნარი (2 ტიმოთეს 2:24).

აპოლო ძალზე ქმედითი იყო, როგორც მახარებელი. ის აღწერილია როგორც მჭევრმეტყველი, წმიდა წერილში ძლიერი და სულით მხურვალე (საქმეების 18:25-26). მისმა ბუნებრივმა შესაძლებლობებმა, სულიერ ნიჭებთან ერთად, ის დიდ კურთხევად აქცია.

პეტრე მოციქული გვეუბნება, რომ ყოველთვის მზად ვიყოთ სახარების იმედის ასახსნელად (1 პეტრეს 3:15).

ეს წმიდა წერილები გვეუბნებიან, რომ ღმერთი გვაკურთხებს და გამოიყენებს ჩვენს ბუნებრივ შესაძლებლობებს და წვრთნას, როდესაც ჩვენ საკუთარ თავს მივუძღვნით მის მიზნებს. ის მოგვიწოდებს, მივუძღვნათ ჩვენი ძალები და შესაძლებლობები მის საქმეს.

### სულით ავსება

საქმეების 1:4-5-ში იესომ უთხრა მოწაფეებს, დალოდებოდნენ სულიწმიდით ნათლობას, რომელსაც მან უწოდა „მამის მიერ აღთქმული.” ეს მოვლენა მოიცავდა ძალაუფლებით შემოსვას, რაც მათ გახდიდა მოწმეებად მთელ მსოფლიოში (საქმეების 1:8).

მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეები იყვნენ დახსნილნი, მათ ჰქონდათ შინაგანი მოთხოვნილება, რომელიც უნდა დაკმაყოფილებულიყო, სანამ მზად იქნებოდნენ ემსახურათ იესოს ფიზიკური ხელმძღვანელობის გარეშე. უდიდესი მასწავლებლის მიერ სამწლიანი სწავლებაც კი არ იყო საკმარისი მათთვის, რათა ბოლომდე მომზადებულიყვნენ, რადგან ეს შინაგანი პრობლემა დარჩა. სანამ ისინი შეძლებდნენ ქონოდათ სულიწმიდით გაძლიერებული და წარმართული მსახურება, როგორც ღმერთმა დაგეგმა, მათ უნდა ქონოდათ განსაკუთრებული მოთხოვნილება გულში, აღსავსე სულიწმიდის განსაკუთრებული საქმიანობით.

პრობლემამ, სწავლის სამი წლის განმავლობაში, სხვადასხვა შემთხვევების დროს იჩინა თავი. ზოგჯერ ისინი შურისმაძიებელნი იყვნენ, მაგალითად, როდესაც მათ სურდათ ცეცხლის დატეხვა მათზე, ვინც ისინი უარყო (ლუკას 9:54-55). ხანდახან ისინი ამაყი სექტანტები იყვნენ, მაგალითად, როდესაც აუკრძალეს მსახურება მათ მიერ არაუფლებამოსილ პირს (მარკოზის 9:38). ისინი ეგოისტები და სიამაყიდან გამომდინარე ამბიციურები იყვნენ, როგორც მაშინ, როდესაც ორმა მათგანმა მაღალი პოზიციები მოითხოვა და სხვები კი განაწყენდნენ (მარკოზის 10:35-41).

„ძლიერი წამოწყება, რომელიც უფალმა მათ მიანდო, ადამიანურ ძალებს აღემატებოდა. ამიტომ მან უზრუნველყო მათთვის სულიწმიდის უსაზღვრო რესურსები. მას უნდა დაერწმუნებინა ცოდვაში მყოფი სამყარო, სიმართლეში და განკითხვაში; და ამიტომაც ის თან ახლდა მათ მსახურებაში დიდი ძალითა და საოცარი შედეგებით."

\- ეი.ბი. სიმპსონი, *მისიონერული გზავნილები*

ისინი კამათობდნენ იმაზე, თუ რომელი მათგანი იყო ყველაზე დიდი (მარკოზის 9:33-34). ის ფაქტი, რომ მათ შერცხვათ, როდესაც იესომ ჰკითხა, თუ რაზე საუბრობდნენ, აჩვენებს, რომ მათ იცოდნენ, რომ მათი მოტივები უკეთესი უნდა ყოფილიყო.

მათი უკანასკნელი ვახშმის დროს იესომ მოწაფეებს ფეხები დაბანა და უთხრა, რომ იგივე დამოკიდებულება ჰქონოდათ მსახურებაში, რაც მან გამოავლინა (იოანეს 13:14). მათ ჯერ არ ჰქონდათ ასეთი თავმდაბლობა; იმავე საღამოს მათ უარი თქვეს ერთმანეთის მომსახურებაზე. პრობლემა იყო არა ცოდნის ნაკლებობა, არამედ სიამაყე.

იესომ უთხრა მათ, რომ უნდა ჰქონოდათ სიყვარული, რომელიც საკმარისად ძლიერი იქნებოდა, რათა მათ საკუთარი სიცოცხლე გაეწირათ ერთმანეთისთვის (იოანეს 15:12-13). მათ ეგონათ, რომ გააჩნდათ ეს სიყვარული, მაგრამ არა; რადგან ისინი გაიქცნენ იესოს დაპატიმრების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებდნენ, რომ მასთან ერთად სიკვდილისთვისაც მზად იყვნენ (მარკოზის 14:31, 50).

ეს ის ხალხი იყო, რომლებსაც ეკისრებოდათ ეკლესიის წინამძღოლობა და გაფართოება ქრისტეს ფიზიკურად არყოფნის პირობებში. იესომ იცოდა, რომ ისინი მზად არ იყვნენ ამ მსახურებისთვის, სანამ მათი შინაგანი მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდებოდა, ამიტომ უთხრა მათ, რომ დალოდებოდნენ იერუსალიმში, სანამ მიიღებდნენ „მამის მიერ აღთქმულს" (საქმეების 1:4-5). ეს აღთქმა გაიგივებულია სულიწმიდით ნათლობასთან. ეს იმდენად აუცილებელი იყო, რომ ამის გარეშე ვერ დაიწყებდნენ ეკლესიის დაარსებას და განვითარებას.

მას არ უთქვამს მათთვის, რომ მეტი მომზადება და ზრდის ხანგრძლივი პროცესი სჭირდებოდათ. ისინი უნდა დალოდებოდნენ იერუსალიმში სულიერ კრიზისს/კულმინაციას.

მოწაფეების განცდა სულთმოფენობის დღეს აღწერილია, როგორც სულიწმიდით აღვსება (საქმეების 2:4). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მოხდა ამ მოვლენის დროს, პეტრემ მოგვიანებით აღნიშნა, რომ სულის მთავარი მოქმედება იყო მათი გულების განწმენდა (საქმეების 15:8-9). ეს იყო ის, რაც მოწაფეებს სჭირდებოდათ. მათი შინაგანი მოთხოვნილების ყოველი ნიშანი მიუთითებდა გულში არსებულ პრობლემაზე, მემკვიდრეობით გარყვნილებაზე, რომლისგანაც ისინი უნდა განწმენდილიყვნენ. როდესაც ეს განწმენდა მოხდა სულიწმიდით ნათლობის (ან აღვსების) გზით, ისინი აღარ თვლიდნენ საკუთარ უსაფრთხოებას ან დაწინაურებას მთავარ მიზნად.

სულთმოფენობის მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა ძლიერი საეკლესიო მახარებლობის ეპოქას. ეკლესია სიხარულით და გამარჯვებებით მიიწევდა წინ დოქტრინალური უთანხმოების, იუდაისტების მწვალებლობის, შინაგანი ჩივილების, თვალთმაქცობის, დემონური წინააღმდეგობის, დევნისა და გაჭირვების მიუხედავად.

> ისინი გახდნენ ძლიერი მოწმეების ერთიანი, ცხებული გუნდი: ისინი მიყვებოდნენ ღვთის მოწოდებას, იყვნენ დაყრდნობილნი ღვთის ძალაზე და ღვთის სადიდებლად მუშაობდნენ.

**მორწმუნეს შეიძლება ჰქონდეს იგივე მოთხოვნილება, რაც ჰქონდათ მოწაფეებს. ეს მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს სულიწმიდით ავსებით**.

ეს იმას არ ნიშნავს:

1. რომ მორწმუნეს არ აქვს სულიწმიდა, სანამ არ მიიღებს ამ განსაკუთრებულ ავსებას.
2. რომ სულიწმიდის არც ერთი მოქმედება არ ხდება მორწმუნეში, სანამ ეს ავსება არ მოხდება.
3. რომ არ არსებობს სულიწმიდით ავსება გარდა იმისა, რომელიც წმენდს გულს.

4. რომ ყოველ ადამიანს, ვისაც აქვს ეს სულით ავსება, ექნება მოციქულებრივი მსახურება.

ჩვენ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი გამოცდილება ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც მოწაფეებს ჰქონდათ. თუმცა, ჩვენთვის მაინც მნიშვნელოვანია გულის განწმედისა და მსახურების გაძლიერების მოთხოვნილება.

მოწაფეების მაგალითიდან ვხედავთ:

1. რომ თუ ადამიანს აქვს ეს საჭიროება, ის ბოლომდე არ არის მზად მსახურებისთვის და წმიდად ცხოვრებისთვის.
2. რომ ღმერთს არ სურს ადამიანის ამ მდგომარეობაში დატოვება.
3. რომ გამოსავალი არ არის წვრთნა ან გრძელვადიანი სულიერი ზრდა.
4. რომ ეს მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს მყისიერად, სათანადო ძიების შედეგად.

როგორ შეუძლია მორწმუნეს მიიღოს სულიწმიდის ეს მოქმედება?

პეტრემ თქვა, რომ ეს რწმენით იქნა მიღებული (იქვე.). იესომ მოამზადა თავისი მოწაფეები რწმენისთვის დაპირების დადებისა და მოლოდინების შექმნით.

აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი ხედავს თავის საჭიროებას და ხედავს ღვთის მზაობას, დააკმაყოფილოს ის, მას შეუძლია მიიღოს ეს მადლი რწმენით.

**დავალება**

თითოეულმა სტუდენტმა ლოცვაში უნდა გამოიკვლიოს თავი და წერილობით უპასუხოს ამ კითხვებს. ამ ნაშრომის კლასის ხელმძღვანელისთვის მიცემა არ არის აუცილებელი.

1. ვარ თუ არა დამოკიდებული სულიწმიდაზე თუ ვაკეთებ მხოლოდ იმას, რასაც ჩემი შესაძლებლობები იძლევა?
2. მაქვს თუ არა ზოგიერთი მახასიათებელი, რომელიც აჩვენებდა, რომ მოწაფეებს სჭირდებოდათ სულიწმიდით ავსება?
3. მაქვს რაიმე ქმედებები, ჩვევები, დამოკიდებულებები ან მიზნები, რომლებიც ღმერთს არ მივანდე?
4. ვარ მზად, რომ სულიწმიდამ მთლიანად განმწმიდოს, რათა ღვთის სადიდებლად ვიყო გამოყენებული?

# გაკვეთილი 7
# ლოცვა და მარხვა

## შესავალი

> დღეს ეკლესიას სჭირდება არა მეტი მექანიზმი ან გაუმჯობესება, არა ახალი ორგანიზაციები ან ახალი მეთოდები, არამედ ადამიანები, რომელთა გამოყენებაც სულიწმიდას შეუძლია, მლოცველები და ძლიერი ლოცვები. სულიწმიდა არა მეთოდების, არამედ ადამიანების მეშვეობით მოედინება. ის მექანიზმების გამოყენებაზე კი არ რეაგირებს, არამედ მამაკაცებზე მოდის. მისი ცხებულება არა გეგმებზე, არამედ ადამიანებზეა - მლოცველებზე.[3]

► რა შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა ი. ემ. ბოონდსი ზემოთ მოყვანილი განცხადებებით?

ლოცვის აქტი აკეთებს განცხადებას ღმერთზე დამოკიდებულების შესახებ. ადამიანი, რომელიც ზედმეტად დაკავებულია ლოცვისთვის, ფიქრობს, რომ მისი საქმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის საქმე, რასაც ღმერთი მოიმოქმედებს მისი ლოცვების საპასუხოდ.

რადგან ჩვენ სულიწმიდაზე ვართ დამოკიდებულნი, ლოცვა მნიშვნელოვანია ჩვენთვის. პავლემ ხალხს მოუწოდა ელოცათ სახარების გავრცელებისთვის (2 თესალონიკელთა 3:1, კოლასელთა 4:3, ეფესელთა 6:19).

## რატომ არის ლოცვა მნიშვნელოვანი

► ჩვენ ვიცით, რომ ლოცვა მნიშვნელოვანია მორწმუნეთათვის. რატომ არის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მახარებელი ადამიანისთვის?

ლოცვა მნიშვნელოვანია მახარებლისთვის:

1. **მახარებელი სულიერად ცოცხალი უნდა იყოს**. ლოცვა სულის სუნთქვაა. მახარებელს სხვები მიყავს ღმერთთან იმ ურთიერთობაში, რომლის გამოცდილებაც მას უკვე აქვს.

> „თუ სწავლის სურვილი აღემატება სულის სურვილს, შეჩერდი და ილოცე იქამდე, ვიდრე სულის სურვილი არ გადააჭარბებს სწავლის სურვილს."
>
> - უილიამ სმიტი

[3] E. M. Bounds, *Power through Prayer*, Accessed from https://ccel.org/ccel/bounds/power/power.I_1.html on January 13, 2023.

2. **მახარებელს არ შეუძლია შეინარჩუნოს მსახურების სწორი მგზნებარება, ღმერთთან ლოცვაში დროის გატარების გარეშე**. ლოცვის გარეშე, ადამიანს, რომელიც ცდილობს მახარებლობას, ექნება არასწორი მოტივაცია (ეს შეიძლება იყოს პირადი წარმატების სურვილი, ან პაექრობის სიამოვნება).

3. **მახარებელი, სულიწმიდაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რათა ცოდვილი ამხილოს და მას გადარჩენის სურვილი გაუჩნდეს**. მახარებლობა არ არის მხოლოდ ადამიანის ძალისხმევა. მახარებელი ეყრდნობა სულიწმიდის ძალას. მხოლოდ ადამიანური მსჯელობა ვერ აიძულებს ცოდვილს აღიაროს თავისი დანაშაული და დაებადოს ღმერთის ძიების სურვილი (იოანეს 16:8, იოანეს 6:24).

4. **მახარებელი დამოკიდებულია ღმერთზე, რათა მან სცხოს ის, წმიდა წერილების სწორად გამოყენებისთვის (რომაელთა 1:16, ესაიას 55:11).**

5. **მახარებელს სჭირდება ღვთის ხელმძღვანელობა თავის მსახურებაში (საქმეების 11:12).**

## ლოცვის პრაქტიკა

### პირადი ლოცვითი ცხოვრება

ყოველი ქრისტიანი უნდა იყოს ერთგული ყოველდღიური ლოცვისას და ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ადამიანისთვის, ვისაც სურს ეფექტური იყოს მახარებლობაში.

მას განსაკუთრებული დრო უნდა ჰქონდეს ყოველდღე, ღმერთთან განმარტოებით გასატარებლად. თუ ეს შესაძლებელია, ის უნდა იყოს იზოლირებულ ადგილას. მას შეიძლება მოუწიოს ადრე ადგომა, რათა ილოცოს ყურადღების გაფანტვის გარეშე, დღის საქმეების დაწყებამდე. თუ მას არ შეუძლია ლოცვისთვის დრო განსაკუთრებულად გამოყოს, მან მაინც უნდა გამოყოს დრო რამდენიმე წუთი, დღის დასაწყისში ღმერთთან სასაუბროდ.

მან ყოველდღე უნდა წაიკითხოს წმიდა წერილები და ჩაუკვირდეს მას, ილოცოს ღმერთის წინაშე, რათა აღსრულდეს მისი ჭეშმარიტება მის ცხოვრებაში.

### ლოცვების სია

კარგია გვქონდეს იმის ჩამონათვალი, თუ რაზე უნდა ვილოცოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შესაძლოა არ გაგვახსენდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ უნდა ვილოცოთ სახარების მთელ მსოფლიოში გავრცელებისთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანები იდევნებიან. ჩვენ უნდა ვილოცოთ სახარების წარმატებისთვის ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ უნდა ვილოცოთ, რომ ჩვენმა ადგილობრივმა ეკლესიამ შეასრულოს ღვთის მისია ჩვენს გარშემო მყოფ საზოგადოებისთვის. ჩვენ უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთი პირადად ჩვენ დაგვეხმაროს სახარების ეფექტურად გაზიარებაში.

სია ასევე ეხმარება ადამიანს ილოცოს იმ დროს, როდესაც მას უჭირს კონცენტრირება.

არ არის აუცილებელი ლოცვების სიის გამოყენება ყოველი ლოცვის დროს. ზოგჯერ გრძნობთ საჭიროებას, რომ ილოცოთ გარკვეული საკითხების შესახებ და თქვენ შეგიძლიათ მათი დამახსოვრება სიის გარეშეც.

► კიდევ რა უნდა იყოს ლოცვების სიაში?

„ადამიანები, რომელთა მხრებზე ეყრდნობოდა სამყაროს გაქრისტიანების საწყისი პასუხისმგებლობა, მივიდნენ იესოსთან ერთი უმაღლესი თხოვნით. მათ არ უთხოვიათ: „უფალო, გვასწავლე ქადაგება", „უფალო, გვასწავლე სასწაულების მოხდენა" ან „უფალო, გვასწავლე ვიტოთ ბრძენები" ... არამედ სთხოვეს: „უფალო, გვასწავლე ლოცვა"

- ბილი გრემი

### სახელების სია ლოცვისთვის

შეადგინეთ ათი ადამიანის სია, რომლებსაც პირადად იცნობთ და რომლებსაც გადარჩენა სჭირდებათ. ესენი უნდა იყვნენ ადამიანები, ვისთანაც ხშირად გაქვთ შეხება. აიღეთ ვალდებულება, ილოცოთ მათთვის ყოველდღე. ესაუბრეთ მათ, თუ ღმერთი გახსნის შესაძლებლობას; თუ მათთან საუბრის შესაძლებლობა არ გაქვთ, განაგრძეთ ლოცვა. იმ ადამიანების მოწმობით, ვინც ასე იქცეოდა, თუ ამას გააკეთებთ, ერთი წლის გასვლამდე ზოგიერთი მათგანი მიიღებს გადარჩენას.

### ლოცვითი პარტნიორები

ქრისტიანისთვის კარგია ყავდეს მეგობარი, ვისთანაც ერთად რეგულარულად ილოცებს. მათ ერთად უნდა გაიზიარონ საჭიროებები და გამარჯვებები. ისინი შესაძლოა შეხვდნენ ყოველ კვირას, ან უფრო ხშირადაც.

ცოლ-ქმარს შეუძლიათ ასე ერთად ილოცონ; მაგრამ კარგია, თუ ქმარს ჰყავს მეგობარი კაცი, ხოლო ცოლს მეგობარი ქალი, რომელთან ერთადაც ლოცულობენ, ლოცვითი პარტნიორები.

► რა გამოცდილება აქვთ უკვე, კლასის წევრებს ლოცვით პარტნიორებთან?

### ლოცვითი გასეირნება

ლოცვით გასეირნება შეიძლება განხორციელდეს, რადგან მსახურება პასუხისმგებლობას გრძნობს მეზობლად მცხოვრებ ხალხზე. ჯგუფი ან პიროვნება დადის ტერიტორიაზე და ლოცულობს მასზე მყოფთა საჭიროებებისთვის. ლოცვა შეიძლება იყოს ჩუმი. მათ შეუძლიათ

ისაუბრონ იმ ადამიანებთან, რომლებსაც ხვდებიან, მაგრამ სიარულის მთავარი მიზანი ლოცვაა. ლოცვითი გასეირნება შეიძლება გაკეთდეს ამ მხარეში მსახურების დასაწყისში ან მოგვიანებით.

**ლოცვითი სადგური**

ზოგიერთი ეკლესია აწყობს დროებით ლოცვით სადგურს საჯარო ადგილას, სადაც ბევრი ადამიანი მოძრაობს. ისინი აკრავენ აზრას, რომელზეც წერია „ლოცვითი სადგური" და სთავაზობენ გამვლელებს მათთან ერთად ლოცვას. ისინი ეკითხებიან: „გაქვთ რაიმე საჭიროება, რომლის შესახებაც გსურთ რომ ვილოცოთ?" ისინი ავლენენ ზრუნვას საჭიროებების მიმართ და არ ყვებიან კამათს. ხშირად მათ აქვთ სახარების გაზიარების შესაძლებლობაც.

► რომელ ადგილზე შეიძლება განთავსდეს თქვენს მხარეში ლოცვითი სადგური საუკეთესოდ?

## ბიბლიური ლოცვები

იესოსა და მოციქულთა ლოცვები გვაჩვენებს იმას, თუ რაზე უნდა ვილოცოთ, რადგან ვიცით, რომ ისინი ღვთის ნებით ლოცულობდნენ. აქ მოყვანილია სამი მაგალითი.

**უფლის ლოცვა**: მათეს 6:9-13-ში იესომ თავის მოწაფეებს ლოცვის ნიმუში მისცა. ამ სიტყვებით და ზოგადად ამ პრიორიტეტებით უნდა ვილოცოთ.

**პავლეს ლოცვა ეფესელებისთვის**: ეფესელთა 3:14-19-ში პავლე ლოცულობდა მორწმუნეთა სულიერი დამკვიდრებისთვის. ჩვენც იგივეზე უნდა ვილოცოთ საკუთარი თავისთვის და სხვებისთვისაც.

**ლოცვა მკაზე**: მათეს 9:36-38-ში იესოს სურდა, რომ მის მოწაფეებს გაეზიარებინათ მისი თანაგრძნობა ცოდვილთა მიმართ და ელოცათ, რომ ღმერთს გამოეგზავნა მუშები სულიერ სამკალში.

## მარხვის პრაქტიკა

მარხვა არის საშუალება, რომ ჩვენი ყურადღება გავამახვილოთ სულიერსა და მარადიულზე და მოვაცილოთ ის ფიზიკურისა და მატერიალურისგან. ის ცხადყოფს, რომ სულიერი და მარადიული რამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური და მიწიერი. ეს არის ჩვენი რწმენის განმტკიცების საშუალება.

► რით განსხვავდება მარხვა იმისგან, ვინც შიმშილობს, რათა ღმერთზე მანიპულირება მოახდინონ, რომ მან რაღაც გააკეთოს?

## მარხვის ბიბლიური მაგალითები

ეს არის წმიდა წერილში ჩაწერილი მაგალითები, როდესაც ვინმე იმდენად სერიოზულად ფიქრობდა ღვთის ჩარევაზე მის ცხოვრებაში, რომ მარხულობდა. ეს მაგალითები არჩეულია წმიდა წერილში არსებული მრავალი ცნობიდან, უბრალოდ იმის საჩვენებლად, რომ ბიბლია ჩვეულებრივ დადებითად საუბრობს მარხვაზე. წმიდა წერილში ის ხშირად მოიხსენიება, როგორც ახსნა იმისა, თუ რატომ ჩაერია ღმერთი.

► კლასმა უნდა წაიკითხოს წმიდა წერილის ერთ-ერთი ისტორია მარხვის შესახებ და განიხილოს ამ მონაკვეთში აღწერილი სიტუაცია.

| წმიდა წერილი | მარხვისა და ლოცვის შედეგი |
|---|---|
| 2 ნეშტთა მე-20 თავი | ერის საყოველთაო მარხვამ ბრძოლაში გამარჯვება მოიტანა. |
| ეზრას 8:21 | ეზრა მარხულობდა და ლოცულობდა ღვთის მფარველობისთვის, რომ საფრთხისგან ყოფილიყო დახსნილი. |
| ესთერის 4:16 | ებრაელები მარხულობდნენ, რათა ღმერთი ჩარეულიყო მათ წინააღმდეგ დაგეგმილ ხოცვა-ჟლეტაში. |
| იონას 3:5-9 | ნინევია მარხულობდა ღვთის წყალობისთვის. |
| მსაჯულთა 20:26 | ისრაელი მარხულობდა, რათა ომში ღვთის მმართველობა მიეღო. |
| 1 სამუელის (მეფეთა) 7:6 | ისრაელი მარხულობდა შენდობისა და ხსნისთვის. |
| ნეემიას 1:4 | ნეემიამ იმარხულა ღვთის წინაშე, რომ ქალაქის აღდგენა შეძლებოდა. |
| დანიელის 9:3 | დანიელმა იმარხულა ისრაელის ტყვეობიდან გამოსახსნელად. |
| იოველის 2:12 | მარხვა გამოცხადებული იყო მონანიებისთვის და სასჯელის აცილებისთვის. |
| მათეს 4:2 | იესომ 40 დღე იმარხულა თავისი მიწიერი მსახურებისთვის მოსამზადებლად. |
| ლუკას 2:37 | ანა წინასწარმეტყველი ქალი იყო, რომელიც დროს მარხვასა და ლოცვაში ატარებდა. |
| საქმეების 10:30 | კორნელიუსი მარხულობდა, როდესაც ღვთისგან უწყება მიიღო. |
| საქმეების 13:2-3 | მარხვის დროს უთხრა ღმერთმა ეკლესიას, გაეგზავნათ მისიონერები. |
| საქმეების 27:21 | პავლე მარხულობდა და ლოცულობდა გაჭირვების დროს. |

## იესოს მითითებები

იესომ თქვა, რომ მოწაფეები იმარხულებდნენ, როდესაც ის ფიზიკურად მათთან აღარ იქნებოდა (მათეს 9:15, ლუკას 20.). მან მარხვისადმი სათანადო მიდგომა დაავალა მათ. მან თქვა, რომ მარხვა არ უნდა იყოს სხვებისთვის საჩვენებლად.

> როცა მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, როგორც თვალთმაქცნი, დამწუხრებულ სახეებს რომ ღებულობენ, რათა ადამიანებს მარხულად აჩვენონ თავი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. ხოლო შენ, მარხვისას ზეთი იცხე თავზე და პირი დაიბანე, რათა ადამიანებს კი არ ეჩვენო მარხულად, არამედ შენს მამას დაფარულში; და მამაშენი, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგაგებს შენ ცხადად (მათეს 6:16-18).

## მარხვის ისტორიული მაგალითები

ადრეული ეკლესიის ზოგიერთი მორწმუნე მარხულობდა ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს, ყოველწლიურად დაგეგმილ მარხვის დღეებთან ერთად. მარტინ ლუთერი, ჯონ კალვინი, ჯონ ნოქსი, ჯონათან ედვარდსი, ჩარლზ ფინი და დი.ელ. მუდი ხშირად მარხულობდნენ. ჯონ უესლი და ადრეული მეთოდისტები მარხვით იყვნენ ცნობილნი. მარადიული მნიშვნელობის ყოველი გამოღვიძება ლოცვითა და მარხვით იწყებოდა.

► ვის იცნობთ, ვინც მარხვით კარგ შედეგს მიაღწია?

## თანამედროვე ეკლესიის სისუსტეები

იესომ უსაყვედურა მოწაფეებს, რომ ისინი ურწმუნოების გამო ვერ დაეხმარნენ დემონით შეპყრობილ ადამიანს. შემდეგ მან თქვა: „ეს მოდგმა განიდევნება, თუ არა ლოცვითა და მარხვით” (მათეს 17:21). ის გულისხმობდა, რომ ლოცვა და მარხვა არის რწმენის მიღწევის საშუალება; და, მაშასადამე, ურწმუნოების წამალი. ის არ გულისხმობდა იმას, რომ მოწაფეებს მარხვა მხოლოდ კრიზისის დროს უნდა დაეწყოთ; ის გულისხმობდა, რომ რეგულარული ლოცვა და მარხვა მათი ცხოვრების ნაწილი უნდა ყოფილიყო, რათა მათ ჰქონოდათ საჭირო რწმენა კრიზისებთან გასამკლავებლად.

იესოს სიტყვებიდან და მარხვის უამრავი ბიბლიური და ისტორიული მაგალითიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გამოვსახოთ კურთხევები, რომლებიც ჩვენთვის ხელმისაწვდომია პირამიდის სახით, რომელიც იყოფა რამდენიმე დონეზე. კურთხევის ქვედა დონე შეიძლება მივიღოთ რწმენით, რომელსაც მხოლოდ ლოცვით მივაღწევთ. კურთხევის უმაღლესი დონე შეიძლება მივიღოთ მხოლოდ რწმენით, რომელიც მიიღწევა ერთობლივი ლოცვითა და მარხვით.



## როგორ ვიმარხულოთ სწორად

- შეუთავსეთ ლოცვა და მარხვა ისე, რომ მარხვა იყოს არა მხოლოდ გარეგნული მოქმედება, არამედ სულიერების განახლება და თქვენი რწმენის გაფართოება.
- იმარხულეთ ღმერთის განსადიდებლად და არა სიამაყისთვის და თავის წარმოსაჩენად.
- როდესაც ლოცულობთ და მარხულობთ, ეძიეთ ღვთის ნება თქვენს თხოვნასთან მიმართებაში.
- ნუ ჩაანაცვლებთ მარხვას მორჩილებით.
- ნუ დააზიანებთ საკუთარ ორგანიზმს.

► კლასმა უნდა განიხილოს ერთობლივი ლოცვისა და მარხვის აქტივობა.

## უვნებლად მარხვა

მარხვა არ არის საზიანო ჯანმრთელობისთვის, თუ ის სწორად არის წარმართული. სინამდვილეში, რეგულარულ მარხვას ბევრი სარგებელი მოაქვს ჯანმრთელობისთვის.

- დალიეთ წყალი მარხვის დროს. ნუ იმარხულებთ წყლის მიღების გარეშე.
- დაიწყეთ ერთდღიანი მარხვით. თანდათან გაზარდეთ უფრო ხანგრძლივ პერიოდებამდე. ერთი კვირა ნორმალურად იკვებეთ ერთ ან მეტ დღიან მარხვებს შორის.

გულისრევის ან თავის ტკივილის შემთხვევები ხშირია მათთვის, ვინც არ არის მიჩვეული მარხვას. თუ კარგი ჯანმრთელობის მქონე ადამიანი რეგულარულად მარხულობს, მას ეს სიმპტომები, როგორც წესი, არ ექნება. პირის ღრუში ცუდი გემო და უსიამოვნო სუნი გამოწვეულია იმით, რომ სხეული თავისუფლდება ტოქსიკური ნარჩენებისგან.

ხანგრძლივი მარხვის დროს, ბევრი არასასიამოვნო სიმპტომი წყდება რამდენიმე დღის შემდეგ.

- ხანგრძლივი მარხვა დაარღვიეთ წვენით, შემდეგ მსუბუქი საკვებით .

**დავალებები**

1. დაფიქრდით, რას გააკეთებთ თქვენი ლოცვითი პრაქტიკის განსავითარებლად. შეარჩიეთ დრო და მისი ხანგრძლივობა ყოველდღიური ლოცვისთვის. იფიქრეთ რეგულარული მარხვის დაგეგმვის შესახებ.
2. წაიკითხეთ ორი მონაკვეთი მარხვის შესახებ. თითოეულის შესახებ დაწერეთ მოზრდილი აბზაცი, სადაც ახსნით სიტუაციას და მარხვის შედეგს.

# გაკვეთილი 8
# იესოს მეთოდი

## შესავალი

► წაიკითხეთ მათეს 19:16-22. რამ გაგაკვირვათ ამ კაცისადმი იესოს პასუხში? თუ მოისმენდით, რომ მეგობარმა ასეთი პასუხი გასცა ადამიანს, რომელმაც იკითხა, როგორ მოვიპოვო მარადიული სიცოცხლე, რის ახსნას ისურვებდით თქვენი მეგობრისთვის?

## გაუგებარი საჩუქარი

წარმოიდგინეთ, რომ ჯანმრთელად ხართ, მაგრამ მეგობარი მოდის თქვენთან და ამბობს, რომ მან გარკვეული სასიკვდილო დაავადების საწინააღმდეგო წამალი იყიდა.[4] მის საყიდლად მან გაყიდა თავისი სახლი და ყველაფერი, რაც გააჩნდა. მან ეს წამალი თქვენთვის იყიდა.

► რას ეტყოდით თქვენს მეგობარს, როდესაც ამ საჩუქარს გაჩუქებდათ?

მადლობას გადაუხდიდით გულუხვობისთვის, მაგრამ ვერ გაიგებდით საჩუქარს. რატომ გაიღო ამდენი, რომ თქვენთვის ეყიდა ის, რაც არ გჭირდებათ?

ახლა წარმოიდგინეთ სხვა ამბავი. იყავით ექიმთან და აღმოჩნდა, რომ სასიკვდილო დაავადება გჭირთ. მკურნალობა ძალიან ძვირია და თქვენ არ გაქვთ საშუალება გადაიხადოთ. მიდიხართ სახლში და ფიქრობთ სიკვდილზე, ხვდებით, რომ თქვენი ოჯახი დაგკარგავთ და ვერასოდეს შეძლებთ იმის შეგრძნებას, რისი მიღების იმედიც გქონდათ ამ ცხოვრებისგან.

შემდეგ მოდის მეგობარი და გეუბნებათ, რომ მან ყველაფერი გაიღო, რომ წამალი ეყიდა თქვენთვის. თქვენ აფასებთ მას, რადგან პირველ რიგში გაიგეთ თქვენი საჭიროება. მისი საჩუქარი თქვენი სიცოცხლეა.

ახლა დაფიქრდით ქვეყნიერებაზე მყოფი ხალხის პასუხზე, როდესაც ისინი ისმენენ სახარებას. სიტყვა სახარება ნიშნავს "სასიხარულო ცნობას", მაგრამ ზევრს არ ესმის, რატომ არის ეს კარგი ამბავი.

წარმოიდგინეთ ადამიანი, სახელად პიერი. მისი მეგობარი ეუბნება მას: „იესო მოკვდა ჯვარზე და სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო, რათა შენი ცოდვები ყოფილიყო ნაპატიები."

---

[4] ამ გაკვეთილის მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია რეი კომფორტის ქადაგებიდან „ჯოჯოხეთის ყველაზე კარგად დაცული საიდუმლოება" და ამავე სახელწოდების წიგნიდან. მეტი მასალა ხელმისაწვდომია http://www.livingwaters.com-ზე.

პიერი ფიქრობს: „მე არ ვარ ცუდი ადამიანი. მე კეთილი ვარ ჩემი მეგობრებისა და ოჯახის მიმართ. რატომ იქნებოდა საჭირო ასეთი დიდი მსხვერპლი ჩემი ცოდვებისთვის? რატომ არის პატიება ასე მნიშვნელოვანი?" პიერი შეიძლება გაბრაზებულიყო კიდეც, რადგან მის მეგობარს მიაჩნია, რომ ის იმდენად ცუდი და ცოდვილია, რომ მას იესოს სიკვდილი დასჭირდებოდა მისი პატიებისთვის.

ბიბლია გვეუბნება, რომ ადამიანები განაწყენებულნი არიან ჯვარზე. ადამიანებს სურთ იპოვონ საკუთარი თავის გამართლების გზა. ისინი არ ფიქრობენ, რომ მათ იესოს მსხვერპლი სჭირდებათ, ამიტომ ჯვარი მათ სისულელედ ეჩვენებათ (1 კორინთელთა 1:18).

დაავადების განკურნების მაგალითის ილუსტრაციის მსგავსად, ადამიანები არ აფასებენ ჯვარს, რადგან არ ესმით, რატომ სჭირდებათ მათ ის.

ბიბლიური გზა, ხალხის კეთილი უწყებისთვის მოსამზადებლად არის იმის ჩვენება, თუ რატომ სჭირდებათ მათ ეს. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი არიან ცოდვილები, რომლებიც მალე განიკითხებიან ღმერთის მიერ.

► რატომ უნდა უხაროდეს ადამიანს სახარების მოსმენა?

### განკითხვის მნიშვნელობა

ის, რომ ცოდვილები განიკითხებიან და დაისჯებიან, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია ცოდვილისთვის, რომ უხაროდეს სახარების მოსმენა.

> ადამიანთათვის არის დადგენილი ერთხელ სიკვდილი და მერე გასამართლება (ებრაელთა 9:27).
>
> ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ განკითხვის დღეს (მათეს 12:36).

► წაიკითხეთ განკითხვის აღწერა გამოცხადების 20:12-15-ში.

ცოდვილთა მომავალი განკითხვა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ყველა ცოდვილს სჭირდება ხსნა.

ღმერთი ყველას მოუწოდებს, მოინანიონ: „რადგან მან დაადგინა დღე, როცა განიკითხავს ქვეყნიერებას სიმართლით" (საქმეების 17:30-31).

თუ ადამიანს არ ესმის მისი ცოდვის სერიოზულობა, მას აკლია ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი - გადარჩენის სურვილი.

► რა გააცნობიერებინებს ადამიანს, რომ მისი ცოდვა სერიოზულია?

## რჯულის გამოყენება

ბევრს არ აინტერესებს სახარება, რადგან თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ბიბლია ამბობს, რომ ადამიანების უმეტესობა თავს კარგ ადამიანად მიიჩნევს (იგავების 20:6). თუ ვინმეს ჰკითხავთ, არის თუ არა ის კარგი ადამიანი, ის დიდი ალბათობით იტყვის "დიახ" და მზად იქნება დაასაბუთოს ეს. ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რომ მათი ცოდვები არ არის ბოროტი და რომ ისინი მათ უნდა ეპატიოთ. ამ ადამიანებისთვის მადლისა და პატიების შეთავაზებას აზრი არ აქვს.

ადამიანმა უნდა დაინახოს თავი ცოდვილად და მხილებული იყოს თავისი სინდისის მიერ, სანამ დაინახავს, რომ მადლი სჭირდება. ღმერთმა მოგვცა რჯული ცოდვის გამოსააშკარავებლად.

ტერმინში „რჯული“ ჩვენ არ ვგულისხმობთ კონკრეტულად ძველი აღთქმის სარიტუალო მოთხოვნებს, რომლებიც ადგენდა ტაძარში ღვთისმსახურების წესს. არც ისეთ კანონებზეა ლაპარაკი, რომლებიც ისრაელის მთავრობას მიეცა, რომელიც ჩვენზე იგივენაირად არ ვრცელდება. ჩვენ ვსაუბრობთ ღვთის სამართლიანობის სტანდარტზე. მეფე დავითმა 118-ე ფსალმუნში დაწერა იმის შესახებ, რომ უყვარდა ღვთის რჯული ისევე, როგორც ღმერთი, რადგან ის მომდინარეობდა ღვთის წმიდა ხასიათიდან.

ღვთის რჯული გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და რომ ჩვენ დამნაშავენი ვართ მისდამი დაუმორჩილებლობის გამო. რჯულის დაცვით ვერავინ გამართლდება, (გალატელთა 2:16, რომაელთა 3:20). რადგან ყველამ შესცოდა. ადამიანი არასწორად იყენებს რჯულს, თუ ფიქრობს, რომ მასზე მიყოლით ხსნას მოიპოვებს.

ღვთის რჯული მიმართულებას აძლევს ჩვენს ცხოვრებას, (1 კორინთელთა 9:21). მაგრამ ის არ არის ჩვენი გადარჩენის საშუალება. რჯული ვერ მიგვიყვანდა ხსნამდე, რადგან დაბადებიდანვე არ გაგვაჩნია მისი მოთხოვნების სრულყოფილად დაკმაყოფილების უნარი (რომაელთა 8:3, გალატელთა 3:21).

რჯული არ ეწინააღმდეგება სახარებას ღვთის გეგმაში. ბიბლია გვეუბნება, რომ რჯული ემსახურება იმ მიზანს, რომ ცოდვილმა გააცნობიეროს მისი გადარჩენის საჭიროება. სახარებას არ გაუუქმებია რჯული (მათეს 5:17). და არც ჩვენთვის შეუსაბამო გაუხდია. რჯული ემსახურება სახარების სრულყოფილ მომზადებას არა მხოლოდ ძველ დროში, არამედ დღემდე.

„რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესკენ” (გალატელთა 3:24). ზოგი ფიქრობს, რომ იყო რჯულის პერიოდი, რომელიც დასრულდა და ახლა მადლის პერიოდია. საქმე იმაშია, რომ ყოველი ადამიანი უნდა შეხვდეს ღვთის რჯულს, რათა გააცნობიეროს, რომ ის

მსჯავრდებულია, სანამ მადლს გაითავისებს. პავლე მოციქულმა თქვა: „სხვანაირად არ შემიცვნია ცოდვა, თუ არა რჯულის მეშვეობით” (რომაელთა 7:7).

პავლემ თქვა, რომ რჯული იმისთვისაა მოცემული, რომ ცოდვილები გამოჩნდნენ დამნაშავეებად და გამართლების გარეშე; რადგან რჯულის მეშვეობით ხვდებიან ადამიანები, რომ ცოდვილები არიან (რომაელთა 3:19-20). ყოველი ადამიანი არის „რჯულის ქვეშ“ და მის მიერ მსჯავრდადებული, სანამ ხსნას მიიღებდეს.

სახარება არ არის კეთილი უწყება ადამიანისთვის, რომელმაც არ იცის, რომ მისი ცოდვა სერიოზულია. სახარება სასიხარულო ამბავია იმ ადამიანისთვის, რომელმაც იცის, რომ დამნაშავეა და მალე ღვთის სამსჯავროს წინაშე აღმოჩნდება.

► წაიკითხეთ ლუკას 18:10-14. ვინმეს ფარისევლისთვის რომ ეთქვა, რომ ღვთის მადლით უსასყიდლოდ შეძლებდა პატიების მიღებას, როგორ უპასუხებდა ის?

### თანამედროვე მახარებლობის შეცდომა

დღეს ბევრ მახარებელს არ მოსწონს იმაზე ხაზგასმა, რომ ყველა ადამიანი ცოდვილია და ამიტომ იმსახურებენ ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელს.

მათ არ სურთ ხალხს უთხრან, რომ ისინი ცუდები არიან.

მათ სურთ დადებითზე ისაუბრონ და არა უარყოფითზე.

მათ სურთ, შესთავაზონ გადარჩენის მყისიერი სარგებელი, ნაცვლად მარადიულისა, ვინაიდან ისინი ესაუბრებიან ადამიანებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ამქვეყნიურ საკითხებზე.

> „მობრუნება გულისხმობს წარსულთან კავშირის ისეთ სრულ გაწყვეტას, რომ ის მოიხსენიება სიკვდილის ტერმინით. ჩვენ ქრისტესთან ერთად ვეცვით ჯვარს. მისი ჯვრის მეშვეობით ჩვენ მოვუკვდით უღმერთო ქვეყნიერებას, მის მსოფლმხედველობასა და მისი სტანდარტებს.”
>
> - ლოზანის კომიტეტი მსოფლიო ევანგელიზაციისთვის, *უილოუბენქის ანგარიში*

ისინი გულისხმობენ, რომ ღვთის რჯული ცუდია, ხსნა კი მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ გადარჩნენ საქმეებით. ბიბლია ამბობს, რომ რჯული კეთილი და წმიდაა; (რომაელთა 7:12-14). ადამიანი, რომელსაც სურს აამოს ღმერთს, შეეცდება დაიცვას ღვთის მითითებები თავისი ცხოვრების გზაზე (ფსალმუნის 118:1-8).

ისინი გულისხმობენ, რომ ღვთის სტანდარტები შეუძლებელი და არაგონივრულია და რომ შენ არ ხარ დამნაშავე შენს ცოდვებში.

პრობლემა იმაშია, რომ თუკი ადამიანი სინამდვილეში არ არის დამნაშავე, მას სინამდვილეში არც მონანიება ესაჭიროება. მას არ შეუძლია ინანოს იმის გამო, რაც ჩაიდინა, თუ არ იცის, რომ მან არასწორი საქციელი აირჩია. თუ ადამიანს რეალურად თავი ცოდვილად არ მიაჩნია, როდესაც პატიებას ითხოვს, ის სინამდვილეში სთხოვს ღმერთს, რომ უბრალოდ მიიღოს მისი ადამიანური ნაკლოვანებები.

საქმე იმაშია, რომ ცოდვილებს არ სჯიან იმის გამო, რომ ცოდვილი ბუნებით არიან დაბადებულნი. ისინი მსჯავრდადებულნი არიან განზრახ ცოდვებისთვის და ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებისთვის (იუდას 15).

ბევრს სჯერა, რომ ღმერთი მოსიყვარულე და მპატიებელია, მაგრამ მათ არ ესმით, რომ ის ასევე სამართლიანი მოსამართლეა. მათ აქვთ მოლოდინი, რომ თუ ოდესმე შეხვდებიან ღმერთს, ის აპატიებს მათ, თუნდაც არასოდეს მოენანიებინათ. არასრულმა სახარებამ, რომელიც მათ მოისმინეს, უფრო კომფორტული გახადა მათი ცოდვებში დარჩენა.

ბევრი თანამედროვე მახარებელი აქცენტირებს იმაზე, რომ თუ ადამიანი გახდება ქრისტიანი, მას უფრო ბედნიერი ცხოვრება ექნება. ისინი ამბობენ, რომ ცოდვა არ აკმაყოფილებს, ხოლო ღმერთი კი აკმაყოფილებს. ისინი ამბობენ, რომ ადამიანი მიიღებს სიყვარულს, მშვიდობას და სიხარულს. ისინი ამბობენ, რომ ღმერთს აქვს შესანიშნავი გეგმა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში და ეს გეგმა შესრულდება, თუ ადამიანი გადარჩენას მიიღებს.

ეს დაპირებები შეიძლება არასწორად იქნას გაგებული. ღმერთი იძლევა სიყვარულს და მშვიდობას, მაგრამ იქმნება განხეთქილება ადამიანებთან, რომლებიც უარყოფენ ღმერთს (მათეს 10:34-36). ის სიხარულსაც იძლევა, მაგრამ ამავე დროს შეიძლება იყოს დევნაც (1 თესალონიკელთა 1:6). მას აქვს შესანიშნავი გეგმა თითოეული ადამიანისთვის, მაგრამ ქრისტიანს შეიძლება გადახდეს მძიმე სიტუაციები და ტრაგედიები (2 კორინთელთა 11:24-27). თუ ადამიანი გადაწყვეტს გახდეს ქრისტიანი, რადგან ფიქრობს, რომ მისი ცხოვრება უკეთესი გახდება, ის შეიძლება იმედგაცრუებული დარჩეს. ზოგიერთი ადამიანი სასტიკ ტანჯვებს განიცდის იმის გამო, რომ ის ქრისტიანია.

როგორც ქრისტიანებს, ჩვენ გვესმის, რომ ღმერთთან ცხოვრება მშვენიერია, მაშინაც კი, თუ მძიმე პირობები გვაქვს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთის მსახურება მშვენიერი ცხოვრებაა. თუმცა, დაუხსნელ ადამიანთა უმეტესობას არ აქვს სწორი წარმოდგენა, რა არის მშვენიერი ცხოვრება. თუ მშვენიერი ცხოვრების აღწერას სთხოვთ, ისინი დაასახელებენ ჯანმრთელობას, ფულს, თავისუფლებას, მშვიდობას და სხვა კარგ პირობებს. ისინი ვერ გაიგებენ, რომ დევნილ, ტანჯულ ქრისტიანს მშვენიერი ცხოვრება აქვს. ასე რომ, თუ ცოდვილს ეტყვით, რომ თუ ის ქრისტიანი გახდება, მშვენიერი ცხოვრება ექნება, ის ალბათ ვერ გაიგებს რას გულისხმობთ ამ დაპირებაში.

არის კიდევ ერთი პრობლემა სახარების არასწორ გაგებასთან დაკავშირებით. ადამიანმა შეიძლება მიიღოს უწყება ისე, რომ ვერ დაინახოს თავი ცოდვილად, რომელიც იმსახურებს სასჯელს. იმის გამო, რომ ვერ ხედავს ცოდვის სიმძიმეს, ის გულწრფელად არ ინანიებს. ის ცოდვისაგან ხსნას კი არ ეძებს, არამედ სხვა სარგებელს. მან შეიძლება იფიქროს, რომ გადარჩენილია, როცა სინამდვილეში არ არის.

ის გადარჩენის ნამდვილ სარგებელსაც კი ვერ იღებს თავისი ცხოვრებისთვის, რადგან ის დახსნილი არ არის. მისი რაღაცის კეთების მცდელობები ხანმოკლეა, შემდეგ კი ის იმედგაცრუებული ნებდება.

არასწორი სახარების ყველაზე ცუდი შედეგი იმაშია, რომ იმედგაცრუებული ადამიანი ნაკლებად იქნება მზადყოფნაში სახარების მომავალში მისაღებად.

მოკლედ, უკეთესი ცხოვრების სახარებასთან დაკავშირებული პრობლემებია

1. ის გვპირდება იმას, რასაც ღმერთი არ გვპირდება.
2. ის არასწორად არის აღქმული ცოდვილის მიერ.
3. ადამიანი შეიძლება არ იყოს სინამდვილეში მოქცეული.
4. ის ვერ მიიღებს იმ სარგებელს, რასაც ელის.
5. ის ნაკლებად იქნება მზადყოფნაში სახარების მომავალში მისაღებად.

► წაიკითხეთ საქმეების 14:21-23. რისი მოლოდინის შესახებ უთხრეს მოციქულებმა ახალმოქცეულებს?

იესომ გააფრთხილა თავისი მოწაფეები, რომ ადამიანები შეიძულებდნენ მათ ქრისტეს რწმენის გამო. მან უთხრა მათ, რომ ისინი ვერ მიიღებდნენ ხსნას, თუ ბოლომდე არ გაუძლებდნენ. სახარების სამმა ავტორმა დაწერა ეს სიტყვები (მათეს 10:22, მარკოზის 13:13, ლუკას 21:17). პირველი მოციქულების უმეტესობა მოკვდა ქრისტესთვის.

მილიონობით ქრისტიანი მოკლეს რწმენის გამო. ეს არ არის მხოლოდ ძველი დროის პრობლემა. ქრისტიანი მოწამეების ნახევარზე მეტი იქნა მოკლული მე-20 საუკუნეში.

თუ ადამიანი ხსნის დაპირების გამო მოექცევა, მარტივი ცხოვრების დაპირების გარეშე, ის არ დანებდება მძიმე ცხოვრების გამო. ის მზად იქნება გაუძლოს განსაცდელებს, მარადიული ხსნისთვის. განსაცდელები მის ხსნას კიდევ უფრო ძვირფასს ხდის.

► რატომ ითმენენ ქრისტიანები დევნას?

## სიყვარულის გამოვლენა

► წაიკითხეთ 2 ტიმოთეს 2:24-26. რას გვეუბნება ეს მუხლები მახარებლის მანერების შესახებ?

მახარებელი არ უნდა ჩანდეს ისე, რომ თითქოს ებრძვის იმ ადამიანებს, რომლებსაც ის ახარებს. სატანა მტერია, ცოდვილები კი სატანის ტყვეები არიან. სიმართლე თავაზიანად უნდა ავხსნათ. ჩვენი მიზანი მათი დახმარებაა და არა მათი კამათში დამარცხება. ამ მონაკვეთში გამოიყენება შემდეგი სიტყვები - შემწყნარე, მომთმენი და მშვიდი.

► წაიკითხეთ ტიტეს 3:2-5. რას ამბობს ეს მონაკვეთი მახარებლის საქციელზე?

უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის მადლის გარეშე, ჩვენ დავემსგავსებოდით ქვეყნიერულ ხალხს. ღმერთი ჩვენთან მოვიდა არა განკითხვით, არამედ სიკეთითა და სიყვარულით.

მახარებელი ცოდვილზე კი არ უნდა ბრაზდებოდეს, არამედ ცოდვაზე და სატანაზე. ის არ უნდა გამოიყურებოდეს მკაცრად. მას არ უნდა უხაროდეს მათი შეცდომების აღმოჩენა, არამედ უნდა ზრუნავდეს მათ გადარჩენაზე.

ჩვენ შევიმეცნეთ, რომ არ უნდა გამოვავლინოთ სიყვარული ცოდვილის მიმართ იმის დაპირებით, რასაც ღმერთი არ პირდება. ჩვენ არ უნდა გამოვავლინოთ თანაგრძნობა იმგვარად, თითქოს მათი ცხოვრების პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი მარადიული ბედი.

იესომ აღასრულა წინასწარმეტყველება, რომ მესია არ იქნებოდა მრისხანე, არამედ კეთილი და არ დაჩაგრავდა ცოდვით უკვე დაჭრილს (მათეს 12:19-20).

► რა გზებით შეგვიძლია გამოვავლინოთ ღვთის სიყვარული, როცა ვახარებთ?

**ბიბლიური მახარებლობა**

მახარებლობისადმი ბიბლიური მიდგომა არის ღვთის რჯულის გამოყენება, რათა მოამზადოს ხალხი სახარების მისაღებად. კანონი ამხელს ცოდვილებს და აჩვენებს, რომ ისინი განიკითხებიან, თუ პატიებას ვერ იპოვიან.

იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა, რომ ადამიანებმა უნდა მოინანიონ, რათა მოემზადონ უფლის მოსვლისთვის და თავი დააღწიონ განკითხვას (მათეს 3:1-12).

იესოს ბევრჯერ უქადაგია განკითხვისა და ჯოჯოხეთის შესახებ. მან მადლი შესთავაზა მათ, ვინც წუხდა ცოდვების გამო.

► წაიკითხეთ ლუკას 7:36-50. როგორი ადამიანისთვისაა შეთავაზებული პატიება?

ჩვენ ვერ ვნახავთ იესოს მსახურებაში იმას, რომ მას პატიება იმ ადამიანებისთვის შეეთავაზებინა, რომლებიც არ წუხდნენ თავიანთი ცოდვების გამო. ის აფრთხილებდა ხალხს განკითხვის შესახებ. უბედურების შემდეგ, როდესაც ბევრი ადამიანი დაიღუპა, იესომ ხალხს უთხრა, რომ ყველა დაიღუპებოდა, თუ არ მოინანიებდნენ (ლუკას 13:1-5).

იესომ მოყვა იგავი მებაჟესა და ფარისევლის შესახებ, რომლებიც საპირისპიროდ ლოცულობდნენ. მებაჟემ შეინანა და პატიება მიიღო. ფარისეველი თავის სიმართლის დამტკიცებას ცდილობდა. აზრი არ ექნებოდა ფარისევლისთვის პატიების მიცემას, რადგან მას არ მიაჩნდა, რომ ეს მას სჭირდებოდა.

პეტრე მოციქული ქადაგებდა მარადიული სიცოცხლის აღთქმას და მოუწოდებდა ხალხს მონანიებისკენ და პატიების მიღებისკენ (საქმეების 2:38, 3:19, 5:31).

სტეფანე, რომელიც უქადაგებდა ებრაელ მმართველებს, არ შეუთავაზებია მადლი, არამედ ამხილა ისინი ღვთის წინააღმდეგობის გაწევისა და მისი რჯულის დარღვევისთვის (საქმეების 7:51-53).

პავლე ქადაგებდა, რომ ადამიანებმა უნდა მოინანიონ, რადგან ღმერთი არ ამართლებს ცოდვას (საქმეების 17:30-31).

არ არის ურიგო იმაზე საუბარი, რომ ქრისტიანობას მოაქვს სიხარული და კურთხევა; მაგრამ მახარებელთა ძირითადი მეთოდი ბიბლიაში იყო ცოდვაში მხილების და მონანიების შესახებ ქადაგება, განკითხვისგან ხსნის შეთავაზება.

► წაიკითხეთ 2 კორინთელთა 5:11. რას იყენებდა მოციქული, მისი თქმით, დასარწმუნებლად?

► წაიკითხეთ საქმეების 24:25. რაზე ესაუბრა პავლე ფელიქსს? როგორ იმოქმედა ამან ფელიქსზე?

### ბიბლიური მახარებლობის მაგალითი

ანდრე ეკლესიაში მოწვევებს არიგებდა, როცა პიერს შეხვდა.

პიერი: მე არ მჭირდება ეკლესია.

ანდრე: ბიბლია ამბობს, რომ ყველა ადამიანი წარსდგება ღმერთის წინაშე, რათა განიკითხოს თავისი ცოდვებისთვის. გგონია ღმერთი მიგიღებს ისეთს როგორიც ხარ?

პიერი: დიახ, მე ასე ვფიქრობ.

ანდრე: კარგი ადამიანი ხარ?

პიერი: დიახ, ვფიქრობ, რომ ვარ.

ანდრე: შეიძლება ბევრ ადამიანთან შედარებით ხარ კარგი. შეიძლება კარგი ხარ მეგობრებისა და ოჯახისთვის. მაგრამ იცი რამე იმ სტანდარტის შესახებ, რომელსაც ღმერთი იყენებს?

ბიბლია გვაუწყებს, თუ როგორ განსჯის ღმერთი სწორსა და არასწორს. მაგალითად, მის ზოგიერთ წესს ათი მცნება ეწოდება. იცი ათი მცნება?

პიერი: ზოგიერთი მათგანი.

ანდრე: მაგალითად, ერთ მცნებაში ნათქვამია: „ნუ იქნები ცრუ მოწმე." ოდესმე გითქვამს ცხოვრებაში ისეთი რამ, რაც არ იყო სიმართლე?

პიერი: რა თქმა უნდა, ამას ყველა აკეთებს.

ანდრე: მაგრამ ტყუილი ღვთის მცნების დარღვევაა. კიდევ ერთი არის არ მოიპარო. ოდესმე რამე მოგიპარავს?

პიერი: მხოლოდ წვრილმანები, მაგრამ არასოდეს არავისთვის მიმიყენებია ზარალი ამ მოპარვით.

ანდრე: მაგრამ ღმერთი არ გვაძლევს იმის არჩევანს, რისი მოპარვა შეგვიძლია და რისი არა. მისი მცნებაა, რომ არ უნდა მოვიპაროთ. კიდევ ერთი მცნება,რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არასდროს გამოვიყენოთ ღვთის სახელი ამაოდ, არ წარმოვთქვათ ის პატივისცემის გარეშე და არ გამოვიყენოთ ის სალანძღავ სიტყვად.

(თითოეული მცნების გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ ყველა არ უნდა იქნას გამოყენებული ერთ საუბარში. ქვემოთ მოცემულია მაგალითები.)

- ღმერთი გვეუბნება, არ იმრუშო, ხოლო იესომ თქვა, რომ ქალის მიმართ გულისთქმა ნიშნავს მრუშობას შენს შინაგანში.
- ღმერთმა თქვა, არ კლა, იესომ კი თქვა, რომ ვინმეს სიძულვილი შენს გულში, იგივე მკვლელობაა.
- ღმერთი გვეუბნება, რომ წმიდადვყოთ მისი დღე. ყოველთვის წმიდადვყოფთ უფლის დღეს, ყოველ კვირას?
- ღმერთი გვეუბნება, არ ვინდომოთ ის, რაც სხვებს აქვთ, არ ვიფიქროთ, რომ რაღაცეები გაგვაბედნიერებს ღმერთის ნაცვლად.
- ღმერთი გვეუბნება, რომ არ გვყავდეს სხვა ღმერთი, არ დავუშვათ, რომ სხვა რამე იყოს ჩვენთვის მასზე მნიშვნელოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ არაფერს უნდა მივცეთ უფლება, ჩამოგვაშოროს ღმერთის მორჩილებას და თაყვანისცემას, როგორც ის ამას იმსახურებს.

(რამდენიმე მცნების გამოყენების შემდეგ, რათა დავანახოთ, რომ ცოდვილი დამნაშავეა, მივდივართ დასკვნამდე.)

ანდრე: ღმერთს დღეს რომ გაესამართლებინე,შენ ვერ გაივლიდი. შენ დამნაშავე იქნებოდი, მისი სტანდარტით. გინდა იცოდე როგორ მიიღო პატიება, რომ არ გეშინოდეს ღვთის განკითხვის?

(შემდეგ, მახარებელს შეუძლია სახარების გაზიარება და ცოდვილის მოწვევა სალოცად.)

► ორმა სტუდენტმა უნდა განასახიერონ ეს საუბარი, რომელშიც ერთი მათგანი წარადგენს სახარებას ათი მცნების გამოყენებით. ჯგუფს შეუძლია განიხილოს მათი წარმოდგენა. შემდეგ სტუდენტები უნდა დაიყონ წყვილებად და დაამუშაონ ეს წარმოდგენა.

► როგორ გავიგოთ, იყო თუ არა სახარების წარდგენა წარმატებული?

ცხადია, თუ ადამიანი ირჩევს მონანიებას და გადარჩენას სახარების ჩვენი წარდგენის შემდეგ, ჩვენ ვხვდებით, რომ ის წარმატებული იყო. მაგრამ ეს არ არის წარმატების ერთადერთი საზომი. ღმერთია პასუხისმგებელი ჭეშმარიტების მარცვლის ჩათესვაზე მსმენელის გულში. თუ თქვენ წარმოადგინეთ სახარება ისე, რომ მსმენელმა ის გაიგო, თქვენ შეასრულეთ ის რაღაც მნიშვნელოვანი, თუნდაც ამისი შედეგები ვერასოდეს ნახოთ. თუ მან იგრძნო თქვენი შეშფოთება და მისი დახმარების სურვილი, ეს ასევე კარგია. თუ ის გაბრაზდა და დაგცინათ, ეს არ ნიშნავს რომ თქვენ წარუმატებელი იყავით, მით უმეტეს, თუ ის სიმართლეზე გაბრაზდა. სახარების უწყება ადიდებს ღმერთს; როდესაც თქვენ აუწყებთ მას, წარმატებული ხართ რაღაც მნიშვნელოვანში.

## დავალება

*წარუდგინეთ სახარება მინიმუმ სამ ადამიანს ისე, როგორც ეს გააკეთა ანდრემ ამ გაკვეთილში. დაწერეთ აბზაცი, რომელიც აღწერს თითოეულ საუბარს. მოემზადეთ ამის შესახებ მომდევნო გაკვეთილზე მოსაყოლად.*

## მინიშნება კლასის ლიდერისთვის

ეს სახარების წარმოდგენის ეფექტური მეთოდია. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა ისწავლონ მისი გამოყენება. შემდეგ გაკვეთილზე მიეცით მათ დრო, რომ დაამოწმონ თავიანთი გამოცდილების შესახებ, როდესაც ისინი ცდილობდნენ სახარების გაზიარებას ამ მეთოდით. ამით გაამხნევონ და რჩევები მისცენ ერთმანეთს. შესაძლოა ღირდეს სესიის ამგვარად გატარება და შემდეგ გაკვეთილზე გადასასვლელად დალოდება.

# გაკვეთილი 9
# სახარების, როგორც ხიდის წარდგენა

## შესავალი

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: ამ გაკვეთილის დასაწყისში სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სახარების გაზიარების თავისი გამოცდილება, წინა გაკვეთილზე ნასწავლი მეთოდით. გახსოვდეთ, რომ სტუდენტებმა ერთმანეთი უნდა წაახალისონ. თითოეულმა სტუდენტმა, რომელიც აზიარებდა სახარებას, რაღაც მნიშვნელოვანს მიაღწია, მაშინაც კი, თუ მსმენელი დადებითად არ რეაგირებდა.*

*ამ გაკვეთილისთვის მომზადებისას აუცილებლად იქონიეთ დაფა ან დიდი ქაღალდი, დიაგრამის დემონსტრირებისთვის.*

> რაც გვინახავს და მოგვისმენია, გაუწყებთ, რომ თქვენც გქონდეთ მოზიარეობა ჩვენთან, ხოლო ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან (1 იოანეს 1:3).

► რა მიზეზი მოიყვანა მოციქულმა, სახარების გასაზიარებლად?

ჩვენ გამოვცადეთ, რას ნიშნავს ღმერთთან შეხვედრა და გადარჩენა, მასთან ურთიერთობის დაწყება. ჩვენ ასევე გვაქვს განსაკუთრებული ურთიერთობა იმ ხალხთან, ვინც ღმერთთან არიან ურთიერთობაში. როდესაც ჩვენ ვუზიარებთ სახარებას, ჩვენ ვიწვევთ ადამიანებს, რომ მოვიდნენ ღმერთთან და იმ ხალხთან, ვინც იცნობს მას.

## სახარების გადაცემა

სახარების ეს გადაცემა არის ლაკონური და დასამახსოვრებელი. ის იყენებს ნახატს, რომელიც დაამახსოვრდება ყველას, ვინც იხილავს მას. ის შეიძლება გადაცემულ იქნას ორ წუთში, ან გაფართოვდეს, მასში დისკუსიისა და ახსნის ჩართვით, თუ მსმენელი დაინტერესებულია.

არ არის აუცილებელი იყოთ გამოცდილი ფერმწერი. ნახატი მარტივია და მისი სიმარტივე ეხმარება მსმენელს მის დამახსოვრებაში.

ახლა ჩვენ გავივლით ნახაზის ეტაპებს თითოეული დახატული ნაწილის განმარტებითი ფორმულირებით.

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: წარადგინეთ პრეზენტაცია, სანამ სტუდენტები უყურებენ.* ***შეეცადეთ წარდგენაში არ მიამატოთ დამატებითი განმარტებები. ის მოკლე უნდა იყოს, რათა***

***სტუდენტებმა ადვილად ისწავლონ.*** *სტუდენტები არ უნდა ეცადონ ნახატის დახატვას, რადგან პირველად ხედავენ მას.*

*მეორედ წარდგენისას, სტუდენტებმა უნდა დახატონ ნახატის თითოეული ეტაპი, როგორც კლასის ლიდერი დახატავს მას საკმარისად დიდ ზედაპირზე, რათა კლასმა დაინახოს ის. შეეცადეთ არ მიამატოთ დამატებითი განმარტებები წარდგენაში. მეორედ წარდგენის შემდეგ კლასი უნდა გადავიდეს მომდევნო ნაწილში მოცემულ ახსნა-განმარტებაზე და შემდეგ კი ისევ წარდგენას დაუბრუნდეს.*

## რა უნდა ითქვას ნახატის თითოეული ნაწილის დროს

### ნაწილი 1

„ღმერთმა შექმნა თითოეული ადამიანი, რათა ყოფილიყვნენ მასთან ერთად და ეცხოვრათ კურთხეული ცხოვრებით. მას არ შეუქმნია პრობლემებითა და ტანჯვით სავსე ცხოვრება."

[დაწერეთ სიტყვა „ღმერთი" და დახატეთ ადამიანი.]



**ნაწილი 2**

„ადამიანი ცოდვის გამო განშორებულია ღმერთს. პირველმა ადამიანებმა შესცოდეს, აქედან გამომდინარე, მათში ყველამ შესცოდა ღვთის წინაშე."

[დახაზეთ განცალკევება და დაწერეთ სიტყვა „ცოდვა".]




**ნაწილი 3**

„ღმერთი მართალი მსაჯულია და ერთ დღეს ცოდვილებს მისჯილი ექნებათ მარადიულად ჯოჯოხეთში ყოფნა, თუ ისინი არ იპოვიან წყალობას და არ დაუბრუნდებიან ღმერთთან ურთიერთობას."

[დახატეთ ისარი და სიტყვა „ჯოჯოხეთი".]



**ნაწილი 4**

„ვერაფერი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ვერ დაგვაბრუნებს ღმერთთან და ვერ მოგვაპოვებინებს წყალობას - ვერც კარგი საქმეები, ვერც ეკლესიაში სიარული, ვერც რელიგიური წეს-ჩვეულებები, ვერც ფულის გაცემა....”

[დახატეთ ისრები ჩამონათვალის თითოეულ ელემენტის შესაბამისად.]




**ნაწილი 5**

„ჩვენ უიმედო მდგომარეობაში ვიქნებოდით, ღმერთს მასთან დასაბრუნებელი გზა რომ არ შეექმნა. იესო, ღვთის ძე, მოკვდა ჯვარზე მსხვერპლად, რათა ჩვენი ცოდვები მოგვტევებოდა. სამი დღის შემდეგ ის მკვდრეთით აღსდგა.”

[დახატეთ ჯვარი.]



**ნაწილი 6**

„მაგრამ საკმარისი არ არის უბრალოდ იცოდეთ ამის შესახებ. თითოეულმა ადამიანმა ინდივიდუალურად უნდა გააკეთოს არჩევანი, მიიღოს გადარჩენა და დაბრუნდეს ღმერთთან. ადამიანმა უნდა მოინანიოს, რაც ნიშნავს საკმარისად სინანულს ცოდვის გამო, რომ მზად იყოს მიატოვოს ის. ადამიანს, რომელიც ინანიებს, შეუძლია მიიღოს პატიება, ღვთისადმი ლოცვაში ამის თხოვნით.”

[დახატეთ ისარი და დაწერეთ სიტყვები „მონანიება“ და „მიღება“.]




**ნაწილი 7**

„როგორ ფიქრობთ, სად ხართ ამ დიაგრამაზე? იყო თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც მოინანიეთ ცოდვები, მიიღეთ ღვთისგან პატიება და დაიწყეთ ღმერთისთვის ცხოვრება; თუ, კვლავ დაშორებული ხართ მას თქვენი ცოდვების გამო?"

(დაელოდე პასუხს. ბევრი ადამიანი აღიარებს, რომ ჯერ კიდევ განშორებულია ღმერთს.)

„მზად ხართ გადადგათ ეს ნაბიჯი - მოინანიოთ, მიიღოთ პატიება და დაიწყოთ ღმერთისთვის ცხოვრება? სიამოვნებით ვილოცებდი თქვენთან ერთად ახლავე."

(ილოცეთ დაახლოებით ამის მსგავსად.)

„უფალო, ვიცი, რომ ცოდვილი ვარ და მარადიულ სასჯელს ვიმსახურებ. მე ვწუხვარ ჩემი ცოდვების გამო და მზად ვარ მივატოვო ისინი. გთხოვ, მაპატიო, არა იმიტომ, რომ მე ამას ვიმსახურებ, არამედ იმიტომ, რომ იესო მოკვდა ჩემთვის. მადლობა გადარჩენისთვის. ამიერიდან შენთვის ვიცხოვრებ."

*მას შემდეგ, რაც კლასის ლიდერმა მოახდინა წარდგენის დემონსტრირება, კლასმა უნდა მისცეს პრეზენტაციის ნაწილების შემდეგი განმარტებები.*

## განმარტებები

**ნაწილი 1**

წარდგენის დასაწყისი შეიძლება მორგებული იყოს მსმენელისადმი მისამართად. „პრობლემებითა და ტანჯვით სავსე ცხოვრების“ ნაცვლად, მახარებელს შეუძლია ახსენოს რაღაც უფრო კონკრეტული, რაც მსმენელის გამოცდილებას შეესაბამება.

**ნაწილი 2**

მნიშვნელოვანია, რომ მსმენელმა გააცნობიეროს, რომ ის პირადად არის დამნაშავე ცოდვაში და განშორებულია ღმერთს. ის არ არის უბრალოდ ისეთ სიტუაციაში, რომელიც წარმოიშვა ადამის ცოდვის გამო.

**ნაწილი 3**

ეს გვიჩვენებს ცოდვილის მდგომარეობის ყველაზე სერიოზულ ასპექტს.

**ნაწილი 4**

ამ ნაწილის მიზანია აჩვენოს მსმენელს, რომ არ უნდა დაეყრდნოს რაიმე არასწორს, გადარჩენის მისაღებად. ეს ნაწილი შეიძლება მოერგოს მსმენელის საჭიროებებს. მახარებელი უნდა ეცადოს დაასახელოს ის, რასაც მსმენელი სავარაუდოდ ენდობა.

**ნაწილი 5**

გამოსყიდვის ახსნის უმარტივესი გზაა ვთქვათ, რომ „იესო ჯვარზე მოკვდა მსხვერპლად, რათა ჩვენ ცოდვები მოგვტევებოდა.” ამ ნაწილის მიზანია დაეხმაროს მსმენელს გააცნობიეროს, რომ ის დამოკიდებული უნდა იყოს ხსნაზე, რომელიც ღმერთმა უზრუნველყო.

**ნაწილი 6**

მახარებელი ცდილობს მსმენელი გადაწყვეტილების მომენტამდე მიიყვანოს. მსმენელმა უნდა გააცნობიეროს, რომ მან უნდა გააკეთოს ინდივიდუალური არჩევანი. მან უნდა იცოდეს მონანიების სწორი განმარტება, ამიტომ მან იცის, რომ მონანიება სინანულზე მეტია და იმაზე მეტი, ვიდრე უბრალოდ იმის თქმა, რომ წუხს ამის გამო. მისთვის აუცილებელია იცოდეს, რომ უნდა ილოცოს, რომ ღმერთს პატიება სთხოვოს.

**ნაწილი 7**

ამ დროს მახარებელი ცდილობს მიიყვანოს მსმენელი იმის აღიარებამდე, რომ მას ესაჭიროება გადარჩენა. წარდგენა შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს დაუხსნელ ადამიანს გააცნობიეროს, რომ ის არ არის გადარჩენილი. საკითხი შემუშავებულია დიდი სიფრთხილით. ბევრი ფიქრობს, რომ ყოველდღიურად უნდა ითხოვოს პატიება, სანამ ისინი აგრძელებენ ცოდვაში ცხოვრებას. საკითხი ეხება განსაკუთრებულ დროს, როდესაც ადამიანი გადარჩენას ღებულობს და იწყება ახალი ცხოვრება. მან უნდა გააცნობიეროს, რომ თუ მას არ განუცდია მობრუნება, ის მაინც დაშორებულია ღმერთს, მისი ცოდვების გამო. შემდეგ მახარებელმა უნდა შესთავაზოს, მასთან ერთად გადარჩენისთვის ლოცვა.

თუ მსმენელი ვერ იაზრებს, რომ აქვს საჭიროება, ან არ არის მზად მონანიებისთვის, მახარებელმა არ უნდა უბიძგოს მას ლოცვისკენ. თუ ის ლოცულობს ჭეშმარიტი მონანიებისა და მოქცევის გარეშე, მას შეიძლება ჰქონდეს ცრუ გარანტია ხსნის შესახებ ან შეიძლება დაიჯეროს, რომ მოქცევა მისთვის შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი გადარჩენა მოგვიანებითაც კი, ნაკლებად სავარაუდოა.

ნახატი შეიძლება სწრაფად იყოს წარმოდგენილი. თუ თქვენ გაქვთ შესაძლებლობა გააზიაროთ სახარება, შეგიძლიათ უბრალოდ იკითხოთ: „შემიძლია თქვენი დროის ორი წუთი დავიკავო, რომ გაჩვენოთ სურათი, რომელიც ასახავს იმას, თუ რას ამბობს ბიბლია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიგოთ დანამდვილებით, გადარჩენილი ხართ, თუ არა?" ამით პიროვნება გაიგებს, რომ თქვენ არ აპირებთ მას დიდი დრო წაართვათ. თუ ის დაინტერესდება და ისურვებს ამაზე საუბარს, მაშინ შეგიძლიათ მეტი დრო დაუთმოთ.

ჩვეულებრივ, ადამიანები ინტერესდებიან ნახატით. ხშირად ადამიანი ითხოვს ნახატის დატოვებას, მას შემდეგ, რაც მახარებელი დაასრულებს წარდგენას.

**მინიშნება კლასის ლიდერისთვის**

*აღნიშნული წარდგენა რამდენჯერმე აჩვენეთ. მოერიდეთ წარდგენაში დამატებითი კომენტარების ან ახსნა-განმარტების ჩასმას, რადგან სტუდენტები უფრო ადვილად ისწავლიან, თუ ის მოკლე იქნება. რამოდენიმეჯერ ჩვენების შემდეგ, სხვადასხვა სტუდენტს შეუძლია მორიგეობით წარადგინოს პრეზენტაცია ჯგუფში, ხოლო ჯგუფის წევრები დაეხმარებიან მათ დეტალების გახსენებაში. შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ წყვილებად დაყოფა და წარდგენის პრაქტიკაში გატარება ერთმანეთთან.*

## დავალებები

1. წარუდგინეთ სახარება ხიდის სქემით მინიმუმ სამ ურწმუნოს. დაწერეთ აბზაცი, რომელიც აღწერს თითოეულ გამოცდილებას და მოემზადეთ ამის შესახებ მომდევნო გაკვეთილზე გასაზიარებლად.
2. შემდეგი გაკვეთილისთვის მომზადებისას წაიკითხეთ და ჩაუკვირდით რომაელთა 1-3, რომაელთა მე-5 და რომაელთა მე-10 თავებს.

# გაკვეთილი 10
# რომაული გზა

### მინიშნება კლასის ლიდერისთვის

*სთხოვეთ სტუდენტებს მოყვნენ მათი ხიდის დიაგრამის გამოყენებით სახარების წარდგენის შესახებ.*

### რომაელთა მიმართ წერილის შესავალი

პავლე აპირებდა რომში გამგზავრებას. მას სურდა იქ ექადაგა სახარება, (რომაელთა 1:15). გაეძლიერებინა მორწმუნეები, (რომაელთა 1:11-12). და მიეღო რომის ეკლესიის მხარდაჭერა ესპანეთში მისიონერული მოგზაურობისთვის (რომაელთა 15:24).

რომაელთა მიმართ წერილის მიზანი იყო რომაელ მორწმუნეებს პავლესა და მისი ხსნის თეოლოგიის გაცნობა. წერილში ნაჩვენებია მსოფლიო მისიონერული მოღვაწეობის საფუძველი ხსნის თეოლოგიის ახსნით.

პავლე გეგმავდა რომის ეკლესიის გამოყენებას მისიონერული საქმიანობის დასაყრდენად ესპანეთში, რომელიც იყო უძველესი რომაული კოლონია დასავლეთში და რომაული ცივილიზაციის ცენტრი მსოფლიოს ამ ნაწილში.

პავლეს ვიზიტი რომში არ განხორციელებულა ისე, როგორც მან დაგეგმა. ის იერუსალიმში დააპატიმრეს. როდესაც მიხვდა, რომ სამართლიანობას ვერ მიაღწევდა, კეისრის სამსჯავრო მოითხოვა. სახიფათო მგზავრობის შემდეგ, რომლის დროსაც მოხდა გემის მსხვრევა, ის ახ.წ. 60 წელს რომში ჩავიდა როგორც პატიმარი. მიუხედავად იმისა, რომ ის შეზღუდული იყო, მას თავისუფლად შეეძლო სტუმრების მიღება; ასევე მას ჰქონდა მსახურება, რომელიც მთელ ქალაქში ვრცელდებოდა (საქმეების 28:30-31). პავლემ თქვა, რომ მოვლენები მიზნად ისახავდა „სახარების გავრცელებას" (ფილიპელთა 1:12). კეისრის ოჯახშიც კი იყვნენ მოქცეულნი. ორი წლის შემდეგ მოხდა მისი გათავისუფლება. გაემგზავრა თუ არა ის ესპანეთში, უცნობია.

არსებობს რამდენიმე კითხვა, რომელიც ბუნებრივად წარმოიქმნებოდა პავლეს თხოვნის საპასუხოდ, რომ დახმარებოდნენ მისიონერული მოგზაურობის დაწყებაში. ზოგიერთს შეიძლება ეკითხა: „რატომ უნდა წახვიდე შენ?" პავლემ თავისი წერილი დაიწყო მახარებლობის საქმისადმი მისი ერთგულების ხსენებით (რომაელთა 1:1). მოგვიანებით მან განმარტა თავისი განსაკუთრებული მოწოდება და წარმატება, როგორც წარმართთა მოციქულის (რომაელთა 15:15-20).

კიდევ ერთი შესაძლო კითხვაა: „რატომ სჭირდება ყველას სახარების მოსმენა? შეიძლება არ არის საჭირო ამ გზავნილის ყველგან გავრცელება." პავლემ ახსნა სახარების პოტენციალი კაცობრიობისთვის მთელ მსოფლიოში (რომაელთა 1:14, 16; რომაელთა 10:12). და მისიონერული სამუშაოს გადაუდებელი აუცილებლობა (რომაელთა 10:14-15). მან აჩვენა, რომ გზავნილი ეხება ყველა ადამიანს მსოფლიოში და რომ ყველა ადამიანს უკიდურესად სჭირდება მისი მოსმენა.

## რომაელთა მიმართ წერილი იმ დროიდან დღემდე

წერილი ჯერ კიდევ ემსახურება თავის თავდაპირველ მიზანს - საფუძვლად დასდებოდა მისიონერულ მოღვაწეობას. თუმცა, ის უფრო მეტს აკეთებს. როგორც პავლემ განმარტა, რატომ სჭირდება ყველას კეთილი უწყების მოსმენა, მან განმარტა რა გზავნილია ეს და რატომ არის შესაძლებელი ადამიანების გადარჩენა მხოლოდ ამ გზით. მან უპასუხა ზოგიერთ გავრცელებულ წინააღმდეგობას. მის მიერ ნაქადაგები გზავნილის ეს განმარტება და დაცვა იკავებს წიგნის უმეტეს ნაწილს და უზრუნველყოფს მის სტრუქტურას.

რაც გვაქვს რომაელთა მიმართ მიწერილ წერილში, არის ხსნის თეოლოგიის ახსნა. პავლეს ხსნის თეოლოგია, რომელსაც ის იცავდა წერილში, უზრუნველყოფს იუდეველებისგან უშუალო დაცვას; და ის ასევე ემსახურება სოტერიოლოგიაში (ხსნის მოძღვრებებში) თანამედროვე შეცდომების გამოსწორებას.

უილიამ ტინდეილმა, რომაელთა წერილის, მის მიერ დაწერილ შესავალში თქვა: „პავლეს განზრახვა იყო ამ ეპისტოლეში მოკლედ გადმოეცა ქრისტეს სახარების მთელი ცოდნა და მოემზადებინა შესავალი მთელი ძველი აღთქმისთვის."[5]

ისტორიის მანძილზე ღმერთი იყენებდა რომაელთა მიმართ წერილს, რათა აღედგინა ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები, როდესაც ისინი დავიწყებული იყო.

386 წელს ავგუსტინემ გადაწყვიტა შეეცვალა თავისი ცოდვილი ცხოვრება, რომაელთა 13:13-14 წაკითხვის შემდეგ.

1515 წელს მარტინ ლუთერმა გააცნობიერა რომაელთა 1:17-ის მნიშვნელობა. მან დაინახა, რომ ვისაც აქვს გადამრჩენელი რწმენა, განთავისუფლდება ღვთის სამსჯავროდან. ამან მას საფუძველი მისცა გადარჩენის გარანტიისთვის, რომელსაც ის დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა. ეს გახდა მისი გზავნილის საფუძველი, რომ მხოლოდ რწმენა არის ჩვენი გადარჩენის გზა.

[5] William Tyndale, "Prologue to Romans," *English New Testament*, 1534.

1738 წელს ჯონ უესლიმ იპოვა პირადი ხსნის გარანტია, რომელსაც წლების განმავლობაში ეძებდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ის იმყოფებოდა შეხვედრაზე სხვა ახალგაზრდებთან, რომლებიც რეგულარულად იკრიბებოდნენ, რათა შეესწავლათ, როგორ მიჰყოლოდნენ ბიბლიურ ქრისტიანობას. სანამ ვიღაც კითხულობდა ლუთერის წინასიტყვაობას რომაელთა წერილისადმი, უესლიმ იგრძნო, რომ გული „უცნაურად გაუთბა." „ვგრძნობდი, რომ ვენდობოდი ქრისტეს, მხოლოდ ქრისტეს, ჩემი გადარჩენისთვის: და დამარწმუნა, რომ მან განმაშორა ჩემი ცოდვები, საკუთრივ ჩემი და მიხსნა ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან."[6]

ამ სამივე პიროვნებისთვის რომაელთა წერილის გზავნილის გაგება იყო გულმოდგინე მახარებლობის მოტივაცია. წერილი ჯერ კიდევ ასრულებს თავის დანიშნულებას, რათა უზრუნველყოს მისიების საფუძველი ხსნის თეოლოგიის ახსნით.

**მთელი რომაელთა წერილი არის რომაელთა 1:16-18 - ში მოყვანილი მოწმობების ახსნა.**

ყველაფერს 1-14 მუხლებში მივყავართ მე-15 მუხლში მოცემულ განცხადებასთან, სადაც პავლემ თქვა: „მზად ვარ სახარების საქადაგებლად." 16-18 მუხლები მოკლედ განმარტავს რა არის სახარება და რატომ სჭირდება ის ყველას. სახარება არის გზავნილი, რომ ცოდვილები შეიძლება გამართლდნენ რწმენით. მიზეზი, რის გამოც ყველას სჭირდება ეს გზავნილი, არის ის, რომ ისინი ღვთის რისხვის ქვეშ იმყოფებიან.

> „ამ ეპისტოლეს ზოგადი მიზანია გამოაქვეყნოს ღვთის მარადიული, უცვლელი განზრახვა ან განკარგულება, რომელიც წარმოდგება: „ვინც ირწმუნებს გადარჩება; ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება.'"
>
> - ჯონ უესლი

**რომაელთა წერილის უპირველესი მიზნის განმარტების კიდევ ერთი გზა ის არის, რომ ეს სახარების ახსნაა, რომელიც დაფუძნებულია ღვთის განკარგულებაზე, რომ ვინც ირწმუნებს გადარჩება და ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება.**

წიგნის კულმინაცია მოდის რომაელთა 10:13-15-ში, სადაც პავლე განმარტავს, თუ რატომ სჭირდებათ მაცნეებს სასწრაფოდ მიიღონ სახარება. ადამიანები რწმენით გადარჩებიან, მაგრამ ვერ ირწმუნებენ, სანამ არ მოისმენენ.

## სახარების წარდგენა რომაელთა მიმართ წერილიდან

სახარების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ რომაელთა წერილის მუხლების გამოყენებით. სახარების ამ წარდგენას ზოგჯერ უწოდებენ „რომაულ გზას."

[6] John Wesley, *The Works of John Wesley*, (Kansas City: Nazarene Publishing House, n.d.), 103.

თითოეული მითითების ახსნა-განმარტების პირველი წინადადება ყველაზე მნიშვნელოვანია დასამახსოვრებლად.

**რომაელთა 3:23**

„ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას."

**ყველა ადამიანმა შესცოდა, ჩაიდინა რა ისეთი რამ, რაც იცის, რომ არასწორია.**

ეს მუხლი გვიჩვენებს რეალურ პრობლემას, რომელიც ადამიანებს აქვთ. ისინი არ დაემორჩილნენ ღმერთს; ისინი განზრახ არ დაემორჩილნენ ღმერთს. არც ერთი ადამიანი არ არის გამონაკლისი. არც ერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს მიღებული ღმერთის მიერ იმის საფუძველზე, რომ ის ყოველთვის სწორად იქცეოდა.

ამ მომენტის შემდგომი ხაზგასმისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ რომაელთა 3:10 („არავინ არის მართალი") და რომაელთა 5:12 („სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა").

**რომაელთა 6:23**

„ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის საჩუქარი - მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში."

**ცოდვილებმა მარადიული სიკვდილი დაიმსახურეს, მაგრამ ღმერთი მარადიულ სიცოცხლეს ჩუქნის იესოს მეშვეობით.**

ეს მუხლი გვიჩვენებს, რატომ არის ცოდვა ასე სერიოზული. ცოდვის გამო სიკვდილით დასჯა ყველა ადამიანს ეკისრება. ეს არის მარადიული სიკვდილი, ღვთის განაჩენი, რომელსაც ყველა ცოდვილი იმსახურებს.

ჩვენ მიერ დამსახურებული სიკვდილისგან განსხვავებით, ღმერთი გვთავაზობს სიცოცხლეს, რასაც ჩვენ არ დაგვიმსახურებია.

**რომაელთა 5:8**

„ღმერთი კი იმით გვიჩვენებს თავის სიყვარულს ჩვენდამი, რომ ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით, როცა ქრისტე მოკვდა ჩვენთვის."

**ღვთის საჩუქარი მოცემულ იქნა ქრისტეს სიკვდილით, ჩვენთვის.**

ღმერთს არ სურდა, რომ ჩვენ მიგვეღო სასჯელი, რომელსაც ვიმსახურებდით. იმის გამო, რომ მას ვუყვარვართ, მან მოგვცა საშუალება, მიგვეღო წყალობა. იესო მოკვდა მსხვერპლად, რათა ჩვენ მოგვტევებოდა. ღმერთი არ დაელოდა ჩვენგან რაიმე მოქმედებას, რათა

დაგვემსახურებინა ხსნა - ის ჩვენთან მოვიდა, მაშინ როდესაც "ჩვენ ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით." ხსნა შეთავაზებულია არა კეთილი ადამიანებისთვის, არამედ ცოდვილებისთვის.

რომაელთა 10:9

„თუ აღიარებ... და ირწმუნებ... გადარჩები."

**გადარჩენისთვის ერთადერთი მოთხოვნაა, რომ ცოდვილმა აღიაროს, რომ ცოდვილია და ირწმუნოს ღვთის დაპირება პატიების შესახებ იესოს სიკვდილისა და აღდგომის მეშვეობით.**

რაც შეეხება მონანიებას. თუ ადამიანი აღიარებს, რომ არასწორად მოიქცა და პატიება უნდა, ის გულისხმობს, რომ მზადაა ცოდვების მისატოვებლად.

რომაელთა 10:13

„ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება."

**ხსნის შეთავაზება თითოეული ადამიანისთვის არის.**

არავინ არის გამორიცხული. სხვა კვალიფიკაცია არ არსებობს.

რომაელთა 5:1

„რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან."

**ღვთის აღთქმის რწმენა გვაქცევს ღმერთის მეგობრებად და აღარ ჩავითვლებით დამნაშავედ.**

ღმერთთან მშვიდობა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აღარ ვართ მისი მტრები; ჩვენ შევრიგდით. ცოდვა, რომელმაც დაგვაშორა ღმერთს, ჩამოშორებულია. გამართლება ნიშნავს უდანაშაულოდ ჩათვლას. რწმენით გამართლება ნიშნავს, რომ ღვთის აღთქმის რწმენაა, ის რაც აუცილებელია ჩვენი პატიებისთვის.

რომაელთა 8:1

„ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, ვინც ქრისტე იესოშია."

**რადგან ჩვენ ვართ დაკავშირებული ქრისტესთან, ჩვენ აღარ ვართ დადანაშაულებულნი ჩადენილ ცოდვებისთვის.**

ქრისტე უცოდველი ცხოვრებით ცხოვრობდა და ჯვარზე სიკვდილით სამართლიანობის მოთხოვნა აღასრულა. რწმენით ვაღიარებთ მას და მიღებულნი ვართ მამა ღმერთის მიერ. ღმერთი ისე გვეპყრობა, როგორც, თითქოს ცოდვა არასდროს ჩაგვიდენია.

## დასკვნა

აუხსენით, რომ ცოდვილი შეიძლება გადარჩეს ღვთისადმი ლოცვით, იმის აღიარებით, რომ ცოდვილია და პატიების თხოვნით, იესოს მსხვერპლიანი სიკვდილისა და აღდგომის საფუძველზე.

## სწავლისა და პრაქტიკისთვის

ამ მეთოდის სწავლისა და პრაქტიკის საუკეთესო გზაა პირველ რიგში მონიშნოთ ყოველი მუხლი, რომელიც გამოიყენება რომაელებში, შემოხაზვით ან ხაზგასმით. შემდეგ თითოეულს გვერდით დაუსვით რიცხვი, რომელიც აჩვენებს მისი გამოყენების თანმიმდევრობას. მაგალითად: მუხლს, რომელიც უნდა გამოიყენოთ პირველი, დაუსვით რიცხვი 1.

ივარჯიშეთ სახარების წარდგენაში. წაიკითხეთ თითოეული მუხლი და მოაყოლეთ ახსნა, რაც მას თან ახლავს. დარწმუნდით, რომ შეიტანეთ ცნებები, რომლებიც მოცემულია პირველ წინადადებაში ყოველი მუხლის შემდეგ. დაამატეთ ნებისმიერი ახსნა, რომელიც საჭიროა, გამოიყენეთ სხვა წინადადებები, თუ ისინი სასარგებლოა. არ არის აუცილებელი ამ გაკვეთილში მოცემული ზუსტი სიტყვების გამოყენება.

ივარჯიშეთ მანამ, სანამ ამის გაკეთებას არ შეძლებთ, მხოლოდ ბიბლიაზე დაყრდნობით, სხვა ყველაფრის გარეშე.

*მინიშნება კლასის ლიდერისთვის: ორმა ან სამმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს რომაული გზის გამოყენება ჯგუფისთვის. ჯგუფმა უნდა განიხილოს წარდგენის გაუმჯობესების გზები. შემდეგ სტუდენტები უნდა დაიყონ წყვილებად სავარჯიშოდ. თითოეულმა სტუდენტმა უნდა გააკეთოს წარდგენა ორჯერ, სხვადასხვა მსმენელისთვის.*

**დავალებები**

1. რომაული გზის გამოყენებით, წარუდგინეთ სახარება მინიმუმ სამ ადამიანს. დაწერეთ აბზაცი თითოეული საუბრის შესახებ და მოემზადეთ მოსაყოლად ამის შესახებ, როდესაც მიხვალთ მომდევნო გაკვეთილზე.
2. მზად იყავით დაწეროთ დამახსოვრებულიდან (მხოლოდ თქვენი ბიბლიის გამოყენებით) რომაული გზის შესახებ მონაკვეთები წმიდა წერილიდან და მინიმუმ ერთი წინადადება თითოეულის ახსნა-განმარტებით, მომდევნო გაკვეთილისთვის.
3. შემდეგი გაკვეთილი ეხება მახარებლურ ქადაგებას. ამ გაკვეთილისთვის მოსამზადებლად ჩაწერეთ მახარებლური ქადაგების მონახაზი ან შეჯამება, რომელიც თქვენ გიქადაგიათ, გსმენიათ ან გსურთ განავითაროთ. წაიღეთ ის შემდეგ გაკვეთილზე.

## ტესტი

დაწერეთ მინიშნებები წმიდა წერილებისთვის, რომლებიც გამოიყენება რომაული გზით სახარების ქადაგებაში. მითითების ქვემოთ დაწერეთ ახსნა-განმარტების მინიმუმ ერთი წინადადება. მუხლები არ გადმოიწეროთ.

(1) რომაელთა _______

(2) რომაელთა _______

(3) რომაელთა _______

(4) რომაელთა _______

(5) რომაელთა _______

(6) რომაელთა _______

(7) რომაელთა _______

# გაკვეთილი 11
# მახარებლური ქადაგება

## შესავალი

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 1:17-25. როგორი მეთოდი აქვს ღმერთს დაკარგულის გადასარჩენად?

ებრაელები ეძებდნენ ძალას თავიანთი ერის გადასარჩენად. მათ სურდათ ძალაუფლების გზავნილი თავისი ნიშნებით, რათა დაემტკიცებინათ, რომ ის იმუშავებდა.

წარმართებს სურდათ სიბრძნე ამ ცხოვრების გასაგებად და ქვეყნიერებაზე წარმატებისთვის. მათ უნდოდათ გზავნილი, რომელიც ახსნიდა, თუ როგორ მიეღოთ ის, რაც სურდათ.

ჯვარი გამოხატავდა ღმერთზე მინდობას და მსხვერპლს. ებრაელებმა, რომლებსაც სურდათ ძალა, ეს სისუსტედ მიიჩნიეს. წარმართებმა, რომლებსაც სურდათ ამქვეყნიური სიბრძნე, ეს სისულელედ მიიჩნიეს. სინამდვილეში, ღვთის ძალა და სიბრძნე გამოვლინდა ქრისტეს სიკვდილში. ჯვარი ღვთის სისუსტედ და სისულელედ შეიძლება მიიჩნიო, მაგრამ ის უფრო დიდი იყო, ვიდრე ადამიანთა ყველა ძალისხმევა.

სახარების გზავნილი ეწინააღმდეგება კაცობრიობის ბუნებრივ, ცოდვილ სურვილებს. ის მოწოდებაა მონანიებისა და ღვთის მორჩილებისკენ. ის შესაძლოა მიიჩნიოთ სულელურ გზავნილად, რადგან ადამიანებს უნდათ იმის გაგება, თუ როგორ მიიღონ ის, რაც სურთ.

ღმერთმა აირჩია სახარების გამოყენება ხალხის გადასარჩენად. მან მორწმუნეებს ურთიერთობის დავალება მისცა. სიტყვა ქადაგება არ ეხება მხოლოდ ადამიანებს, რომლებიც ესაუბრებიან ხალხს, არამედ სახარების გადაცემას სხვადასხვა ფორმით. ამ მონაკვეთის აზრი არ მდგომარეობს იმაში, რომ საჯარო ქადაგება არის ღვთის რჩეული მეთოდი. საქმე იმაშია, რომ სახარებაა ღვთის მეთოდი.

► რას ნიშნავს ამ მონაკვეთში ნათქვამი სიტყვები, რომ ჯვრის შესახებ ქადაგება სისულელეა მათთვის, ვისაც არ სწამს?

## მახარებლური ქადაგების განსაზღვრება

სიტყვა „ქადაგება“ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართო გაგებით, ღვთის სიტყვის გადაცემის სხვადასხვა ფორმების გამოსახატად. თუმცა, ამ გაკვეთილზე ჩვენ გამოვიყენებთ სიტყვას

„ქადაგება" მისი ჩვეულებრივი გაგებით: იმ ადამიანის განსასაზღვრად, რომელიც ლაპარაკობს ღვთის სიტყვას შეკრებილ ხალხთან.

მახარებლური ქადაგებაა, როდესაც სახარება წარედგინება შეკრებილ ხალხს. ეს არ არის მხოლოდ წმიდა წერილის რომელიმე თემის ან მონაკვეთის წარდგენა. ეს სახარების წარდგენაა.

მახარებელი, როგორც წესი, ცდილობს დაარწმუნოს თავისი მსმენელები, რომ დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება უწყებაზე, იმ მიზნით, რომ ისინი დაუყოვნებლივ მოექცნენ. გზავნილი შექმნილია იმისთვის, რომ მათ ამ გადაწყვეტილებისკენ მოუწოდოს.

სახარებისეული გზავნილის ინფორმაცია საგულდაგულოდ არის შერჩეული. გზავნილის მიზანი, პირველ რიგში, განათლება არ არის. მქადაგებელი ცდილობს მიაწოდოს ის ინფორმაცია, რაც მსმენელს სჭირდება მობრუნების გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ინფორმაცია თავისში მოიცავს ძირითადი სახარების განმარტებას, იმას, თუ რა რეაგირება უნდა მოახდინოს მსმენელმა და ასევე, გადაწყვეტილების მიღების შესაძლო შედეგებს.

ქადაგება შეიძლება ჩატარდეს წყნარ, მოწესრიგებულ გარემოში, მაგალითად, ეკლესიის შეკრებაზე ეკლესიის შენობაში, ან ხალხის წინაშე სხვაგან, რომლებიც შეიკრიბნენ სხვა მიზნით. ხალხი შეიძლება იყოს მეგობრული გზავნილის მიმართ, ან შეიძლება არ იყოს.

► რომელ სხვადასხვა ადგილას გინახავთ სახარების ქადაგება?

## სახელმძღვანელო მახარებლური ქადაგებისთვის

იმის გამო, რომ არსებობს განსხვავებები ეკლესიაში ქადაგებასა და სხვა ჯგუფის მიმართ ქადაგებას შორის, ჩვენ პირველ რიგში მივცემთ მითითებებს, რომლებიც ეხება მახარებლურ ქადაგებას ეკლესიაში. ამ გაკვეთილის შემდგომ ნაწილში ჩვენ მივცემთ რამდენიმე სახელმძღვანელო მითითებას, რომლებიც ეხება გარე ქადაგებას.

### (1) განმარტეთ წმიდა წერილის მონაკვეთი.

ღვთის სიტყვა ძლიერია, ამიტომ მქადაგებელმა უნდა გამოიყენოს ის. არ არის აუცილებელი, რომ მონაკვეთი იყოს გრძელი ან მქადაგებელმა დიდი დრო დაუთმოს მის დეტალების განმარტებას. მან უნდა გამოიყენოს წმიდა წერილი, რომელიც ეხმარება სახარების უწყებას. ის უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადებები ეფუძნება წმიდა წერილს, რათა გამოყენებულ იქნას ღვთის სიტყვის ძალა. მან არ უნდა შეარჩიოს მუხლის ნაწილი, რომ გამოიყენოს სხვა მნიშვნელობით იმისგან განსხვავებით, რაც მას აქვს კონტექსტში.

**(2) მან უნდა განსაზღვროს ტერმინები მონანიება და რწმენა.**

მსმენელს შეიძლება ჰქონდეს არასწორი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს ტერმინები. მათ შეიძლება იფიქრონ, რომ მონანიება ნიშნავს, გაასწორო შენი ცხოვრება ისე, რომ ღმერთმა მიგიღოს. მათ უნდა იცოდნენ, რომ მონანიება ნიშნავს იმდენად წუხილს შენი ცოდვების გამო, რომ მზად ხარ მათგან განთავისუფლდე.

მსმენელებმა შეიძლება იფიქრონ, რომ რწმენა ნიშნავს რელიგიის რწმენას ან რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებას. მათ უნდა იცოდნენ, რომ გადარჩენის რწმენა არის, მთლიანად მიენდო ქრისტეს გამოსყიდვას გადარჩენისთვის.

**(3) ხაზგასმა იმაზე, რომ ადამიანი ქრისტიანი ხდება მოქცევის მომენტში.**

ბევრ ადამიანს აქვს არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო ქრისტიანი და როგორ ხდება ადამიანი ქრისტიანი. მათ შეიძლება ჩათვალონ, რომ მქადაგებელს უბრალოდ სურს, რომ ისინი უფრო რელიგიურები, ან მისი ეკლესიის ნაწილი გახდნენ. მათ შეიძლება იფიქრონ, რომ მას უბრალოდ სურს, რომ დაიწყონ უფრო მკაცრი ცხოვრება. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ მოქცევის დროს ცოდვილი ინანიებს, იღებს პატიებას და იწყებს პირად ურთიერთობას ღმერთთან.

**(4) არასწორი მიზეზების უარყოფა, რის გამოც ადამიანები საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებენ.**

ზოგიერთ საზოგადოებაში ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რომ ისინი ქრისტიანები არიან. მათ შეიძლება იფიქრონ, რომ ქრისტიანები არიან, რადგან იყვნენ ეკლესიაში, აკეთებდნენ სიკეთეს, სჯეროდათ გარკვეული რაღაცების ან ჰქონდათ რაიმე სულიერი გამოცდილება. მოქცევაზე ხაზგასმის გარდა, აღწერეთ ღმერთთან ურთიერთობაში ცხოვრება და მორჩილება, რომელიც მოჰყვება მონანიებას.

**(5) დარწმუნდით, რომ არაეკლესიური ადამიანები გაგიგებენ.**

არ გამოიყენოთ ტერმინები, რომლებიც მხოლოდ რელიგიურმა ადამიანებმა იციან. ნუ მიმართავთ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მათ არ ესმით.

► რა ტერმინები გამოიყენება თქვენს ეკლესიაში, რომელიც შეიძლება არ ესმოდეს თქვენს გარშემო საზოგადოებას?

**(6) შესთავაზეთ პატიება, ღმერთთან ურთიერთობა და მარადიული სიცოცხლე.**

ეს არის გადარჩენის ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი. აჩვენეთ ცოდვილის მდგომარეობის სერიოზულობა განკითხვისა და მარადიული სასჯელის აღწერით, რომელიც დაატყდებათ ცოდვილებს.

**(7) მოერიდეთ ისეთი სარგებლის დაპირებას, რომლის შესახებაც არაფერს ამბობს სახარება.**

თუ ადამიანები იფიქრებენ, რომ ხსნის შეთავაზება მოიცავს მატერიალურ სარგებელს ღმერთის ან ეკლესიისგან, კეთილდღეობას, ავადმყოფობისგან განკურნებას ან სხვა სახის ცხოვრებისეული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისინი შეიძლება შეეცადონ მიიღონ სარგებელი ნამდვილად მონანიების გარეშე.

თქვენ შეგიძლიათ აუხსნათ, რომ როდესაც ადამიანის ცხოვრებას ღმერთი აკონტროლებს, ის უხელმძღვანელებს, აკურთხებს და დაეხმარება მათ პრობლემებში. თუმცა, არ უნდა დავპირდეთ, რომ მათი ყველა პრობლემა მოგვარდება, თუ ისინი გახდებიან ქრისტიანები. ზოგიერთი ადამიანისთვის შესაძლოა ცხოვრება გართულდეს დევნის გამო.

**(8) არ დააკავშიროთ მოქცევა ადგილობრივი ეკლესიის წევრობასთან.**

ეკლესიის წევრობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც კი ადამიანი ჭეშმარიტად გარდაიქმნება, მაგრამ წევრობის პირობები უნდა განიმარტოს მოქცევის შემდეგ. ნუ ისაუბრებთ ეკლესიის წევრობის მოთხოვნებზე, როდესაც ცდილობთ დაარწმუნოთ ადამიანი, მოინანიოს ცოდვები. მახარებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მსმენელი ღმერთთან შეხვედრაზე მიიყვანოს.

► რა მოთხოვნებია თქვენი ეკლესიის წევრობისთვის, რომლებიც არ არის აუცილებელი გადარჩენისთვის?

**(9) არ დააყენოთ მოთხოვნები მოქცევისთვის, რომლებიც მოყვება გამოცდილებას.**

მოუწოდეთ მსმენელს, მოინანიოს ის ცოდვები, რომლებსაც იაზრებს. ნუ ეტყვით მას ცხოვრებისეული დეტალების წესების შესახებ, რომლებსაც ვერ გაიგებს, სანამდე გარკვეული ხნის განმავლობაში ქრისტიანი არ იქნება. მონანიებისა და რწმენისკენ მოწოდება საკმაოდ რთულია. ნუ დაამატებთ სირთულეებს, რამაც შეიძლება აიძულოს ადამიანი უარყოს სახარება.

**(10) აუხსენით რა გსურთ მათ რომ გააკეთონ.**

ნუ იფიქრებთ, რომ მსმენელმა იცის, რომ უნდა ილოცოს და ღმერთს პატიება სთხოვოს. ნუ იფიქრებთ, რომ მან იცის, როგორ უნდა მივიდეს და მუხლი მოიყაროს. როდესაც მსმენელებს

რეაგირებისთვის მოიწვევთ, ზუსტად აუხსენით, რა გსურთ, რომ მათ გააკეთონ. დაფიქრდით, როგორ გაუადვილოთ მორცხვ ადამიანს საეკლესიო გარემოში ადაპტირება.

## მაძიებლებთან ერთად ლოცვა

ხალხმა კათედრასთან სალოცავად მრავალი მიზეზის გამო შეიძლება მოიყაროს თავი. ზოგჯერ პასტორი იწვევს ხალხს ილოცონ სხვადასხვა საჭიროებებზე. აქ ჩამოთვლილი მითითებები სულაც არ ეხება კათედრასთან ლოცვისთვის ყველა შემთხვევას. ეს მითითებები ვრცელდება მათთან ერთად ლოცვისას, ვინც პასუხობს მოწვევას მახარებლური ქადაგების შემდეგ.

პასტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეკლესიაში არიან მომზადებული ადამიანები, რომლებიც დაეხმარებიან მათ, ვინც ლოცულობენ გადარჩენისთვის. მას უნდა ჰყავდეს ასეთი ხალხი მზად, რათა დაეხმარონ, როდესაც ის მონანიებისკენ მოუწოდებს ხალხს.

ზოგჯერ ადამიანი, რომელსაც სურს დაეხმაროს ხალხს ერთად ლოცვაში, დახმარების ნაცვლად არის დაბრკოლება. პასტორი უნდა აკვირდებოდეს კათედრასთან არსებულ პრობლემებს და მზად იყოს დახმარებისთვის. თუ კათედრასთან ლოცვის დროს ვინმე, უგუნური საქციელით ან არასწორი რჩევით დაბრკოლებას ქმნის, პასტორმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა, პრობლემის გამოსასწორებლად.

ჩვენ გვჯერა, რომ ადამიანს შეუძლია მოინანიოს, ირწმუნოს და მაშინვე განიცადოს მობრუნება. ეს რწმენა ხელმძღვანელობს ჩვენს პოლიტიკას მაძიებლებთან ერთად ლოცვის მიმართ.

## სახელმძღვანელო მაძიებლებთან ერთად ლოცვისთვის

**(1) მინიმუმ ერთი გამოცდილი მორწმუნე უნდა დაეხმაროს თითოეულ მაძიებელს, რომელიც ლოცულობს**.

არ დატოვოთ მაძიებელი ლოცვაში მარტო და არ დატოვოთ კათედრა დახმარების გარეშე. ჩვენ გვინდა, რომ მაძიებელი მივიდეს გარკვეულ გამარჯვებამდე.

**(2) გაარკვიეთ, რატომ ლოცულობს მაძიებელი**.

ნუ იფიქრებთ, რომ ის გადარჩენისთვის ლოცულობს. მახარებლური ქადაგების შემდეგაც კი, ხალხი კათედრასთან მიდის სხვადასხვა მიზეზის გამო. ნუ შეაწყვეტინებთ ლოცვას მაძიებელს; მაგრამ რაღაც მომენტში, მორწმუნემ, რომელიც მას ეხმარება, უნდა ჰკითხოს: „რა გინდა, რომ ღმერთმა გააკეთოს შენთვის?" შემდეგ მორწმუნეს შეუძლია მასთან ერთად ილოცოს ნებისმიერი საჭიროების შესახებ.

**(3) წაახალისეთ მაძიებელი სრული მონანიებისკენ.**

ჰკითხეთ: „გსურთ მოინანიოთ ცოდვა და ნება მისცეთ ღმერთს გიხსნათ ცოდვისაგან?" წაახალისეთ ის, მოინანიოს ღვთის წინაშე. არ არის აუცილებელი, რომ მან აღიაროს თავისი ცოდვები პასტორთან ან სხვა პირთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ადამიანთა მიმართ არის ჩადენილი კონკრეტული დანაშაული.

**(4) დაარწმუნეთ მაძიებელი, რომ ღმერთი აპატიებს.**

უთხარი მას, რომ სთხოვოს ღმერთს პატიება და ენდოს ღვთის აღთქმას, რომ ის მას აპატიებს. თუ ფიქრობთ, რომ ის ეჭვს ებრძვის, აჩვენეთ ბიბლიური აღთქმები (1 იოანეს 1:9, იოანეს 3:16, რომაელთა 5:8).

თუ მაძიებელს არ შეუძლია საკუთარი სიტყვებით ლოცვა, დამხმარემ შეიძლება შესთავაზოს დახმარება ლოცვაში, რასაც მაძიებელი გაიმეორებს. ეს შეიძლება იყოს მსგავსი ლოცვა:

„უფალო, ვიცი, რომ ცოდვილი ვარ და მარადიულ სასჯელს ვიმსახურებ. მე ვწუხვარ ჩემი ცოდვების გამო და მზად ვარ მივატოვო ისინი. გთხოვ, მაპატიო - არა იმიტომ, რომ მე ამას ვიმსახურებ, არამედ იმიტომ, რომ იესო მოკვდა ჩემთვის. მადლობა გადარჩენისთვის. ამ დროიდან შენთვის ვიცოცხლებ."

როგორც წესი, თუ მაძიებელს უჭირს გარკვეული გამარჯვებისთვის ლოცვა, არის ცოდვა, რომლის დათმობაც არ სურს. მას არ შეუძლია ჰქონდეს პატიების რწმენა, სანამ გულწრფელად არ მოინანიებს.

**(5) სთხოვეთ მოქცეულს დაამოწმოს.**

თუ მაძიებელი მიიჩნევს, რომ გამარჯვებას მიაღწია, ვინმემ უნდა ჰკითხოს მას: „რა გააკეთა ღმერთმა შენთვის?" წაახალისეთ ის გარკვეული განცხადებების გაკეთებაში. მან შეიძლება დაამოწმოს მრევლის წინაშე, მაგრამ სულ მცირე, მათ მაინც უნდა უთხრას, ვინც მასთან ერთად ლოცულობდა.

**(6) მიეცით გადარჩენის დაბეჭდილი გამნარტება.**

მოქცეულს უნდა მიეცეს ხსნის შესახებ დაბეჭდილი განმარტება, რომ შეეძლოს მისი თან წაღება. მასში უნდა იყოს გამნარტება ხსნის შესახებ. ეს დაეხმარება მას იმის გაგებაში, თუ რა მოხდა და ასევე დაეხმარება მას, განუმარტოს ამის შესახებ სხვებსაც.

**(7) მოწაფეობის პირველი ნაბიჯის ორგანიზება.**

მოწაფეობის პირველი ნაბიჯი, როგორც წესი, პასტორთან ან გამოცდილ მორწმუნესთან შეხვედრაა. დარწმუნდით, რომ მოქცეულს ესმის, რა დაემართა მას. ამის შემდეგ ის შეიძლება

შეუერთდეს მცირე ჯგუფს ან რეგულარულად შეხვდეს ვინმეს, ვინც მასზე სულიერად იზრუნებს.

ვინმემ ასევე უნდა მოინახულოს მისი ოჯახი, დარწმუნდეს, რომ მათ იცოდნენ მოქცევის შესახებ და მოიწვიონ ისინი ეკლესიაში. იქ შესაძლოა, მათთვის სახარების გაზიარების შესაძლებლობა გაჩნდეს.

► როგორ ხდება თქვენს ეკლესიაში მაძიებლებთან ერთად ლოცვა? რისი გაკეთებაა საჭირო ზემოთ ჩამოთვლილი რაღაცეების დასამატებლად?

## გარეთ ქადაგება

ეკლესიის გარეთ ქადაგება მიზნად ისახავს, რომ მივაღწიოთ იმ ხალხამდე, ვინც არ მოდის ეკლესიაში. ამის გაკეთება რთულია, რადგან მსმენელები იქ სხვა მიზნით არიან და შეიძლება ყურადღება არ მოგაქციონ. შეიძლება იყოს ხმაური და არეულობა. იქ არ არის მრევლის მიერ შექმნილი თაყვანისცემის ატმოსფერო, როგორიც იქნებოდა ეკლესიაში.

თვალნათელი მოთხოვნა გარე მქადაგებლისთვის არის ძლიერი ხმის ფლობა, რათა ხალხმა გაიგოს, ან უნდა გამოიყენოს რაიმე სახის ხმის გამაძლიერებელი.

გარეთ ქადაგების პირველი გამოწვევა ყურადღების მიქცევაა. გარშემო მყოფი ხალხი სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას, სურთ მათ მოსმენა, თუ არა. ზოგიერთები რამდენიმე წუთის განმავლობაში მოგისმენენ. ბევრი მოისმენს მხოლოდ ერთ ან ორ წინადადებას, სანამ გადაწყვეტს აინტერესებს მას ეს, თუ არა.

მქადაგებელმა უნდა გამოიყენოს მოკლე წინადადებები და ყოველი წინადადება უნდა შეიცავდეს ღირებულ განცხადებას. მას უნდა ახსოვდეს, რომ თითოეული წინადადება იქნება პირველი წინადადება, რომელსაც ზოგიერთი მსმენელი მოისმენს. თითოეულ წინადადებაში აზრის დაფიქსირება დაგეხმარებათ ყურადღების მიქცევაში. თუ ის მოახერხებს ჯგუფის ყურადღების მიქცევას, რომ მოუსმინონ, მას შეუძლია ილუსტრაციების გამოყენება და საკითხების უფრო დეტალურად ახსნა.

თუ შესაძლებელია, მქადაგებელს თან უნდა ჰყავდეს მორწმუნეთა ჯგუფი. თუ ის ადამიანები, რომლებიც მიმოდიან, დაინახავენ, რომ სხვები უსმენენ, ისინი მეტად შეეცდებიან თვითონაც გაჩერდნენ და მოუსმინონ. თუ იქნებიან მუსიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ ქადაგებამდე მუსიკის დაკვრა, ეს ჩვეულებრივ ხელს უწყობს ხალხის მოზიდვას.

მქადაგებელმა უნდა მოიწვიოს მსმენელები, რომ წინ გამოვიდნენ და ილოცონ გადარჩენისთვის.

დამხმარეებმა უნდა გაავრცელონ დაბეჭდილი საინფორმაციო ბუკლეტები დამსწრე საზოგადოებაში.

► რა პირობები არსებობს თქვენს სამეზობლოში გარე ქადაგებისთვის?

### მინიშნება კლასის ლიდერისთვის

*ახლა თითოეულმა სტუდენტმა უნდა შეხედოს მახარებლურ ქადაგებას, რომელიც მან თან მოიტანა. მან უნდა განიხილოს, თუ როგორ ასრულებს ის მახარებლური ქადაგების 10 მითითებას. მან უნდა დაგეგმოს, თუ როგორ უნდა იქნას ის შემოწმებული.*

*შესაძლოა არ იყოს იმის დრო, რომ კლასმა განიხილოს თითოეული სტუდენტის ქადაგება, მაგრამ მათ უნდა მოამზადონ რამდენიმე მათგანი მაგალითების მოსაყვანად.*

*შემდეგი მეცადინეობა არ უნდა მოიცავდეს გაკვეთილს. სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მახარებლური ქადაგებები და შემდეგ განიხილონ ისინი. არ არის აუცილებელი, რომ მათ ქადაგება მთლიანად იქადაგონ, უბრალოდ შეამცირონ ისინი 5-7 წუთიან პრეზენტაციად. სავარჯიშო მეცადინეობის შემდგომ დაგეგმილ შემდეგ მეცადინეობაზე, უნდა გამოყენებულ იქნას მე-12 გაკვეთილი.*

### დავალებები

შეიმუშავეთ მახარებლური ქადაგება, რომელიც მიჰყვება ამ გაკვეთილის მითითებებს. არ არის აუცილებელი ქადაგება სრულად იყოს დაწერილი, მაგრამ უნდა იყოს დაწერილი მისი ძირითადი მტკიცებულებები. გადაიტანეთ ის მომდევნო მეცადინეობაზე განსახილველად.

# გაკვეთილი 12
# კარებების გაღება

## შესავალი

► უნდა ვილოცოთ ცოდვილებისთვის? ბიბლიაში სად არის ნათქვამი, რომ ჩვენ ცოდვილებისთვის უნდა ვილოცოთ?

რთულია ბიბლიაში იპოვო მუხლი, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ უნდა ვილოცოთ ცოდვილთა მოქცევისთვის. მაგრამ ჩვენ იქ ვიპოვით მრავალ მუხლს, რომელიც გვეუბნება, რომ უნდა ვილოცოთ სახარების ეფექტური გავრცელებისთვის (2 თესალონიკელთა 3:1, ეფესელთა 6:19, კოლასელთა 4:4, საქმეების 4:29).

ჩვენ ვიცით, რომ უნდა ვილოცოთ ცოდვილთა მოქცევისთვის, სახარების წარმატებისთვისთვის ლოცვასთან ერთად. ჩვენ გვეთქვა, რომ უნდა ვილოცოთ ყველასთვის, რაც მოიცავს ცოდვილების მოქცევაზე ლოცვასაც (1 ტიმოთეს 2:1). ჩვენ გვეუწყა, რომ შევეცადოთ ადამიანების მონანიებამდე მიყვანას (2 ტიმოთეს 2:25). და მიზანშეწონილი იქნება ამ საკითხში ღვთის დახმარებისთვის ვილოცოთ.

## მახარებლობა პირველ თაობაში

როდესაც ეკლესია თავის საუკეთესო მდგომარეობაშია, მახარებლობა თითქოს სპონტანურად და ბუნებრივად ხდება. საქმეების წიგნშია აღწერილი ეკლესიის პირველ თაობაში, რომ ყველა სიხარულით ავრცელებდა სახარებას.

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს საქმეების 2:46-47.

როგორც ჩანს, ეკლესიის თანამოზიარეობა იმდენად ძლიერი და ცოცხალი იყო, რომ ბუნებრივად იზიდავდა სხვებს. ეს გვეუბნება, რომ თუ ეკლესია არ იზიდავს ახალ ხალხს, მისი თანამოზიარეობა არ არის ისეთი ძლიერი, როგორც უნდა იყოს.

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს საქმეების 5:42.

მოციქულები და სხვებიც, ყველგან და ყოველთვის პოულობდნენ სახარების გაზიარების შესაძლებლობებს. ზოგიერთი ეკლესია არ მახარებლობს და არ იციან ეს საიდან და როგორ დაიწყონ. მათ არ იციან როგორ იპოვონ შესაძლებლობები სახარების გავრცელებისთვის.

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს საქმეების 8:1-4.

დევნის გამო ბევრმა ქრისტიანმა დატოვა იერუსალიმი და საცხოვრებლად სხვა ადგილებში გადაიხვეწა. ისინი უზიარებდნენ სახარებას ყველას იმ ადგილებში, სადაც წავიდნენ. მათთვის სახარების გაზიარება ქრისტიანული ცხოვრების ნაწილი იყო.

## კამათი ეკლესიების შესახებ

თქვენ უნდა მოერიდოთ კამათს სხვა ეკლესიებზე, დაუხსნელი ადამიანების თანდასწრებით. ეცადეთ, არ გააკრიტიკოთ სხვა ეკლესიები, როდესაც სახარებას უზიარებთ. დაუხსნელ ადამიანებს არ აქვთ სათანადო სულიერი გამჭრიახობა, რომ რელიგიურ დავებში სწორი დასკვნები გამოიტანონ. ქვეყნიერებაზე ბევრი ადამიანი ამბობს, რომ ეკლესიებს შორის კონფლიქტი არის მიზეზი, რის გამოც მათ არ სწამთ ქრისტიანობის.

თუ ვინმე დაჟინებით კითხულობს მოძღვრებისეულ განსხვავებებს, გაეცით პასუხები წმიდა წერილებიდან, მაგრამ ეცადეთ დაანახოთ მას სახარების უპირატესობა. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „ასეთი კითხვები მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გადარჩე და ღმერთთან გქონდეს ურთიერთობა." თუ ისინი გეტყვიან ქრისტიანზე, რომელსაც იცნობენ, შესაძლოა ნათესავზე ან პასტორზე, შეეცადეთ არ გააკრიტიკოთ ამ ადამიანის სწავლება.

თუ თქვენ უნდა ახსნათ, თუ რატომ განსხვავდება თქვენი ეკლესია სხვებისგან, შეგიძლიათ თქვათ: „ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, მოინანიოს ცოდვა, იყოს ნაპატიები და იცხოვროს ღმერთის მორჩილებაში. ჩვენი ეკლესია ხაზს უსვამს ამ პრიორიტეტს, ამიტომ ჩვენ განვსხვავდებით ეკლესიებისგან, რომლის პრიორიტეტები სხვა რამეში მდგომარეობს."

## რთული კითხვები

ზოგიერთ ქრისტიანს ეშინია სახარების გაზიარების, რადგან ეშინია რთული კითხვების. კარგია სწავლის გაგრძელება, მაგრამ ფაქტია, რომ ქრისტიანთა უმეტესობამ არ იცის როგორ უპასუხოს ყველა რთულ კითხვას. თქვენ არ გჭირდებათ ყველა პასუხის ცოდნა.

თუ ვინმე სვამს კითხვას, რომელსაც ვერ უპასუხებთ, შეგიძლიათ თქვათ მსგავსი რამ: „მე არ ვიცი ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი. ვინმე ჩვენს ეკლესიაში შეიძლება დაგვეხმაროს ამაში. მაგრამ მე მჯერა ბიბლიის და მჯერა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ღმერთის შეცნობა და გადარჩენაა. მე ვიცი, როგორ შეიძლება მიიღოთ გადარჩენა."

თუ ადამიანი ამბობს: „მე არ მჯერა ბიბლიის" ან „მე არ მჯერა ღმერთის", ამ საუბრის ორი განსხვავებული მიმართულება შეიძლება გქონდეთ. თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ მას, მისი ამ მოსაზრების მიზეზების შესახებ და სცადოთ მას რაიმე მტკიცებულება მისცეთ. მეორე მიმართულება არის, რომ უთხრათ „თქვენ ალბათ გიფიქრიათ ამაზე და ცდილობდით

ლოგიკურ დასკვნამდე მისულიყავით. მაგრამ მაშინაც კი, თუ თქვენ არ გჯერათ ბიბლიის, როგორც გონივრულ ადამიანს, გსურთ იცოდეთ ბიბლიის ძირითადი გზავნილი. შემიძლია გაჩვენოთ რას წარმოადგენს ის?" ამით თქვენ შეგიძლიათ გააზიაროთ სახარება კამათის გარეშე. ღმერთს შეუძლია გამოიყენოს გზავნილი მასზე შემდგომში ზემოქმედებისთვის.

როდესაც სახარებას აზიარებთ, შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც უბრალოდ კამათი სურს. თქვენ უნდა მოერიდოთ მასთან დიდი დროის დაკარგვას. მაშინაც კი, თუ ყველაფერს სწორად ამბობ, ის ალბათ სიმართლეს მაინც არ მიიღებს. შეეცადეთ გაუზიაროთ სახარების საფუძვლები, შემდეგ სხვასთან საუბრით გააგრძელეთ.

## სახარების დაცვა

► წაიკითხეთ ტიტეს 1:9-11. რა მოსაზრებაა მოცემული ამ მონაკვეთში იმის თაობაზე, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ სახარება?

ერთ-ერთი უნარი, რომელიც უნდა განავითაროს პასტორმა, არის ქრისტიანული ჭეშმარიტების დაცვის უნარი ამქვეყნიური ფილოსოფიებისგან. აქ საუბარია არა სხვადასხვა ეკლესიებს შორის მოძღვრების შესახებ კამათზე, არამედ ქვეყნიერების მიერ სახარების მიმართ წინააღმდეგობაზე.

მიზეზი, რის გამოც ჭეშმარიტება უნდა დავიცვათ, არის არა მხოლოდ იმის მცდელობა, რომ მოექცეს ის ადამიანი, რომელიც კამათობს, არამედ დავეხმაროთ მათ, ვინც მისი ზეგავლენის ქვეშაა. ბევრს ჯერ არ გადაუწყვეტია რისი სჯეროდეს. მათ უნდა მოისმინონ ქრისტიანული ჭეშმარიტების დაცვა.

ქრისტიანთა უმეტესობა ბოლომდე არ არის მზად ამ ტიპის კამათისთვის. ყველა ქრისტიანმა უნდა ისწავლოს რაც შეიძლება მეტი, მაგრამ ზოგი განსაკუთრებით ნიჭიერი და მომზადებულია ამ საქმისთვის.

კამათის დროს მნიშვნელოვანია აჩვენოთ თქვენი მიზანი. თქვენ შეჯიბრის მოგებას არ ცდილობთ. თქვენ არ ებრძვით ადამიანს, როგორც პირად მტერს. უნდა აჩვენოთ, რომ სიმართლე მნიშვნელოვანია თქვენთვის, რადგან ზრუნავთ ადამიანებზე. თუ მას არ სწამს სახარების, მისი სული დაიღუპება. ამიტომაც გსურთ მისი აზროვნების შეცვლა. შეგიძლიათ თქვათ ამის მსგავსი რამ: „მინდა, რომ შეიცნო ღმერთი და გადარჩე და მეშინია, რომ გჯერა რაღაცის, რაც ღმერთთან არ მიგაახლოვებს."

## შესაძლებლობების შექმნის უნარის განვითარება

ჩვენ გვაქვს რამდენიმე ჩანაწერი ბიბლიაში იმ პერიოდების შესახებ, როდესაც მახარებელმა იპოვა სახარების გაზიარების განსაკუთრებული შესაძლებლობა.

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს საქმეების 8:26-39. მეორე სტუდენტს სთხოვეთ შეაჯამოს მოთხრობილი ისტორია. როგორ მოქმედებდა ღვთის სული ამ მოვლენებისას? როგორ მიხვდა ფილიპე, რომ სახარების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდა?

მახარებლის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ხვდებოდა სახარების გაზიარებისთვის ხელსაყრელ შესაძლებლობებს, იყო თავად იესო.

► სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იოანეს 4:7-14. მეორე სტუდენტს სთხოვეთ შეაჯამოს მოთხრობილი ისტორია.

იესოსა და სამარიელ ქალს შორის შემდგარი საუბარი შეეხებოდა ეთნიკური კონფლიქტების, რელიგიური კამათის და ყოველდღიური ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის თემებს. იესოს დიდი დრო არ დაუთმია ამ თემებისთვის, არამედ წარმართა საუბარი ქალის სულიერი მოთხოვნილებების თემისკენ.

როდესაც ისწავლით, როგორ უნდა წარადგინოთ სახარება, თქვენ მოძებნით შესაძლებლობებს, რომ გაუზიაროთ ის ხალხს. ზოგჯერ შეიძლება ვინმემ თავად ითხოვოს სახარების მოსმენა, მაგრამ შესაძლებლობები, როგორც წესი, არც ისე აშკარაა.

ზოგიერთი ქრისტიანი ფიქრობს, რომ ძნელია სახარების გაზიარება, რადგან ფიქრობს, რომ ხალხს არ აინტერესებს მისი მოსმენა. მათი აზრით, რთულია რელიგიაზე საუბრის დაწყება.

სახარება ეხება ბევრ საზრუნავს, რაც ადამიანებს აქვთ. აქედან გამომდინარე, სახარების საუბარში ჩართვა არ არის რთული.

ამ გაკვეთილზე შემდგომში ჩვენ ვისაუბრებთ იმ მიზეზებზე, თუ რატომ არიან ადამიანები სახარებით დაინტერესებულნი.

## მოტივების მრავალფეროვნება

ადამიანებს ხსნის შეთავაზებაზე რეაგირების სხვადასხვა მოტივი აქვთ. ზოგჯერ არის არასწორი მოტივები, მაგრამ არის ბევრი სწორი მოტივიც.

► რა იყო სახარების მიღების მიზეზი თქვენთვის? მიეცით საშუალება რამდენიმე სტუდენტს დაამოწმონ და აღწერონ მოქცევის საკუთარი მიზეზები.

აქ არის სხვადასხვა მოტივები, რომლებიც ადამიანებს გადარჩენის სურვილს უჩენს.

- სამოთხეში წასვლა და არა ჯოჯოხეთში (ან განკითხვის შიში)
- რომ ჰქონდეთ კმაყოფილება და ცხოვრებისეული მიზნები
- რომ ჰქონდეთ უსაფრთხოება, სიმშვიდე, შიშისგან თავისუფლება
- რომ ჰქონდეთ პატიება, დანაშაულისგან თავისუფლება (სუფთა სინდისი)

- რომ იყვნენ სულიერად მთლიანი და სუფთა
- რომ ჰქონდეთ ღმერთთან თანაზიარება (შეიცნონ ღმერთი)
- რომ ჰქონდეთ ქრისტიანებთან ურთიერთობა
- რომ ჰქონდეთ სულიერი სურვილების დაკმაყოფილება (ნამდვილი ბედნიერება)
- რომ იყვნენ ცოდვისგან განთავისუფლებულები
- რომ იცოდნენ ჭეშმარიტება

ეს არის ღმერთთან შერიგების პირდაპირი უპირატესობები. ეს არ არის ამქვეყნიური საზრუნავი, რომელიც ეწინააღმდეგება მარადიულ ღირებულებებს. ეს ყველაფერი აკლია ადამიანს, თუ ის განშორებულია ღმერთს.

► გადახედეთ ამ სიას და დაფიქრდით, რომელია თქვენთვის მნიშვნელოვანი. რომელი მათქანი გიზიდავდათ, სანამ მოექცეოდით? რომელი გახდა თქვენთვის მნიშვნელოვანი მობრუნების შემდეგ?

დაუხსნელმა ადამიანმა შეიძლება წარმოაჩინოს თავის საუბარში, რომ გრძნობს ხსნის ერთ-ერთი ამ უპირატესობის საჭიროებას. მახარებელს შეუძლია მოარგოს თავისი მიდგომა სახარების გაზიარებისადმი ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. თქვას: „მიზეზი, რის გამოც ადამიანებს არ აქვთ ხსნა არის ის, რომ ისინი განშორებულნი არიან ღმერთს. ბიბლია გვეუბნება, როგორ დავუბრუნდეთ ღმერთთან ურთიერთობას."

მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ არ ვპირდებით მიწიერ ბედნიერებას არც ერთ ადამიანს, რომელიც ქრისტიანი გახდება. ადამიანი, რომელიც ამ მიზეზით გადაწყვეტს გახდეს ქრისტიანი, დიდი ალბათობით, სინამდვილეში არ ინანიებს ცოდვას და შესაბამისად, ვერ მიიღებს ხსნისგან სარგებელს. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც არ უნდა დავპირდეთ მიწიერ ბედნიერებას, არის ის, რომ ბიბლია ქრისტიანს არ პირდება კარგ სიტუაციებს; პირიქით, ის პროგნოზირებს დევნას (2 ტიმოთეს 3:12).

ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ადამიანი გახდეს ქრისტიანი, არის ის, რომ მან გააცნობიეროს თავისი დანაშაული და მომავალი განკითხვა. ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მიზეზები შეიძლება გამოყენებულ იქნას, რათა დაეხმაროს ადამიანს გააცნობიეროს, რომ ის დაშორებულია ღმერთს.

### საუბრისას შესაძლებლობების ამოცნობა

► რა საშუალებები გამოიყენეთ სახარების გაზიარების შესაძლებლობის მისაღებად?

► რომელიმე თქვენგანს ხომ არ მოეჩვენა, რომ რთულია სახარების გაზიარების შესაძლებლობის პოვნა? როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

ზოგჯერ შესაძლებლობა იოლად მოდის. ასეთ შემთხვევებში შეგიძლიათ უბრალოდ დაიწყოთ სახარების განმარტება. თუ გსურთ აჩვენოთ მათ წმიდა წერილების მუხლები, შეგიძლიათ ჰკითხოთ: „თუ შეიძლება თქვენი დროის რამდენიმე წუთს გამოვიყენებ, რომ გაჩვენოთ, რას ამბობს ბიბლია, თუ როგორ უნდა გახდეთ ქრისტიანი?" თუ გსურთ აჩვენოთ ხიდის ნახატი, შეგიძლიათ ჰკითხოთ: „თუ შეიძლება თქვენი დროის ორ წუთს გამოვიყენებ, რომ გაჩვენოთ ნახატი, რომელიც ასახავს იმას, რასაც ბიბლია ამბობს, რომ ეს არის საშუალება, დანამდვილებით იცოდეთ, რომ დახსნილი ხართ?"

შესაძლებლობების ფანჯარა ჩნდება სხვადასხვა თემებზე საუბრებში. აქ აღწერილი ნებისმიერი, საუბარში გახსნილი შესაძლებლობის ფანჯარა შეიძლება გამოყენებულ იქნას ხიდის ნახატის ან სახარების წმიდა წერილებიდან წარდგენისთვის, როგორიცაა რომაული გზა.

► რამდენს გაუგია ადამიანების ჩივილი მათი ცხოვრების მძიმე პირობებზე?

ზოგჯერ ადამიანები ჩივიან ცხოვრების მძიმე პირობების გამო. ჰკითხეთ: „რატომ არის ცხოვრება ასე რთული?" მას შემდეგ, რაც ისინი გიპასუხებენ, უთხარით: „შემიძლია გაჩვენოთ ნახატი, რომელიც ასახავს, რატომ არის ცხოვრება ასე რთული?" დაიწყეთ იმით, რომ ღმერთს სურდა, რომ მასთან ურთიერთობაში გვეცხოვრა და არ სურდა ცხოვრება ისეთი ყოფილიყო, როგორიც არის. ცოდვამ სამყარო დააზიანა. გადადით ნახატის პრეზენტაციაზე.

იმისათვის, რომ წარდგენა გააკეთოთ უშუალოდ წმიდა წერილებიდან, როგორიცაა რომაული გზა, შეგიძლიათ თქვათ: „ბიბლია განმარტავს, რომ ცხოვრება რთულია, რადგან ყველამ შესცოდა. ცოდვამ სამყაროში წყევლა მოიტანა". გააგრძელეთ რომაული გზის გავლით.

თუ ადამიანი რელიგიურია, შეგიძლიათ ჰკითხოთ, რაში მდგომარეობს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი რწმენა. ან შეგიძლიათ ჰკითხოთ: „რას ფიქრობთ, როგორ შეუძლია ადამიანს გაიგოს, ის სამოთხეში მოხვდება თუ არა?" მისი პასუხის მოსმენის შემდეგ, უთხარით: „თუ შეიძლება თქვენი დროის ორ წუთს გამოვიყენებ, რომ გაჩვენოთ ნახატი, რომელიც ასახავს რას ამბობს ბიბლია იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ადამიანს სამოთხეში მოხვედრა?"

► გსმენიათ ხალხის საუბარი მსოფლიოს ცუდ მდგომარეობაზე ან ქვეყნის შიდა პრობლემებზე? როგორ გამოიყენებდი ამას სახარების გასაზიარებლად?

თუ ადამიანი საუბრობს ქვეყნის პრობლემებზე, მსოფლიოში შიმშილზე ან სიღარიბეზე ან ომის საშიშროებაზე, ჰკითხეთ: „შემიძლია გაჩვენოთ წმიდა წერილში რამდენიმე ადგილი, რომელიც განმარტავს, თუ რატომ არის სამყარო ასეთი?"

აჩვენეთ, რომ სამყაროს მდგომარეობა იმიტომ არის ასეთი, რადგან ცოდვილები განშორებულნი არიან ღმერს. ნუ იგულისხმებთ, რომ ხსნა მყისიერად გადაწყვეტს ყველა

პრობლემას, არამედ აჩვენეთ, რომ ინდივიდუალური ხსნა არის ღმერთის მიერ ყველაფრის მოწესრიგების დასაწყისი. ოდესმე იქნება ახალი ცა და დედამიწა და ეს პრობლემები აღარ იარსებებს მათთვის, ვინც ახლა შეურიგდა ღმერთს.

## გამხსნელი კითხვების გამოყენება

კითხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას საუბრის დასაწყებად, შემდეგ კი საუბარში გაჩნდება შესაძლებლობა სახარების გაზიარებისთვის.

უმარტივესი კითხვაა უბრალოდ იკითხო: „ქრისტიანი ხარ?" ადამიანების უმეტესობა არ განაწყენდება კითხვაზე. თუ ადამიანი ამბობს: „არა", შეგიძლიათ ჰკითხოთ: „შემიძლია გითხრათ, რას ამბობს ბიბლია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ადამიანი ქრისტიანი?"

თუ ადამიანი ამბობს: „დიახ, მე ქრისტიანი ვარ", შეგიძლიათ თქვათ: „ეს მშვენიერია. როგორ გახდი ქრისტიანი?" თუ პასუხი არასწორია ან ადამიანი დაბნეულია, შეგიძლიათ შესთავაზოთ ახსნა, რას ამბობს ბიბლია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ადამიანი ქრისტიანი.

ზემოთ მოცემულ განყოფილებაში მოცემული კითხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სხვა საწყისი კითხვები საუბრის დროს. ქვემოთ მოცემულია კიდევ რამდენიმე კითხვა.

„როგორ ფიქრობთ, რა არის ცხოვრების მიზანი?" მიეცით საშუალება ადამიანს თავისი აზრი გამოთქვას. დაეთანხმე მას, მის კარგ განცხადებებში. შემდეგ უთხარით: „ჩვენი ცხოვრებისეული მიზნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ღმერთის შეცნობაა. მან შეგვქმნა, რომ მასთან ურთიერთობაში გვეცხოვრა. შემიძლია გაჩვენოთ რას ამბობს ბიბლია ღმერთთან ურთიერთობის შესახებ?"

„როგორ ფიქრობთ, რა არის ბედნიერების გასაღები?" რა მოსაზრებაც არ უნდა წარმოადგინონ, შეგიძლიათ უთხრათ: „ბევრი ადამიანი, ვისაც ეს აქვს, დიდი ხნის განმავლობაში არ არის ბედნიერი. ბიბლია გვეუბნება, რომ სიხარული ღვთისგან მოდის (ფსლმუნის 15:11). შემიძლია გაჩვენოთ ნახატი, რომელიც ასახავს, თუ როგორ შეუძლია ადამიანს ღმერთთან ურთიერთობა?"

„გჯერათ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის? როგორ ფიქრობთ, როგორია ის?" შემდეგ, „ბიბლია ამბობს, რომ თითოეული ადამიანი წავა სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. შემიძლია გაჩვენოთ, რას ამბობს ბიბლია, როგორ არის შესაძლებელი სამოთხეში მოხვედრა?"

„როგორ ფიქრობთ, რა არის ბიბლიის ძირითადი გზავნილი?" ეს გაძლევთ საშუალებას აჩვენოთ ნახატი მე-9 გაკვეთილიდან.

► ვინმემ უკვე გამოიყენა მსგავსი მიდგომა? როგორ იმუშავა ამან?

ყველა სტუდენტისთვის არ იქნება კომფორტული ამ გაკვეთილში აღწერილი ყველა მეთოდის გამოყენება. შესაძლებელია, რომ მეთოდი არ იყოს შესაფერისი ყველა კულტურისთვის.

გაკვეთილის მიზანია დაეხმაროს სტუდენტს საკუთარი მიდგომის განვითარების გზის პოვნაში.

## მინიშნება კლასის ლიდერისთვის

*შემდეგი გაკვეთილი მოიცავს მითითებებს სახარების ბროშურების გავრცელებისთვის. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, სად მიიღონ ბროშურები გასავრცელებლად. თუ შესაძლებელია, მიიტანეთ მარაგი მომდევნო მეცადინეობაზე.*

## დავალებები

როდესაც ამ კვირაში გექნებათ სახარების გაზიარების საშუალება, სცადეთ ამ შესავალი კითხვებიდან რამდენიმეს გამოყენება ან განავითარეთ საკუთარი. დააკვირდით როგორ იმუშავებენ ისინი და დაწერეთ მათი აღწერის აბზაცი. იყავით მზად, რომ გაუზიაროთ თქვენი გამოცდილების შესახებ მომდევნო მეცადინეობაზე.

# გაკვეთილი 13
# მახარებლური მეთოდების ადაპტირება

## შესავალი

► როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება მახარებლობის ამოცანა ახლა, ახალი აღთქმის დროინდელისგან?

► როგორ ფიქრობთ, მახარებლობა თქვენს ქვეყანაში განსხვავდება იმ დროისგან, როდესაც პირველი მისიონერები ჩამოვიდნენ?

## მახარებლობა ისტორიაში: ჯონ უიკლიფის და ჯონ უესლის მაგალითები

ჯონ უიკლიფი პასტორი იყო ინგლისში. ის ცხოვრობდა 1324-1384 წლებში. იმ დროს ბიბლია არ იყო ხელმისაწვდომი უბრალო ხალხისთვის გასაგებ ენაზე. ხალხი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას ასწავლიდა მათ რომის კათოლიკური ეკლესია. ადამიანების უმეტესობამ არ იცოდა სახარება. ბევრმა კათოლიკე მღვდელმაც კი არ იცოდა ბიბლია კარგად. მღვდლები მოგზაურობდნენ ქვეყანაში რელიგიური რიტუალების შესასრულებლად და ფულს ითხოვდნენ ამაში. ეკლესიების უმეტესობას აკონტროლებდნენ მღვდლები, რომლებიც არ ქადაგებდნენ სახარებას. უიკლიფმა და მისმა დამხმარეებმა ბიბლია ინგლისურად თარგმნეს. იმ დროს საბეჭდი მანქანები არ იყო ხელმისაწვდომი, ამიტომ მათ წმიდა წერილი ხელით გადაწერეს. ისინი წყვილ-წყვილად მოგზაურობდნენ და ყველგან ასწავლიდნენ ბიბლიას ჯგუფებში. ხალხი მათ „ღარიბ მღვდლებს“ უწოდებდა, რადგან ისინი ფულს არ ითხოვდნენ.

მახარებლობის მეთოდები უნდა იყოს მორგებული საზოგადოების პირობებთან. უიკლიფმა და მისმა თანაშემწეებმა შეასრულეს მახარებლობის ძირითადი ნაწილი; მათ ბიბლიის გზავნილი უშუალოდ ხალხთან მიიტანეს.[7]



ჯონ უესლი ცხოვრობდა ინგლისში 1703-1791 წლებში. იმ დროს ანგლიკანური ეკლესია მდიდარი ხალხის ეკლესიად იქცა. ისინი ძირითადად რიტუალებს ასრულებდნენ და არ ასწავლიდნენ მკაფიოდ სახარებას. ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობა ეკლესიებში არ იყო მიღებული და არ იცოდნენ სახარება. უესლი ანგლიკანური მღვდელი იყო, მაგრამ მას სურდა ხალხისთვის სახარება

[7] Image: "John Wesley preaching on his fathers grave", by Currier & Ives, retrieved from the Library of Congress Prints and Photographs Division, https://www.loc.gov/pictures/item/2002707689/, "no known restrictions."

მიეტანა. ერთ დილას ის მინდორში მივიდა, რომელსაც სამუშაოსკენ მიმავალი ბევრი მაღაროელი გადიოდა. ის ქადაგებდა და ბევრი ჩერდებოდა მოსასმენად. ამის შემდეგ ის მთელი ცხოვრების მანძილზე თითქმის ყოველდღე ქადაგებდა ღია ცის ქვეშ. მისმა მსახურებამ ათასობით ადამიანი მოაქცია.

► რომელი მისიონერი ახსოვთ იმით, რომ ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა სახარება თქვენს მხარეში?

## მეთოდების ადაპტაციის საჭიროება

2003 წელს მამაკაცი ოჯახთან ერთად ლონდონში მოგზაურობდა და პარკში გაჩერდა დასასვენებლად. პარკში ბორცვზე მდგარი ქალი შენიშნა. მას ბიბლია ეკავა და ლაპარაკობდა. ის უფრო ახლოს მივიდა და გაიგო, როგორ საუბრობდა ის რაღაც რელიგიურ თემაზე. მან შენიშნა, რომ ქალს მეგობარი ახლდა თან, ამიტომ მას ჰკითხა, რა ხდებოდა. მეგობარმა უპასუხა: „ჩვენ ვართ ჯგუფის ნაწილი, რომელიც აგრძელებს გარე ქადაგების ტრადიციას, როგორც ამას უესლი აკეთებდა. ხანდახან მივდივართ საჯარო ადგილას საქადაგებლად." თუმცა, მამაკაცმა შენიშნა, რომ ქალი იდგა ისეთ ადგილას, სადაც ცოტა ხალხი მიმოდიოდა, ბევრს არ ესმოდა და მისი მეთოდი არ იყო ეფექტური ხალხის ყურადღების მისაქცევად. ის ცდილობდა ტრადიციის გაგრძელებას, მაგრამ დაკარგა ყველაფერი, რაც ამ მეთოდს თავდაპირველად ეფექტურს ხდიდა.

მეთოდები უნდა მოერგოს გარემოებებს. ზოგჯერ ადამიანები თვლიან, რომ მახარებლობის მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ისინი აგრძელებენ იმ მეთოდის გამოყენებას, რომელიც აღარ არის ეფექტური. ზოგჯერ ადამიანები ფიქრობენ, რომ მეთოდი, რომელიც ეფექტური იყო ერთ ადგილას, ეფექტური იქნება ყველგან, მაგრამ ეს ასე არ არის.

ბევრგან ეკლესია ქადაგებს კარდაკარ სიარულით და აკაკუნებს იმ ადამიანების კარებზე, რომლებიც ჯერ არ შეხვედრიათ. ამ მეთოდმა გამოიწვია მრავალი ადამიანის მობრუნება, მაგრამ ეს ვერ იქნება ეფექტური ყველგან.

ზოგიერთმა ეკლესიამ იყიდა ავტობუსები და შესთავაზა ხალხს ეკლესიაში მიყვანა. კვირა დილით ისინი ავტობუსს ატარებენ ტერიტორიის გარშემო და ხალხს აგროვებენ. ბევრი ადამიანი მოექცა „ავტობუსით მომსახურების" მეშვეობით, მაგრამ ეს მეთოდი ყველგან ვერ იმუშავებს.

ბევრი ეკლესია მახარებლობს სახარების ქადაგებით იმ ხალხის მიმართ, რომელიც კვირაობით ეკლესიის შენობასთან მოდის. ისინი იწვევენ ხალხს, რომ გამოვიდნენ წინ, მუხლი მოიყარონ სამსხვერპლოსთან და ილოცონ გადარჩენისთვის. ამ მეთოდით ათასობით

ადამიანი მოექცა, მაგრამ დაუხსნელი ადამიანების უმეტესობა არ მოდის ეკლესიაში. ბევრი ადამიანი ვერ მოისმენს სახარებას, თუ ვინმე არ გაუზიარებს მას, პირისპირ საუბარში.

პავლე მოციქული იყო მახარებლური მეთოდების ადაპტირების ნიმუში. მას შეეძლო ელაპარაკა ებრაულ სინაგოგებში, რადგან ის იყო განსწავლული ებრაელი რაბინი და აეხსნა მათთვის, რომ იესო არის მესია. ის ასევე საუბრობდა ისეთ ადგილებში, სადაც ხალხი იკრიბებოდა ფილოსოფიური იდეების წარმოსაჩენად. ზოგჯერ ის ბაზრებში ქადაგებდა. ხშირად ის ესაუბრებოდა ჯგუფებს სახლებში.

## ზოგიერთი თანამედროვე მეთოდი

სახარების შესახებ საუბრის დასაწყებად ხალხი იყენებდა მრავალ განსხვავებულ გზას. ზოგიერთი ეკლესია იყენებდა კითხვარებს. ისინი დადიან მთელ მოსახლეობაში და უსვამენ ასეთ კითხვებს: „როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს ეკლესიამ საზოგადოებაში? რა არის ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი რწმენა? როგორ ახსნიდით, რა არის ქრისტიანი? როგორ ხდება ადამიანი ქრისტიანი?" მას შემდეგ, რაც მოთმინებით მოუსმენს ადამიანის აზრს, ქრისტიანმა შეიძლება ჰკითხოს: „შემიძლია გითხრათ, რისი გვჯერა, რას გვეუბნება ბიბლია, როგორია ქრისტიანი?"

ზოგჯერ საჯარო ადგილას მახარებლები ყურადღებას იპყრობენ სახარების ილუსტრაციით ასახული სურათის ან დიაგრამის დახატვით. სხვები ცარცით აკეთებენ ნახატებს. ზოგიერთი მახარებელი ამბის მოყოლისას დაფაზე ათავსებს ფერად ნახატებს.[8]

ზოგიერთი ეკლესია სთავაზობს სემინარს პრაქტიკულ თემაზე, რომელიც საჭიროა მათ გარშემო საზოგადოებისთვის. თემა შეიძლება იყოს ქორწინება, ბავშვის აღზრდა, ბიზნესის პრინციპები, ჯანმრთელობა ან ტრენინგი რაიმე სახის სამუშაოსთვის. ეკლესია რაღაც კარგს აკეთებს, როდესაც საზოგადოების საჭიროებებს ემსახურება. ეკლესიას ეკისრება პასუხისმგებლობა, აჩვენოს, თუ როგორ ვრცელდება ბიბლიური ჭეშმარიტება ყოველდღიურ ცხოვრებაში. სემინარზე შეიძლება პირდაპირ არ იყოს წარმოდგენილი სახარება, მაგრამ ის გვასწავლის ბიბლიურ ჭეშმარიტებას და ავითარებს ურთიერთობას ეკლესიასა და გარშემო მყოფ საზოგადოებას შორის.

ზოგიერთმა ეკლესიამ მოაწყო დროებითი „ლოცვის სადგურები" საჯარო ადგილას, სადაც ბევრი ადამიანი მოძრაობს. ისინი აკრავენ აბრას, რომელზეც წერია „ლოცვის სადგური" და სთავაზობენ ილოცონ იქ გამვლელებისთვის. ისინი ეკითხებიან: „გაქვთ რაიმე საჭიროება,

[8] ამ მეთოდის მაგალითებისთვის იხილეთ Open Air Campaigners ვებსაიტები: http://www.oacgb.org.uk/ and http://www.oacusa.org/.

რომლის შესახებაც გსურს ვილოცო?" ისინი გამოხატავენ მზრუნველობას საჭიროებებზე და არ შედიან კამათში. ხშირად მათ აქვთ სახარების გაზიარების შესაძლებლობა.[9]

მახარებლობის მეთოდის ყველაზე ძირითადი, არსებითი ელემენტი მდგომარეობს იმაში, რომ სახარება ნათლად იყოს წარმოდგენილი იმ ადამიანებისთვის, ვისაც მისი მოსმენა სჭირდება. ვინაიდან, ღმერთი ძალას აძლევს თავის სიტყვას და სულიწმიდა ამხელს მათ, ვინც ისმენს, მახარებლობის მეთოდი უფრო ეფექტური იქნება, თუ ის ნათლად და პირდაპირ გადმოსცემს სახარებას.

ეკლესიის გამოწვევა ყველა ადგილას და ყოველ ჯერზე არის გზების პოვნა, რათა მიიპყროს ხალხის ყურადღება და გაავრცელოს სახარება მთელ საზოგადოებაში.

► როგორ გზებს მიმართავს თქვენს ქალაქში მოქმედი ეკლესიები ხალხის ყურადღების მისაქცევად? გადმოსცემს თუ არა ეს მეთოდები სახარებას?

### მეგობრების ხარება

მახარებლობის ყველაზე ეფექტური ფორმაა, როდესაც ადამიანი უშუალოდ უხსნის სახარებას ადამიანს, რომელიც იცნობს და ენდობა მას.

ქრისტიანი ყველაზე ეფექტური უნდა იყოს მეგობრებთან და ნაცნობებთან ქადაგების დროს, რადგან მათ ნახეს მისი ცხოვრების მაგალითი. თუ მისი მაგალითი მოსაწონია, ისინი დიდი ალბათობით, მეტად დააფასებენ მის მოწმობას. მნიშვნელოვანია, ქრისტიანმა გამოავლინოს თავისი რწმენა, რათა ხალხმა ყოველთვის იცოდეს, რომ ის ქრისტიანია. მას არ უნდა რცხვენოდეს, თუ ხალხი დაინახავს როგორ კითხულობს ის ბიბლიას ან ლოცულობს. ადამიანები, ვინც მას იცნობენ, არ უნდა დარჩნენ გაკვირვებულები, როდესაც გაიგებენ, რომ ის ქრისტიანია.

ქრისტიანს, თავისი მაგალითისთვის სკოლაში ან სამსახურში, შეიძლება პატივი სცენ იმ ადამიანებმაც კი, ვისაც არ მოსწონთ ქრისტიანობა. ის ადამიანებიც კი, ვინც მას დევნიან, პატივს სცემენ მის მაგალითს, თუ ის თანმიმდევრულია თავის ქმედებებში და დამოკიდებულებებში. ზოგიერთი ადამიანი მასთან ლოცვისა და რჩევისთვის მივა.

### პირადი შეხვედრები

ზოგი ფიქრობს, რომ ცოტა ხანი მაინც უნდა იცნობდეს ადამიანს, სანამ დაუმოწმებს მას. ისინი ცდილობენ დამეგობრებას, სანამ ვინმეს ღმერთზე დაელაპარაკებიან. მართალია, ადამიანი უფრო მეტად მეგობარს მოუსმენს. თუმცა, ადამიანის მიმართ გულწრფელი

[9] სურათებისა და ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ვებსაიტები: https://prayerstations.org/ and https://www.prayerstand.com/

მზრუნველობისა და ინტერესის გამოვლენა თავიდანვეა შესაძლებელი. თუ ჩვენ არ ვისწავლით, როგორ გავუზიაროთ სახარება ადამიანებს, რომლებსაც ვხვდებით, ხელიდან გავუშვებთ მრავალ შესაძლებლობას, რომ ვიყოთ ნაყოფიერი. წინა გაკვეთილი „კარებების გაღება“, გთავაზობთ გზებს სახარების შესახებ საუბრის დასაწყებად.

ერთმა კაცმა თქვა: „ყოველ ჯერზე, როდესაც ვინმესთან მარტო ვრჩები რამდენიმე წუთით, ვიყენებ მას, როგორც ღვთის მიერ მოწყობილ შეხვედრას.” ის გულისხმობდა, რომ მას სჯერა, რომ ღმერთი აძლევს მას შეხვედრებს, რომლებიც მას შეუძლია გამოიყენოს სახარებისთვის.

### დაბეჭდილი სახარება

თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ისეთი რამ, რომ გაავრცელოთ სახარება, რის გაკეთებასაც პავლე მოციქული ვერ შეძლებდა.

ჩვენ გვაქვს სახარების გავრცელების მეთოდი, რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი ეკლესიისთვის მრავალი საუკუნის განმავლობაში: ინფორმაციის დაბეჭდვა გახდა შესაძლებელი ქაღალდზე საბეჭდი მანქანებით.

► როგორ ფიქრობთ, რა იყო განსხვავებული მსახურებაში, სანამ ბეჭდვა იქნებოდა შესაძლებელი?

შეეცადეთ წარმოიდგინოთ მსახურება იმ დროში, რაც ბეჭდვამდე იყო. წიგნის ყოველი ეგზემპლარი განათლებული ადამიანის დღეების სამუშაოს ითხოვდა, რადგან ის ხელით უნდა დაწერილიყო. შეიძლება ფიქრობთ, რომ წიგნები ძვირია ახლა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ წიგნში გადაიხადოთ იგივე ფასი, რასაც გადაიხდიდით ათი დღით გამოცდილი პროფესიონალის დაქირავებისთვის.

წმიდა წერილის საკუთარი ასლი თითქმის არავის ჰქონდა. პასტორსაც კი შეიძლება არ ჰქონოდა მთლიანი ბიბლია. წარმოიდგინეთ, რომ სახლში ბიბლიის წაკითხვის შესაძლებლობა არ გქონოდათ.

პასტორების მომზადება ძირითადად ზეპირსიტყვიერად ხდებოდა და მათ მოსმენილის დამახსოვრება უნდა შეძლებოდათ. დაბეჭდილი მოსამზადებელი მასალის სხვა ადგილებში გაგზავნა შეუძლებელი იყო. ბეჭდვის არ არსებობის პირობებში, ვერაფერი დაიწერებოდა დიდი რაოდენობით გასავრცელებლად.

► რა გზებით ეხმარება ბეჭდვა სახარების გავრცელებას?

ბროშურები არის პატარა ნაბეჭდი სტატიები, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოადგენენ სახარებას. ქრისტიანებს შეუძლიათ გადასცენ ისინი ადამიანებს, რომლებსაც შეხვდებიან. ასევე, მათი დიდი რაოდენობით გაცემაა შესაძლებელი საზოგადოებრივი თავშეყრის

ადგილებში. ისინი შეიძლება იქნას დატოვილი ისეთ ადგილებში, სადაც ხალხი წაიკითხავს მათ.

თუ ადამიანი ცოტას ახარებს უცხო ადამიანებს, ბროშურების დარიგება კარგი გზაა დასაწყებად.

ბროშურები უნდა იყოს ფერადი და ჰქონდეს საინტერესო სათაური. ქუჩაში ან სხვა საჯარო ადგილებში ხალხისთვის ბროშურების დარიგებისას, გაიღიმეთ და მიესალმეთ მათ. შეგიძლიათ უთხრათ: „გამარჯობა, უკვე მიიღეთ აქედან რომელიმე?" ეს მათ დააინტერესებს, ნახონ თუ რა არის ეს.

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ადამიანების უმეტესობას არ აინტერესებს ბროშურები, რომლებსაც თქვენ აძლევთ. ბევრმა შეიძლება გადააგდოს ისინი და არც კი წაიკითხოს. თუმცა, კარგი შედეგებიც არის. ხალხი მოექცა ბროშურაში მოყვანილი გზავნილის გამო. ჩვეულებრივ, თქვენ არ გეცოდინებათ დარიგებული ბროშურების შედეგები.

## პრაქტიკული საჭიროებების დაკმაყოფილება

ზოგჯერ ადამიანები შეშფოთებულნი არიან ცხოვრების გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილებებით. მათ არ აქვთ საკმარისი საკვები, ადეკვატური თავშესაფარი ან სამედიცინო დახმარება. ისინი გრძნობენ, რომ ეს საჭიროებები უფრო აქტუალურია, ვიდრე მათი სულიერი მოთხოვნილება. ეკლესიას შეუძლია უპასუხოს პრაქტიკულ საჭიროებებს, როგორც სახარების გაზიარების საშუალებას. პოტენციურად პრობლემა შესაძლოა იმაში მდგომარეობდეს, რომ ეკლესიის ყურადღება მიწიერ მოთხოვნილებებზე იქნება ფოკუსირებული და არა სულიერ მოთხოვნილებებზე, ისევე როგორც დაუხსენელი ადამიანების ყურადღება.

> „მისიონერებს ინდოეთში, უგანდასა და სხვა ადგილებში ადანაშაულებენ მოქცეულთა „მოსყიდვაში" ფულის მიცემის, შიმშილობისგან თავის დაღწევაში დახმარების, საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურეობის ან სხვა შეღავათების გზით."
>
> - ჯეი.ჰერბერტ კეინი, „მახარებლური საქმე"

ეკლესიამ უნდა უპასუხოს პრაქტიკულ საჭიროებებს, მაგრამ უნდა შეინარჩუნოს გარკვეული პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს სულიერ პრიორიტეტს.

1. მათ უნდა აუხსნან, რომ უზიარებენ ღვთის სიყვარულს, როდესაც საჭიროებებს აკმაყოფილებენ.

2. მათ ერთად უნდა იმუშაონ, როგორც რწმენის ოჯახმა და არ უნდა ჩამოყალიბდნენ ეკლესიისგან განცალკევებულ ორგანიზაციად.

3. მათ უნდა მოიწვიონ ხალხი ეკლესიურ მოზიარეობაში, სადაც ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთზე.
4. მათ უნდა გაუზიარონ სახარება, ასწავლონ, რომ მარადიული სიცოცხლე და კურთხევები ღვთის შეცნობიდან მოდის.

ბევრი მსახურება სთავაზობს პროგრამებს, რომლებიც პასუხობენ მატერიალურ საჭიროებებს. ისინი ემსახურებიან საზოგადოების საჭიროებებს, რამდენადაც მათი რესურსები იძლევა ამის საშუალებას. მათი მიზანია შექმნან სახარების გაზიარების შესაძლებლობები. ისინი ფიქრობენ, რომ ადამიანების პრაქტიკული დახმარებით ხალხს დაიმეგობრებენ და ყურადღებას გაუმახვილებენ სახარებაზე. არსებობს ფორმულა: პროგრამა, შემდეგ ურთიერთობები, შემდეგ სახარება.

არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც დახმარების პროგრამები შეიძლება არასწორად განვითარდეს. დახმარებამ არ შეიძლება შექმნას რაიმე ურთიერთობა, გარდა გამცემი/მიმღების ურთიერთობისა. ზოგჯერ სახარება თითქოს განცალკევებულია იმისგან, რაც არის გაღებული და ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ ეს დახმარება სახარებით დაინტერესების გარეშე. პროგრამაში მომუშავე ადამიანებიც კი არიან დაკავებულნი დახმარების გაწევით და არ აზიარებენ სახარებას.

ფორმულა უნდა შემობრუნდეს. ეკლესიამ უნდა გაამახვილოს ყურადღება სახარებაზე, როგორც პირველ კონტაქტზე ყველასთან.

როდესაც ეკლესია წარუდგენს სახარებას ქვეყნიერებას, ისინი უნდა იყვნენ ერთგულნი, რათა აღწერონ ახალი ცხოვრება ეკლესიაში. ხსნა არ არის მხოლოდ პირადი, ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანს მარტოს ტოვებს უცნაურ, ახალ ცხოვრებაში. ცოდვილები, როგორც წესი, არ მიიღებენ სახარებას, თუ მათ არ მიიზიდავს რწმენის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს სახარებას.

იესოსა და მოციქულთა მსახურებაში ჩვენ ვხედავთ, რომ სახარება არის „კეთილი უწყება“ ღვთის სამეფოს შესახებ. ის არის გზავნილი, რომ ცოდვილს შეუძლია მიიღოს პატიება და დაიწყოს ღმერთთან ურთიერთობა. ის განთავისუფლდა ცოდვის ძალაუფლებისგან და შეიქმნა ახალ ქმნილებად. ის შედის რწმენის ოჯახში, სადაც მისი სულიერი ძმები და დები ამხნევებენ მას და ეხმარებიან საჭიროებებში.

ეკლესიამ თავისი მთავარი მისია სახარების გადმოცემაში უნდა დაინახოს. ეკლესია ამაზე მუდმივად უნდა მუშაობდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეკლესია სულების გადარჩენისთვის მუშაობს. მაშინ ეკლესია მიიზიდავს სწორ ადამიანებს. ის იზიდავს

ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახარებით. ეს ხალხი ურთიერთობაში შედის ეკლესიასთან, ამიტომ სახარების მსახურება ქმნის ურთიერთობას.

შემდეგ ეკლესია ეხმარება ხალხს, ვინც ეკლესიასთან ურთიერთობაშია. შესაძლოა ყველა ეს ადამიანი ჯერ არ არის გადარჩენილი, მაგრამ ისინი ურთიერთობაში არიან და იზიდავთ ეკლესიის სახარების მსახურება.

ასე რომ, შებრუნებული ფორმულა არის სახარება, შემდეგ ურთიერთობა, შემდეგ დახმარება (არა პროგრამა). ეკლესია არ უნდა იყოს მხოლოდ ორგანიზაცია, რომელიც სთავაზობს დახმარების პროგრამებს. პირიქით, ეკლესია არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ეხმარება მათთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს. თუ ისინი დაიწყებენ პროგრამებს, ამის გამო ხალხი ურთიერთობის გარეშე მოვა.

## დავალებები

1. დააკვირდით მახარებლობის მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ თქვენი რეგიონის ეკლესიები. არის ეს მეთოდები წარმატებული, ეკლესიის გარეთ ხალხის ყურადღების მიქცევაში? ნათლად გადმოსცემენ სახარებას? დაწერეთ 2-3 გვერდი თქვენს დაკვირვებებზე.
2. დაარიგეთ მინიმუმ 100 ბროშურა. დაწერეთ რამდენიმე წინადადება, რომელიც აღწერს თქვენს გამოცდილებას.

# გაკვეთილი 14
# ბავშვებისთვის მსახურება

## შესავალი

► წაიკითხეთ მათეს 18:2-6, 10-14. რა გაფრთხილებებს ვხედავთ ამ მუხლებში? როგორ აღწერთ იმ მნიშვნელობას, რომელსაც ღმერთი ხედავს ბავშვებში?

> მოგზაური გაჩერდა პატარა სოფელში. მან დაინახა მოხუცი კაცი, რომელიც ქუჩაში იჯდა და უთხრა მას: „ამ სოფლის შესახებ აქამდე არასოდეს მსმენია. აქ ვინმე დიდი ადამიანი თუ დაბადებულა?" მოხუცმა უპასუხა: „არა, მხოლოდ ჩვილები."

ზოგჯერ ადამიანები ამბობენ, რომ ბავშვები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი არიან მომავალი თაობა, ეკლესიის მომავალი და მომავალი ლიდერები. ეს ყველაფერი სიმართლეა; მაგრამ, პირველ რიგში, ბავშვები მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან. ხანდახან უფროსებს ავიწყდებათ, რომ ბავშვები მარადიული სულისა და უცნობი პოტენციალის მქონე ადამიანები არიან.

## ღვთის მცნება ბავშვებისთვის მსახურების შესახებ

ღმერთმა ძველი ისრაელის ხალხს აღთქმა დაუდო. ის დაპირდა მათ კურთხევას და ზრუნვას. მან მორჩილების მოთხოვნები გააცნო მათ.

ღმერთს სურდა, რომ აღთქმა ყველა თაობისთვის ყოფილიყო. უთხრა მათ: „გულში ჩაიდე ეს სიტყვები, რომელთაც გამცნებ დღეს. შთაუნერგე ისინი შენს ძეებს" (მეორე რჯულის 6:6-7).

აღთქმისთვის მნიშვნელოვანი იყო ბავშვების აღზრდა ღვთის ნების შემსრულებლებად, რადგან ღვთის მრავალი კურთხევა იყო პირობითი და დამოკიდებული მისი ხალხის მორჩილებაზე. თუ მომავალი თაობა აირჩევდა არ ყოფილიყო ღმერთის ერთგული და მორჩილი, მაშინ ისინი დაკარგავდნენ მასთან ურთიერთობის უპირატესობებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭირო იყო ბავშვების გულდასმით სწავლება.

► როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეეძლოთ ისრაელიანებს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი შვილები მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, მიყოლოდნენ ღმერთს?

ღმერთმა მათ გარკვეული მითითებები მისცა შვილების აღზრდისთვის.

> ასწავლეთ თქვენს ძეებს და ელაპარაკეთ მათზე, როგორც სახლში ყოფნისას, ისე გზაზე სვლისას, როგორც დაწოლისას, ისე ადგომისას. წააწერეთ თქვენი სახლების წირთხლებს და კარიბჭეებს (მეორე რჯულის 11:19-20).

რა აზრი ჩადო ღმერთმა? მათ უნდა ესწავლებინათ გულმოდგინედ, მუდმივად და თანმიმდევრულად, არა მხოლოდ ხანდახან. მათ უნდა ჰქონოდათ ღვთის რჯულის შეხსენებები გამოფენილი თვალსაჩინო ადგილებში. მათ წმიდა წერილი ყველგან უნდა დაენახათ. მათ არასოდეს უნდა დაევიწყებინათ ან უგულებელყოთ ღვთის მცნებები.

თანმიმდევრული სწავლება ნიშნავდა, რომ მათ არ ექნებოდათ შელამაზებები, გასართობები ან ღვთის რჯულის საწინააღმდეგო ქცევა.

ამრიგად, ეს მუხლები ხაზს უსვამს იმას, რომ მშობლები ვალდებულნი არიან ასწავლონ თავიანთ შვილებს ღვთის ფასეულობები მუდმივად და თანმიმდევრულად და დაიცვან ისინი სწავლებებისგან და მაგალითებისგან, რომლებიც საპირისპიროს მოახდენს.

► ეს მცნება მიეცა მშობლებს. რა მოთხოვნები უნდა გაკეთდეს ეკლესიის მსახურების მიმართ?

პირველყოვლისა, ჩვენ ვიცით, რომ ბავშვების აღზრდა, პირველ რიგში მშობლების პასუხისმგებლობაა. ეკლესიამ უნდა ასწავლოს მშობლებს, როგორ აღზარდონ შვილები. არასდროს უნდა ჩავთვალოთ, რომ ბავშვებმა სულიერი სწავლება მხოლოდ ეკლესიისგან უნდა მიიღონ, რადგან მშობლებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ.

მეორეც, ეკლესია მაქსიმალურად უნდა მოემსახუროს ბავშვებს მათი ოჯახის კონტექსტში. დაეხმაროს ბავშვებს მათი მშობლების დახმარებით. მახარებლობის დროს ეკლესია უნდა ესწრაფვოდეს ეკლესიაში ოჯახების მიზიდვას.

ზოგიერთი ბავშვი არაქრისტიანული ოჯახებიდან მოდის ეკლესიაში და იღებს გადარჩენას. როდესაც ეს მოხდება, ეკლესია უნდა ცდილობდეს მოემსახუროს ოჯახს. თუ მშობლები ამ ყველაფერზე არ რეაგირებენ, ეკლესია უნდა გახდეს ბავშვებისთვის სულიერი ოჯახი. ეკლესიის წევრები უნდა იყვნენ როგორც უფროსი ნათესავები, რომლებიც იჩენენ სულიერ მზრუნველობას.

## ბავშვებისთვის ეკლესიური მომსახურების შეფასება

► როგორ შეაფასებდით ბავშვთა მსახურების წარმატებას ამა თუ იმ ეკლესიაში?

თქვენი მსახურება ბავშვებისთვის სულაც არ იქნება წარმატებული, თუნდაც...

- თქვენს მასწავლებლებს ჰქონდეთ დიდი შესაძლებლობები.
- გაიზარდოს ბავშვებისა და მასწავლებლების რაოდენობა.
- ბავშვები იღებდნენ ბიბლიურ შემეცნებას.
- მასწავლებლები იყენებდნენ მაღალხარისხიან მასალას.
- ბავშვებს სიამოვნებდეთ მსახურება.

ეს მახასიათებლები უნდა არსებობდეს, თუ ბავშვების მსახურება წარმატებულია. თუ მსახურებას აკლია ისინი, პრობლემები წარმოიქმნება. თუმცა, შესაძლებელია, მსახურებას ჰქონდეს ზოგიერთი ან ყველა ეს მახასიათებელი, მაგრამ მაინც წარუმატებელი იყოს.

ბავშვებისადმი თქვენი მსახურება წარმატებულია, თუ...

- ბავშვები მოქცეულნი არიან და აქვთ გადარჩენაში დარწმუნებულობა.
- ბავშვები თანდათან სულიერად იზრდებიან.
- ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები იცავენ ქრისტიანულ პრინციპებს.

თქვენი მსახურება არ იქნება წარმატებული იმ ბავშვთან, რომელიც...

- არ არის ქრისტიანი.
- ირჩევს ამქვეყნიურ მისაბაძ მაგალითებს.
- ასაკის მატებასთან ერთად მიჰყვება უწმინდურ გართობას და ურთიერთობებს.
- უგულებელყოფს ღვთის ნებას თავისი ცხოვრებაში და მიჰყვება პირად ამბიციებს.

**ღვთის ჭეშმარიტების შესაბამისად ცხოვრების ჩამოყალიბება მოწაფეობის საქმეა. ეს არის ადამიანის ჩამოყალიბება იესოს ზრდასრულ მიმდევრად. მოქცევის მომენტი ავტომატურად არ აერთიანებს ღვთის ჭეშმარიტებას ადამიანის აზროვნებასთან, დამოკიდებულებებთან, ვარაუდებთან და ცხოვრების წესთან. ჭეშმარიტების ამ ინტეგრაციას დრო სჭირდება. ეს არის მოწაფეობის ნამდვილი ამოცანა.**

## ბავშვების მსახურების პირველი აუცილებლობა

► როგორ ფიქრობთ, რა გჭირდებათ პირველ რიგში, ბავშვების მსახურებისთვის?

ბავშვთა მსახურება სწრაფად აყალიბებს მონაწილეთა ჯგუფს, რომელშიც შედიან ბავშვები და უფროსები, რომლებიც ჩართულნი არიან. ამ ჯგუფს ჰყავს ბუნებრივი ლიდერები, ადამიანები, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვებზე თავიანთი პიროვნებით, თუნდაც ისინი

არ იყვნენ ოფიციალურ თანამდებობებზე. უფროსებსა და ბავშვებს შორის არიან ბუნებრივი ლიდერები.

მსახურების უპირველესი აუცილებლობა არის ქრისტიანული გარემო პოზიტიური სულიერი ატმოსფეროთი. აქ შეგიძლია აღზარდოთ ქრისტიანები, რომლებიც გონებრივად, ფიზიკურად, სულიერად და სოციალურად მოუმწიფებელნი არიან.

ეს ნიშნავს, რომ ზრდასრულები სულიერი მაგალითები უნდა იყვნენ. თქვენ არ უნდა ჩართოთ ის ადამიანები ბავშვების მსახურებაში, ვინც არ არიან სერიოზული ქრისტიანები. თქვენ არ უნდა ჩართოთ ისეთი ბავშვები, რომლებიც ძლიერ გავლენას ახდენენ სხვებზე, რათა უარი თქვან თქვენს გზავნილებზე.

თქვენი მსახურება ბავშვებისთვის უკვე დამარცხებულია თუკი...

- უფროსები, რომლებიც ეხმარებიან მსახურებას, არიან იქ განსაკუთრებული შესაძლებლობების ან სხვა მიზეზის გამო, მაგრამ არ არიან კარგი სულიერი მაგალითები.
- ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ ინტერესი სულიერების მიმართ, დომინირებენ ჯგუფის საუბარში და სოციალურ ურთიერობაში.
- ყველა სულიერ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ უფროსები ბავშვების მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე.
- მხოლოდ რამდენიმე ბავშვია მზად თანამშრომლობისთვის და სულიერი ინტერესის გამოვლენისთვის, დანარჩენების უმეტესობა კი არ ღებულობს მათ საზოგადოებაში.

შეხედეთ ბავშვების ჯგუფს და დაუსვით საკუთარ თავს ეს კითხვები. ახალი ბიჭი რომ შემოუერთდეს ჩვენს მსახურებას, ჯგუფის ბავშვებიდან რომელს გაჰყვებოდა ის დიდი ალბათობით? რომ ჩაირიცხოს ახალი გოგონა, ის ვის მიჰყვება? ეს ზეგავლენა კარგი იქნება თუ ცუდი?

მსახურების უპირველესი აუცილებლობა პოზიტიური ქრისტიანული გარემოა. ბავშვთა მსახურება ამ პირველი აუცილებლობით უნდა დაიწყოს. თუ მსახურებამ უკვე დაკარგა ეს, როგორმე უნდა მოხდეს ახლის დაწყება, წინააღმდეგ შემთხვევაში სწორ მიზანს ვერ მიაღწევს.

### ცხოვრებისეული ურთიერთობის პრინციპები

ღმერთის შეცნობა ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

როდესაც ღმერთი დაელაპარაკა იაკობს, მან საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინა. მას არ უთქვამს: „მე ვარ სამყაროს ღმერთი“ ან „მე ვარ ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო;"

თუმცა ნებისმიერი ეს განცხადება სიმართლე იქნებოდა. მან თქვა: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაჰამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისაკისა" (დაბადების 28:13). ღმერთი საკუთარ თავს ავლენს ადამიანების მეშვეობით.

აბრაამი გახდა რწმენის მამაკაცი და სხვებმაც ირწმუნეს ღმერთი, მის გამო. მისი მსახური ელიაზარი ლოცულობდა „ჩემი ბატონის, აბრაამის ღმერთო" (დაბადების 24:12).

უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც უკეთ გაიცნობენ ღმერთს, რადგან ის შენი ღმერთია.

ზოგჯერ ჩვენ მივიჩნევთ, რომ მოწაფეობა უბრალოდ ეუბნება ხალხს, რა უნდა იცოდნენ და რა უნდა გააკეთონ. ეს ასე არ არის. უპირველეს ყოვლისა, თქვენ უნდა აჩვენოთ მათ ცხოვრება, რომელსაც სურთ, რომ გაყვნენ. თუ მათ სურთ იცხოვრონ ისე, როგორც თქვენ, მაშინ ისინი მოუსმენენ თქვენს მითითებებს, თუ როგორ უნდა გააკეთონ ეს.

მოწაფეობა არის ცხოვრებისეული კომუნიკაცია. ცხოვრების წესი, თავისი მოტივებითა და ძირითადი ფასეულობებით, მოწაფედან მოწაფეზე გადადის.

**სიცოცხლის გადაცემის პრინციპი ამბობს, რომ მოწაფეობა ხდება მაშინ, როდესაც მასწავლებელი ნერგავს თავის ცხოვრების წესს, თავისი მოტივებითა და ძირითადი ღირებულებებით, მოსწავლეში**.

პირველი საუკუნის ებრაელ რაბინებს ესმოდათ, რომ მოწაფეობა სიცოცხლის გადაცემა იყო. როდესაც ახალგაზრდას სურდა რაბინის მოწაფე გამხდარიყო, ის სთხოვდა რაბინს მის მიღებას. თუ მას მიიღებდა, ის დაიწყებდა რაბინის ცხოვრების გაზიარებას. ის უმეტეს დროს მასთან ატარებდა, არა მხოლოდ მისი მოძღვრების სასწავლად, არამედ მისი ცხოვრებისადმი მიდგომის სასწავლად.

იესო იმდროინდელი ჩვეულებისგან განსხვავებულად იქცეოდა და აირჩია მამაკაცები, რომლებსაც არ უთხოვიათ მისი მოწაფეობა. მაგრამ, ის მიჰყვებოდა მოწაფეობის ჩვეულებას, ცხოვრების ერთად გაზიარებით, სიცოცხლის გადაცემის მიზნით.

იესოს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მისი ზოგიერთი მოწაფე დააპატიმრეს და იმავე სასამართლოს წინაშე წარადგინეს, რომელმაც იესო გაასამართლა. სინედრიონს ალბათ ეგონა, რომ მათი პრობლემები დასრულდა მას შემდეგ, რაც იესო თავიდან მოიშორეს. მათ ჩათვალეს, რომ რამდენიმე მუქარა საკმარისი იქნებოდა იესოს მიმდევრების დასაშინებლად და გასაჩუმებლად. როდესაც მათ მოწაფეები გამოიკვლიეს, დაინახეს, რომ ისინი არ იყვნენ უაღრესად განათლებული ადამიანები, ისინი სასამართლოს ნებისმიერ წევრზე ნაკლებად განათლებულები იყვნენ. მაგრამ, წმიდა წერილში ნათქვამია, რომ სინედრიონმა შეამჩნია, რომ ისინი იყვნენ იესოსთან (საქმეების 4:13). იესომ თავისი სიცოცხლით დაბეჭდა ისინი.

რა დაინახეს იესოსი იმ მოწაფეებში? იყო ეს მისი მანერები თუ საუბრის სტილი? შესაძლოა; მაგრამ უფრო მეტი იყო. მათ დაინახეს გამბედაობა, რომელიც მომდინარეობდა ღვთიური მოწოდების გრძნობიდან. მათ დაინახეს ჭეშმარიტებისადმი მუდმივი ერთგულება, ნებისმიერ ფასად. მათ დაინახეს ხელისუფლებისადმი პატივისცემა, მაგრამ კომპრომისისა და ფარისევლობის უარყოფა. რა თქმა უნდა, ამ კორუმპირებულ პოლიტიკოსებსა და რელიგიურ თვალთმაქცებს გული შეუწუხდათ, რადგან მიხვდნენ, რომ მათი პრობლემები ახლა იწყებოდა. იესომ გაამრავლა და უკვდავყო თავისი გავლენა მოწაფეობის მეშვეობით.

დოქტორი პოლ ბრენდი აკვირდებოდა თავის რამდენიმე ახალგაზრდა მედიკოს სტუდენტს, როდესაც ისინი ინდოეთის საავადმყოფოში პაციენტებს გამოკვლევებს უტარებდნენ და დიაგნოზს უსვამდნენ. როდესაც აკვირდებოდა ერთ-ერთ მათგანს, როგორ ფრთხილად ექცევა ის პაციენტს, გაოცებული დარჩა ინტერნის სახეზე გამომეტყველებით. გამომეტყველება სრულად ემთხვეოდა დოქტორ პილჩერის, ქირურგის სახეს, რომელიც ასწავლიდა დოქტორ ბრენდს ინგლისში. დოქტორმა ბრენდმა ინტერნებს განუმარტა, რომ ასეთი გაკვირვებით რეაგირებდა, რადგან იცოდა, რომ დოქტორი პილჩერი არასოდეს ყოფილა ინდოეთში და არ ესმოდა, როგორ შეეძლო ამ ინტერნს ასე მიებაძა მისთვის. ბოლოს ერთ-ერთმა ინტერნმა თქვა: „ჩვენ არ ვიცნობთ დოქტორ პილჩერს, მაგრამ დოქტორო ბრენდ, ეს იყო თქვენი გამომეტყველება, რომელიც მას ქონდა."[10]

სწორედ იმას, რასაც ასწავლით, როდესაც არ ცდილობთ ასწავლოთ, ექნება ყველაზე დიდი ეფექტი. ყველაზე მეტად მაშინ ასწავლით, როდესაც არაფრის სწავლებას არ ცდილობთ. როგორც ვიღაცამ თქვა: „შენ ცოტას ასწავლი იმით, რასაც ამბობ, უფრო მეტს იმით, რასაც აკეთებ და ყველაზე მეტად იმით, რაც ხარ."

გაუფრთხილდით თქვენი მაგალითის ძალას. თქვენ ყოველთვის ასწავლით. თქვენ ასწავლით ძირითადად თქვენი ცხოვრების წესით.

თქვენ აჩვენებთ მას, თუ როგორ უპასუხოს მის პრობლემებს, იმით თუ თქვენ როგორ რეაგირებთ თქვენს პრობლემებზე.

სიკეთე, თავაზიანობა და მოთმინება მნიშვნელოვანია ბავშვების დასახმარებლად. ზოგიერთ ადამიანს მეტად შეუძლია იყოს კეთილი, თავაზიანი და მომთმენი ბავშვებთან, ვიდრე სხვებს.

თქვენ აჩვენებთ, რომ აფასებთ ადამიანს, თუ მას სრულად უთმობთ ყურადღებას. დაუთმეთ დრო მასთან საუბარს. გაითვალისწინეთ თუ რას ამბობს თქვენი სხეულის ენა, იქნებ ზურგს აქცევთ ან მიდიხართ რაღაცის გასაკეთებლად, ან მუშაობთ რაიმეზე, იმ დროს როდესაც ის საუბრობს ან ყურადღება სხვაზე გადაგაქვთ.

---

[10] Paul Brand and Philip Yancey, *In His Image*. (Grand Rapids: Zondervan, 1984), 18-19.

გამოიმუშავეთ მოსმენის კარგი ჩვევები. კარგი მოსმენის ნიშნებია მხედველობითი კონტაქტი, კონცენტრირებული გამომეტყველება, ყურადღების გადამტანი ფაქტორების იგნორირება და მოლაპარაკის იუმორზე ან სხვა ემოციებზე რეაგირება.

თუ ნამდვილად გეჩქარებათ და ვერ ჩერდებით მოსასმენად, შეგიძლიათ აუხსნათ. ეს მათ არ ეწყინებათ, თუ ჩვეულებრივ იმდენ ყურადღებას უთმობთ მათ, რაც სჭირდებათ. თუ ზოგადად თავს ძალიან დატვირთულად გრძნობთ, რომ დრო დაუთმოთ მათ და ფიქრობთ, რომ „რაღაც უნდა მოიმოქმედოთ", უნდა შეჩერდეთ და განიხილოთ რა არის თქვენი ნამდვილი საქმიანობა.

► რომელი ბავშვები არიან თქვენი ცხოვრების ნაწილი? რა გზებით შეგიძლიათ აჩვენოთ მათ, რომ ისინი მნიშვნელოვანნი არიან თქვენთვის? გაქვთ რაიმე ჩვევა, რომელიც უნდა შეცვალოთ?

ღმერთისთვის ჩვენი ხელმისაწვდომობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი შესაძლებლობები. ღმერთს ჩვენი ხელმისაწვდომობა უფრო სჭირდება, ვიდრე ჩვენი შესაძლებლობები. ღმერთი მოგვცემს იმ უნარებს, რაც საჭიროა მისი მოწოდების შესასრულებლად.

> „როდესაც ადამიანი წყვეტს ახალგაზრდების თანაგრძნობას, მისი სარგებლიანობა დედამიწაზე მთავრდება."
> - ჯორჯ მაკდონალდი

ახალგაზრდები ბევრ რამეში არასტაბილურები არიან. დღითი დღე, მათ შეუძლიათ შეიცვალონ მოჩვენებითად სულიერისგან მოჩვენებითად მეამბოხემდე, გულუხვობისგან ეგოისტურობამდე, მოწიფულობიდან ბავშვურობამდე. ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი თვალთმაქცები არიან. ისინი ჯერ კიდევ განვითარების პროცესში არიან და მათი პიროვნება ცვალებადია.

ახალგაზრდები მერყევები არიან, მაგრამ მათ სჭირდებათ, რომ თქვენ იყოთ მტკიცე თქვენს მოლოდინებში. თუ მათ ცუდ დღეებში ეტყვით, რომ ისინი არასოდეს არაფრის ღირსები არ იქნებიან, თქვენ ამცირებთ მათ, საკუთარი თავის მიმართ მოლოდინს. მათ ჯერ არ იციან ვინ იქნებიან და თქვენი შეფასება გავლენას ახდენს იმაზე, თუ ვინ იქნებიან ისინი.

ბევრი ისაუბრეთ ღვთის განსაკუთრებულ გეგმაზე მათი ცხოვრების მიმართ. უთხარით, რომ ღმერთმა თითოეულ მათგანს მიანიჭა განსაკუთრებული შესაძლებლობები. ესაუბრეთ ღვთის ნების პოვნით მიღებულ კმაყოფილებაზე.

ლიდერის პოტენციალის მქონე ახალგაზრდას შეიძლება ბევრი იდეები ჰქონდეს, მაგრამ მან არ იცის როგორ მოიშოროს ცუდი იდეები. სიმწიფის ასპექტი არის კარგი იდეებისა და ცუდი

იდეების გარჩევის უნარი. დაეხმარეთ მას სიბრძნის შეთვისებაში, მაგრამ გულს ნუ აუცრუვებთ იმაში, რომ ჰქონდეს იდეები.

უპირველეს ყოვლისა, გახსოვდეთ, რომ ღმერთს აქვს საბოლოო გეგმა თითოეული ადამიანისთვის და ის მუშაობს მის განსახორციელებლად. ილოცეთ შორსმჭვრეტელობისთვის, რათა შეძლოთ მოსწავლის განვითარებისთვის ღმერთის გეგმის მიხედვით მუშაობა. ილოცეთ მოსწავლის ცხოვრებაში მადლისა და განგების სასწაულებისთვის, რაც მას სწორი მიმართულებით შემოაბრუნებს.

## სწავლების მეთოდების გაუმჯობესება

► როგორია კარგი სწავლების სტილის ზოგიერთი მახასიათებელი? როდესაც ხედავთ, რომ ვიღაც ასწავლის, საიდან ხვდებით, რომ ის კარგი მასწავლებელია?

მასწავლებელი აკონტროლებს სწავლების სტილს. არსებობს სტილის რამდენიმე ასპექტი, რომელიც მასწავლებელმა გულდასმით უნდა დაგეგმოს.

### (1) სწავლების სისწრაფე

ადამიანები ვიწრო ყელიანი ლარნაკებივით არიან. თუ ძალიან სწრაფად დაასხამთ, ნაწილი არ ჩავა. თუ ძალიან სწრაფად მიაწვდით ინფორმაციას, ისინი ამას ვერ აითვისებენ. როდესაც ადამიანი იღებს ახალ ინფორმაციას, მან უნდა დაუკავშიროს ის იმას, რაც უკვე იცის. მან ასევე უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ ეხება ეს ინფორმაცია მის ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, არსებობს შეზღუდვები იმ სიჩქარეზე, რომლითაც ადამიანს შეუძლია ინფორმაციის შეთვისება.

სჯობს ერთი შენიშვნა დასამახსოვრებელი გახადოთ, ვიდრე გამოყოთ ბევრი მომენტი, რომელსაც ისინი დაივიწყებენ. მათთვის უკეთესია ისწავლონ როგორ გამოიყენონ ერთი ძირითადი კონცეფცია, ვიდრე მოისმინონ ინფორმაციის მასა, რომელშიც ისინი აზრს ვერ ხედავენ.

### (2) ჯგუფი დისკუსია

ადამიანების უმეტესობას სჭირდება დისკუსია სხვებთან, სანამ ისინი სწავლობენ. მათ უნდა შეეძლოთ კითხვების დასმა და კონცეფციის საკუთარი სიტყვებით გამეორება. თუ მასწავლებლის სწავლების სტილი არ იძლევა მსმენელთან ურთიერთობის საშუალებას, ისინი ბევრს ვერ ისწავლიან.

თქვენ შეგიძლიათ წამოჭრათ თემა კითხვით, როგორიცაა „რატომ არის მნიშვნელოვანი...?" ან „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც თქვენ იცით...?" ნუ დახარჯავთ დიდ დროს შესავალ დისკუსიაზე, მაგრამ გამოიყენეთ ის მათი დაინტერესებისთვის.

გარკვეული ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, შეგიძლიათ დასვათ შეკითხვა, რომელიც აიძულებს მათ ახსნან კონცეფცია თავისი გადმოსახედიდან. მაგალითად, „რა შეცდომა დაუშვა ადამიანმა მოთხრობილ ისტორიაში...?" ან „რატომ არის ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი...?" დასვით კითხვები, რომლებიც საჭიროებს გავრცობილ პასუხებს, ნაცვლად კითხვებისა, რომლებზეც შესაძლებელია უპასუხონ კი ან არა. კითხვები საკმარისად მარტივი უნდა იყოს, რომ უმეტესობა მათგანზე კარგი პასუხი მივიღოთ ბავშვებისგან. ისინი ინტერესს დაკარგავენ, თუ მათი პასუხები უმეტესად არასწორი იქნება.

- ნუ აიძულებთ სტუდენტს გააზიაროს რაიმე პირადი. ამის ნაცვლად, შეეცადეთ შექმნათ ისეთი ატმოსფერო, რომელშიც ის თავისუფლად იგრძნობს თავს, რომ თავადვე გაგიზიაროთ საკუთარი აზრები.
- ნუ მისცემთ ზოგიერთებს უფლებას, რომ მთელი საუბრის დრო მათ დაიკავონ. შეგიძლიათ დაუსვათ კითხვა ჯგუფის ჩუმათ მყოფ წევრს: „შენ როგორ მიგაჩნია, ჩარლზ?" თქვენ უნდა წაახალისოთ სხვების მონაწილეობაც: „რას ფიქრობთ დანარჩენები?"
- არ მისცეთ უფლება კლასში მყოფ ადამიანებს, აწარმოონ საკუთარი დისკუსია ჯგუფის უგულებელყოფით.
- არავის მისცეთ საშუალება ხელი შეგიშალოთ, მოლაპარაკე ბავშვსაც კი.
- შეეცადეთ დაადასტუროთ თითოეული კომენტარი რაიმე ფორმით, სანამ გააკრიტიკებთ მას. თუ მას კორექტირება სჭირდება, შეეცადეთ შეასწოროთ მისი გაფართოებით.

**(3) შესაბამისობა**

ყოველთვის დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: „რატომ არის ეს მასალა მნიშვნელოვანი?" თუ თქვენ არ იცით, მათაც არ ეცოდინებათ. რა განსხვავება უნდა იყოს მათში? არის თუ არა კონკრეტული განაცხადები, რომლებიც მათ უნდა გააკეთონ თავის ცხოვრებაში? თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, ალბათ ვერც ისინი მოიფიქრებენ.

თუ დაინახავენ, რომ თემა მათთვის აქტუალურია, უკეთ მოისმენენ. იმისათვის, რომ აკონტროლოთ კლასი, უფრო მეტი კონცენტრირება მოახდინეთ მის საინტერესოდ გახდომაზე, ვიდრე დისციპლინის შენარჩუნებაზე.

**(4) მნიშვნელობა**

აჩვენე ჭეშმარიტების შედეგები, რომელსაც ასწავლი. რა ხდება, როდესაც ხალხმა იცის ამის შესახებ და მიჰყვება? რა ხდება, როდესაც ადამიანები უარყოფენ ამ ჭეშმარიტებას.

გაამხნევეთ ისინი შესანიშნავი თემებით. მოერიდეთ დიდი დროის დახარჯვას მცირე საკითხებზე. მოუყევით მათ ისტორიები მათზე, ვინც ცხოვრობდნენ იმ ჭეშმარიტებაში, რომელსაც თქვენ უზიარებთ. მათ არ დაამახსოვრდებათ თქვენი მონახაზი, მაგრამ ეხსომებათ თქენი ისტორიები.

მიეცით მათ გმირები. ისინი ეძებენ ადამიანებს აღფრთოვანებისა და მიბაძვისთვის. მოუყევით რწმენის გმირებზე - არა მხოლოდ მათზე, ვინც იხილა დიდი სასწაულები, არამედ მათზე, ვინც ღვთის ძალით დიდ საქმეებს ასრულებდა. დაეხმარეთ მათ დაინახონ, რომ ეკლესიის მისია, გაავრცელოს სახარება და მოამზადოს მოწაფეები არის უდიდესი გამოწვევა და ყველაზე სრულფასოვანი სამუშაო დადამიწაზე.

### (5) მხედველობითი

თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ ფერადი სურათები ისტორიების თხრობისას. ცნებების სწავლებისას დაფაზე დაწერეთ ძირითადი სიტყვები და განცხადებები. ისინი უკეთ დაიმახსოვრებენ, თუ დაინახავენ და მოისმენენ მათ.

### (6) მოქმედება

ხალხი საქმეს სწავლობს პროცესში. ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ რაღაცის კეთებით ან ისტორიის გათამაშებით. მასწავლებელს შეუძლია ხელმძღვანელობაც კი გაუწიოს მათ ბიბლიური ისტორიის ამოქმედებაში, რომელსაც ის ყვება. ამას დრო სჭირდება, ამიტომ შეიძლება ყოველ ჯერზე ვერ მოიფიქროთ მოქმედება მთელი სიუჟეტისთვის, მაგრამ ყოველ ჯერზე უნდა მოძებნოთ რაიმე მოქმედების შესრულების გზები.

► ზოგიერთ წევრს შეუძლია ისაუბროს მათ მიერ წარმოდგენილ ბოლო გაკვეთილებზე ან ქადაგებებზე და აღწეროს, თუ როგორ შეიძლება უკეთ გამოიყენონ სტილის ეს ასპექტები. ზოგიერთს შეუძლია აღწეროს ის, რასაც ისინი უკვე აკეთებენ ამ ასპექტების გამოსაყენებლად.

## სახარების მეთოდი ბავშვებისთვის: უსიტყვო წიგნი

უსიტყვო წიგნის თითოეული გვერდი განსხვავებული ფერისაა და წარმოადგენს სახარების ნაწილს.

ქვემოთ მოცემულია გზავნილის მოკლე შინაარსი, რომელიც თან ახლავს თითოეულ გვერდს. როდესაც იყენებთ უსიტყვო წიგნს, თქვენ უფრო მეტი ახსნა-განმარტება უნდა დაამატოთ და მისცეთ ბავშვს ჩართულობისა და კითხვების დასმის საშუალება.[11]

---

[11] სხვა ინფორმაციისთვის იმის შესახებ, თუ რა უნდა თქვათ უსიტყვო წიგნის გამოყენებისას, ეწვიეთ ამ ვებგვერდებს:

შენიშვნა: ზოგიერთი ადამიანი ჯერ ოქროსფერ გვერდს აყენებს, შემდეგ შავს და აგრძელებს დანარჩენის კითხვას იმავე თანმიმდევრობით, როგორც აქ.

**შავი**: შავი გვახსენებს ცოდვას, ჩვენს მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებს. ბიბლია ამბობს, რომ ყველამ შესცოდა. ცოდვის გამო ღმერთთან დაბრკოლება გვაქვს. (ამ დროს თქვენ უნდა სთხოვოთ ბავშვს აღიაროს, რომ ის ცოდვილია.)

**წითელი**: სასიხარულო ამბავი იმაშია, რომ იესო, ღვთის ძე, მოკვდა ჩვენთვის, რათა გვეპატიოს ჩვენი ცოდვები. წითელი წარმოადგენს იესოს სისხლს. იესო მოკვდა, მაგრამ ის მკვდრეთით აღდგა და სამოთხეს გვიმზადებს.

**თეთრი**: როდესაც ღმერთი გვპატიობს, ის წმენდს ჩვენს გულს. ის გვაშორებს ჩვენს მიერ ჩადენილ ყველა ცოდვას. შეგიძლიათ ილოცოთ და ღმერთს სთხოვოთ პატიება. ღმერთი მზადაა გაპატიოს, თუ შენ წუხხარ ჩადენილი ცოდვების გამო.

**ოქროსფერი**: ოქროსფერი წარმოადგენს სამოთხეს, ადგილს, რომელსაც ღმერთი გვიმზადებს. როდესაც ჩვენი ცხოვრება დასრულდება, ჩვენ ვიცხოვრებთ ღმერთთან ერთად სამოთხეში, სადაც არასოდეს იქნება მწუხარება, ტკივილი ან ბოროტება.

**მწვანე**: როდესაც ხარ ნაპატიები, ღვთის შვილი ხარ. თქვენ გაიზრდებით მასთან ურთიერთობაში. მწვანე ნიშნავს ზრდას. თქვენ გაიგებთ უფრო მეტს ღმერთის შესახებ და გაიგებთ, თუ როგორ სურს მას, რომ იცხოვროთ. თქვენ უნდა იკითხოთ თქვენი ბიბლია, ილოცოთ ყოველდღე და მოუსმინოთ იმ პიროვნებებს, რომლებმაც იციან როგორ იცხოვრონ ღმერთთან ახლოს.

---

• http://berean.org/bibleteacher/wb.html
• http://www.abcjesuslovesme.com/ideas1/bible/bible-themes/1150-wordless-book.
ინფორმაციისთვის, თუ როგორ უნდა გააკეთოთ უსიტყვო წიგნი ან მსგავსი რამ, იხილეთ ეს ბმული:
• http://www.teenmissions.org/resources/wordless-book-bracelet/.

## დავალებები

1. კიდევ ერთხელ გადახედეთ ამ გაკვეთილის მასალას სათაურით „ცხოვრებისეული ურთიერთობის პრინციპები." გაითვალისწინეთ თქვენი ურთიერთობა ბავშვებთან, არა მხოლოდ სწავლებისას, არამედ ნებისმიერ დროს, როდესაც მათ ხვდებით. რისი შეცვლა გჭირდებათ? ისაუბრეთ ადამიანთან, რომელიც კარგად გიცნობთ. აჩვენეთ მას მასალა და აუხსენით თქვენივე თავის შეფასება. კითხეთ მათ გულწრფელი აზრი. თქვენ უნდა შეატყობინოთ, რომ შეასრულეთ ეს დავალება, მაგრამ შეგიძლიათ აირჩიოთ, მიუთითოთ თუ არა თქვენი შეფასების დეტალები.

2. მოამზადეთ გაკვეთილი ან ქადაგება ბავშვებისთვის. შეიმუშავეთ ის ყურადღებით, რომ გამოიყენოთ სტილის ექვსი ასპექტი. მოემზადეთ იმის ასახსნელად, თუ როგორ შეიმუშავეთ ის.

3. იპოვნეთ საშუალება იყიდოთ ან გააკეთოთ უსიტყვო წიგნი. ისწავლეთ პრეზენტაცია და წარუდგინეთ ის მინიმუმ სამ ადამიანს. დაწერეთ აბზაცი, რომელიც აღწერს თითოეულ გამოცდილებას.

# გაკვეთილი 15
# ეკლესიის ჩანაფიქრი (მიზანი)

## შესავალი

ერიკს უყვარს საუბარი მისი ეკლესიის ადრეულ წლებზე. „ჩვენ დავიწყეთ შეხვედრა პარკში, მოვიწვიეთ ყველა, ვისაც შევხვდით. როდესაც აცივდა, ძველ ავტობუსში შევიკრიბეთ. ჩვენ იქ საპირფარეშოებიც კი არ გვქონდა. მოგვიანებით, ცოტა ხნით გიმნაზიაში ვიკრიბებოდით, შემდეგ კი ძველი ეკლესიის შენობაში ვიქირავეთ ფართი."

ერიკის ეკლესია იზრდებოდა ამ წლების განმავლობაში. ამ ეკლესიის მიმდევრებს, შენობა არ იზიდავდა. ისინი მოზიდულნი იქნენ ხალხის ჯგუფის მიერ.

ამ გაკვეთილში, როდესაც ვსაუბრობთ ეკლესიის ჩამოყალიბებაზე, ჩვენ არ ვსაუბრობთ შენობის შესახებ. ბევრ დიდ ეკლესიას აქვს ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს მათ რთულ პირობებში.

ზოგიერთი ეკლესია ამბობს, რომ მათ არ შეუძლიათ ხალხის მოზიდვა, რადგან მათი შენობა საკმარისად კარგი არ არის. სიმართლე იმაშია, რომ მათ სხვა რაღაც აკლიათ, ის რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენობა.

## ეკლესიაში მოწვევის მნიშვნელობა

ქრისტიანები, მთელს მსოფლიოში, იწვევენ ხალხს თავიანთ ეკლესიებში. ისინი იმედოვნებენ, რომ მოწვეულებს მოეწონებათ ეკლესია და ისურვებენ დარჩენას. ისინი იმედოვნებენ, რომ მოწვეულები მიიღებენ სახარების გზავნილს.

► როდესაც ვინმეს იწვევ ეკლესიაში, რა მიზანს ემსახურება ეს მოწვევა? რას მთავაზობ ამით?

ჩვენ არ ვთხოვთ მათ მონაწილეობას რელიგიურ რიტუალებში, თითქოს ეს დააკმაყოფილებს საჭიროებას ან შეასრულებს მოვალეობას. ჩვენ არ ვთვლით, რომ რელიგიური რიტუალების შესრულება ეფექტურია ურწმუნო ადამიანისთვის.

ჩვენ არ გვაქვს მოლოდინი, რომ მათ ესმით ღვთის თაყვანისცემა, სანამ არ მოექცევიან.

ვიმედოვნებთ, რომ მათ მოეწონებათ ხალხის კეთილგანწყობა და ისურვებენ კვლავ მათთან ერთად ყოფნას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი მიიღებენ სახარების გზავნილს.

ზოგიერთი ეკლესია ცდილობს თავისი პროგრამა მიმზიდველი გახადოს ადამიანებისთვის, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი სულიერებით. ისინი იმედოვნებენ, რომ თუ ხალხს მოეწონება პროგრამა, ისინი განაგრძობენ მასზე დასწრებას. პრობლემა იმაშია, რომ თუ გართობა წარმატებულია, ის იზიდავს ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც სწორი ინტერესები არ ამოძრავებთ. მრევლი იქცევა შერეულ ჯგუფად, რომელშიც შედის მრავალი ადამიანი, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი თაყვანისცემით, მაგრამ სიამოვნებას იღებენ გართობით. თაყვანისცემის ლიდერები და მუსიკოსები შემსრულებლები ხდებიან. საბოლოოდ, ყალიბდებიან თაყვანისცემის ლიდერები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი თაყვანისცემით. თაყვანისცემა დამახინჯებული ხდება.

► კიდევ ერთხელ განიხილეთ ეს კითხვა. როდესაც ვინმეს ეპატიჟები ეკლესიაში, რას სთავაზობ? რას უნდა სთავაზობდეთ?

დაფიქრდით იმ დიდ ცვლილებაზე, რომელიც ხდება, როდესაც ადამიანი მოექცევა. ის ტოვებს თავის ყოფილ რელიგიას, რამაც შეიძლება ის ასევე ოჯახსა და მეგობრებს დააშოროს. ის ინანიებს ცოდვას, რაც შეიძლება ნიშნავდეს მიტოვებას იმ უმრავლესობა რამეების რაც, მისი აზრით, მას სიამოვნებას მიანიჭებდა. ის თავის ცხოვრებას ღმერთს უქვემდებარებს.

იმ დიდი ცვლილების გამო, რომელიც ხდება მოქცევის დროს, ადამიანი ჩვეულებრივ არ იღებს მოქცევას ისე, რომ არ დაფიქრდეს საზოგადოებაზე, რომელსაც ტოვებს და საზოგადოებაზე, რომელშიც შედის. თუ ადამიანს მიიზიდავს ცალკეული ქრისტიანის მოწმობა, მას სურს დაინახოს რწმენის საზოგადოება, რომელსაც ეს ქრისტიანი წარმოადგენს. მას სურს დაინახოს, სინამდვილეში როგორ ცოცხლდება რწმენა. ის ვარაუდობს, რომ გზავნილმა, რომელსაც ისმენს, უკვე შექმნა რწმენის საზოგადოება, რომელშიც ის შევა, თუ მოექცევა. თითქოს ის სვამს კითხვას: „სად არის ადამიანთა ჯგუფი, ვისაც სწამს ეს გზავნილი და ცხოვრობს მისით? როგორი იქნებოდა ჩემთვის იმ ჯგუფში ყოფნა?"

იესო ქადაგებდა „სამეფოს სახარებას" და ხშირად საუბრობდა ცათა სამეფოზე. მან თქვა, რომ მოგიახლოვდათ ღმერთის სამეფო (ლუკას 10:9). ღვთის სამეფოში შესულმა ხალხმა მიიღო ღვთის მმართველობა, ცხოვრობდა მისი კანონებით და ერთად იზიარებდა ცხოვრებას. ღვთისადმი ერთგულებამ ისინი რწმენის საზოგადოებად აქცია.

იმის გამო, რომ ადამიანებს სჭირდებათ დაინახონ სახარების მიერ შექმნილი რწმენის საზოგადოება, მახარებლობა არ შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ცალკეული პირების მიერ, რომლებიც არწმუნებენ ცალკეულ პირებს. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ეკლესია აუცილებელია. ადგილობრივი ეკლესია უნდა იყოს მიმზიდველი, როგორც რწმენის საზოგადოება.

► რისი ნახვა სურს ადამიანს რწმენის საზოგადოებასთან შეერთებამდე?

ეკლესიას აქვს ღმერთის მიერ შექმნილი ბუნება და ღვთის მიერ მიცემული მისია. ყოველი ადგილობრივი ეკლესია უნდა იყოს რაც შეიძლება საუკეთესო, ღვთის სტანდარტით. ჩვენ ეკლესია არ უნდა ვაქციოთ რაღაც განსხვავებულ რამედ, რათა ხალხი მოვიზიდოთ. არ უნდა ვეცადოთ ეკლესია წარმოვაჩინოთ, როგორც რაღაც განსხვავებული იმისგან, რაც სინამდვილეში არის.

> „იესომ თავის მოწაფეებში შექმნა ეკლესიის სტრუქტურა, რომელიც გამოიწვევდა და გაიმარჯვებდა სიკვდილისა და ჯოჯოხეთის ყველა ძალაზე. იგი მდოგვის მარცვლის მსგავსად პატარა იყო, მაგრამ გაიზრდებოდა ზომითა და სიძლიერით... "
>
> - რობერტ კოულმენი, *მოძღვრის გეგმა*

თუ ეკლესია აღასრულებს ღმერთის მიერ დანიშნულ მიზანს, ის მოიზიდავს სწორ ადამიანებს და შექმნის ერთგულ ჯგუფს.

## მიმზიდველი ადგილობრივი ეკლესიის მახასიათებლები

**(1) წევრები აჩვენებენ, რომ მათი ურთიერთობა ღმერთთან არის რეალური და დამაკმაყოფილებელი**. დაუხსნელ ადამიანს არ აქვს ღმერთთან ურთიერთობა. როდესაც ის დაინახავს, როგორია ღმერთთან ცხოვრება, ამის საჭიროებას იგრძნობს. ეკლესიის წევრები აჩვენებენ ამას იმ სიხარულის შესახებ დამოწმებით, რომელიც მომდინარეობს ღმერთის შეცნობითა და ერთგული ცხოვრებით. თუ წევრი კვლავ ცხოვრობს ცოდვაში, როდესაც ის არ არის ეკლესიაში, ის აჩვენებს, რომ არ არის კმაყოფილი ღმერთით.

**(2) ეკლესია წარმოაჩენს მოძღვრებებს როგორც ჭეშმარიტებას, ასევე ღმერთთან ურთიერთობის პირობებს**. ჩვენ ვასწავლით დოქტრინას, რადგან ის ჭეშმარიტია, მაგრამ არა მხოლოდ ამიტომ. დოქტრინა არის ის, რაც უნდა ვიცოდეთ, რადგან გვსურს ღმერთთან ერთად ცხოვრება. ისევე, როგორც ქორწინება არის დაპირებებით ურთიერთობა, ღმერთთან ჩვენს ურთიერთობასაც აქვს ვალდებულებები. დოქტრინა განმარტავს, თუ როგორ ვიცხოვროთ ურთიერთობაში.

**(3) ეკლესია გამოხატავს ღვთის თაყვანისცემის სიხარულს**. თაყვანისცემის სიხარული არ არის იგივე, რაც გართობით სიამოვნება. ადამიანები, რომლებიც არ სცემენ თაყვანს ჭეშმარიტ ღმერთს, ვერ გრძნობენ სიხარულს, რომელიც მომდინარეობს მისი თაყვანისცემით. ჩვენ შექმნილნი ვართ თაყვანისცემისთვის; ამიტომ, დაუხსნელი ადამიანი, რომელიც ხედავს თაყვანისცემის სიხარულს, იგრძნობს მის მოთხოვნილებას.

**(4) ეკლესიის წევრები წარმოაჩენენ ცხოვრების მიზანს მარადიულობის გადმოსახედიდან**. ქრისტიანებს არ უნდა აინტერესებდეთ მნიშვნელოვანია თუ არა მათი ცხოვრება. ქრისტიანებს აქვთ ნუგეში და გამბედაობა ცხოვრების რთულ პერიოდში. დაუხსნელი

ადამიანები მთელს ძალისხმევას დებენ იმაში, რომ ცხოვრების დამაკმაყოფილებელი მიზანი იპოვონ და არ იციან როგორ შეხვდნენ სიკვდილს და მარადისობას.

**(5) ეკლესია გვიჩვენებს ურთიერთობების პრიორიტეტს ეგოისტური მიზნების ნაცვლად**. ეკლესია არ ახარებს და არ ზრუნავს თავის წევრებზე იმ მიზნით, რომ შექმნას თავისი ორგანიზაცია. ხალხი ქვეყნიერებაზე უგულებელყოფს ურთიერთობებს ან იყენებს ურთიერთობებს ეგოისტური მიზნებისთვის.

**(6) ეკლესიის გზავნილი ღრმა სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.** დაუხსნელ ადამიანს აქვს სულიერი შიმშილი, რომელსაც ქვეყნიერება ვერაფრით აკმაყოფილებს. ეკლესიის ქადაგება, სწავლება და რჩევა უნდა შეესაბამებოდეს ხალხის რეალურ საჭიროებებს.

**(7) ეკლესია რწმენის ოჯახია, რომელსაც უყვარს და ზრუნავს თავის წევრებზე**. სხვა სახის ჯგუფები შეიძლება დაეხმარონ თავიანთი წევრების გარკვეულ საჭიროებებს, მაგრამ მხოლოდ ქრისტიანებს შეუძლიათ ჰქონდეთ ჭეშმარიტი ქრისტიანული თანაზიარება.

► რა კონკრეტული გზებით შეუძლია ეკლესიას აჩვენოს ეს მახასიათებლები? რისი კეთება უნდა დაიწყოს ეკლესიამ, რათა უკეთ აჩვენოს სწორი პრიორიტეტები?

## ეკლესიის მომზადება მახარებლობისთვის

ეკლესია უნდა დარწმუნდეს, რომ მისი პროგრამები და სტრუქტურა დაეხმარება აღასრულოს მახარებლობისა და მოწაფეობის თავისი მისია. ყველაფერი, რასაც ეკლესია აკეთებს, უნდა შეესაბამებოდეს ამ პრიორიტეტს.

### სტუმრების მიღება

ეკლესია მზად უნდა იყოს სტუმრების მისაღებად და დაეხმაროს მათ თავი კომფორტულად იგრძნონ. ზოგიერთი ადამიანი არ იცნობს ეკლესიურ წეს-ჩვეულებებს. როდესაც ისინი ეკლესიაში მიდიან, მათ არ იციან რას უნდა ელოდონ. მათ არ იციან რას მოელიან მათგან. ეკლესიაში მისვლიდან პირველივე წუთებში ისინი ან მოხარულნი იქნებიან, რომ მივიდნენ ან პირიქით,ჯობდა, რომ არ მისულიყვნენ. ეკლესიამ უნდა მოამზადოს ხალხი სტუმრების მისაღებად.

ეკლესიამ არასოდეს არ უნდა გარიყოს ხალხი სიღარიბის გამო. ეკლესიაში ხალხის ჩაცმულობა არ უნდა გამორიცხავდეს ღარიბებს.

ეკლესია მზად უნდა იყოს მოემსახუროს იმ ბავშვებს, რომლებიც მშობლების გარეშე მოდიან. გარკვეული პიროვნებები უნდა დაინიშნონ და მომზადდნენ, ეკლესიაში მოსულ ბავშვებთან სამუშაოდ.

სტუმარი უნდა იყოს მიწვეული მცირე ჯგუფის შეხვედრაზე ან საოჯახო ჯგუფებში, სადაც მას შეეძლება ისწავლოს და დასვას კითხვები.

### გარეშეებამდე მიღწევა

ეკლესიის უპირველესი პასუხისმგებლობა მრევლის ერთგულ წევრებზე ზრუნვაა. თუმცა, ეკლესიამ ყოველთვის უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი სამეზობლიოში მყოფ ხალხს. ეკლესიას უნდა ჰქონდეს ისეთი საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ეკლესიის გარეთ მყოფი ხალხი დაინახავს ეკლესიის მუშაობას და მოისმენს სახარებას. ზოგიერთი ეს ქმედება შეიძლება მოხდეს სპონტანურად. ლიდერებს ასევე დასჭირდებათ სხვების ორგანიზებაც. ამ საქმიანობისთვის უნდა იქნას მოწვეული და გადამზადებული შესაძლებლობების მქონე წევრები.

ეკლესიამ უნდა მოძებნოს გზები სამეზობლოში არსებულ საჭიროებებზე რეაგირებისთვის. პრიორიტეტი ყოველთვის უნდა იყოს ღვთის სიყვარულის გამოვლენა და ბიბლიური პრინციპების დემონსტრირება.

### მცირე ჯგუფების მსახურება

როდესაც ადამიანი იღებს გადარჩენას, ის მხოლოდ ღვთისმსახურებაზე არ უნდა იყოს მიწვეული. ის უნდა იყოს მიწვეული უშუალო მოწაფეობის სისტემაში. ეს შეიძლება დაიწყოს პასტორთან პირადი ვიზიტებით. ის შეიძლება იყოს მიწვეული მცირე ჯგუფში, რომელიც იკრიბება ყოველკვირეულად.

ჯანსაღ ეკლესიას, როგორც წესი, ჰყავს მცირე ჯგუფები, სადაც სულიერი ცხოვრება მყარდება. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს საოჯახო ეკლესიები, საკვირაო სკოლის კლასები ან სხვა სახის ჯგუფები. სულიერი პასუხისმგებლობა და ცხოვრების ცვლილება ჩვეულებრივ ხდება მცირე ჯგუფებში. ეკლესიის ლიდერები უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებობს მცირე ჯგუფები, რომლებიც ამ მიზნებს ასრულებენ. თუ ეკლესიაში არსებული სტრუქტურები სულიერი ცხოვრების განვითარების საშუალებას არ იძლევა, საჭიროა ცვლილებები.

### ხილული წევრობა

ადამიანებმა, რომლებსაც სურთ ეკლესიისადმი თავის მიძღვნა, ზუსტად უნდა იცოდნენ, რას ნიშნავს ეს მიძღვნა. ზოგიერთი ეკლესია აცხადებს, რომ არ აქვს წევრობის სტრუქტურა, მაგრამ ყველა ეკლესიას აქვს გარკვეული გზა, რათა იცოდეს ვინ არიან მათი წევრები. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ არის ის ხალხი, ვინც ეკლესიას ქმნის.

ყველამ უნდა იცოდეს, რა ვალდებულებებია საჭირო წევრობისთვის. წევრად გახდომის პროცესის მოთხოვნები და აღწერა უნდა იყოს ამობეჭდილი.

ახალმოქცეულს, რომელიც მზად არის მიუძღვნას თავი ეკლესიას, დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს ეკლესიის დახმარების შესაძლებლობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უნდა მიეცეს თანამდებობა ან ლიდერობის პასუხისმგებლობა. მისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ ის ეკლესიის ნაწილია.

**სწრაფი რეაგირება ახალმოქცეულებზე**

მოწაფეობა მოქცევით იწყება. ახალ მოქცეულს რამდენიმე გადაუდებელი საჭიროება აქვს. ღმერთთან ურთიერთობის გასაგრძელებლად, რომელიც ახლახანს დაიწყო, მისთვის საჭიროა იცოდეს როგორ ილოცოს და წაიკითხოს ბიბლია. მას ასევე სჭირდება ახალი მეგობრების საზოგადოება, რადგან ის დაკარგავს თავის ბევრ ძველ მეგობარს. მას სჭირდება ხელმძღვანელობა ცხოვრების სტილის ბევრ საკითხში.

ეკლესიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ახალმოქცეულის დამოწაფება. დაუყოვნებლივ არ ნიშნავს მომდევნო კვირა დღეს. ეს ნიშნავს, გადარჩენისთვის ლოცვის შემდეგ, თავის აწევისთანავე. ვიღაცამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ახალმოქცეულთან ყოველდღიურ კონტაქტზე მინიმუმ პირველი კვირის განმავლობაში. ის ადგილობრივ ეკლესიაში კიდევ რამდენიმე ქრისტიანს უნდა შეხვდეს. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განიხილოს ის ცვლილებები, რაც მის ცხოვრებაში ხდება და დასვას კითხვები.

ახალმოქცეული უნდა იქნას მიწვეული შეუერთდეს მცირე ჯგუფს, სადაც მას შეეძლება კითხვების დასმა და გამხნევება. თუ ეს შესაძლებელია, ის უნდა გააცნო ჯგუფის რამდენიმე სხვა წევრს, ამ ჯგუფის პირველ შეკრებამდე რამდენიმე დღით ადრე. რამდენიმე წევრს შეიძლებოდა წინასწარ დაერეკა მისთვის, რომ გაეცნო და მისალმებოდა ჯგუფში. ეს იწყებს ერთობაში ყოფნის გრძნობის ჩამოყალიბებას.

ახალმოქცეული უნდა შეუერთდეს ჯგუფს მის შემდეგ შეკრებაზე. გაკვეთილები უნდა ჩატარდეს რიგრიგობით, რათა წევრი ნებისმიერ დროს დაემატოს. ამ გზით ახალმოქცეული დაუყოვნებლივ იძენს მხარდამჭერ გუნდს. წევრები კურსს ინდივიდუალურად ამთავრებენ, როდესაც ყველა გაკვეთილს დაასრულებენ.

**საჭიროებებზე ზრუნვა**

ეკლესია უნდა ზრუნავდეს მრევლის ფინანსურ საჭიროებებზე. საჭიროებების უმეტესობა უნდა დააკმაყოფილოს იმ ადამიანებმა, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან ეკლესიის ლიდერების ჩარევის გარეშე. თუ ეკლესიის წევრების უმეტესობა ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას სხვების დახმარების საკითხში, მათ ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული ეკლესია.

ეკლესიას უნდა ჰყავდეს დიაკვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ საჭიროებები იქნას დანახული. ეკლესიამ საქმეების წიგნში ამ მიზნით დანიშნა პირველი დიაკვნები.

საჭიროებებზე ზრუნვა აუცილებელია მახარებლობის მისიისთვის. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ეკლესია არის რწმენის ოჯახი, სადაც წევრები ზრუნავენ ერთმანეთზე.

## დავალებები

წარმოიდგინეთ ეკლესია, რომელიც აკეთებს ყველაფერს, რაც აღწერილია ამ გაკვეთილში. დაწერეთ წარმოსახვითი ადამიანის შესახებ, რომელიც ეწვევა ეკლესიას, მოექცევა და ხდება ეკლესიის ერთგული წევრი. აღწერეთ როგორ ხდება ეს ყველაფერი.

# გაკვეთილი 16
# ნამდვილი მოწაფეები

## იესოს გაყოლა

► რას ნიშნავს იყო იესოს მოწაფე?

ზოგი ფიქრობს, რომ ქრისტიანია ნებისმიერი კარგი ადამიანი. სხვები ფიქრობენ, რომ ქრისტიანობა ნიშნავს რაღაცის რწმენას. ამ ადამიანების უმეტესობისთვის რწმენას დიდი მნიშვნელობა არ აქვს მათ ცხოვრებაში.

სხვები უფრო ახლოს არიან სიმართლესთან. მათ იციან, რომ უნდა იყოს მოქცევის დრო, როდესაც ადამიანი ქრისტიანი ხდება. მათ მიაჩნიათ, რომ ეს მოხდა მაშინ, როდესაც ადამიანმა რაღაც მომენტში დაიჯერა, რომ მას ეპატია. ბევრს სჯერა, რომ ჭეშმარიტად მოქცეულ ადამიანს აქვს სამოთხის გარანტია, რაც არ უნდა გააკეთოს მოქცევის შემდეგ.

მართალია, მოქცევა უნდა იყოს რეალური. მართალია, პატიება გვეძლევა მადლით, რწმენის საპასუხოდ. მართალია, ქრისტიანი ღვთის მორჩილებაში ცხოვრობს, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, რაც ნიშნავს იყო იესოს მოწაფე.

ჩვენ ვხედავთ, რა ხდება, როდესაც რწმენის მომენტი ხდება ქრისტიანობის ერთადერთ კრიტერიუმად - ეს იწვევს ანტინომიზმს, სწავლებას, რომ ღვთის მცნებები არ არის სავალდებულო ქრისტიანისთვის. იმის ნაცვლად, რომ იყოს უსასყიდლო მადლი, ის ხდება წარმოსახვითი მადლი, რომელიც თითქოს ამართლებს ცოდვას.

ეკლესიებს, რომლებიც აცხადებენ წარმოსახვით მადლს, ჰყავთ წევრები, რომლებიც დადიან ეკლესიაში, მაგრამ ღია ცოდვაში ცხოვრობენ. მათი პასტორები და სხვა ლიდერები მრევლზე უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ ასევე შეიძლება ჰქონდეთ ცოდვილი ჩვევები. ისინი ამბობენ, რომ არ არის აუცილებელი ღვთისადმი სრული მორჩილებით ცხოვრება, რადგან მადლით ვართ გადარჩენილნი. მათ დაკარგეს იესოს მიერ ეკლესიისთვის მიცემული დავალება, რაც არის ხალხის დამორჩილება ქრისტეს მცნებებისადმი. ეკლესიის განსაკუთრებული ამოცანაა ცოდვილები ღვთის წმინდა თაყვანისმცემლებად აქციოს და ეკლესიას არსებობის უკეთესი საფუძველი არ აქვს.

ეკლესიებსაც კი, რომლებიც ინარჩუნებენ ღმერთისადმი მორჩილების აუცილებლობას, ყავთ გარკვეული ადამიანები, რომლებიც სხვა შეცდომაში არიან. მათ თავიანთი ცხოვრება მიუსადაგეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მაგრამ მათ არ აქვთ ქრისტეს მსგავსი სული. ისინი უხეში და მიუტევებელნი არიან. მათ არ შეუძლიათ მოკრძალებული და

თავაზიანი ბოდიშის მოხდა. ისინი სწრაფები არიან სხვების განსჯაში. მათ მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ნდობა აქვთ. როგორც ჩანს, მათ არასოდეს ეპარებათ ეჭვი საკუთარ სიმართლეში. მათ აქვთ პასუხი ყველა კითხვაზე და არ სცემენ პატივს მათ, ვინც მათ არ ეთანხმება. მათ არ აქვთ ფუჭი მოგების მონდომება, მაგრამ დიდი მონდომება აქვთ დაიცვან საკუთარი აზრი. ისინი კმაყოფილნი არიან საკუთარი თავით და არ აპირებენ შეცვლას.

ეს ხალხი ნამდვილად იცნობს იესოს და სურთ მისი მსგავსები იყვნენ?

იყო ქრისტიანი ნიშნავს იყო იესოს მოწაფე.

რას ნიშნავს იყო მოწაფე? ქრისტეს მორჩილება? რასაკვირველია, ეს სულ მცირე ამდენს მაინც ნიშნავს. დიდ დავალებაში, სადაც მან მოუწოდა მოწაფეებს, რომ ყველგან წასულიყვნენ და ყველა მოემოწაფებინათ, მან უთხრა: „ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა." იესოს ბრძანებების შესრულება სულაც არ ნიშნავს მოწაფეობას.

ებრაელი რაბინების მოწაფეები მათთან ერთად ატარებდნენ ცხოვრებას და სწავლობდნენ არა მხოლოდ მათ მოძღვრებას, არამედ ცხოვრების წესს. ისინი სწავლობდნენ მათ დამოკიდებულებებს და პრიორიტეტებს.

როდესაც იესომ მოუწოდა მოწაფეებს ამ სიტყვებით: „ადექით და გამომყევით“, სწორედ ამას გულისხმობდა. ის კვლავ მოუწოდებს მოწაფეებს სახარების მეშვეობით.

როგორ უნდა გახდე მოწაფე?

> „იესო ქრისტე დაჟინებით მოითხოვს, განდევნოს ჩვენი სამყაროს ცენტრიდან ნებისმიერი კერპი, რომელიც აქამდე მეფობდა და თავად დაიკავოს ტახტი. ეს არის ერთგულების რადიკალური ცვლილება, რომელიც წარმოადგენს მოქცევას ან თუნდაც მის დასაწყისს. მას შემდეგ, რაც ქრისტე დაიკავებს თავის კანონიერ ადგილს, ყველაფერი დანარჩენი იცვლება.”
>
> - ლოზანის კომიტეტი მსოფლიო ევანგელიზაციისთვის, *უილოუბანკის ანგარიში*

უპირველეს ყოვლისა, თქვენ უნდა გწამდეთ მისი - თუ არ გწამთ, არ გაქვთ მიზეზი, რომ გაჰყვეთ მას.

უნდა შეცვალოთ მიმართულება, რომლითაც მიდიხართ. არავინ იწყებს როგორც იესოს მიმდევარი - ჩვენ ვიწყებთ საკუთარი გზით. უნდა გადაწყვიტოთ, რომ მიჰყვეთ იესოს, ნაცვლად თქვენი საკუთარი გზისა. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ხედავთ, რომ რაღაც არასწორია თქვენს გზაზე. შემდგომი ნაბიჯი იწყება მონანიებით - თქვენ არ შეგიძლიათ მიჰყვეთ მას თქვენი ცოდვების მონანიების გარეშე. თუ საკმარისად არ წუხხართ ცოდვების გამო, რომ მიატოვოთ ისინი, თქვენ კვლავ თქვენი საკუთარი გზით მიდიხართ.

თქვენ განიცდით მის პატიებას და იწყებთ ურთიერთობას მასთან. თქვენ უფრო მეტად იცნობთ მას და გსურთ იყოთ მისი მსგავსი.

► წაიკითხეთ მათეს 16:21-25.

თავის მოწაფეებთან ამ საუბარში იესომ აღწერა თავისი მომავალი სიკვდილი. პეტრე შეძრწუნებული იყო იესოს სიტყვებით. ის საერთოდ არ თვლიდა ტანჯვასა და სიკვდილს იესოს შესაფერისად. მან დაიწყო კამათი იესოსთან და ცდილობდა დაერწმუნებინა ის, უარეყო სიკვდილზე ფიქრი.

იესომ უსაყვედურა პეტრეს და უთხრა, რომ მას არ ესმოდა ღვთის საქმეები. იესომ თქვა, რომ მისი მოწაფეობისთვის ადამიანმა უნდა უარყოს საკუთარი თავი, აიღოს ჯვარი და გაჰყვეს მას. ეს ნიშნავდა საკუთარი თავისთვის სიკვდილს. საყვედური მიმართული იყო ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილების თვითრეალიზაციის, თვითაღმაღლებისა და თავის დაცვის წინააღმდეგ, რაც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ მოწაფეობას.

► რატომ ეწინააღმდეგება ადამიანური „მე" თვისი ბუნებით მოწაფეობას?

მოწაფეებს ტანჯვა და სიკვდილი მათთვის შესაფერისად არ მიაჩნდათ. მათ ჯერ კიდევ ბოლომდე არ ესმოდათ, რას ნიშნავდა მისი გაყოლა. თქვენ პატიება უფასოდ მიიღეთ, მაგრამ ყველაფრის გაღება მოგიწევთ ქრისტეს რომ გაყვეთ. მისი გაყოლა იწვევს განგრძობად თვითანალიზს, დამდაბლებას და ცვლილებას.

► ახსენით განცხადება: „ყველაფრის გაღება მოგიწევთ ქრისტეს რომ გაყვეთ."

„ჯვრის აღება" ნიშნავს ერთგვარ სიკვდილს ღმერთთან საუკუნო ცხოვრებისათვის. ეს არის საკუთარი თავისთვის სიკვდილი, საკუთარი სუვერენიტეტის სიკვდილი. ეს არ არის მხოლოდ გარეგნული დამორჩილება, არამედ ის მთელი გულიდან მომდინარეობს. ეს არის თავმდაბლობა, რომელიც იესომ აღწერა, როგორც მოთხოვნა მის სამეფოში შესვლისთვის.

იმ პირველი მოწაფეების მსგავსად, დღესაც ბევრს არ ესმის, რას ნიშნავს იყო მოწაფე. ეკლესიები მადლს სთავაზობენ მათ, ვინც არ მოინანია. ის არ აყენებს ახალ მოქცეულებს სწორ გზაზე და არ ამზადებს მათ მომავალისთვის. ის ძალზედ განსხვავდება ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრებისგან, ეს არ არის იგივე გზა.

დიტრიხ ბონჰოფერი იყო გერმანელი პასტორი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ადოლფ ჰიტლერის დროს. მან დაწერა ეს სტრიქონები თავის წიგნში „მოწაფეობის ღირებულება.

> ძვირადღირებული მადლი არის მინდორში დამალული განძი; ამის გულისთვის კაცი სიამოვნებით წავა და გაყიდის ყველაფერს, რაც აბადია. ეს არის ძვირფასი მარგალიტი, რომლის საყიდლადაც ვაჭარი გაყიდის მთელ თავის ქონებას. ეს არის ქრისტეს მეფური

წესი, რომლის გულისთვისაც ადამიანი ამოიღებს თვალს, რომელიც აცდუნებს მას; ეს არის იესო ქრისტეს მოწოდება, რომლის დროსაც მოწაფე ტოვებს ბადეებს და მიჰყვება მას... ასეთი მადლი ძვირფასია, რადგან ის მოგვიწოდებს მივყვეთ.

გაყვე მას ნიშნავს, გახდე მისი მსგავსი. ეს ნიშნავს მოკვდე საკუთარი თავისთვის, რადგან მან თავი მთლიანად გაიღო. ეს გარკვეული არასწორი ქმედებების ჩადენაზე უბრალოდ უარის თქმა არ არის, არამედ მათზე უარის თქმაა იმიტომ, რომ ამას იესო გააკეთებდა. ჩვენ ვცდილობთ ვაკეთოთ ის, რასაც იესო გააკეთებდა თავის სიწმიდეში, თანაგრძნობით, სიკეთითა და პატიებით.

ჩვენ არ ვაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც სწორია, სანამ ჩვენი გული ეწინააღმდეგება მას. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი გული იყოს ისეთი, როგორც მას ჰქონდა. მას არავინ სძულდა. იყვნენ ადამიანები, რომლებმაც არჩიეს მისი მტრობა, მაგრამ ის არავის მტერი იყო. ჯვარზეც კი მან აპატია.

მისი ნამდვილი მიმდევრები არ არიან ღვარძლიანები. სიკეთეს უკეთებენ მათ, ვინც ცუდად ექცევა. ლოცავენ და არასდროს წყევლიან. ისინი არ ზღუდავენ თავიანთ მპატიებლობას. მათ უარი თქვეს პირად უფლებებზე და სანაცვლოდ მსახურობენ.

არ არსებობს ადგილი, სადაც შეიძლება მივატოვოთ ეს მიძღვნილი ცხოვრება. ვინც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი სული, დაკარგავს მას - ვინც მას გასცემს, გადაარჩენს მას.

► როგორ შეგვიძლია მოვუწოდოთ ადამიანებს ხსნისკენ ისე, რომ მოვამზადოთ ისინი მოწაფეობისთვის?

## სულიერი ფორმირება

არის სულიერი ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მორწმუნეს სულიერ სიმწიფემდე მიიყვანს.[12]

მორწმუნემ უნდა განაგრძოს განვითარება მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ არის სიმწიფის დონე, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს, მას შეიძლება ეწოდოს სულიერი ზრდასრულობა. პავლე მოციქულმა თქვა, რომ მორწმუნეებს შეუძლიათ მიაღწიონ იმ დონეს, როდესაც ისინი აღარ იქნებიან ბავშვები (ეფესელთა 4:14).

სულიერი ჩამოყალიბება ნაწილობრივ სწავლით მიიღწევა. სწორედ ამიტომ თქვა პავლე მოციქულმა, რომ უმწიფრობის მახასიათებელი იყო ის, რომ ისინი არ იყვნენ მზად მოწინავე მოძღვრებისთვის (1 კორინთელთა 3:1-2. იხილეთ ასევე ებრაელთა 5:12-14.). მან თქვა, რომ

---

[12] "სულიერი ფორმირება არის მადლიერი პროცესი, რომ გახდე იესო ქრისტეს ხატება სხვების გულისთვის." განმარტება ადაპტირებულია M. Robert Mulholland Jr., *Invitation to a Journey* (Downers Grove: InterVarsity Press), 12.

მორწმუნეებისთვის სიმწიფის მახასიათებელია მოძღვრებაში დამკვიდრება. რადგან სწავლა სულიერი ფორმირების ნაწილია, სწავლება მოწაფეობის სამუშაოს ნაწილია.

სულიერი ფორმირება მხოლოდ სწავლით არ მიიღწევა.

მოციქულმა თქვა, რომ სულიერი სიმწიფე არის ქრისტიანულ ერთობაში ყოფნა, ღვთის ძის შეცნობა და ქრისტეს მსგავსება (ეფესელთა 4:13). ეს სიმწიფე ცოდნაზე მეტია და მხოლოდ ცოდნიდან არ მომდინარეობს.

► წაიკითხეთ 2 პეტრეს 1:2-11.

ეს ადგილი სულიერ განვითარებას ეხება. ყურადღება მიაქციეთ ამ მონაკვეთის ძირითად პუნქტებს.

**მუხლი 3**: ღმერთმა მოგვცა ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენთვის ღვთისმოსაობისთვის და მოგვიწოდა ქრისტიანული სათნოებისკენ.

**მუხლი 4**: ღმერთმა მოგვცა აღთქმა გარდამქმნელი მადლის შესახებ, რომელიც გვიხსნის ცოდვისაგან და გვაძლევს ღვთის წმიდა ბუნებას.

**მუხლები 5-7**: ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ რწმენით გადარჩენაზე, არამედ წინ წავიწიოთ ქრისტიანული თვისებების განვითარებაში.

**მუხლი 8**: ეს თვისებები გამოგვაღებინებს სულიერ ნაყოფს.

**მუხლი 9**: ადამიანი, რომელიც არ ავითარებს ამ თვისებებს, არ აგრძელებს ცოდვისგან თავის დახსნას და ვერ ხედავს სად მიდის.

**მუხლები 10-11**: ნუ დაეყრდნობით ხსნის გარანტიას ქრისტიანული თვისებების განვითარებაზე მუშაობის გარეშე. ისინი დაგაფუძნებენ ხსნაში და დიდი გამარჯვებით შეგიყვანენ ღვთის მარადიულ სამეფოში.

ამ ეპისტოლეს მეორე თავში საუბარია ადამიანებზე, რომლებმაც უარყვეს სულიერი განვითარება. მათ ქრისტიანობის მხოლოდ სახელი სურთ. ვინაიდან ისინი უარს ამბობენ სულიერ განვითარებაზე, ამართლებენ ცოდვას. ისინი ავითარებენ ცრუ სწავლებებს თავიანთი ქცევის გასამართლებლად. მათი ცრუ სწავლება იწვევს იმას, რომ ახალმოქცეულები კვლავ ცოდვაში ვარდებიან და უარეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე სულ არასოდეს განეცადათ გადარჩენის მადლი (2 პეტრეს 2:18-22).

ეს წერილი მთავრდება გაფრთხილებით. ჩვენ უნდა მოვერიდოთ ცრუ სწავლებებს, რომლებიც ცოდვაში გვაბრუნებს და ამის ნაცვლად, ყურადღება გავამახვილოთ მადლის მეშვეობით ზრდაზე (2 პეტრეს 3:17-18).

იესომ თქვა დიდ დავალებაში, რომ მოწაფეობის საქმეა მოვიყვანოთ ხალხი მისდამი მორჩილებაში. ცხადია, ადამიანი, რომელიც სწავლობს, უნდა დაემორჩილოს ჭეშმარიტებას, რომელსაც სწავლობს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ ვითარდება. ცოდნის მიზანია აჩვენოს მას, როგორ აამოს ღმერთს და წარმართოს მისი ხასიათის განვითარება. თუ ადამიანი აგრძელებს სწავლას, მაგრამ არ აგრძელებს მორჩილებას, ის არ არის მოწაფე. ეკლესიებში ბევრი ადამიანია, რომლებსაც ბევრი რელიგიური ცოდნა აქვთ, მაგრამ არ აჩვენებენ ზრდასრული მორწმუნის ცხოვრებას.

► წაიკითხეთ ფილიპელთა 1:9-11.

ფილიპის ეკლესია მორწმუნეთა მშვენიერი ჯგუფი იყო და პავლეს წერილი მათდამი სიხარულის ატმოსფეროთია სავსე.

ამ მუხლებში პავლემ აღწერა ფილიპელების სულიერი ზრდა. აღწერა მნიშვნელოვანია, რადგან ის აკავშირებს ცოდნას, გამჭრიახობას, სიყვარულსა და ქცევას.

პავლე ლოცულობდა, რომ მათი სიყვარული გაძლიერებულიყო და სიყვარული გამოვლენილიყო სიმართლის გარჩევისას, რათა მათ შეძლებოდათ საუკეთესო დამოკიდებულებისა და ქცევის არჩევა. ეს ცხოვრება სრულყოფილი იქნება ღვთის წინაშე, როდესაც იესო დაბრუნდება. მათი ცხოვრება სავსე იქნება სულიერი ნაყოფებით, რომელიც განადიდებს ღმერთს.

► იმის საფუძველზე, რაც შევისწავლეთ, ვინ არის იესოს მოწაფე?

იესოს მოწაფე არის მორწმუნე, რომელიც ცხოვრობს ჭეშმარიტების მორჩილებაში, რომელიც მან ისწავლა, გულწრფელად სურს უკეთ გაიგოს ღმერთის ნება და დამოკიდებულია ღვთის ძალაზე, განავითაროს ქრისტიანული ხასიათი და ქცევა.

► ახლა, როდესაც ჩვენ გავიგეთ სულიერი ფორმირების შესახებ, როგორ დაახასიათებდით ადამიანს, რომელიც სხვებს იმოწაფებს?

ის ასწავლის ბიბლიის ჭეშმარიტებას. ის იესოსადმი მორჩილების მაგალითია. ის მოუწოდებს სხვებს ისწავლონ, დაემორჩილონ და დაუშვან ღმერთის მუშაობა მათში.

### მადლის პოტენციალი

წინა ნაწილში ჩვენ შევისწავლეთ 2 პეტრეს 1:2-11. ამ მონაკვეთში ჩვენ ვიგებთ, რომ ღმერთი დაგვპირდა მადლს, რომელიც გვიხსნის ცოდვილი სურვილების ძალაუფლებისგან და გვაძლევს წმინდა ბუნებას. ეს ცოდნა უზრუნველყოფს ჩვენს სულიერ ზრდას.

ზოგს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ადამიანმა იცხოვროს ღმერთისადმი დაუმორჩილებლობის გარეშე. მათ მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ადამიანს ჰქონდეს წმინდა გული. ეს იდეები გავლენას ახდენს მოწაფეობის მათ გაგებაზე.

მოწაფეობა ნიშნავს ისწავლო და დაემორჩილო ქრისტეს მცნებებს. თუ არ გვჯერა, რომ სრული მორჩილება შესაძლებელია, სულიერი მდგომარეობის შესაფასებლად სხვა გზას ვპოულობთ.

ჯონ უესლის მიაჩნდა, რომ ვერავინ შეასრულებდა ღვთის მცნებებს მადლის გარეშე, მაგრამ მას სჯეროდა, რომ მადლი ყოველ ადამიანს ეძლევა. უესლის სჯეროდა, რომ ყველა ცოდვილს აქვს უნარი, არა ბუნებით, არამედ მადლით, რომ უპასუხოს სახარების შეთავაზებას. მას ასევე სჯეროდა, რომ ყველა ქრისტიანს ეძლევა მადლი, რომ იცხოვროს ღმერთის სრულ მორჩილებაში.

უესლის თეოლოგიიდან მოდის ჰერმენევტიკული პრინციპი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „აღთქმის პრინციპი." უესლის მიმდევრებს სჯერათ, რომ რასაც ღმერთი უბრძანებს თავის ხალხს, ის იმის საშუალებასაც მისცემს, რომ შეასრულონ. ეს ნიშნავს, რომ წმიდა წერილის ყოველი მცნება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მადლის დაპირება.

### აღთქმის პრინციპი

შემდეგი აბზაცები არის უესლის მიერ ამ პრინციპის განმარტება.[13]

> ერთი საერთო წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ამის [ქრისტიანული სრულყოფის] დაპირება ღვთის სიტყვაში. მაგრამ არის ძალიან მკაფიო დაპირება, რომ ჩვენ ყველა შევიყვარებთ უფალს ჩვენს ღმერთს მთელი გულით. ვკითხულობთ: „გულებს წინადაგიცვეთთ უფალი, შენი ღმერთი, შენ და შენს შთამომავლობას, რათა გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი, მთელი თქვენი გულითა და არსებით" (მეორე რჯულის 30:6). თანაბრად ნათელია ჩვენი უფლის სიტყვა, რომელიც არანაკლებ აღთქმაა, თუმცა ბრძანების სახით: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით" (მათეს 22:37). ამაზე ძლიერი სიტყვები არ შეიძლება იყოს; დაპირება არ შეიძლება იყოს უფრო კონკრეტული. ანალოგიურად, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი", არის როგორც აღთქმა, ასევე ბრძანება.
>
> და ის შეუზღუდავი აღთქმა, რომელიც მართავს მთელ სახარების ეპოქას: „ჩავდებ ჩემს რჯულს მათ გონებაში და დავწერ მათ გულებზე", ყველა მცნებას აღთქმად აქცევს; მათ

[13] John Wesley, "Christian Perfection," from *A Timeless Faith: John Wesley for the 21st Century.* Edited by Stephen Gibson. (Nappanee: Evangel, 2006).

შორის: „თქვენშიც იგივე აზრები იყოს, რაც ქრისტე იესოში." ეს მცნება აღთქმის ტოლფასია და გვაძლევს საფუძველს ვიმედოვნებდეთ, რომ ის ჩვენში შეასრულებს იმას, რასაც ჩვენგან მოითხოვს.

წმიდა პეტრეს მიერ მოცემული ღვთის მცნება: „იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ," (1 პეტრეს 1:15). გულისხმობს აღთქმას, რომ ჩვენ ვიქნებით წმიდები, თუ არ შევეწინააღმდეგებით. არაფერი შეიძლება იყოს ნაკლი ღმერთის მხრიდან. რადგანაც მან მოგვიწოდა სიწმიდისკენ, მას უდავოდ სურს და ასევე შეუძლია, განახორციელოს ეს სიწმიდე ჩვენში. რადგან მას არ შეუძლია დასცინოს თავის უმწეო არსებებს, მოგვიწოდოს მივიღოთ ის, რის მოცემასაც არასოდეს აპირებდა. ის რომ ის სიწმიდისკენ მოგვიწოდებს, უდაოა; ამიტომ მოგვცემს მას, თუ ზეციური მოწოდების ურჩები არ ვიქნებით.

„მაგრამ ის დაგვპირდა ცოდვისგან ხსნას, სანამ სხეულში ვართ?" ნამდვილად დაგვპირდა. რადგან აღთქმა იგულისხმება ღვთის ყველა მცნებაში, მათ შორის: „„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით."

ჩვენ უნდა გვქონდეს ღვთის მადლის მოლოდინი, ღვთის ხასიათზე ჩვენი შეხედულების საფუძველზე. ჩვენ ველით, რომ რასაც ღმერთი ბრძანებს, ის გახდის შესაძლებელს, რადგან მისი მცნებები გულწრფელია და სხვაგვარად არ შეიძლება შესრულდეს.

ჩვენ შეგვიძლია მთელი წმიდა წერილი სერიოზულად აღვიქვათ. ჩვენ არასდროს არ უნდა დავამახინჯოთ ბიბლიური განცხადებების აშკარა მნიშვნელობა. დაპირების პრინციპი პატივს მიაგებს ღმერთს, რადგან ის მოელის, რომ ღმერთს აქვს ძალა და მზადყოფნა მორწმუნეში იმ სიწმინდეზე იმუშაოს, რომლისკენაც მას მოუწოდებს. წმიდა წერილის გაფრთხილებები, დაპირებები და ლოცვები არ უნდა იყოს უგულებელყოფილი. კარგი თეოლოგია საუკეთესოდ დასტურდება იმით, თუ როგორ იყენებს ის წმიდა წერილს.

## შესაძლებელია წმიდა ცხოვრებით ცხოვრება?

რატომ არ შეუძლია ყოვლისშემძლეს სულის განწმედა, სანამ ის სხეულშია? განა არ შეუძლია მან განგწმიდოს ამ სახლში ყოფნისას, ისევე როგორც გარეთ, ღია ცის ქვეშ? შეუძლია აგურის ან ქვის კედლებს მას ხელი შეუშალოს? ვერც ხორცისა და სისხლის ეს კედლები ვერ შეუშლის მას ხელს, მთლიანად განგწმიდოთ თქვენ. მას შეუძლია ისევე ადვილად გიხსნათ სხეულში არსებული ყველა ცოდვისგან, ისევე როგორც სხეულის გარეთ. „მაგრამ დაგვპირდა ის ცოდვისგან ხსნას, სანამ სხეულში ვართ?" ნამდვილად დაგვპირდა. რადგან აღთქმა იგულისხმება ღვთის ყველა მცნებაში, მათ შორის: „„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით." რადგან ეს და ყოველი სხვა მცნება სასიკვდილოდ კი არა, სასიცოცხლოდ არის მოცემული. ზემოთ მოყვანილ სიტყვებში გამოიხატება, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ „სიწმიდესა და სიმართლეში მის წინაშე, მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში" (ლუკას 1:75).

> „თუ მისი სიუხვე უდრის მის სამართლიანობას, მისი მადლის დაპირებები უნდა იყოს გაგებული ისევე, როგორც მისი სამართლიანობის მოთხოვნები. თუ მას იმდენად სიამოვნებს გაცემა, რამდენადაც მიღება, მისი დაპირებები იმდენსვე უნდა ნიშნავდეს, როგორც მისი მოთხოვნების ენა."
>
> - ჩარლზ ფინი,
> *სისტემატური თეოლოგია*

ბევრი ადამიანი მრავალი წლის განმავლობაში ამტკიცებს, რომ ქრისტიანია, მაგრამ ვერასოდეს იმარჯვებს ცდუნებაზე. ისინი იზრდებიან ცოდნაში და მსახურების უნარებში, მაგრამ არა ყველაზე მნიშვნელოვანში.

ბიბლია ნათლად გვასწავლის, რომ ღვთიური სტანდარტი მორწმუნესთვის იმაშია, რომ მას აქვს ცოდვაზე გამარჯვება და წმიდა გული (ტიტეს 2:11-12; საქმეების 15:9; 1 იოანეს 3:2-10, 1 იოანეს 5:1-4). თუ მორწმუნე აცნობიერებს, რომ ის არ არის ისეთი, როგორიც ღმერთს სურს, მან დაუყოვნებლივ და გულმოდგინედ უნდა დაიწყოს ღვთის სულის გარდამქმნელი და გამაძლიერებელი მოქმედების ძიება.

მოწაფეობის მსახურებაში მყოფმა ადამიანმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები. ცოდვაზე გამარჯვება უპირველესი პრიორიტეტია. თუ ადამიანი ცოდვაში ვარდება, მენტორმა უნდა მიიყვანოს მონანიებამდე და გამარჯვებამდე, ვიდრე სხვა რამეს მიაღწევს.

## დავალებები

დაწერეთ რამდენიმე აბზაცი ქვემოთ მოყვანილი თითოეული კითხვის შესახებ:

- რას უნდა ელოდეს ადამიანი, თუ მას სურს იყოს იესოს მოწაფე?
- როგორ ახსნით მთავარ ჭეშმარიტებას, რომელიც პეტრემ თქვა სულიერი ზრდის შესახებ?
- რა არის „აღთქმის პრინციპი"?

მთლიანი მოცულობა უნდა იყოს დაახლოებით ორი გვერდი.

# გაკვეთილი 17
# სულიერი სიმწიფისკენ

## ეკლესიის სწავლებითი მსახურება

მოქცევის დროს ხდება განახლება. მოქცეულს აქვს ახალი სურვილები და ახალი პრიორიტეტები - ცვლილება იმდენად დიდია, რომ ბიბლია მას აღწერს, როგორც "ახალ ქმნილებას” (2 კორინთელთა 5:17).

მაგრამ ზოგიერთ რამეს დრო სჭირდება. ახალმოქცეული ადამიანი მაშინვე ვერ ხედავს, როგორ გამოიყენოს ქრისტიანული პრინციპები თავისი ცხოვრების ყველა სფეროში. მან უნდა ისწავლოს პრინციპები და შემდეგ მოძებნოს მათი გამოყენების გზები.

ასევე ხდება პიროვნული სულიერი მომწიფების პროცესი. ახალმოქცეული არის „ჩვილი ქრისტეში."

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 3:1-2. ამ მუხლების მიხედვით, რა არის დამახასიათებელი ახალმოქცეულისთვის?

► წაიკითხეთ ებრაელთა 5:13-14. რა რძეზეა საუბარი ამ მუხლებში? რა ხორცზე? რა არის სულიერი სიმწიფის დამახასიათებელი?

ამ კურსის დასაწყისში ჩვენ გადავხედეთ დიდ დავალებას, რომელიც იესომ მისცა ეკლესიას. კიდევ ერთხელ გადავხედოთ.

► წაიკითხეთ მათეს 28:18-20. ამ მონაკვეთში, გარდა მახარებლობისა, რა პასუხისმგებლობა დააკისრა იესომ მოწაფეებს?

დიდი დავალების მიცემამდე იესომ თქვა, რომ მას აქვს მთელი ძალაუფლება ზეცასა და დედამიწაზე. შემდეგ მან ეკლესიას დააკისრა პასუხისმგებლობა, დაემორჩილებინათ ხალხი მისი ძალაუფლებისადმი.

იესომ დაავალა მოწაფეებს არა მხოლოდ ექადაგათ სახარება, არამედ ესწავლებინათ ყველაფერი, რაც მან ამცნო. მახარებლობა ამოცანის მხოლოდ პირველი ნაწილია. ახალმოქცეულთა სწავლება, იყვნენ იესოს ყველა მცნების მორჩილნი, მოწაფეობის პროცესია. მოწაფეობაში წარუმატებლობა ისეთივე სერიოზულია, როგორც წარუმატებლობა მახარებლობაში.

ეკლესიის სწავლებითმა მსახურებამ ახალმოქცეული ადამიანები სულიერ მომწიფებამდე უნდა მიიყვანოს.

ეფესელთა მიმართ წერილში ჩვენ გვეთქვა, რომ ღმერთი ხალხს მოუწოდებს მსახურების განსაკუთრებული როლებისკენ მორწმუნეების აღზრდის მიზნით, რათა ისინი სულიერად გაიზარდონ და აღარ იყვნენ ბავშვები (ეფესელთა 4:11-14). მათი სულიერი ზრდასრულობის მიღწევის შედეგია მდგრადობა მოძღვრებაში.

პასტორი განსაკუთრებით არის პასუხისმგებელი მოწაფეობაზე. პავლემ უთხრა ტიმოთეს: „ყურადღება გაამახვილე კითხვაზე, შეგონებასა და მოძღვრებაზე" (1 ტიმოთეს 4:13). მას მხედველობაში არ ჰქონდა ტიმოთეს პირადი განათლება; პირველ რიგში ის მსახურებაზე საუბრობდა. ტიმოთეს მსახურებას ყურადღება უნდა გაემახვილებინა წმიდა წერილების კითხვასა და განმარტებაზე, სულიერი მითითების მიცემაზე და ქრისტიანული მოძღვრების სწავლებაზე. პასტორის ერთ-ერთი თვისებაა, რომ მას შეუძლია ასწავლოს (1 ტიმოთეს 3:2).

რადგან სწავლა სულიერი ფორმირების ნაწილია, სწავლება მოწაფეობის მუშაობის ნაწილია. მასწავლებლები მნიშვნელოვანია ეკლესიაში და ეკლესია ყოველთვის უნდა მუშაობდეს მასწავლებლების განვითარებაზე.

> „იესოს გეგმის თავდაპირველი მიზანი იყო აერჩია პიროვნებები, რომლებსაც შეეძლოთ დაემოწმებინათ მისი ცხოვრების შესახებ და განეგრძოთ მისი საქმე მამასთან მისი დაბრუნების შემდეგ."
>
> - რობერტ კოულმენი, *მოძღვრის გეგმა*

„და რაც მრავალი მოწმის თანდასწრებით მოისმინე ჩემგან, ის გადაეცი ერთგულ ადამიანებს, რომელთაც სხვათა განსწავლის უნარიც ექნებათ" (2 ტიმოთეს 2:2). ეს მითითება პავლემ მისცა ტიმოთეს, როგორც გამოცდილი მახარებლისა და მოძღვრისგან ახალგაზრდა მსახურს. პავლე არ იყო დარწმუნებული, რომ რწმენა გადაეცემოდა მხოლოდ ქადაგებით. ცალკეული პირები განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა იყვნენ განსწავლულნი და მზად იყვნენ ასევე სხვების მოსამზადებლადაც. თუ ასეთი მომზადება მრევლში ქადაგებით ვერ განხორციელდება, ეს „ერთგული მამაკაცები" ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში უნდა მომზადდნენ.

ბევრი სწავლებაა განსახორციელებელი. რომელ პასტორს აქვს დრო ამ ყველაფრის გასაკეთებლად, მით უმეტეს, რომ ყველა არ არის მზად ერთი და იგივე ინსტრუქციისთვის ერთდროულად? მაგრამ ეფესელთა 4:11 არ ამბობს: "მან მოგვცა მოძღვარი" (მხოლოდ ერთი ადამიანი და მხოლოდ ერთი როლი). სამაგიეროდ, არსებობს სხვადასხვა როლები და მრავალი ადამიანი, რომლებიც ასრულებენ მათ. ღმერთი მოუწოდებს მასწავლებლებს,

აძლევს მათ სწავლების უნარს და აღჭურვავს მათ ეკლესიის მეშვეობით სწავლების მსახურებისთვის.

## ქრისტიანული საზოგადოება და სულიერი ანგარიშვალდებულება

ჭეშმარიტი მოწაფეობა უფრო მეტია, ვიდრე ინფორმაციის სწავლება; იგი მოიცავს ღირებულებების, პრიორიტეტების, დამოკიდებულებებისა და ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი შეიძლება მოხდეს მხოლოდ სულიერი პასუხისმგებლობის მქონე ქრისტიანულ საზოგადოებაში.

მთელს წმიდა წერილში ჩვენ ვხედავთ ღმერთის ჩანაფიქრს, რომ ადამიანებს ეცხოვრათ საზოგადოებაში, დაწყებული ღვთის განცხადებით, რომ არ იყო კარგი ადამის მარტოდ ყოფნა (დაბადების 2:18).

თემის ზოგიერთი უპირატესობა აღწერილია ეკლესიასტეს 4:9-10-ში:

> ორნი სჯობიან ერთს, რადგან კარგი საზღაური აქვთ თავის შრომაში. თუ ერთი დაეცემა, მეორე წამოაყენებს თავის მეგობარს, მაგრამ ვაი მარტოხელას, დაეცემა და არავინა ჰყავს წამომყენებელი.

ღმერთმა უთხრა მოსეს, რომ მისი გეგმა ისრაელთან დაკავშირებით იყო, რომ ისინი იყვნენ მღვდელთა სამეფო და წმიდა ერი (გამოსვლის 19:6). მემკვიდრეობა უნდა გადაცემულიყო ოჯახების მეშვეობით, რომლებიც აღწერილია ეგრეთ წოდებულ „დიდ მცნებაში" (მეორე რჯულის 6:4-9).

სულიწმიდამ შთააგონა ახალი აღთქმის ავტორები, რომ გამოეყენებინათ ეს ტერმინები ახალ აღთქმაში ეკლესიის მიმართ (1 პეტრეს 2:9).

ღმერთს ყოველთვის ჰქონდა განზრახული, რომ მასთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანები ასევე იყვნენ ერთმანეთთან ურთიერთობაში. ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა გვაყალიბებს რწმენის საზოგადოებად. როგორც ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა მოითხოვს ვალდებულებას, ასევე ჩვენი ურთიერთობა ღვთის ხალხთან მოითხოვს ვალდებულებას. არ არის სწორი, ადამიანმა იფიქროს, რომ შეუძლია ღმერთთან სწორი ურთიერთობა იქონიოს, მაგრამ არჩევს არ ჰქონდეს ურთიერთობა ღვთის ხალხთან.

პავლემ გამოიყენა სხეულის მეტაფორა ეკლესიის წევრებს შორის ურთიერთობის აღსაწერად (1 კორინთელთა მე-12 თავი). ვერცერთი ორგანო ვერ იფუნქციონირებს სწორად, თუ ის შეეცდება იყოს სხეულისგან დამოუკიდებელი. სხეულის წევრებმა უნდა ითანამშრომლონ და იზრუნონ ერთმანეთზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შედგება სხეულად. თუ ერთი ორგანო დაზარალდება, ყველა განიცდის. თითოეული ორგანოს მოქმედება გავლენას ახდენს მთელ

სხეულზე. პავლემ ამის შესახებ ისაუბრა, როდესაც უზნეო ურთიერთობაში მყოფი მამაკაცის მდგომარეობას შეეხო, თუმცა ამის ნაცვლად გამოიყენა მეტაფორა პურის შესახებ. მან თქვა: „ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს?" (1 კორინთელთა 5:6). ჩვენ უნდა დავინახოთ თავი ქრისტიანული საზოგადოების სასიცოცხლო ნაწილებად.

ახალი აღთქმის მრავალი მცნების შესრულება შეუძლებელია საზოგადოების შეგრძნების გარეშე. ღვთის მცნებების შესასრულებლად ქრისტიანებმა ერთმანეთის ერთგულებით უნდა იცხოვრონ. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანულ საზოგადოებას მივყევართ სულიერ პასუხისმგებლობამდე.

ბიბლიაში ბევრ ადგილს ვპოულობთ, სადაც ქრისტიანული საზოგადოება დაკავშირებულია სულიერ პასუხისმგებლობასთან.

> მოუსმინეთ თქვენს წინამძღოლებს და დაემორჩილეთ მათ, ვინაიდან ისინი ფხიზლობენ თქვენს სულებზე, როგორც პასუხისმგებელნი, რათა ამას სიხარულით აკეთებდნენ და არა კვნესით; რადგან ეს სასარგებლო აღარ იქნება თქვენთვის (ებრაელთა 13:17).

ეს მუხლი ეუბნება მორწმუნეებს, დაემორჩილონ მათ, ვინც სულიერი ძალაუფლების პოზიციებზეა. ეს მცნება ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სულიერ ლიდერებს. მათი პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ძალაუფლების განკარგვა, არამედ მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი სულების დაცვაა. ამისათვის ისინი საკმარისად კარგად უნდა იცნობდნენ თავიანთ ხალხს, რომ მისცენ თითოეულს სულიერი მიმართულება და მათ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა თავის ხალხთან, რომელიც შესაძლებელს ხდის ასეთ ხელმძღვანელობას.

ქრისტიანული საზოგადოება და სულიერი პასუხისმგებლობა აღწერილია ასევე ამ მონაკვეთში:

► წაიკითხეთ ებრაელთა 10:24-26. რა არის ნაბრძანები ამ მონაკვეთში?

ჩვენ აქ გვემცნო, რომ ვიცოდეთ სხვა ქრისტიანების საჭიროებები და წავახალისოთ ისინი აკეთონ ის, რაც სწორია.

► აღწერეთ ურთიერთობა, რომელიც საჭირო იქნებოდა მორწმუნეებს შორის ამ პასუხისმგებლობის შესასრულებლად.

ჩვენი წახალისება არ არის ეფექტური, თუ არ გვაქვს სწორი ურთიერთობა სხვებთან. ჩვენ კარგად უნდა ვიცნობდეთ მათ და გამოვავლინოთ სიყვარული და ზრუნვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ეწყინებათ პირადი რჩევის მიღება.

თვალი გეჭიროთ, ძმებო, რომ ვინმე თქვენგანს არ ჰქონდეს ბოროტი და ურწმუნო გული, რათა არ განუდგეს ცოცხალ ღმერთს. არამედ შეაგონებდეთ ერთმანეთს ყოველდღე, ვიდრეღა ითქმის "დღესო", რათა რომელიმე თქვენგანს გული არ გაუქვავდეს ცოდვის საცდურით (ებრაელთა 3:12-13).

ჩვენ მოწოდებულნი ვართ ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლიანები ვიყოთ. აქ მოწოდება უნდა სცდებოდეს მთელი ეკლესიური სხეულის დაგეგმილ შეხვედრებს, რადგან ჩვენ ნაბრძანები გვაქვს, რომ შევაგონოთ „ყოველდღე." ეს მოითხოვს მეგობრულ ურთიერთობას ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში. ამ ტიპის ურთიერთობა არ იქნება მხოლოდ ერთად ჭამა ან სტუმრობა, არამედ ექნება სულიერი დანიშნულება. ამ შედეგის მისაღწევად, ჩვენ მიზანმიმართულად უნდა დავგეგმოთ საუბრები და მცირე ჯგუფების შეხვედრები ამ პრიორიტეტით.

თუ როგორ შეგვიძლია ერთმანეთისთვის სარგებლის მოტანა, გადმოცემულია იგავების 27:17-ში:

როგორც რკინა ამახვილებს რკინას, ისე ამახვილებს კაცი მეგობრის სახეს.

არ არი საჭირო ერთი ადამიანის მეორეზე მაღლა დგომა, რათა მას სარგებლობა მოუტანოს სულიერი ხელმძღვანელობითა და გამხნევებით. სინამდვილეში, თავმდაბლად მიცემული სულიერი დარიგება უფრო მისაღები იქნება.

აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას (იაკობის 5:16).

პიროვნული შეცდომის აღიარება ჩვეულებრივ არ ხდება დიდ ჯგუფებში; ამიტომ ამ მცნების საეკლესიო მსახურებებზე შესრულება არ არის ადვილი. კონტექსტი აჩვენებს მცნების მიზეზს: ის, ვინც შეცდა, შეძლებს ადგომას.

ზიდეთ ერთმანეთის ტვირთი და ასე აღასრულებთ ქრისტეს რჯულს (გალატელთა 6:2).

ხშირად ქრისტიანი გრძნობს, რომ არავის აინტერესებს, რა სირთულეებს გადის. თანამოძმე ქრისტიანებისთვის არ იქნებოდა სულერთი, მართლა რომ გაეგოთ მისი განცდები, მაგრამ, როგორც წესი, ისინი საკმარისად კარგად არ იცნობენ მას, რომ გაუგონ. როგორ შეგვიძლია ვზიდოთ სხვისი ტვირთი, თუ სინამდვილეში არ ვიცით რა ტვირთია ეს?

ეკლესიის დაბადებიდან პირველ ხანებში მორწმუნეებს შორის ახლო ურთიერთობა ნორმა იყო.

ყოველდღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, სახლებში პურს ტეხდნენ და მხიარულებითა და გულუბრალოებით ღებულობდნენ საზრდოს (საქმეების 2:46).

ჯონ უესლიმ თქვა, რომ არ არსებობს ინდივიდუალური ქრისტიანობა.

► როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა უესლი თავის განცხადებაში?

სულიერ პასუხისმგებლობას ადგილი აქვს ჯანსაღ ქრისტიანულ საზოგადოებაში.

სულიერი პასუხისმგებლობის ქონა ნიშნავს ურთიერთობის დამყარებას იმ ადამიანთან ან ჯგუფთან, რომელსაც ვაცნობთ ჩვენს სულიერ მდგომარეობას, ჩვენს წარმატებას ან წარუმატებლობას სულიერ დისციპლინებში და ჩვენს ვალდებულებებს განვითარებისთვის.

სულიერი პასუხისმგებლობის გარეშე ჩვენ ვერ შევასრულებთ წმიდა წერილის ყველა მცნებას და ვუგულებელყოფთ საშუალებებს, რომლებიც ღმერთმა შექმნა ჩვენთვის მადლის მოსანიჭებლად.

### სულიერი სიმწიფის მახასიათებლები

რას ნიშნავს იყო სულიერად მომწიფებული? როგორ დაახასიათებდით მოწიფულ ქრისტიანს?

იმის გამო, რომ სიმწიფეს დრო სჭირდება, ის ასაკთან ერთად მოდის (ტიტეს 2:1-5). ცხადია, რომ ზოგი ადამიანი ისე ბერდება, რომ სათანადო სულიერ მომწიფებას ვერ აღწევს, ამავე დროს არიან ახალგაზრდები, რომლებიც არაჩვეულებრივ სიმწიფეს ავლენენ.

სიმწიფის მახასიათებლების უმეტესობა არ არის სრულად მიღწეული გარკვეულ მომენტში, მაგრამ თანდათან იზრდება. ზოგჯერ ისინი შეიძლება მოულოდნელად გაიზარდოს სულიერი გამოცდილების ან ცხოვრებისეული გამოცდილების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა მთელი ცხოვრება უნდა განაგრძოს განვითარება, არის დონე, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სულიერი სიმწიფე.

სულიერი სიმწიფის მახასიათებლები აღწერილია წმიდა წერილის რამდენიმე მონაკვეთში.

► სხვადასხვა სტუდენტმა უნდა წაუკითხონ ეს მონაკვეთები ჯგუფს: ეფესელთა 4:11-14, ებრაელთა 5:12-6:1, 1 კორინთელთა 3:1-2 და 1 იოანეს 2:12-14.

ქვემოთ მოცემულია იმ მახასიათებლების ჩამონათვალი, რომლებიც სულიერი სიმწიფის ნიშნებია. ეს არ არის სრული სია და ჩამონათვალში ზოგიერთი პუნქტი მთლიანად არ გამოირჩევა სხვა პუნქტებისგან.

ზრდასრულმა ქრისტიანმა შეიძლება მთლიანად არ გამოავლინოს ყველა ეს თვისება, მაგრამ იზრდება. მან შეიძლება ვერ გააცნობიეროს თავისი ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ უპასუხებს სულიწმიდის უწყვეტ მუშაობას მის გულში.

## სულიერი სიმწიფის ათი მახასიათებელი

### (1) ქრისტეს მსგავსება მოტივებში, დამოკიდებულებებსა და მოქმედებებში

ქრისტეს მსგავსება მოდის ქრისტეს მის ბუნებაში შეცნობის მგზნებარებიდან, მისი სიკვდილისა და აღდგომის სულიერი გამოცდილებიდან (ფილიპელთა 3:10). ეს შეიძლება მოიცავდეს დევნის დროს მისი ტანჯვის გაზიარებას. ადამიანი, რომელსაც ასე უყვარს ქრისტე, გარდაიქმნება მის მსგავსებაში.

იყო ქრისტეს მსგავსი, ეს ნიშნავს იყო მოტივირებული სიყვარულით და არა ეგოიზმით ან სიამაყით. ქრისტიანს სურს დაემსგავსოს ქრისტეს და ნაღვლიანდება, როდესაც ხვდება, რომ ვერ იყო ქრისტეს მსგავსი იმ რაღაცაში, რაც თქვა ან გააკეთა.

### (2) ახლო ურთიერთობა ღმერთთან

ადამიანი უნდა დაუახლოვდეს ღმერთს მასთან ურთიერთობაში. ღმერთთან კარგი ურთიერთობის ნიშნებია ღვთის თანდასწრებით ტკბობა, ღვთის სიტყვის სიყვარული და ლოცვაში გატარებული დრო.

### (3) სულის ნაყოფების წარმოჩინება

სულიწმიდა მორწმუნის ცხოვრებაში ნაყოფს წარმოქმნის, რომელიც მოიცავს სიყვარულს, სიხარულს, მოთმინებასა და თავშეკავებას. მორწმუნე უფრო თანმიმდევრულად კეთილი და რბილი ხდება, როდესაც სულიწმიდას ნებას აძლევს იმუშაოს მის ხასიათზე.

### (4) გარეგნულ და შინაგან ცოდვაზე გამარჯვება

მორწმუნე სწავლობს, ღმერთზე დამოკიდებულებას, ცდუნებაზე გამარჯვებისთვის. ის ემორჩილება ღვთის მიერ მის განწმედას, რათა ჰქონდეს წმიდა გული. ის ავითარებს ჩვევებს და დისციპლინებს, რომლებიც ეხმარება მას მუდმივად იცხოვროს გამარჯვებაში.

თუ ის დანებდება ცდუნებას, უნდა აღიაროს ღვთის წინაშე და ლოცვაში მას პატიება და ძალა უნდა სთხოვოს. მან თავისი წარუმატებლობა უნდა გაუზიაროს ახლო მეგობარ ქრისტიანებს, რომლებიც მისთვის ლოცულობენ (იაკობის 5:16).

**(5) დადგენილი სულიერი დისციპლინები**

სულიერი დისციპლინები არის გზა განხორციელებისთვის, რათა ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა პირველ პრიორიტეტად ვაქციოთ. ადამიანი, რომელიც მუდმივად არ ლოცულობს, არ კითხულობს ბიბლიას და არ დადის ეკლესიაში, არ არის მოწიფული ქრისტიანი.

**(6) განვითარებული ქრისტიანული ხასიათი**

ქრისტიანი სწავლობს ააგოს თავისი ცხოვრება პატიოსნების, საიმედოობისა და კეთილსინდისიერი მუშაობის პრინციპებზე.

**(7) თანმიმდევრული ქრისტიანული ცხოვრება**

მორწმუნე სწავლობს ქრისტიანული პრინციპების გამოყენებას ცხოვრებაში. მოწიფულ ქრისტიანს უნდა სურდეს, რომ ქცევით და დამოკიდებულებით ყოველთვის ჰგავდეს ქრისტიანს. როდესაც ის აცნობიერებს, რომ ის, რასაც ამბობს ან აკეთებს, არ ემთხვევა მის გულში არსებულ სიყვარულს, ის დამოკიდებულია ღვთის ძალაზე, რომ მოახდინოს ცვლილებები.

**(8) ჯანსაღი ურთიერთობები**

ზრდასრული ქრისტიანი ღრმა მეგობრულ ურთიერთობებს ავითარებს სხვა ქრისტიანებთან. ის ამყარებს ურთიერთობებს პატიოსნების, მოთმინების და პატიების გამოვლენით. თავმდაბალია და შეცდომებს აღიარებს. იმის გამო, რომ მან შეიძლება არასწორად გაიგოს სიტუაცია, ის შეიძლება არ იყოს ისეთი მომთმენი, როგორც უნდა ყოფილიყო, სწრაფადვე უნდა აღიაროს შეცდომა ან გამოისწოროს შეხედულება იმ პიროვნებაზე.

**(9) პირადი მსახურება**

მორწმუნემ უნდა ამოიცნოს თავისი სულიერი ნიჭები. მან უნდა იპოვოს თავისი ადგილი ეკლესიაში, რათა იყოს კურთხევა სხვებისთვის. მორწმუნეს შეუძლია იმსახუროს ეკლესიაში იმით, რომ დაეხმაროს მახარებლობაში და დამოძღვროს სხვები ქრისტიანულ ცხოვრებაში.

**(10) გამძლეობა რთულ პირობებში**

მორწმუნემ უნდა ისწავლოს ღმერთის ნდობა, როდესაც ცუდი რამ ხდება. ის ღმერთს უნდა დაეყრდნოს, როდესაც რთულ სიტუაციებში ვარდება. ზრდასრული მორწმუნე არ კარგავს რწმენას, როდესაც ვერ იგებს, რატომ ხდება ეს რაღაც.

## დასკვნა

სულიერი სიმწიფის მახასიათებლები არ არის დამოკიდებული ბუნებრივ ნიჭზე.

ეს არ არის იგივე, რაც მსახურების უნარები.

ისინი სულაც არ ახლავს ლიდერობის უნარს. კარგია, თუკი ლიდერი სულიერად მომწიფებულია, მაგრამ ზოგჯერ ადამიანი ხდება ლიდერი თავისი შესაძლებლობების გამო, მაშინ როდესაც სულიერად ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული. ზოგჯერ ადამიანი სულიერად მომწიფებულია, მაგრამ არ გააჩნია ლიდერობის უნარი.

პიროვნებების გარკვეული ნაწილი ბუნებრივად უფრო მომთმენნი და კეთილნი ჩანან. პიროვნების ბუნებრივი თვისებები არ არის იგივე, რაც სულიერი სიმწიფე. ღმერთი მუშაობს ჩვენს პიროვნებაში და გვეხმარება ჩვენი მიდრეკილებების დაბალანსებაში. თუ კონკრეტულ ადამიანს გავაანალიზებთ, ზუსტად ვერ განვასხვავებთ მის ბუნებრივ პიროვნებასა და სულიერი განვითარების თავისებურებებს.

ჯანმრთელობის პრობლემებმა ასევე შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანის აზროვნებასა და რეაქციაზე. ჩვენ არ უნდა ვიჩქაროთ სხვების განსჯა.

## დავალებები

1. გამოიკვლიეთ საკუთარი თავი სულიერი სიმწიფის ათი მახასიათებლის მიხედვით. ლოცვაში დაფიქრდით, რომელი გაკლიათ ყველაზე მეტად. დაგეგმეთ, როგორ განვითარდეთ მიზანმიმართულად მათში, ლოცვით, შესწავლით, სხვების რჩევით და ღვთის დახმარებაზე დამოკიდებულებით.

2. როგორ შეუძლია ეკლესიას მიზანმიმართულად შეასრულოს სწავლებისა და სულიერი პასუხისმგებლობის მოვალეობა? დაწერეთ ორი გვერდი, სადაც აღწერთ ეკლესიის სამოქმედო გეგმას.

# გაკვეთილი 18
# მცირე ჯგუფის სახელმძღვანელო

## მინიშნება კლასის ლიდერისთვის

*ეს გაკვეთილი, სხვებისგან განსხვავებით არ არის მომართული, როგორც საკლასო მეცადინეობა. მისი საშუალებით შეგიძლიათ ასწავლოთ, ასევე ბევრი თემაა მიცემული განსახილველად. ამ გაკვეთილისთვის დაგჭირდებათ არაერთხელ შეხვედრა.*

*კლასმა უნდა გამოყოს დრო კონკრეტულად მათი სამომავლო აქტივობების განსახილველად. მათ ერთად უნდა დაგეგმონ, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ ადგილობრივ ეკლესიებს მახარებლობისა და მოწაფეობის ამოცანების შესრულებაში.*

## მცირე ჯგუფების ფასეულობა მოწაფეობისთვის

მცირე ჯგუფების მსახურება მთელ მსოფლიოში მრავალ ფორმას იღებს. არსებობს მრავალი სახის მცირე ჯგუფები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა მიზნებისთვის. მცირე ჯგუფები შეიძლება შეიკრიბონ შესწავლის, სულიერი პასუხისმგებლობის, მსახურების, ლოცვის ან სპეციალური პროექტებისთვის.

ზოგიერთი ეკლესია იყოფა ჯგუფებად, რომლებიც იკრიბებიან სახლებში. ჯგუფები ფუნქციონირებენ როგორც პატარა ეკლესიები. ახალი აღთქმის ეკლესიები, როგორც ჩანს, ასე ფუნქციონირებდნენ.

მზარდ, ეფექტურ ეკლესიებს, როგორც წესი, აქვთ მცირე ჯგუფების სისტემა.

გაკვეთილის ამ ნაწილში ვისაუბრებთ მცირე ჯგუფების ეფექტურობაზე მოწაფეობისთვის.

## უესლიანური მოდელი

ჯონ უესლი (დიდი ბრიტანეთი, მე-18 საუკუნე) არ იყო პირველი, ვინც მოაწყო მცირე ჯგუფები, მაგრამ მან შექმნა სისტემა, რომელიც ძალიან ეფექტური იყო.

უესლიმ შეიმუშავა მოწაფეობის სისტემა სხვადასხვა ზომის ჯგუფებთან, რომელსაც ეწოდება საზოგადოებები, კლასები და ზენდები.[14] უესლის მეთოდები თავდაპირველად არ იყო სრული სისტემა, მაგრამ თანდათან ვითარდებოდა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

---

[14] იხილეთ “A Plain Account of the People Called Methodists,” in *The Works of John Wesley, Volume VIII* (Grand Rapids: Zondervan), 249-258.

უესლის ბევრი მოქცეული სთხოვდა გამხნევებას, რჩევას და ლოცვას. რადგან ძალიან ბევრნი იყვნენ, მათთან ყოველ ხუთშაბათს აწყობდა შეხვედრას.

ყველგან, სადაც უესლი და მისი მქადაგებლები სახარებას ქადაგებდნენ, ისინი ახალმოქცეულებს აერთიანებდნენ ჯგუფებში, რომლებიც რეგულარულად იკრიბებოდნენ. იმის გამო, რომ კრებები დიდი იყო, ბევრს არ შეეძლო ეთქვა პირადი სულიერი საჭიროებების შესახებ და ვერ ხერხდებოდა საჭირო ყურადღების მიქცევა. ჩამოყალიბდა მცირე ჯგუფები სახელწოდებით კლასები, სადაც ლიდერები მსახურობდნენ, როგორც პასტორები, წევრების გასამხნევებლად და მეურვეობის გასაწევად. ნებისმიერი წევრი, რომელიც აგრძელებდა ღიად ცოდვას და არ იცვლებოდა, გაირიცხა წევრობიდან და აეკრძალა შეკრებაზე მისვლა.

ჩამოყალიბდა კლასებზე მცირე ჯგუფები, რათა წევრებს შეძლებოდათ გაეზიარებინათ თავიანთი სულიერი ბრძოლის განცდები და უზრუნველეყოთ ერთმანეთის მიმართ სულიერი პასუხისმგებლობა. ამ პატარა ჯგუფებს ეწოდებოდა ზენდები. ამ შეხვედრებზე ლიდერი აღწერს საკუთარ სულიერ მდგომარეობას, შემდეგ კი სხვებს უსვამს კითხვებს მათი მდგომარეობის, ცოდვებისა და ცდუნების შესახებ. ამ ჯგუფებში ყველა წევრი ერთი სქესის იყო.

უესლის წარმატებამ აიძულა ცნობილი ჯორჯ უაიტფილდი, გაეკეთებინა ეს განცხადება: „ჩემი ძმა უესლი გონივრულად მოიქცა - მისი მსახურების დროს გამოღვიძებული სულები გააერთიანა კლასებში და ამით შეინარჩუნა თავისი შრომის ნაყოფი. ეს მე უგულებელვყავი და ჩემი ხალხი ქვიშის თოკივითაა." უესლის მეთოდებს აგრძელებდა ამერიკული მეთოდისტური ეკლესია ადრეულ წლებში, მაგრამ მისი მოწაფეობის პრინციპები და მისი დოქტრინებიც უგულებელყოფილია თანამედროვე მეთოდიზმის მიერ.

### ძირითადი ეკლესიის გაგება

ყველაზე ადრეული ეკლესიის ნაგებობა, რომელიც ნაპოვნია, აშენდა დაახლოებით 250 წელს. პირველი ორი საუკუნის განმავლობაში ეკლესია საკუთარ თავს ადამიანებად აღიქვამდა და არა როგორც შენობას ან ორგანიზაციას. ეკლესია შედგება ქრისტიანთა ჯგუფებისგან, რომლებიც ერთად სცემენ თაყვანს, ახარებენ და ემორჩილებიან ბიბლიას.

ადამიანთა მცირე ჯგუფები ყველა ეფექტური ეკლესიის სტრუქტურის ძირითადი სამშენებლო ბლოკია. მცირე ჯგუფებში მოწაფეობის პროგრამა არ არის ახალი ინსტიტუცია, რომელიც ოდესმე მოძველდება. ეს არ არის ახალი მეთოდი, რომელმაც შეიძლება ზოგ ადგილას იმუშაოს და ზოგგან არა. პირიქით, მცირე ჯგუფები ეკლესიის ძირითადი სამშენებლო ბლოკია. მცირე ჯგუფებში მსახურება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა

გზით იმ გამოწვევების დასაძლევად, რომელთა წინაშეც დგას ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესია.

ეკლესია ვერ მიაღწევს თავის მიზანს, თუ მისი წევრები რეგულარულად არ განვითარდებიან და არ ისწავლიან უფრო პირად გარემოში, ვიდრე მთელი კრება ან საკვირაო სკოლების უმეტესობაა.

**გაფრთხილება**

მცირე ჯგუფები იმდენად არიან სულიერები, რამდენადაც მათში ჩართული ადამიანები. თუ ისინი არ არიან ერთგული მოწაფეები და მათი პრიორიტეტი არ არის ღმერთს აამონ, ერთგულად იცხოვრონ და შეასრულონ ეკლესიის მისია, ჯგუფი შეიძლება არასწორი გზით წავიდეს.

## სულიერი ანგარიშვალდებულების საჭიროება

სულიერი ანგარიშვალდებულების ქონა ნიშნავს ურთიერთობის დამყარებას ადამიანთან ან ჯგუფთან, რომელსაც აცნობებთ თქვენს სულიერ მდგომარეობას, თქვენს წარმატებას ან წარუმატებლობას სულიერ დისციპლინებში და თქვენს ვალდებულებებს განვითარებისთვის. ისინი გეუბნებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ არასწორად იქცევით. თქვენ ეუბნებით მათ თქვენს ვალდებულებებს და ისინი მოგვიანებით გეკითხებიან, ასრულებთ თუ არა თქვენს ვალდებულებებს.

ჯანსაღ ქრისტიანულ საზოგადოებაში სულიერი პასუხისმგებლობის ბიბლიური საფუძველი უფრო დეტალურად არის ახსნილი წინა ნაწილში. სულიერი ანგარიშვალდებულების გარეშე, ჩვენ ვერ შევასრულებთ წმიდა წერილის ყველა მცნებას; და ჩვენ ვუგულებელვყოფთ საშუალებას, რომელიც ღმერთმა შექმნა ჩვენთვის მადლის მოსანიჭებლად.

> აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას (იაკობის 5:16).

ადამიანი არ აღიარებს პირად შეცდომებს, გარდა იმ ურთიერთობისა, რომელშიც ამის გაკეთება უფრო მარტივია. თუ ის არ აღიარებს იმის წინაშე, ვინც ლოცულობს მის ნაკლოვანებებზე, ის უგულებელყოფს საშუალებებს, რომლებიც ღმერთმა შექმნა ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

> ზიდეთ ერთმანეთის ტვირთი და ასე აღასრულებთ ქრისტეს რჯულს (გალატელთა 6:2).

თუ ვინმეს კარგად არ ვიცნობთ, არ ვიცით რა არის მისი ყველაზე სერიოზული ტვირთი, ჩვენ ვერ შევძლებთ შევასრულოთ ეს ბიბლიური მცნება. ღრმა ურთიერთობის გარეშე, რომელიც ამას შესაძლებელს გახდის.

> ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს, წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის (ებრაელთა 10:24).

ჩვენ გულდასმით უნდა გამოვიკვლიოთ ერთმანეთი სიყვარულიდან გამომდინარე, რათა გავიგოთ, რა არის საჭირო გამხნევება თუ მხილება. წახალისება ზედაპირული იქნება, ხოლო მხილება უარყოფილი, თუ ჩვენ არ გვექნება განსაკუთრებული ურთიერთობა ამ კონკრეტულ ადამიანთან.

შემდეგი კითხვები შეიძლება დაეხმაროს ადამიანს განსაზღვროს არის თუ არა სულიერი ანგარიშვალდებულება მის ცხოვრებაში.

რა ურთიერთობები მაქვს, რომლებიც შესაძლებელს ხდის, რომ ვინმე დამეხმაროს ჩემი უმძიმესი ტვირთის ტარებაში, ვაღიარებ ჩემს შეცდომებს ვინმესთან, ვეხმარები ვინმეს ტვირთის ზიდვაში და ვიღაც პასუხობს ჩემს ამჟამინდელ სულიერ მდგომარეობას?

არის შემთხვევები, როდესაც არავინ მყავს დასაყრდენი, როდესაც მიხარია, რომ არავინ იცის ჩემი მდგომარეობის შესახებ და არის შემთხვევები, როდესაც მრცხვენია ვინმეს ვუთხრა ლოცვაში ან ბიბლიის შესწავლაში დახარჯული დროის შესახებ?

ეკლესიების უმეტესობა არ ასრულებს თავის პასუხისმგებლობას სულიერი ანგარიშვალდებულების შესახებ, თუ არ მოაწყობს ამისთვის სისტემას. ზევრისთვის ეს არის პატარა ჯგუფების სისტემა.

## მცირე ჯგუფის ლიდერის თვისებები

იესომ აჩვენა მოწაფეობის პრიორიტეტი. თავისი მსახურების დასაწყისშივე მან აირჩია რამდენიმე მამაკაცი, რომლებსაც უნდა აეღოთ საკუთარ თავზე ეკლესიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. ის მთელს თავის დროს არ უთმობდა იმ ათასობით მიმდევრის მიმართ ქადაგებას; ამის ნაცვლად, ის ხშირად უთმობდა დროს თორმეტის მიმართ სწავლებას. მან განავრცო თავისი მსახურება მათი მეშვეობით, ვისაც ასწავლიდა.

ადამიანს, ვისაც მოწაფეობა სურს, უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები. ის შეიძლება არ გამოირჩეოდეს ყველა თვისებით, მაგრამ უნდა ეცადოს გააუმჯობესოს ისინი. თუკი მას თუნდაც ერთი აკლია, გაცილებით ნაკლებად ეფექტური იქნება.

(1) სულიერად მომწიფებული

მას უნდა ჰქონდეს სულიერი მოწიფულობის თვისებები, რომლებიც აღწერილია წინა ნაწილში. თუ ის სულიერად არ არის მომწიფებული, ვერ მისცემს კარგ მაგალითს და არ ექნება საჭირო გამოცდილება.

„მიუხედავად იმისა, რომ მან გააკეთა ის, რაც შეეძლო მრავალი ხალხის დასახმარებლად, მას უნდა მიეძღვნა თავი, პირველ რიგში, რამდენიმე ადამიანისთვის და არა მასებისთვის, რათა საბოლოოდ მასები გადარჩენილიყვნენ. ეს იყო მისი სტრატეგიის გენიალურობა."

- რობერტ კოულმენი,
*მოძღვრის გეგმა*

(2) ხელმისაწვდომი

თუ მისი განრიგი უკვე ძალიან დატვირთული და ცუდად ორგანიზებულია, ის არ არის შესაფერისი მცირე ჯგუფის მსახურებისთვის. მან ეს პრიორიტეტად უნდა აქციოს.

(3) სანდო

ის უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ასრულებს თავის ვალდებულებებს. მას უნდა შეეძლოს შეხვედრებზე სიარული. მას უნდა შეეძლოს დაიმახსოვროს საჭიროება, მოსთხოვოს სხვებს პასუხისმგებლობა მათ ვალდებულებებზე.

(4) თავდაჯერებული

მას უნდა სჯეროდეს, რომ შეუძლია ისწავლოს ჯგუფის ხელმძღვანელობა. თუ მას აქვს უნარი, მაგრამ არ სჯერა ამის, მას ჯერ ესაჭიროება გარკვეული ხელმძღვანელობითი გამოცდილება, რომელიც აამაღლებს მის ნდობას.

(5) კონფლიქტის მოგვარების უნარიანი

მას უნდა შეეძლოს სწორი დამოკიდებულების შენარჩუნება, როდესაც ადამიანები არ ეთანხმებიან და პრობლემებს უქმნიან. მას უნდა ჰქონდეს ადამიანებს შორის კონფლიქტის მოგვარებაში დახმარების უნარი.

(6) სწავლების უნარიანი

იგებს ხალხი მის ახსნილს? ლიდერი უნდა იყოს ისეთი, რომ ხალხში დაბნეულობას არ იწვევდეს.

(7) ღმერთის სიტყვისადმი მწყურვალი

მას ღვთის სიტყვა სიხარულს უნდა ანიჭებდეს, რათა სხვებსაც მოუწოდოს, რომ ისიამოვნონ მისით. მან ბიბლია მნიშვნელოვანი უნდა გახადოს ღმერთთან ურთიერთობაში.

(8) ღმერთზე დამოკიდებული

მან უნდა გააცნობიეროს, რომ სულიერი შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სულიწმიდის მოქმედებით. ის მზად უნდა იყოს სულიწმიდასთან თანამშრომლობისთვის. ის ღვთის ცხებულებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ის არ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი ახსნა მხოლოდ მისი შესაძლებლობების გამო იქნება წარმატებული.

(9) მზადაა ემსახუროს

ის უნდა იყოს ადამიანი, რომელიც გრძნობს, რომ რაღაც ღირებულს აკეთებს, როდესაც სხვებს ემსახურება. ის არ უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც სურს, რომ მოემსახურონ. ის არ უნდა ეძებდეს მსახურებას თავისი ნიჭის გამოვლენის მიზნით. ის უნდა რეაგირებდეს საჭიროებებზე და მზად უნდა იყოს მოხალისეობისთვის.

(10) სულიერი ძალაუფლების ქვეშ მყოფი

ის უნდა იყოს ვინმეს წინაშე სულიერად ანგარიშვალდებული. მან უნდა შეასრულოს სულიერი ლიდერების მითითებები.

(11) ეკლესიის ერთგული

ჯგუფის ლიდერი უნდა იყოს ადგილობრივი ეკლესიის ერთგული წევრი. მოწაფეობის მსახურებამ მოტივაცია უნდა მისცეს ხალხს, რომ დააფასონ ეკლესია და გახდნენ უფრო ერთგულები მის მიმართ.

(12) ჰქონდეს წარმატებისკენ სწრაფვა

თუ მას აქვს წარმატებისკენ სწრაფვა, ის სწრაფად არ დანებდება. ის მოერგება გარემოებებს. ის მოძებნის ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მას, უფრო ეფექტური იყოს. ის თავის თავზე აიღებს ინიციატივას, როდესაც იქნება პრობლემები ან შესაძლებლობები. მას ექნება ენერგია და ენთუზიაზმი.

(13) დოქტრინალურად ზუსტი

მას ბიბლიური და სახარებისეული სწავლების კარგი საფუძველი უნდა ჰქონდეს.

(14) განსწავლული მსახურებისთვის

არ არის აუცილებელი მსახურებისთვის მოსამზადებელი სწავლება აკადემიურ დაწესებულებაში ჩატარდეს. მომზადება იწყება დაკვირვებით, როდესაც მორწმუნე ხედავს, თუ როგორ ტარდება მსახურება. სწავლა იზრდება მონაწილეობით, რადგან მას ეკისრება პასუხისმგებლობა მეთვალყურეობის ქვეშ. ძალიან მნიშვნელოვანია კარგი მასალის წაკითხვა და შესწავლა.

## მოწაფეობის პროგრამის შემუშავება

მოწაფეობის განსახორციელებლად საუკეთესო გზაა ადგილობრივი ეკლესია, რომელსაც ესმის მოწაფეობის პასუხისმგებლობა და პრიორიტეტი ერთიანობაში მუშაობით.

ამიტომ, ეს მითითებები მიმართულია ეკლესიის ლიდერებისა და ერთგული წევრებისადმი.

თუ ეკლესია აცნობიერებს, რომ ესაჭიროება მოწაფეობის გაუმჯობესება, მან ჯერ უნდა შეისწავლოს წმიდა წერილები და პუნქტები ამ კურსიდან მოწაფეობის შესახებ. ლიდერებს შეუძლიათ წარმოადგინონ მასალა. ეკლესიის ყველა ერთგული წევრი უნდა იყოს ჩართული, თუ ეს შესაძლებელია, რათა მათ გაიზიარონ ხედვა.

შემუშავების მეორე ნაწილი არის იმის დაკვირვება, რასაც ეკლესია უკვე აკეთებს. ეკლესიების უმეტესობას აქვს რამდენიმე უკვე მოქმედი ჯგუფი, მაშინაც კი, თუ მათ მიზანმიმართულად არ დაუწყიათ მცირე ჯგუფების პროგრამა. მაგალითად, ეკლესიაში შეიძლება იყოს მუსიკოსების ჯგუფი, რომელიც ხშირად იკრიბება. შეიძლება იყოს გუნდი, რომელიც მეცადინეობს. შეიძლება იყოს დიაკვნების საბჭო. შეიძლება იყოს საკვირაო სკოლის კლასები და საკვირაო სკოლის მასწავლებლებმაც შეიძლება შექმნან ჯგუფი. ეკლესიის ახალგაზრდები შეიძლება დროდადრო შეიკრიბონ. შეიძლება არსებობდეს კომიტეტები სხვადასხვა პასუხისმგებლობების შესასრულებლად. ჯგუფი შეიძლება ჩამოყალიბდეს არაფორმალურად იმ ადამიანებისგან, რომლებიც ერთად მუშაობენ პროექტზე. ეკლესიაში შეიძლება იყოს ოჯახები, რომლებიც დროდადრო იკრიბებიან მეგობრობისთვის. შეიძლება იყოს ბიბლიის შესწავლის საოჯახო და ლოცვითი შეხვედრები.

ეს ჯგუფები შეიძლება არ იყოს შექმნილი მოწაფეობის ან სულიერი ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის, მაგრამ ისინი შეიძლება დაეხმარონ ამ მიზნების შესრულებას. ნებისმიერ ეკლესიას, რომელსაც აქვს სულიერი ცხოვრება, უკვე ჰყავს გარკვეული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ ამ ცხოვრების მხარდასაჭერად. როდესაც ეკლესია გადაწყვეტს გააუმჯობესოს მოწაფეობის პროგრამა, მან უნდა გამოიკვლიოს არსებული ჯგუფები და აღმოაჩინოს რა ხდება, შემდეგ იფიქროს იმაზე, თუ როგორ შეიძლება უკეთ მიაღწიოს მიზნებს.

შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ჯგუფების ჩამოყალიბება. შესაძლოა იყოს სხვადასხვა ტიპის ჯგუფების საჭიროება. შეიძლება არსებობდეს ჯგუფები, რომლებიც ატარებენ მსახურებისთვის პრაქტიკულ სწავლებას. შეიძლება იყოს ჯგუფები, რომლებიც ძირითადად სწავლობენ ბიბლიას და ლოცულობენ. შეიძლება არსებობდეს მცირე ჯგუფები სერიოზული სულიერი პასუხისმგებლობისთვის.

ჯგუფის მიზანი განსაზღვრავს ვინ უნდა იყოს მასში და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს ჯგუფი. მაგალითად, სერიოზული სულიერი ანგარიშვალდებულების ჯგუფში უნდა იყოს

ათამდე ადამიანი. თუ ჯგუფი ძალიან დიდია, კონფიდენციალურობა მცირდება, კომუნიკაცია ხდება ზედაპირული, საჭიროა მეტი კონტროლი, შესაძლოა ნაკლები მონაწილეობა იყოს, ხოლო დასწრება, როგორც წესი, უარესდება. პირადი გაზიარების სიღრმე შეზღუდული იქნება, თუკი ერთდროულად ქალებიც და მამაკაცებიც ესწრებიან.

ჯგუფის მიზანი განსაზღვრავს, უნდა იყოს თუ არა ის ღია ახალი წევრებისთვის. თუ მიზანი სულიერი ანგარიშვალდებულებაა, იქ აღარ უნდა მოხდეს ახალი წევრების დამატება, ჯგუფის რამდენჯერმე შეხვედრის შემდეგ. ადამიანების უმეტესობა არ გაუზიარებს მათ სულიერ მდგომარეობას მანამ, სანამ ჯგუფში სხვებთან თავს დაცულად არ იგრძნობს. თუ ჯგუფის მიზანია გაკვეთილების სერიის ათვისება, შეხვედრების სერიის განმავლობაში ხალხის დამატება არ იქნება პრაქტიკული.

შესაძლოა არსებობდეს ჯგუფი ახალმოქცეულთათვის.[15] მნიშვნელოვანია, რომ ახალმოქცეულს არ მოუხდეს რამდენიმე კვირა დალოდება ჯგუფში გაწევრიანებისთვის. ამიტომ, ამ ჯგუფს სჭირდება გაკვეთილების განახლებადი სერია, რათა ახალმა ადამიანებმა შეძლონ შეერთება ნებისმიერ დროს. ლიდერებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ზოგიერთი ახალმოქცეული ჩამოშორდება ჯგუფს. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ადამიანი ტოვებს ჯგუფს, არ ნიშნავს, რომ ჯგუფი კარგად ვერ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჩამოშორდება, ახალმოქცეულთა ჯგუფი ღია უნდა იყოს ახალი ხალხისთვის.

თუ ჯგუფი განკუთვნილია მსახურების მომზადებისთვის ან უფრო ღრმა სულიერი განვითარებისთვის, ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სურთ სულიერი ზრდა და მზად არიან ჯგუფის მიზნების შესასრულებლად. თუ ზოგიერთი წევრი არ არის მიძღვნილი, ჯგუფი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს.

წევრების უმეტესობა უნდა დაკომპლექტდეს პირადი მოწვევით. ნუ დაელოდებით, რომ ხალხი გთხოვთ ნებას, რომ შემოუერთდნენ.

ეკლესიაში ყველა არ ჩაერთვება მცირე ჯგუფის პროგრამაში. თუ თქვენ ეკლესიაში ლიდერი ხართ, ნუ უკუაგდებთ ხალხს კრიტიკით იმის გამო, რომ ისინი მცირე ჯგუფში არ იმყოფებიან. ხელი შეუწყეთ ჯგუფის მსახურებას მისი უპირატესობების წარმოჩენით.

პირველ შეხვედრაზე დარწმუნდით, რომ ყველას ესმის ჯგუფის მნიშვნელობა. გაუზიარეთ წმიდა წერილი და ინფორმაცია, რომელიც აჩვენებს მოწაფეობის მნიშვნელობას.

[15] Shepherds Global Classroom გთავაზობთ 26 გაკვეთილის წიგნს ახალი მორწმუნეების დამოწაფებისთვის. ეს უფასო რესურსი, მოწაფეობის განვითარების გაკვეთილები, ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად აქ. shepherdsglobal.org.

დასწრების გაზრდის მიზნით, შეიძლება დაიგეგმოს ჯგუფის შეხვედრები კვირების გარკვეულ რაოდენობაზე. აუხსენით, რომ ჯგუფი მუშაობს გაკვეთილების კონკრეტულ სერიაზე და აცნობეთ, როდის დასრულდება ეს სერია. ამგვარად, თითოეულმა წევრმა ზუსტად იცის, რა ვალდებულებას ასრულებს. ხაზი გაუსვით უნაკლო დასწრების აუცილებლობას. ამ დროის გასვლის შემდეგ, ჯგუფს შეუძლია თავიდან დაიწყოს მათთან, ვისაც სურს გაგრძელება.

## განსახილველი სცენარი

ანდრე რამდენიმე წელია ქრისტიანია. ის ეკლესიის წევრია და ეხმარება თავის ეკლესიას. ის შეშფოთებულია, რომ მის ეკლესიას არ გააჩნია მოწაფეობის გეგმა. მას მიაჩნია, რომ ეკლესიამ მცირე ჯგუფები უნდა შექმნას, მაგრამ ლიდერები არ არიან დაინტერესებულნი ამით.

► რა უნდა მოიმოქმედოს ანდრემ?

ანდრე უნდა ესაუბროს ეკლესიის ლიდერებს და სთხოვოს მათ თანხმობა მცირე ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის. მან არ უნდა გააკრიტიკოს ეკლესიის მსახურება, არამედ უნდა აუხსნას ის სარგებელი, რომელიც მოჰყვება ჯგუფის შექმნას. თუ ჯგუფი წარმატებას მიაღწევს, ეკლესია თვალნათლივ დაინახავს ამგვარი მსახურების უპირატესობას.

## ეფექტური ჯგუფის ხელმძღვანელობა

ჯგუფის დასაწყისს თან ახლავს მღელვარება და მოლოდინი. ბევრმა წევრმა ზუსტად არ იცის რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ ჯგუფისგან დახმარებას მიიღებენ.

შემდეგი მიმართულებები დაეხმარება ჯგუფს იყოს ეფექტური და შეასრულოს თავისი მიზანი. არსებობს მცირე ჯგუფების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პრინციპები. თუ ლიდერი დაეხმარება ჯგუფს დაიცვას ეს პრინციპები, ის შეამცირებს მარცხის და იმედგაცრუების რისკებს.

პირველი შეხვედრა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვებისგან, რადგან ჯგუფი სწავლობს, როგორ წარიმართება შეხვედრები. თუმცა, პირველი შეხვედრა განსაზღვრავს მომავალი შეხვედრების სტილს. თუ ადამიანი პირველ შეხვედრაზე არ საუბრობს, მოლოდინი ექნება, რომ შემდგომშიც შეინარჩუნებს დუმილს. თუ ვინმე აქტიურობს დისკუსიაში, ჯგუფს მოლოდინი ექნება, რომ მომავალ შეხვედრებზეც ისევ იგივე ადამიანი იაქტიურებს. თუ შეხვედრა მოუწესრიგებელია, მომავალშიც იგივეს დაელოდებიან. თუ შეხვედრა ჰგავს კლასს მცირე მონაწილეობით, მათ იგივეს მოლოდინი ექნებათ.

ზოგიერთმა წევრმა შესაძლოა რამდენიმე შეხვედრის შემდეგ თავი დაანებოს, რადგან ჯგუფი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ელოდნენ. მნიშვნელოვანია შეხვედრის სწორად წარმართვა, რათა წევრები, რომლებიც სწორ რამეს ელოდნენ, იმედგაცრუებული არ დარჩნენ.

## ეფექტურობის სახელმძღვანელო

**(1) დანიშნეთ ჯგუფის შეხვედრები ყოველკვირეულად, თუ ეს შესაძლებელია. ზოგიერთს შეიძლება დახმარება დასჭირდეს ბავშვის მიხედვაში.**

**(2) შეხვედრების ფორმატი უნდა იყოს (1) სწავლის დრო, შემდეგ (2) ლოცვისთვის პირადი საჭიროებების გაზიარება, შემდეგ (3) ლოცვა.**

თუ ჯგუფის უპირველესი მიზანი სწავლაა, სწავლის დრო შეიძლება იყოს ხანგრძლივი და სხვა ნაწილები მოკლე; მაგრამ სამი ნაწილი მაინც უნდა იყოს ჩართული. თუ ჯგუფის მიზანი სულიერი ანგარიშვალდებულებაა, სწავლის დრო შეიძლება იყოს მოკლე, მაგრამ მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული მასალა, რომელსაც შეისწავლიან.

თუ ჯგუფში ხდება პირადი გაზიარებები და დისკუსიები, მაგრამ მათ არ აქვთ გაკვეთილზე შესასწავლი მასალა, ეს დიდი ალბათობით, მიგვიყვანს ქაოსში. მასში იქნება ზოგიერთი მონაწილის პიროვნული დომინირება. გაკვეთილის მასალა აიძულებს ყველა მათგანს რეაგირება მოახდინონ ჭეშმარიტებაზე, იმის მიღმა, რაც მათ გონებაშია.

**(3) დროულად დაიწყეთ და დაასრულეთ შეხვედრები.**

თუ გვიან დაიწყებთ და დაასრულებთ, ისინი, ვინც საკუთარ დროს აფასებენ და უფრთხილდებიან, დაგვიანებით დაიწყებენ მოსვლას ან გამოტოვებენ ზოგიერთ შეხვედრას.

**(4) დანიშნეთ ჯგუფის დასრულების თარიღი.**

წევრებმა უნდა იცოდნენ, რამდენ ხანს გაგრძელდება მათი ვალდებულება. ჩვეულებრივ, ახალ წევრებს არ უნდა მიეცეთ ჯგუფში გაწევრიანების უფლება, თუკი რამდენიმე შეხვედრა უკვე შედგა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი უსადაგებს გაკვეთილებს ახალმოქცეულებს. თუ ჯგუფი სწავლობს გაკვეთილების სერიას, გაკვეთილების რაოდენობამ შეიძლება განსაზღვროს იმ კვირების რაოდენობა, რამდენჯერაც ისინი უნდა შეხვდნენ. თუ ისინი იკრიბებიან სულიერი ანგარიშვალდებულებისთვის, მათ შეუძლიათ დააწესონ ექვსთვიანი პერიოდი. დასრულების შემდეგ, მათ კვლავ შეუძლიათ გააგრძელონ. ამ დროს შესაძლოა ზოგიერთი წევრი წავიდეს და ჯგუფს შეუძლია განიხილოს, დაუშვას თუ არა ახალი წევრების გაწევრიანება.

**(5) სწავლების დროს ყურადღება მეტად ცხოვრების შეცვლის მიზანზე გაამახვილეთ და არა ცოდნის მიღებაზე, როგორც თვითმიზანზე.**

წევრი იგრძნობს, რომ ჯგუფი ღირებულია, თუ ის შესწავლიდან პირადი, კონკრეტული გამოყენების თემების გამოტანას შეძლებს.

**(6) დაიცავით ვალდებულებები.**

თუ ვინმემ გააზიარა პრობლემა და დაეთანხმა, რომ მან უნდა მიიღოს გარკვეული ზომები, იკითხეთ შემდეგ შეხვედრაზე, შეასრულა თუ არა ის, რისი გაკეთების ვალდებულებაც იკისრა.

**(7) ლიდერი მზად უნდა იყოს შეხვდეს თითოეულ წევრს ინდივიდუალურად, რათა სულიერი რჩევა-დარიგება მისცეს.**

სხვა წევრებს შეუძლიათ სხვა დროსაც შეიკრიბონ ერთმანეთის გასამხნევებლად.

**(8) შეარჩიეთ შეხვედრისთვის კარგი ადგილი.**

ეს უნდა იყოს არაფორმალური შეხვედრის ადგილი, ოჯახური ატმოსფეროთი. დასაჯდომი უნდა იყოს რაც შეიძლება წრიული, ისე, რომ თითოეულმა წევრმა დაინახოს ყველა სხვა წევრის სახე. ეს ხელს შეუწყობს მონაწილეობას. შეხვდით ისეთ ადგილას, სადაც არ იქნება შეფერხებები ან ყურადღების გაფანტვა.

**(9) გამოიმუშავე კარგი მოსმენის ჩვევები.**

კარგი მომსმენის ნიშნებია თვალის კონტაქტი, კონცენტრირებული გამომეტყველება, ყურადღების გადამტანი ფაქტორების იგნორირება და მოსაუბრის იუმორსა ან სხვა ემოციებზე რეაგირება.

**(10) დარწმუნდით, რომ არცერთი წევრი არ არის ყოველთვის ჩუმად.**

დაუსვით შეკითხვა წევრს, რომელიც ბევრს არ ლაპარაკობს („რას ფიქრობ ამაზე, ჩარლზ?").

**(11) ნუ აიძულებთ წევრს გაგიზიაროთ რაიმე პირადული.**

ამის ნაცვლად, შეეცადეთ შექმნათ ატმოსფერო, სადაც ის თავისუფლად იგრძნობს თავს და ღიად ისაუბრებს. გაამყარეთ წევრის ნდობა მხედველობითი კონტაქტის მეშვეობით და მის მიერ ნათქვამის შექებით.

**(12) შეეცადეთ დაუსვათ კითხვები, რომლებზეც მათ შეუძლიათ პასუხის გაცემა, რათა აამაღლოთ მათი თავდაჯერებულობა.**

თუ ვინმე არასწორ პასუხს გასცემს, ვიდრე გააკრიტიკებთ მას, შეეცადეთ დაუდასტუროთ რაიმე კარგი ამ პასუხში.

**(13) ვიდრე გააკრიტიკებთ, შეეცადეთ დაუდასტუროთ თითოეული კომენტარი რაიმე ფორმით.**

**(14) თუ ვინმეს აქვს ძალიან ბევრი ლაპარაკის და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემის ტენდენცია, მოძებნეთ მისი შეზღუდვის გზა.**

ერთ-ერთი გზაა კითხვების მიმართვა კონკრეტული წევრებისადმი. ან შეგიძლიათ ჰკითხოთ: „რას ფიქრობთ დანარჩენები?" დისკუსიის დროს შეგიძლიათ თქვათ: „მოდით აზრი მოვისმინოთ ვინმესგან, ვისაც ჯერ არ უსაუბრია ამაზე."

თუ წევრი კვლავ ბევრს ლაპარაკობს, ლიდერს შეუძლია ამის თაობაზე დაელაპარაკოს მას შეხვედრის შემდეგ. მას შეუძლია უთხრას მსგავსი რამ: „ჩარლზ, შენ ხარ სწრაფი მოაზროვნე და შეგიძლია სწრაფად უპასუხო დისკუსიებში, მაგრამ მე ვწუხვარ, რომ ზოგიერთი სხვა არ მიიღებს მონაწილეობას, თუ ყველაფერს სწრაფად ვუპასუხებთ. შეგიძლია დამეხმარო ყველას ჩართულობაში?"

**(15) არ მისცეთ უფლება ორ ან სამ წევრს ჰქონდეს საკუთარი დისკუსია, ჯგუფის იგნორირებით.**

თუ ვინმეს სურს რაიმეზე დიდი ხნის განმავლობაში გააგრძელოს კამათი, უთხარით მას, რომ განხილვის დასრულება მოუწევს მოგვიანებით, შეხვედრის შემდეგ.

**(16) არავის მისცეთ უფლება, ხელი შეუშალოს სხვებს.**

ასწიეთ ხელი, დაჟინებით გააჩერეთ ის პიროვნება, ვინც აწყვეტინებს და მიეცით საშუალება პირველ გამომსვლელს დაასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დისკუსიაში ყოველთვის იქნება ნაკლებად აღზრდილი წევრების დომინირება. ადამიანები, რომლებიც ნაკლებად თავდაჯერებულები არიან, იმედგაცრუებულნი დარჩებიან იმით, რომ ვერ შეძლეს დაესრულებინათ თავიანთი აზრი.

**(17) მოუსმინეთ საჩივრებს.**

ნებისმიერმა საჩივარმა შეიძლება გამოავლინოს პრობლემა, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია. ნუ უგულებელყოფთ უკმაყოფილების ნიშნებს. თუ ვინმე უკმაყოფილოა

ჯგუფის შეხვედრით, მან შეიძლება ვერ გაიგოს მიზანი, ან შეიძლება ჰქონდეს სწორი საჩივარი.

**(18) თუ წევრი მუდმივად არის მტრული, აგრესიული, კამათობს ან იწყენს, მან შეიძლება არ მიიღოს ჯგუფის მიზნები.**

ჯგუფი შეიძლება არ იყოს ის, რასაც ის ელოდა. ესაუბრეთ მას პირადად, რათა დაეხმაროთ ჯგუფის მიზნების დანახვაში.

**(19) ლიდერი არ არის ვალდებული იცოდეს პასუხი ყველა პრობლემაზე.**

მისი როლი არ არის ყველაფერზე პასუხის გაცემა, არამედ ჯგუფის წარმართვა იმაში, რომ ლოცვაში ვატაროთ ტვირთი.

**(20) იყავით მოქნილი და მომთმენი გრაფიკის შეფერხებისას.**

გახსოვდეთ, რომ მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში არის ჩვენი ღმერთისმიერი განვითარების ნაწილი. პრობლემა წაემოადგენს შესაძლებლობას.

**(21) თუ წევრი ხშირად იყენებს შეხვედრის მთელ დროს თავისი საჭიროებების გასაზიარებლად, შესთავაზეთ მას რჩევის მიღება სხვა დროს.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, დანარჩენი წევრები იგრძნობენ, რომ შეხვედრა მათ უბრალოდ მოპარეს. არ დაუშვათ ჯგუფმა დაკარგოს თავისი მიზანი, გარდა იმ შემთხვევისა თუ წევრები ერთად შეთანხმდებიან, რომ მიზანი უნდა შეიცვალოს.

**(22) ნუ მისცემთ უფლებას დისკუსიები მავნებლური გახდეს.**

ნუ მისცემთ უფლებას ჯგუფი იქცეს ადგილობრივი ეკლესიისა და სხვა ლიდერების კრიტიკის ადგილად.

**(23) გახსოვდეთ, რომ ჯგუფის ეფექტურობა დამოკიდებულია ღმერთის ძალაზე, რომელიც მუშაობს მასზე.**

ჯგუფი მხოლოდ ბიბლიური სტრუქტურაა, რომელსაც ღმერთი იყენებს.

# გაკვეთილი 19
# ლოცვა მოწაფეებისთვის

## მინიშნება კლასის ლიდერისთვის

*ამ ბოლო გაკვეთილზე ჯგუფი შეისწავლის იმის შესახებ, თუ როგორ წარმართავს პავლეს ლოცვები მორწმუნეებისთვის, ჩვენს ლოცვასა და მსახურებას.*

*შემდეგ, გაკვეთილი წარმოგიდგენთ გაკვეთილების სერიას მოწაფეობისთვის. ამ გაკვეთილის შესწავლისას ჯგუფმა უნდა გადახედოს ამ გაკვეთილებიდან ზოგიერთს, შემდეგ დაგეგმოს როგორ შეასრულოს პრაქტიკული დავალება.*

*ამ დავალების შესასრულებლად ჯგუფს არაერთხელ დასჭირდება შეხვედრა.*

*სტუდენტებმა, რომლებმაც დაასრულეს კურსი „ბიბლიური მახარებლობა და მოწაფეობა“, უნდა პრაქტიკაში გამოიყენონ გაკვეთილებით მიღებული ცოდნა ახალმოქცეულებთან. პირველ რიგში, ვინმემ უნდა წარმოადგინოს, თუ როგორ უნდა ასწავლოს გაკვეთილი ჯგუფს. შემდეგ, კლასის თითოეულმა წევრმა უნდა ჩაატაროს მინიმუმ ერთი გაკვეთილი. მას შემდეგ, რაც ჯგუფი მოისმენს ჩატარებულ გაკვეთილს, მათ შეუძლიათ დაიყონ მცირე ჯგუფებად, რათა უფრო მეტმა ადამიანმა ერთდროულად, შეძლოს ლიდერობაში პრაქტიკა. ოთხკაციან ჯგუფში თითოეულ მონაწილეს შეუძლია გაკვეთილის წარმართვა და დანარჩენ სამ მონაწილეზე დაკვირვება, როდესაც ისინი წაუძღვებიან გაკვეთილს.*

## პავლეს ლოცვები მორწმუნეებისთვის

პავლეს ლოცვები ახალი მორწმუნეებისთვის გვაუწყებს, რა უნდა მოხდეს ახალი ქრისტიანის ცხოვრებაში. ეს ლოცვები გვიძღვება ახალგაზრდა ქრისტიანებისთვის ლოცვაში, რადგან მათთვისაც იგივე უნდა ვილოცოთ, რასაც პავლე ლოცულობდა. ეს ლოცვები ასევე ხელმძღვანელობს ჩვენს მსახურებებს, რადგან ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ იმასთან, რასაც ღმერთი აკეთებს მათთვის.

მოდით შევხედოთ პავლეს ლოცვებს სამი განსხვავებული ჯგუფისთვის.

**თესალონიკელები**

► წაიკითხეთ 1 თესალონიკელთა 5:23-24.

თესალონიკელთა მიმართ პირველი წერილი სიწმიდისკენ მოუწოდებს. ყოველი მორწმუნე მოწოდებულია იცხოვროს გამარჯვებით და სიწმიდეში და ღმერთი გვპირდება, რომ ეს შესაძლებელია რწმენით. ჩვენ უნდა ვილოცოთ და ვასწავლოთ, რათა მივაღწიოთ მიზანს, რომელიცაა ყოველი მორწმუნის გამარჯვებამდე და სიწმიდემდე მიყვანა.

**ფილიპელები**

► წაიკითხეთ ფილიპელთა 1:9-11.

ეს მუხლები მოგვითხრობს მორწმუნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე. მისი სიყვარული მუდმივად უნდა იზრდებოდეს. როგორც ეს მოხდება, უნდა გაიზარდოს მისი უნარი გაარჩიოს რა არის საუკეთესო. რამდენადაც გაარჩევს, ის თავისი ცხოვრების ადაპტირებას ახდენს, რათა მომართული იყოს იმაზე, რაც საუკეთესოა. ეს უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ის იყოს სუფთა (გულწრფელი) და უდანაშაულო.

ადამიანები, რომლებსაც პავლე წერდა ამ მუხლებში, უკვე გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყვნენ ქრისტიანები. მიუხედავად ამისა, პავლე ლოცულობდა, რომ მათ გაეძლიერებინათ ღმერთის სიყვარული და ამ სიყვარულით უკეთ გაეგოთ ღვთის ნება მათ ცხოვრებაში.

აქ მოცემულია რამოდენიმე კითხვა, რომელიც ახალმოქცეულმა უნდა გაითვალისწინოს:

- ცვლილების რა მაგალითი არსებობს, რომელიც მე შევიტანე ჩემს ცხოვრებაში, როდესაც ღმერთმა მაჩვენა, რომ დამოკიდებულება, ჩვევა ან მოქმედება არ იყო საუკეთესო?
- არის რამე ჩემს ცხოვრებაში, რაშიც ეჭვი უნდა შევიტანო?
- მზად ვარ, რომ ღმერთმა ლოცვაში მიმანიშნოს ნებისმიერ ცვლილებაზე, რაც ჩემს ცხოვრებაში უნდა განვახორციელო?

**კოლასელები**

► წაიკითხეთ კოლასელთა 1:9-12.

ის ლოცულობდა, რომ მათ მიეღოთ ცოდნა ღვთის ნების შესახებ, სიბრძნითა და სულიერი შემეცნებით. ახალმოქცეული ჯერ კიდევ ვერ იგებს ყველაფერს ღვთის ნების შესახებ მისი ცხოვრების წესთან მიმართებაში. ის თანდათან დაინახავს, რომ გარკვეული ჩვევები, სიტყვები და დამოკიდებულებები მის ცხოვრებაში უნდა შეიცვალოს. ვინაიდან მას ღმერთი

უყვარს, ის უფრო და უფრო დაუქვემდებარებს თავის ცხოვრებას ღვთის ნებას. მენტორმა უნდა ილოცოს და ყურადღებით ასწავლოს ახალმოქცეულ ქრისტიანს ღვთის ნების ამოცნობა.

მან თქვა, რომ ღვთის ნების უკეთ გაცნობიერების შედეგად ისინი „უფლის ღირსად მოიქცევიან." ისინი გახდებოდნენ ღმერთის უფრო შესაფერისი წარმომადგენლები. მათი ცხოვრება უკეთესად შეესაბამება მათ მოწოდებას, გარდაიქმნან მადლით. მენტორს უნდა ახსოვდეს, რომ სანამ ეს პროცესი გარკვეული დროის მანძილზე არ გაგრძელდება, ახალმოქცეული ქრისტიანის ცხოვრებაში გარკვეული შეუსაბამობები იქნება.

„ღირსეული სიარულის" ნაწილი მოიცავდა „ყოველ კარგ საქმეში ნაყოფიერებას." არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ახალმოქცეული ქრისტიანი ჯერ კიდევ არ არის ნაყოფიერი ყველა კარგ საქმეში. ის შეიძლება ჯერ არ იყოს ისეთი პასუხისმგებლიანი და შეგნებული მოვალეობის შესრულებაზე, როგორც უნდა იყოს.

მუხლები ასევე გვაუწყებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ „მოთმინებასა და სულგრძელობაში, სიხარულით." ადამიანს, რომელსაც შეუძლია ქრისტიანული სიხარული შეინარჩუნოს მსახურებისა და მოთმინების დროს, გარკვეული სულიერი სიმწიფე მოიპოვა.

**დასკვნები პავლეს ლოცვების შესახებ**

პავლეს ლოცვები ახალმოქცეული ქრისტიანებისთვის ბევრს გვეუბნება მოწაფეობის სამუშაოს შესახებ. ჩვენ უნდა გვქონდეს სწორი მიზნები მორწმუნეების განვითარებისთვის. ჩვენ უნდა შევძლოთ პროგრესის ამოცნობა. არ უნდა გაგვიკვირდეს ახალმოქცეულ ქრისტიანში შეუსაბამობების, გაუგებრობებისა და უპასუხისმგებლობის დანახვა. არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ყველა ქრისტიანული თვისება უცბად გამომჟღავნდება.

უნდა ავღნიშნოთ, რომ პავლე უპირველესად არ ზრუნავდა მათი მსახურების მომზადებაზე ან მსახურების უნარის განვითარებაზე. ის ყველაზე მეტად ზრუნავდა მათი რწმენისა და ქრისტიანული ხასიათის განვითარებაზე. ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ ადამიანებით, რომლებსაც შეუძლიათ მსახურების შესრულება, მაგრამ არ აქვთ ქრისტიანული ხასიათი.

მასწავლებელი მნიშვნელოვანია მისი მაგალითის გამო და ინფორმაციის ღირებულების გამო. სწავლა ხაზგასმულია ზემოთ ჩამოთვლილ ორ ლოცვაში. ცოდნა ჩართულია სულიერ პროცესში. მასწავლებელს დიდი გავლენა აქვს ჭეშმარიტების გამოყენებით.

ჩვენ უნდა ვილოცოთ პავლეს ლოცვებით ახალმოქცეული ქრისტიანებისთვის, რომლებზეც პასუხისმგებლობას ვიღებთ. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ სულიწმიდასთან, რათა დავეხმაროთ ამ პროცესების გამოვლენას მათ ცხოვრებაში.

შემდეგი ლოცვა ეფუძნება პავლეს ლოცვებს ახალმოქცეული ქრისტიანებისთვის.

### ლოცვა ახალმოქცეული ქრისტიანისთვის

ზეციერო მამა,

მე ვლოცულობ ____________-სთვის, რომ განწმინდოს ის მთლიანად. მე ვლოცულობ, რომ ის იყოს წმიდა თავის ქმედებებში, დამოკიდებულებებში და მოტივებში.

დაეხმარე მას, რომ შენდამი სიყვარული აგრძელებდეს ზრდას, რათა სულ უფრო უკეთ გაიგოს, რა არის შენი სრულყოფილი ნება მისთვის. დაეხმარე მას გაარკვიოს რა არის საუკეთესო და ყოველთვის აირჩიოს ის, რათა მისმა ცხოვრებამ ნაყოფი გამოიღოს შენს სადიდებლად.

დაეხმარე მას ყოველდღიურად იცხოვროს ისე, როგორც ქრისტიანს შეეფერება, გაგახაროს ყველაფერში და გაიგოს მეტი შენი გზების შესახებ. დაეხმარე მას შენში იღებდეს ძალას, რათა გამარჯვებით იცხოვროს და სიხარულით გაუძლოს განსაცდელებს. დაე ის, ყოველთვის მადლიერი იყოს იმ მადლისთვის, რომელსაც შენ იძლევი.

იესოს სახელით ვლოცულობ, ამინ.

# რეკომენდებული რესურსები

## წიგნები


Coleman, Robert. *The Master Plan of Evangelism*. Ada: Revell, 2010.

Coleman, Robert. *The Master Plan of Discipleship*. Ada: Revell, 1997.

Eims, Leroy. *The Lost Art of Disciple Making*. Grand Rapids: Zondervan, 1978.

Friedeman, Matthew. *The Master Plan of Teaching*. Wheaton: Victor Books, 1991.

Gorman, Julie. *Community That is Christian: A Handbook on Small Groups*. (2nd edition). Ada: Baker Books, 2002.

Neighbor, Ralph. *Where Do We Go from Here?* Touch Publications, 1991. (Available on Kindle, 2011.)

Snyder, Howard*. The Radical Wesley: Patterns for Church Renewal*. Downers Grove: Intervarsity Press, 1980.

Snyder, Howard. *The Problem of Wineskins*. Franklin: Seedbed Publishers, 2017.

Wilkinson, Bruce. *The Seven Laws of the Learner*. New York: Multnomah, 1992.


## ონლაინ რესურსები

მახარებლობის სწავლება, სახარების ბროშურები და სხვა ინფორმაცია ხელმისაწვდომია რეი კომფორტისა და კირკ კამერონისგან აქ: https://www.livingwaters.com/.

ეკლესიის გარეთ მახარებლობის შესახებ დახატული დიაგრამების გამოყენებისთვის ინფორმაციის მისაღებად იხილეთ გარე აქტივისტების ვებსაიტები: http://www.oacgb.org.uk/ და http://www.oacusa.org/.

*მოწაფეობის განვითარების გაკვეთილები*, Shepherds Global Classroom - ის 26 გაკვეთილი ახალმოქცეული მორწმუნეების დამოწაფებისთვის. ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომია https://www.shepherdsglobal.org/. -დან

შესანიშნავი მასალა ახალმოქცეულთა დამოწაფებისთვის ხელმისაწვდომია ნათან ბრაუნისგან აქ: https://comeafterme.com/.

# ბიბლიური მახარებლობა და მოწაფეობა დავალებების ჩაწერა

სტუდენტის სახელი ________________________________________

| გაკვეთილი | დავალება 1 | დავალება 2 | დავალება 3 |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | (ტესტი) | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | (ტესტი) |
| 11 | | | |
| 12 | | | |
| 13 | | | |
| 14 | | | |
| 15 | | | |
| 16 | | | |
| 17 | | | |

Shepherds Global Classroom-ის კურსის დასრულების შესახებ სერთიფიკატის მისაღებად განაცხადი შეგიძლიათ შეავსოთ ჩვენს ვებ გვერდზე: www.shepherdsglobal.org. სერთიფიკატები ციფრულად გადაეცემა SGC-ის პრეზიდენტისგან ინსტრუქტორებსა და ფასილიტატორებს, რომლებიც ავსებენ განაცხადს მათი სტუდენტების სახელით).

ქრისტეზე ორიენტირებული. სწავლება. ყველგან.

SHEPHERDSGLOBAL.ORG